1975

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები

№ 92

სერია

# სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა-ორგანიზაცია

ტ. XCII 92

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института

серия

# ЭКОНОМИКА-ОРГАНИЗАЦИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

19 თბილისი 75

13145

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერია

# სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა-ორგანიზაცია

ტ. XCII

Труды Грузинского ордена Трудового Красного
Знамени сельскохозяйственного
института

серия

# ЭКОНОМИКА-ОРГАНИЗАЦИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

19 თბილისი 75

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის სერიის ტომის მასალები განხილულია ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონებულია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდი საბჭოს მიერ.

მთავარი რედაქტორი ვ. ი. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგიის წევრები: ჰ. გ. გიორგაძე, ქ. შ. გოგიჩაშვილი (პ/მგ. მდივანი), ლ. ი. ებანოიძე, მ. ა. ივანოვა, დ. ფ. კალანდაძე, ნ. კ. ლაჭყეპიანი, ა. გ. მახარაძე (მთ. რედ. მოადგილე), ნ. ი. ქარქაშაძე, ი. ლ. ჯაში.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ანთიძე

# საქართველოს სსრ ქალთა როლი საკოლმეურნეო მშენებლობაში (1929—1933 წწ.)

ყველაზე ურთულეს ამოცანას მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ წარმოადგენდა ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე მილიონობით წვრილმესაკუთრულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა კოლმეურნეობის გზაზე, სოციალიზმის გზაზე, რაც საბოლოოდ განამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას სოფლად, მუშათა კლასის მჭიდრო კავშირს გლეხობასთან.

კომუნისტურ პარტიას კარგად ესმოდა, რომ სოფლის სოციალისტური გარდაქმნები, საკოლმეურნეო წყობილების შექმნა შეუძლებელი იყო გლეხ ქალთა აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ვ. ი. ლენინი წერდა: „მშრომელი ქალის გარეშე ჩვენ ვერ განვახორციელებთ პროლეტარიატის დიქტატურას, ჩვენ მათ გარეშე ვერც კომუნისტურ მშენებლობას განვახორციელებთ. ჩვენ უნდა ვეძებოთ გზა მათკენ".

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა ვ. ი. ლენინის მითითება და უზრუნველყო მუშა და გლეხ ქალთა ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამეურნეო მშენებლობაში, რაც შეადგენდა მნიშვნელოვან რგოლს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

ამ ღონისძიების გატარების დროს პარტიისა და მთავრობის წინაშე, განსაკუთრებით სოფლად, იყო სიძნელეები, რომელთა დაძლევის გარეშე წარმატება შეუძლებელი გახდებოდა.

საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 15 ივნისის დადგენილება: „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ქალთა შორის მუშაობაში" ახალი ვითარების შესაბამისად გადაჭრით მოითხოვდა სოფლად გლეხ ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესებას, მის დაქვემდებარებას იმ ამოცანებისადმი, რომელიც მაშინ იდგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინაშე. დადგენილება ითვალისწინებდა მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას (ქალთა ექსკურსიების მოწყობა საუკეთესო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგროპროპაგანდის გაძლიერება და სხვ.), საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, თანაბარ პირობებში მამაკაცისა და ქალის შრო-

მის თანაბარ შეფასებას და ანაზღაურებას. დადგენილებაში ხაზგასმული იყო გლეხ ქალთა ფართო მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში, ქალთა ჩაბმის შესახებ სასოფლო-სამეურნეო არტელებსა და ნადებში, მათთვის კრედიტების, საჭირო ინვენტარის, თესლის მიცემისა და ინსტრუქტაჟის გაწევის, საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაზრდის, ქალთა კადრების მომზადებისა და გადამზადების და სხვა საკითხების მოწესრიგების შესახებ.

გამოდიოდა რა საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დიდი ყურადღება მიაქცია სოფლად ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესებას, რაც ნათლად აისახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების და თათბირების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ა/კ პარტიული ორგანიზაციების დადგენილებებში, საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში.

ახალ ვითარებაში სოფლად ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე მიუთითა საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ, რომელიც გაიხსნა 1928 წლის 1 ივნისს.

ყრილობის მიერ არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული გლეხ ქალთა ჩაბმა საკოლმეურნეო მშენებლობაში. ყრილობამ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მთავარ ამოცანად ცნო მეტი ემუშავათ ქალთა კადრების აღზრდისა და მათი გაბედული დაწინაურებისათვის კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ყრილობამ განხილულ საკითხზე „საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტივებისა და სოფლად მუშაობის შესახებ", საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებისა და კულაკობაზე შეტევის გაძლიერების ვრცელი პროგრამა დასახა.

ყრილობის მიერ დასახული პირველი ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება მოითხოვდა მშრომელთა შემოქმედებითი ძალების აღმავლობას, ქალთა მასობრივ ჩაბმას საკოლმეურნეო მშენებლობაში, მათი აქტივობის ამაღლებას.

პარტიის ძირითად აღმძრავ ღვედს გლეხ ქალთან დასაკავშირებლად, ისე, როგორც სხვა დროს, ამ პერიოდშიაც წარმოადგენდა ქალთა განყოფილებები და სადელეგატო კრებები. ეს უკანასკნელი სოფლად არა მარტო შესანიშნავი სკოლა იყო, სადაც გლეხი ქალი პოლიტიკურ განათლებას იღებდა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დონეს იმაღლებდა, არამედ იგი ამასთან ერთად უდიდესი ძალის მქონე აღმოჩნდა ქალთა ორგანიზაციული დარაზმვისათვის საკოლმეურნეო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

მიუხედავად ამისა, გლეხ ქალთა შორის მუშაობა მაინც ვერ მიყვებოდა სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის მაღალ ტემპს. მთელ რიგ შემთხვევაში, არა მარტო მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდში, არამედ უფრო გვიანაც, ადგილი ჰქონდა ქალთა შრომის შეუფასებლობას, შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობას. ჯერ კიდევ დიდი იყო ტრადიციის ძალა, რომელიც ხელს უშლიდა სოფლად ქალთა შორის მუშაობის გაშლას. იყო შემთხვევები, როცა მამაკაცები თაკილობდნენ ქალის გვერდით მუშაობას, ან კოლმეურნეო-

ბებში ცალკე არ აღირიცხებოდა ქალის მიერ შესრულებული სამუშაო დღე და მას აწერდნენ ოჯახის წევრ მამაკაცს.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს, პარტიისა და მთავრობის მითითებათა და გადაწყვეტილებათა დარღვევებს. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ქალი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული ძველი ფეოდალური ყოფის ნაშთებისაგან (ქედა, ხულო). მოვიტანოთ ზოგიერთი ფაქტი.

სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობა „ფოლადში“ კოლმეურნე ქალის ა. არსენიძის ყველა შრომადღე დაარიცხეს მის ძმას, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობამ შრომადღეების დარიცხვით დააჯარიმა.

სოფ. ნოქალაქევში (ყოფილი სენაკის რაიონი) მოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეობის გამგეობამ სრულიად არ მიიღო მხედველობაში ქალთა შრომა და კოლმეურნე ქალებს მოსავალი არ გაუნაწილა შრომის მიხედვით.

მსგავს ფაქტებს ჰქონდა ადგილი სოფ. ნაბაკევის (გალის რაიონი) კოლმეურნეობაში. აქ მოსავალი გაანაწილეს თანასწორად, კოლმეურნეობების წევრების რიცხვის მიხედვით, გამომუშავებული შრომადღეებისათვის ყურადღების მიუქცევლად.

სოფ. ჯუგაანის (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნეებზე გაანაწილა ხორბალი. ქალების მიერ გამომუშავებული ხორბალი დააწერა მამაკაცებს, რის გამოც, ხორბალი მხოლოდ მათ ხვდათ წილად.

1931 წლისათვის ქალთა შრომა სრულიად არ იყო გამოყენებული სოფ. რუფოთის (ჩხარის რაიონი) კოლმეურნეობაში. ასეთივე ფაქტებს ჰქონდა ადგილი ჩოხატაურის და თელავის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

სანარდო სისტემაზე გადასვლის დროს ონში არ გამოიყენეს ქალთა და მოზარდთა შრომა იმ „მოტივით“, რომ თითქოს იგი უნაყოფო იქნებოდა სანარდოდ მუშაობის დროს.

კიდევ მეტი. მარტვილის სოფ. აბერის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ქალები გამორეკა მინდვრის სამუშაოებიდან.

ახალქალაქის სოფელ კოტელის კოლმეურნეობა ყველა კოლმეურნე ქალს არ აძლევდა სამუშაოს. გამგეობამ წესად შემოიღო სამუშაოზე დაეშვა მხოლოდ ის კოლმეურნე ქალი, რომლის ოჯახში სამ მუშახელზე მეტი არ იყო.

ბანძის (მარტვილის რაიონი) კოლმეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენების წინააღმდეგ წავიდნენ თვით სოფლის თავკაცები.

ეს და მსგავსი დამახინჯებანი, რომელიც უმთავრეს შემთხვევაში გამომდინარეობდა სოფლად ზოგიერთ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკთა სუსტი პოლიტიკური და კლასობრივი შეგნებიდან, რის გამოც მათ სწორად არ შეეძლოთ გაეგოთ პარტიის მუშაობის კურსი გლეხ ქალთა შორის მუშაობაში, კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა კოლმეურნე ქალებში. კულაკობა — უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასი სოფლად, რომლის წინააღმდეგობა გაძლიერდა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის გამო, მოხერხებულად იყენებდა უკმაყოფილო და ჩამორჩენილ ქალთა მასებს და განაწყობდა მათ საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ.

ამ გარემოებას ისიც დაერთო, რომ ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ იდგა ქალთა შორის მუშაობა სოფლად, სუსტად იყო დაყენებული ღარიბი და მოჯამაგირე ქალების კლასობრივი აღზრდა, რის გამოც ისინი ვერ წარმოადგენდნენ პარტიის დასაყრდენსა და წამყვან ძალას საკოლმეურნეო მშენებლობაში.

კულაკები ქალთა გარკვეულ ნაწილს, მის ჩამორჩენილ ფენებს განაწყობდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა 1930 წლიდან, როცა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში საკოლმეურნეო მოძრაობა სათანადო მომზადების გარეშე, ვადამდე ადრე, მთლიან კოლექტივიზაციად გადაიზარდა.

ქალთა ჩამორჩენილი ფენების წინააღმდეგობისათვის საკოლმეურნეო მოძრაობის მიმართ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა იმ შეცდომებმა და ნაკლოვანებებმა, რასაც სხვა რესპუბლიკების მსგავსად ადგილი ჰქონდა საქართველოში.

კულაკები, სარგებლობდნენ რა იმ გარემოებით, რომ ჯერ კიდევ სუსტი იყო პარტიის მუშაობა გლეხ ქალთა შორის, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ქალთა შორის მუშაობას თვლიდნენ მხოლოდ ქალთა ორგანიზაციების საქმედ, მთავარ დასაყრდენად საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ იხდიდნენ ქალთა ჩამორჩენილ ფენებს.

კულაკურ აგიტაციას ზოგჯერ თავისი უარყოფითი შედეგი მოჰქონდა. გლეხი ქალები რიგ რაიონებსა და სოფლებში გამოდიოდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ.

ახალქალაქში, აფხაზეთში, დუშეთში, შორაპანსა და ოზურგეთში კულაკების წაქეზებით ადგილი ჰქონდა გლეხი ქალების გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო მშენებლობის სწორად წარმართვა, დაშვებული შეცდომების სასწრაფოდ გამოსწორება, გლეხ ქალთა შორის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება — პარტიის გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა.

პარტიის მუშაობა ამ მიმართულებით აისახა მთელ რიგ დოკუმენტებში.

1930 წლის 20 თებერვალს საკ. კპ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონებში კოლექტივიზაციისა და კულაკობასთან ბრძოლის შესახებ". დადგენილება აღნიშნული რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს აფრთხილებდა მექანიკურად არ გადაეტანათ კოლექტივიზაციის ფორმები და მეთოდები კოლექტივიზაციისათვის უფრო მომზადებული რაიონებიდან.

დაშვებული შეცდომების გამოსწორებასა და საკოლმეურნეო მშენებლობის სწორი გზით წარმართვის საქმეში დიდი როლი შეასრულა 1930 წლის 2 მარტს „პრავდაში" გამოქვეყნებულმა ი. ბ. სტალინის სტატიამ „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 14 მარტის დადგენილებამ „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიის ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის შესახებ".

1930 წლის 3 აპრილს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ზუსტად აღნუსხა რა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომები, პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ენერგიული ბრძოლა ეწარმოებინათ მისი გამოსწორებისათვის.

ამავე საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომპარტიის VII ყრილობამ (შედგა 1930 წლის 28 მაისს), რომელმაც მოისმინა და განიხილა ფ. მახარაძის მოხსენება „საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგების და პერსპექტივების შესახებ“.

პარტიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელება, ქალთა აქტიურად ჩაბმა სოციალიზმის მშენებლობაში, სოფლად მიმდინარე დიადი გარდაქმნები, კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, პარტიის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება ქალთა ფართო მასებთან, მოითხოვდა ქალთა შორის მუშაობაში ორგანიზაციულ ცვლილებებს.

1930 წლის იანვარში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ქალთა განყოფილებების გაუქმებისა და პარტიული კომიტეტების სააგიტაციო-მასობრივ განყოფილებებთან ქალთა სექტორების შექმნის შესახებ. ამგვარად, ქალთა შორის მუშაობა დაეკისრა პარტიული კომიტეტის მთელ აპარატს. ზოგან ქალთა განყოფილებების გაუქმება არასწორად გაიგეს და იგი მიიჩნიეს ქალთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობის შესუსტებად. კომუნისტურმა პარტიამ დროზე გამოავლინა ეს შეცდომა და დაგმო იგი.

პარტიის XVI ყრილობამ, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა, აღნიშნა, რომ კოლექტივიზაციის გატარებისას ნათლად იჩინა თავი იმ ნაკლოვანებებმა, რაც პარტიას გააჩნდა გლეხ ქალთა შორის მუშაობაში. ყრილობის მასალებში აღნიშნულია ისიც, რომ სოფლად ქალთა შორის მუშაობა უმთავრესად საყოფაცხოვრებო ხაზით წარმოებდა და ნაკლები ყურადღება ექცეოდა იდეოლოგიურ მუშაობას.

ყრილობის რეზოლუციაში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო ნათქვამია:

„ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებს გააძლიერონ თავიანთი მუშაობა მშრომელ ქალთა ფართო მასების მობილიზაციისათვის, განსაკუთრებით სოფლად, სოციალისტური მშენებლობის გასაშლელად“.

პარტიის XVI ყრილობის ეს მითითება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის, მათ შორის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მოწვეულმა პარტიის რესპ. ცენტრალური კომიტეტების და რაიკომების ქალთა სექტორების პირველმა თათბირმა 1931 წლის 8—10 თებერვალს არა მარტო გააკრიტიკა ქალთა შორის მუშაობის შესუსტების ტენდენცია, არამედ მიიღო კონკრეტული ღონისძიება ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების, მათი კლასობრივი შეგნებულობის ამაღლებისა და შრომითი აქტიურობის ზრდისათვის. პარტია ქალთა შორის მუშაობას განიხილავდა, როგორც პარტიის პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

თათბირმა, აღნიშნა რა მთელი რიგი პარტიული, სამეურნეო, კოოპერატიული, პროფესიული და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ჩამორჩენა

მშრომელ ქალთა მასების გაძლიერებულ აქტივობისაგან, აგრეთვე, ამიტომ ქალთა სექტორებმა თავიანთი მუშაობა ვერ შეუფარდეს ახალ პირობებს და ვერ გადალუნეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებიდან მხოლოდ და მხოლოდ წვრილმანი საკითხების გადაჭრისაკენ — პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მოითხოვა დაუზოგავი ბრძოლა ასეთი მოვლენებისადმი.

„ქალთა შორის მუშაობის გარდაქმნა — ნათქვამია თათბირის მასალებში, უნდა ისახავდეს მშრომელ ქალთა ფართო მასების ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებას, მათი კლასობრივი თვითშეგნების აწევას და აქტივობის გაძლიერებას ბრძოლაში ყოველგვარ გადახრასთან ლენინური ხაზიდან, ბრძოლაში ა/კ ფედერაციის განმტკიცებისაკენ. წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში ქალის შრომის ფართოდ გამოყენების ამოცანა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაშალონ ფართო მასობრივი მუშაობა იმ მიზნით, რომ ქალთა ახალი კადრები ჩააბან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში".

ამასთან ერთად, თათბირი შეეხო მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ქალთა კადრების მომზადებას, მუშა და კოლმეურნე ქალთა საწარმოო კავშირის განმტკიცებას, ღარიბ და მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესებას და სხვ.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სოფლად სისტემატურად იგზავნებოდა მუშათა და მუშა ქალთა ბრიგადები, რომლებიც დიდ მუშაობას ატარებდნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის. განვითარდა ქალაქის მუშა ქალთა სადელეგატო კრებების შეფობა გლეხ ქალთა სადელეგატო კრებებზე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად გზავნიდა ადგილებზე ქალთა განყოფილებების აპარატისა და მუშა ქალთა წარმომადგენლებს, რომლებიც სწავლობდნენ სოფლად ქალთა შორის მუშაობას. გამორკვევის შედეგების მიხედვით ცენტრალური კომიტეტის ქალთა სექტორი სახავდა სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლის განზოგადებაც საჭირო შემთხვევებში ხდებოდა ქალთა სექტორში მომუშავეთა სარაიონო ან რესპუბლიკურ შეკრებებზე, აქტივისტ ქალთა კონფერენციებზე. ქალთა ასეთ თავყრილობებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

მუშათა და მუშა ქალთა ბრიგადები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური და სამეურნეო კამპანიების ჩატარების დროს სოფლად. ასევე შეიძლება ითქვას მუშათა სათვისტომოების მიმართაც, რომლებიც შექმნილი იყო სამრეწველო საწარმოებში. 1931 წლის დასაწყისში საქართველოში სულ 9 სათვისტომო იყო, რომელიც 12 000 მუშასა და მუშა ქალს აერთიანებდა.

ზაფხულში სოფლად შვებულებაში მიმავალი მუშებისა და მუშა ქალებისათვის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი საკითხების შესახებ ტარდებოდა ლექცია-საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ეწყობოდა მოკლევადიანი კურსები და სხვ.

გლეხ ქალთა შორის პარტიის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში აქტიურ როლს ასრულებდა პრესა — რესპუბლიკის ცენტ-

რალური და რაიონული გაზეთები, ჟურნალები, „მშრომელი ქალი“ და „კრესტიანკა“.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად განიხილავდა გაზეთებისა და ქალთა ჟურნალის მუშაობის საკითხს და სახავდა საჭირო ღონისძიებებს.

არ დარჩენილა სოფლად ქალთა შორის მუშაობის არცერთი საკითხი, რომელიც არ გაეშუქებინოთ გაზეთებსა და ჟურნალებს, განსაკუთრებით კი ჟურნალ „მშრომელ ქალს“ და „კრესტიანკას“. „ფართოდ გამოვიყენოთ ქალთა შრომა კოლმეურნეობებში“, „მწვავედ დავარტყათ ქალთა შრომის შეუფასებლობას“, „მშრომელი ქალები აქტიურად ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში“, „აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უცოდინარობა კოლმეურნე ქალთა შორის“, ჩავაბათ კოლმეურნე ქალები კულტურულ ლაშქრობაში“, „კონკურსი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მშრომელ ქალთა აქტიური მონაწილეობისათვის“ და სხვ. — მუდმივ თემას წარმოადგენდა ჟურნალ-გაზეთებისათვის.

ჟურნალი „მშრომელი ქალი“ სპეციალური რუბრიკით „რას გვწერენ ადგილებიდან“, ან „წერილები პროვინციიდან“ ყოველ ნომერში ფართოდ აშუქებდა მასალებს სასოფლო რაიონებიდან, რომლებიც შეეხებოდა ქალთა ჩაბმას საკოლმეურნეო ცხოვრებაში, მათ მონაწილეობას სოფლად მუშაობაში. რუბრიკით „რჩევა დარიგება“ გაზეთი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე საჭირო კონსულტაციას უწევდა დიასახლის და კოლმეურნე ქალებს.

ჟურნალ-გაზეთების რედაქციები მრავალი ახალი ღონისძიებების გატარების ინიციატორები ხდებოდნენ. გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“ ქალთა შორის მასობრივი მუშაობის ინიციატორი გახდა. გაზეთმა 1932 წლის მაისში ჩაატარა ქალთა საკოლმეურნეო ბრიგადების დაუსწრებელი საწარმოო კონფერენცია. კოლმეურნეობებში ქალთა შრომის გამოყენებს საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვეს კოდორის, გაგრის, სოხუმის და სხვა რაიონების კოლმეურნე ქალებმა.

ჟურნალ-გაზეთების რედაქციები საინტერესოდ ატარებდნენ საკოლმეურნეო პოლიტდღეებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, თემატურ გასაუბრებას, მკითხველთა, გლეხკორთა და გლეხკორ ქალთა, კედლის გაზეთის რედაქტორთა შეკრებებს, თათბირებს. მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიებისა და საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით აარსებდნენ საგუშაგოებს, ქმნიდნენ გამსვლელ ბრიგადებს, აწყობდნენ რეიდებს და შეგროვილი მასალებიდან, რომელშიაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კოლმეურნე ქალთა შორის მუშაობას უშვებდნენ გაზეთების სპეციალურ გვერდებს.

გაზეთები ამხელდნენ კლასობრივი მტრების გამოხდომებს, დახავსებულ ყოფას, ქალისადმი მიმართ ძალადობის ფაქტებს, რაც არც ისე იშვიათი მოვლენა იყო საქართველოს ზოგიერთი კუთხისათვის. ამ მხრივ მრავალ მამხილებელ წერილს ათავსებდნენ თავის ფურცლებზე გაზეთები „ფუხარა“ და „საბჭოთა აჭარისტანი“.

გაზეთებმა და ჟურნალებმა, სათანადო კომენტარით, ვრცელი ანგარიში მოათავსეს თავის ფურცლებზე 1929 წლის თებერვალში ქ. ბათუმში მაჰმადიან

ქალთა I ყრილობის შესახებ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბრძოლაში ძველი ყოფის ნაშთებისაგან აჭარელ ქალთა განთავისუფლებაში.

ეროვნული

იმისათვის, რომ ჟურნალ „მშრომელ ქალს“, მის წინაშე მდგარი ამოცანა კიდევ უფრო კარგად შეესრულებინა, საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სარედაქციო კოლეგია გადახალისდა და სოფელთან მეტი კავშირის განმტკიცებისა და გლეხკორ ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით რედაქციას სოფლისათვის სპეციალური ინსტრუქტორის შტატი მიეცა.

მიუხედავად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა გლეხ ქალთა მუშაობა მაინც სუსტ ადგილად რჩებოდა, განსაკუთრებით ისეთ კუთხეებში, როგორიც იყო აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და კახეთის ზოგიერთი რაიონი. ძალიან სუსტად იყო დაყენებული პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ქურთ, იეზიდ, ებრაელ, აისორ და სხვა ნაცუმცირეს ქალთა შორის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა პარტიის მუშაობა აჭარელ, აფხაზ და ოს ქალთა შორის. ასეთივე დადებითი შედეგებით ხასიათდებოდა პარტიის მოღვაწეობა ქურთ, იეზიდ, ებრაელ და აისორ ქალთა შორის.

მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითი. თუ აჭარის ასსრ-ში 1931 წლისათვის კოლმეურნეობებში ჩაბარებული იყო 280 აჭარელი ქალი, 1935 წლისათვის კოლმეურნეობებში უკვე მუშაობდა 4 536 ქალი. მათ შორის 2 ქალი მუშაობდა თავმჯდომარედ, 1 — ბრიგადირად, ხოლო 130 — მერგოლურად.

ისეთ რაიონში, როგორიც იყო ხულო, 1936 წლისათვის საკოლმეურნეო შრომაში მონაწილე 5 408 კოლმეურნიდან 1236 ქალი იყო. აჭარის ასსრ-ში 1940 წლისათვის ნოვატორული შრომის ოსტატთა შორის ნახევარს ქალები შეადგენდნენ.

1935 წელს აჭარაში გამოჩნდნენ პირველი სტახანოველი კოლმეურნე ქალები, რომლებმაც მამაცური შრომით ქვეყანა ასახელეს: ჰ. მანელიშვილი, ხ. კაკაბაძე, ხ. მაჭუტაძე, ა. ყურშუბაძე, ვ. დოლიძე, ვ. ვასიტერიძე, ა. თამაზაშვილი, ს. მახარაძე, გ. ჯიჯავაძე და სხვები.

კოლმეურნე ანგელინა გურგენიძე თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის ხალხმა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. საბჭოთა მეურნეობის მუშა ქალთა შორის მთავრობის უმაღლესი ჯილდო პირველად მარიკა ფუნდუკიძემ დაიმსახურა.

საარქივო დოკუმენტებში მითითებულია, რომ 1932 წლისათვის საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში აფხაზეთის ასსრ გუდაუთისა და მიხაილოვსკის რაიონების დელეგატმა კოლმეურნე ქალებმა თავი გამოაცხადეს დამკვრელებად და სამაგალითო მუშაობით მთელ რიგ კოლმეურნეობებში მამაკაცებს გაასწრეს. ბერძნული, სომხური და ლაზური მოსახლეობის ქალები კოლმეურნეობებში მამაკაცის თანაბრად მუშაობდნენ.

ასევე კარგად მუშაობდნენ ლაგოდეხის რაიონის წითელი გორის ებრაელთა კოლმეურნეობის წევრი ქალები.

აქ, კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულ მუდმივ საწარმოო ბრიგადებს შორის, 3 ქალთა ბრიგადა იყო. თავდადებული შრომით გამოირჩეოდა ქალთა

ბრიგადის ხელმძღვანელი მერი კრიხელი, რიგითი კოლმეურნე ქალები: ე. კრიხელი, მ. ქოჩორაშვილი, თ. ნანიკაშვილი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობის ქალთა ბრიგადა ფლორა [illegible]ლიას ხელმძღვანელობით მთელ აფხაზეთში ცნობილი გახდა გეგმების გადაჭარბებითა და მაღალხარისხოვანი შესრულებით. ასეთი მაგალითები მრავლად იყო.

გლეხ ქალთა დარაზმვას საკოლმეურნეო მშენებლობაში ხელს უწყობდა ის ღონისძიებანი, რასაც ახორციელებდა კომუნისტური პარტია ღარიბ და მოჯამაგირე ქალთა შორის, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი თანდათან საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენ ძალად იქცეოდნენ სოფლად.

საქართველოს რესპუბლიკისა და ა/კ სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების, აგრეთვე ქალთა განყოფილებებისა, ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ, ქალთა სექტორების მუშაკთა თათბირებზე არაერთხელ იქნა განხილული საკითხი ღარიბ და მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობის მდგომარეობის, ქალთა ამ ფენის კლასობრივ-პოლიტიკური აღზრდის, კოოპერირების დროს მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის, სოფლის საბჭოთა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციულ მუშაობაში აქტიურად ჩაბმის, პარტიის რიგებში მოზიდვისა და სხვ. შესახებ.

ღარიბ და მოჯამაგირე ქალთათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სპეციალური სკოლები გაიხსნა იმ რაიონებში, სადაც ძველი ყოფა-ცხოვრებითი ადათის გამო ქალები არ დადიოდნენ საერთო სალიკვიდაციო სკოლებში.

განხორციელებული დახმარების შედეგად ღარიბი და მოჯამაგირე ქალები თანდათანობით ფეხზე დგებოდნენ და აქტიურად ებმებოდნენ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

. სოფლად ქალთა ამ ფენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მზარდ როლზე მიუთითებს ის აქტიურობა, რასაც ისინი იჩენდნენ და აძლიერებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური სამეურნეო კამპანიების — საბჭოების არჩევნების, დელეგატ ქალთა გადარჩევნების, საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ქალი არა მარტო კანონით, არამედ საქმით მიაღწევს თანასწორუფლებიანობას, თუ იგი სულ უფრო და უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივ საწარმოთა მართვა-გამგეობაში და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

კოლმეურნე ქალთა აქტივობის შესაბამისად იზრდებოდა მათი რიცხვი სოფლად საბჭოების შემადგენლობაში.

თუ 1925 წელს საქართველოში სათემო საბჭოებში არჩეული იყო 1638 ქალი, 1929 წელს არჩეული იქნა 4235. იმავე პერიოდში სათემო აღმასკომებში ქალთა რაოდენობა 1456-დან გაიზარდა 2569-მდე, ხოლო საქალაქო საბჭოებში 1439-დან 2296-მდე. 1931 წელს საბჭოებში არჩეული იყო 4 942 ქალი ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 16,8 პროცენტი. სათემო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იყო 26 ქალი, სარაიონო აღმასკომის წევრად 229, ანუ რაიაღმასკომის წევრთა საერთო რიცხვის 10,9 პროცენტი.

ქალთა ცხოველუნარიან მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში ხელს უწ-

ყობდა საბჭოს წევრ ქალთა სასოფლო, სამაზრო, საოლქო და რესპუბლიკური ყრილობებისა და კონფერენციების ჩატარება.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლის 7 სექტემბრის დადგენილების თანხმად, ამავე წლის 15-დან 25 სექტემბრამდე რესპუბლიკის ყველა სოფელში, მაზრასა და ოლქში ჩატარდა საბჭოს წევრ ქალთა ყრილობები, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობაში მუშა და გლეხი ქალების მონაწილეობა;

2. კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ;

3. ქალის მონაწილეობა საკოლმეურნეო მშენებლობაში.

საინტერესოდ ტარდებოდა დეპუტატ ქალთა კონფერენციები. მაგალითად, 1929—1930 წლებში ჩატარებულ საბჭოს წევრ ქალთა სათემო კონფერენციებზე სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ქალთა მონაწილეობის შესახებ საშემოდგომო თესვის კამპანიაში. ყურადღებას იქცევს სამაზრო ასეთივე კონფერენციებზე განხილული შემდეგი საკითხები: სოფლის მეურნეობის მდგომარეობა (მაზრაში არსებული პირობების მიხედვით) და საბჭოს წევრ ქალთა ამოცანები, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა და ქალების მონაწილეობა მის შესრულებაში, პურის დამზადების კამპანია.

სოფლის მეურნეობის განვითარების კარდინალური საკითხები მსჯელობის საგანი იყო საბჭოს წევრ ქალთა სრულიად საქართველოს თათბირებისა, რომლებიც რეგულარულად ტარდებოდა სათემო და სამაზრო კონფერენციების შემდეგ.

საბჭოს წევრ ქალებისათვის ხშირად ეწყობოდა სხვადასხვა კურსები. მაგალითად, 1929 წლიდან 1 ივნისამდე მოსამზადებელი კურსები გაიარა 30 ქალმა — სოფლისა და რაიონის საბჭოების თავმჯდომარეებმა, თავმჯდომარის მოადგილეებმა და მდივნებმა.

კურსდამთავრებული საბჭოს წევრი ქალები, რომლებიც კვლავ სოფელს უბრუნდებოდნენ, მრავალი სასარგებლო საქმის ინიციატორები ხდებოდნენ.

საკოლმეურნეო მშენებლობაში გლეხი ქალის ჩაბმის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს სადელეგატო კრებებმა. ქალთა სექტორებთან ერთად სადელეგატო კრებები სათავეში ედგნენ კოლმეურნეობის ჩამოყალიბებასა და მისი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საქმეს, შრომის სოციალისტური მეთოდების (სოციალისტური შეჯიბრი, დამკვრელობა, შემხვედრი გეგმები, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.) ფართო დანერგვას.

სადელეგატო კრებები მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდში სოფლად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების თანაშემწის როლს ასრულებდნენ.

საქ. კ პ(ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ მოწვეულ ქალთა სექტორების მუშაკთა თათბირის რეზოლუციაში, რომელიც დამტკიცებული იქნა ამიერკავკასიის სამდივნოს მიერ 1931 წლის 19 თებერვალს, ნათქვამია: „მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომის ფართოდ გამოყენების ამოცანა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაშალონ მასიური მუშაობა, რათა ქალთა ახალ-ახალი კადრები ჩაბმული იქნეს სახალხო მეურნეობაში".

 აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სწორედ 1931 წლიდან, როდესაც საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაიწყო ქალთა კიდევ უფრო გეგმიანი და ორგანიზებული ჩაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1932 წლის 1 იანვრისათვის დამატებით იმ რიცხვებთან, რომელიც უკვე იყო მთელ სახალხო მეურნეობაში უნდა ჩაბმულიყო 30 000 ქალი, აქედან მრეწველობაში 9 099 მუშა ქალი, სოფლის მეურნეობაში 16 677. საქართველოს რესპუბლიკამ ეს გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ამასთან დაკავშირებით, იმავე თათბირის რეზოლუცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ ქალთა ფართოდ ჩასაბმელად საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან კიდევ უფრო მტკიცედ დაეყრდნონ ქალთა სადელეგატო კრებებს, კლუბებსა და წითელ კუთხეებს, რომლებშიც მუშაობა უნდა გარდაიქმნას სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანების შესაბამისად.

თათბირზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ცალკეული წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, რომლებიც არ ასრულებდნენ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქალთა დაწინაურების შესახებ და მთელ რიგ შემთხვევებში კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ დეკლარაციული განცხადებებით და რეზოლუციების მიღებით. თათბირმა მოითხოვა მეტი ყურადღება მიქცეოდა პარტიის რიგების ზრდას მოწინავე ქალთა ხარჯზე. სოფლად ქალთა შორის მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად თათბირმა ვრცელი გადაწყვეტილება მიიღო.

პარტიის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლა პირველ რიგში ხელს უწყობდა ქალთა სექტორებისა და სადელეგატო კრების მუშაობის გაუმჯობესებას. კოლმეურნე ქალები სადელეგატო კრებებზე პრაქტიკული საკითხების განხილვისას ცხარედ კამათობდნენ, აკრიტიკებდნენ ჩრდილოვან მხარეებს, ამხელდნენ კლასობრივ მტრებს, ბიუროკრატებსა და ზარმაცებს, შეჰქონდათ თავიანთი საქმიანი წინადადებანი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის. ქალები ამ გზით უფრო და უფრო ებმებოდნენ ქვეყნის აღმშენებლობაში.

მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითი.

1931 წელს გორის რაიონის სოფელ შინდისის კოლმეურნეობაში დელეგატ ქალთა ბრიგადამ თავი გამოაცხადა დამკვრელად და 40 პროცენტით გაადიდა შრომისნაყოფიერება.

ზუგდიდის რაიონის სოფ. ეწერის კოლმეურნეობაში საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულ 5 კოლმეურნეთა შორის სამი დელეგატი კოლმეურნე ქალი იყო.

დელეგატ ქალთა აქტივობა განსაკუთრებით ძლიერდებოდა სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩატარების დროს. კოლმეურნეობებთან არსებულ სადელეგატო კრებების მუშაობას საფუძვლად ედებოდა საგაზაფხულო სას. სამ. კამპანიებში ქალთა მონაწილეობისა და ქალთა შრომის ორგანიზაციის საკითხები.

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში საქართველოს მარტო 20 რაიონში ჩამოყალიბდა ქალთა 1087 დამკვრელი ბრიგადა. ქალებმა მოაწყვეს მებამბეობის ორი კოლექტიური მეურნეობა, რომელშიც 84 ქალი იყო გაერთიანებული; სიღნაღში 15 ჯგუფური გაერთიანება 145

ქალით იყო წარმოდგენილი. გურჯაანში შეიქმნა მებამბეობის 35 ჯგუფური გაერთიანება 856 ქალით. აქ პრემია დაიმსახურა 30 ქალმა. ამავე წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში კოლმეურნეობებში შევიდა 1123 ქალი. მათ შორის 124 ქალი ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობებს.

სტალინირში მხოლოდ ქალთა ძალებით გაწმენდილი იქნა 4 000 ჰექტარი მიწა, ამავე დროს მათ გაწმინდეს 44 000 ფუთი ქერი, თესლი და სხვ.

იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნე ქალთა ბრიგადა გამარჯვებული გამოდიოდა კოლმეურნე მამაკაცთა ბრიგადებთან შეჯიბრებაში.

ქალთა სექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქალთა შრომის გამოყენებას ტექნიკური კულტურების — თამბაქო, ბამბა, აგრეთვე მეფრინველეობის, მერძევეობა-მებოსტნეობის და მეაბრეშუმეობის დარგში.

1931 წელს კარდანახში ბამბის კულტურის მოსაყვანად ქალთა სექტორის ხელმძღვანელობით 20 ჯგუფური გაერთიანება შეიქმნა, რომელშიაც 300 დელეგატი ქალი ირიცხებოდა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. აქედან ერთი ჯგუფური გაერთიანება მთლიანად გარდაიქმნა მიწის საზოგადოებრივ დამამუშავებელ ამხანაგობად. ასეთსავე ფაქტებს ჰქონდა ადგილი გურჯაანის, ვეჯინის, ყანდაურისა და ველისციხის სადელეგატო პუნქტების ჯგუფურ გაერთიანებებში.

საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში მთელ რესპუბლიკაში გახდნენ ცნობილი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნინოშვილის დელეგატი ქალები.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ „ცოდნის" სადელეგატო კრებამ 1931 წელს დადგენილება მიიღო, არცერთი ქალი არ დარჩენილიყო სესხზე ხელმოწერის გარეშე. დელეგატებმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს. 20 სასოფლო რაიონის მიხედვით დელეგატ ქალთა აქტიური მონაწილეობით ქალებმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წლის სესხზე ხელი მოაწერეს 36 287 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის VII და VIII ყრილობების მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს კპ ცკ 1931 წლის 1 აპრილის დადგენილების „კოლმეურნე ქალთა შორის მუშაობის შესახებ" საფუძველზე, სადაც ხაზგასმულია სოფლად ქალთა შორის მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნისა და შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვის აუცილებლობის შესახებ მთელ სახალხო მეურნეობაში, მათ შორის საკოლმეურნეო წარმოებაში—ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მასობრივ მოძრაობას, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით: „ხუთწლედი 4 წელიწადში".

ხუთწლედისათვის მამაცურმა ბრძოლამ გამოამჟღავნა შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების გამომუშავებისა და ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი. ჩამორჩენილი უბნის საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანა მეგობრული დახმარება იყო, რომლის წარმოშობისათვის საფუძველი მხოლოდ საბჭოთა წყობილებაში შეიძლებოდა შექმნილიყო. ასევე შეიძლება ითქვას იმ დიდი დახმარების შესახებ სახელმწიფოსადმი, რომელსაც მუშა და გლეხი ქალები იჩენდნენ „შემხვედრი გეგმების" შესრულების დროს.

პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მუშაობა იმგვარად წარმართეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში კომუნისტები და კომკავშირლები იდგნენ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართოდ მოიცვა ქალთა ფენებიც. მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევდნენ ცალკეული კოლმეურნე ქალები, ქალთა ბრიდაგები და რგოლები.

გაზეთი „კოლექტივიზაცია“ თავის 1931 წლის 12 აპრილის ნომერში, ეხებოდა რა, ქალთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს ლანჩხუთის კოლმეურნეობებში, აღნიშნავდა, რომ სოფელ ნიგვზიანში „ქალთა შრომის ნაყოფიერება არაფრით არ ჩამოუვარდება მამაკაცთა შრომის ნაყოფიერებას“.

სოფელ სანიორეში (თელავის რაიონი) კოლმეურნე ქალები გამომუშავების ნორმების შესრულებაში მამაკაცებს სჯობდნენ. მაგრამ როგორც გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა, სამწუხაროდ, მათ შრომას ანაზღაურებდნენ მამაკაცის შრომაზე ბევრად ნაკლებად, ან, უფრო ზუსტად, ქალის შრომა მამაკაცის შრომის ნახევრად იყო შეფასებული.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებასა და კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა პოლიტიკურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სარაიონო, რესპუბლიკური და საკავშირო შეკრებები—დიდი ფორუმები, სადაც ხდებოდა ურთიერთგამოცდილების განზოგადება, აზრთა გაცვლა- გამოცვლა. კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, სახავდნენ კონკრეტულ გზებს უკეთესი მაჩვენებლების მისაღებად, ებმებოდნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ასეთ შეკრებებზე ხდებოდა პარტიისა და მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლები, რომელშიაც მითითებული იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკის არსზე სოფლად, კოლმეურნეთა და კოლემურნე ქალთა შორის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე.

როგორც ცნობილია, საქართველოს კოლმეურნეთა მეორე ყრილობამ (შედგა 1931 წლის 5 მარტს) ქალთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ახალი აზვირთება გამოიწვია, რომელშიაც ჩაბმული აღმოჩნდა რესპუბლიკის ყველა რაიონის კოლმეურნე ქალები.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ და შემდგომში მისი უმაღლესი ფორმის სტახანოვური მოძრაობის წარმოშობამ ხელი შეუწყო ქალთა კიდევ უფრო აქტიურად ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უსაზღვროდ გაიზარდა ქალის ნიჭი, უნარი და შესაძლებლობის გამოვლენა. მხოლოდ საკოლმეურნეო შრომას შეეძლო წარმოეშვა შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი გლეხი ქალის სოციალისტური დამოკიდებულება, საზოგადოებრიობისათვის მისი უანგარო სამსახურის უნარი, წარმოეშვა საკოლმეურნეო შრომის ოსტატები, ნამდვილი გმირი ქალები სოფლად.

ი. ბ. სტალინი, ეყრდნობოდა რა სოფლად სოციალისტური შრომის მოწინავე ქალების—პაშა ანგელინას, მარიამ დემჩენკოს, ვინოგრადოვების მიერ სხვათა შრომის მაგალითებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების და მეჭარხლე კოლმეურნე დამკვრელ ქალთა მიღებაზე 1935 წელს ამბობდა:

„... ჩვენში წინათ ასეთი ქალები არ ყოფილან... ასეთი ქალები მე ჯერ არ შემხვედრია. ეს სრულიად ახალი ადამიანები არიან. მხოლოდ კოლმეურნეობის შრომას შეეძლო წარმოეშვა ასეთი გმირი ქალები სოფლად. ასეთი ქალები არ ყოფილან და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ძველ დროში“.

საბჭოთა ქალები წარმატებით დაეუფლნენ რთულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, უნარიანად აითვისეს სოფლის მეურნეობის მეცნიერება. გახდნენ გამოჩენილი სპეციალისტები, შესანიშნავი მოძრაობის ინიციატორები, რომლებმაც მთელ რიგ დარგებში რეკორდები დაამყარეს. კოლმეურნე ქალებმა მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშები გვიჩვენეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ბამბის უხვი მოსავლის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების და სხვა საქმეში. ქალები წარმატებით დაეუფლნენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგს.

რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისში სოფლის მეურნეობაში ახალი მანქანური ტექნიკის ფართოდ დანერგვასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაციონალურად გამოყენება, რაც წარმატებით იქნა შესრულებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ. ამ უკანასკნელის მასობრივად შექმნა საქართველოში იწყება 1929 წლის მიწურულში.

საქართველოს პირველმა მტს-ებმა არამარტო უდიდესი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო მშენებლობის ინდუსტრიულ-მატერიალური ბაზის შექმნაში, არამარტო აამაღლეს მიწათმოქმედების კულტურა, არამედ ამასთან ერთად ხელი შეუწყეს ქალთა მასობრივ ჩაბმას კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში გლეხი ქალები ნათელი მაგალითებით პრაქტიკულად ხედავენ კოლმეურნეობათა მნიშვნელობას საუკუნოებრივ ჩამორჩენილობისაგან თავის დასაღწევად. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები გლეხ ქალთა შორის ახალ საწარმოო ჩვევებს ნერგავდნენ.

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 15 ივნისის დადგენილებით ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების მიზნით პოლიტგანყოფილებაში დამტკიცებული იქნა უფროსის თანაშემწე — ქალთა ორგანიზატორის შტატი. პარტიამ საბჭოთა კავშირის მასშტაბით პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწეებად წარგზავნა 5 ათასი კომუნისტი ქალი, რომლებსაც ჰქონდათ ქალთა შორის მუშაობის დიდი გამოცდილება.

კომუნისტური პარტიის ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო პოლიტგანყოფილების მიერ კოლმეურნე ქალთა აქტივობის გამოვლინებას, აღზრდასა და დაწინაურებას საკოლმეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებზე. ქალები ჩაბმული იქნენ აგროტექნიკურ წრეებსა და სხვადასხვა გადასამზადებელ კურსებზე, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში. პოლიტგანყოფილებათა მითითებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სპეციალურად წარმოებისაგან მოუწყვეტლივ გამოყოფილი იქნა დამკვრელი კოლმეურნე ქალები კოლმეურნეობების თავმჯდომარეების მოადგილეებად კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებში. ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა ღონისძიებანი საბავშვო დაწესებულებათა ქსელის უკეთესი მუშაობისათვის, ქალთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის,

პოლიტგანყოფილებანი მხარს უჭერდნენ გლეხთა და გლეხ ქალთა ინიციატივას, იბრძოდნენ ძველი დახავსებული გადმონაშთების წინააღმდეგ, კოლმეურნეობებში ქალთა შრომის შეუფასებლობის წინააღმდეგ, დამახინჯებების წინააღმდეგ შრომის ანაზღაურებაში. პოლიტგანყოფილებაში მომუშავე ქალთა ორგანიზატორების დახმარებით სოფლად ეწყობოდა გლეხ ქალთა კულტლაშქრობანი. ქალები ავლენდნენ სხვადასხვა დაწესებულებათა ნაკლოვან მხარეებს და სოფლად მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად იბრძოდნენ მის გამოსასწორებლად. პოლიტგანყოფილებები აწყობდნენ კოლმეურნე ქალთა ხელმძღვანელი მუშაკების შეკრებებს, კონფერენციებს და თათბირებს. ისმენდნენ კოლმეურნეთა მიერ წამოყენებულ წინადადებებს და დელეგატთა კრების მიერ სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებზე მიმაგრებული პრაქტიკანტი ქალების საშუალებით ახორციელებდნენ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობდა სოფლად მუშაობის გაუმჯობესებას. ჟურნალი „მშრომელი ქალი“ თავის 1934 წლის ივნისის ნომერში იუწყებოდა იმ სამაგალითო მუშაობის შესახებ, რომელიც ქალთა შორის ჩაატარა ოზურგეთის რაიონის პოლიტგანყოფილების ქალთა ორგანიზატორმა.

პოლიტგანყოფილებების ქალთა ორგანიზატორებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ჟურნალ „მშრომელი ქალის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მშრომელ ქალთა აქტიური მონაწილეობის შესახებ. კონკურსში ჩაება საქართველოს ყველა რაიონის რამდენიმე ათასი ქალი. კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს კოლმეურნე ქალთა მიერ შრომადღეების გამომუშავება ორჯერ გაიზარდა.

კონკურსში წამოყენებული პირობები კოლმეურნე ქალებმა სასახელოდ შეასრულეს. სპეციალური კომისიის წარდგინებით, რომელმაც შეამოწმა კონკურსის შედეგები, დაჯილდოებული იქნა სტალინირის, ლანჩხუთის, თელავის, ყვარლის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ბორჩალოს, ხარაგოულის, ამბროლაურის სენაკის, ლაგოდეხის, ცაგერის რაიონების სადელეგატო კრებები, ქალთა ბრიგადები და ცალკეული კოლმეურნე, აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავე ქალები. ქალებმა დიდ შედეგებს მიაღწიეს მაგ., სტალინირის კოლმეურნეობებში შრომაში 1932 წელს ჩაბმული იყო ქალთა 40 პროცენტი, 1933 წელს— 80 პროცენტი.

კონკურსმა კიდევ უფრო აამაღლა ქალთა როლი სოფლად, გაზარდა ქალთა შრომის გამოყენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დელეგატი ქალი კიდევ უფრო აქტიურად ჩაება საკოლმეურნეო მშენებლობაში.

წინა წელთან შედარებით 1934 წლისათვის ორჯერ გაიზარდა ქალთა შრომითი მონაწილეობა კოლმეურნეობებში.

1933 წლისათვის საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შრომისუნარიან ქალთა 100 პროცენტი ჩაბმული იყო საკოლმეურნეო შრომაში.

საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიაში ნათელ ფურცლებად შევიდა ქალთა საწარმოო თათბირების საქმიანობა, რომელიც უმთავრესად იქმნებოდა კოლმეურნეობებთან და მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან.

ცხადია, სხვებისათვის რომ აეხსნათ და ესწავლებინათ საწარმოო თათბირებში გაერთიანებულ ქალებს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა ესწავლათ,

13145



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

თვითონ უნდა დაუფლებოდნენ აგრონომიულ და აგროტექნიკურ მინიმუმს. საწარმოო თათბირების ნორმალური მუშაობა ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების მომზადებას გლეხ ქალთა რიგებიდან.

კოლმეურნეობამ გლეხი ქალი გაანთავისუფლა ოჯახური მეურნეობის ბორკილებისაგან. კოლმეურნე ქალი—დედა გარემოსილი იქნა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვით. საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებას თან მოყვა სამედიცინო მომსახურების საქმის მოგვარება, სოფლად სეზონური და მუდმივი საბავშვო მოედნების, ბაგებისა და ბაღების ქსელის გაშლა, საზოგადოებრივი კვების მოწყობა და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ქალებს, ფართოდ ჩაბმულიყვნენ საკოლმეურნეო შრომაში. დახმარება, რომელსაც სახელმწიფოსაგან იღებდა და იღებს კოლმეურნე ქალი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფომ ჯერ არნახულ სიმაღლეზე აიყვანა კოლმეურნე დედა ქალის შრომა და აქცია იგი სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის საგნად.

კოლმეურნე ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაში, მისი ეკონომიკისა და ყოფა-ცხოვრების შეცვლაში.

თუ რა კოლოსალურ ძალად გაიზარდა ქალი საკოლმეურნეო შრომაში, როგორ სწრაფად იზრდებოდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენება, ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1933 წლის დასასრულისათვის შედარებით 1928 წელთან, ქალთა შრომის გამოყენება პროცენტებში გაიზარდა: საბჭოთა მეურნეობებში 570,1 პროცენტით, ჩაის დამზადებაში 368,9, ტყის მეურნეობაში —668, საცდელ ნაკვეთებზე —698,0 პროცენტით.

1941 წლის იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში შრომისუნარიან წევრთაგან საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას იღებდა სულ 658 960 მუშა ხელი, მათ შორის 337 294 ქალი, რაც შეადგენს 51,4 პროცენტს. ომის წინ რესპუბლიკაში საერთო გამომუშავებულ 67 380 709 შრომადღეებიდან ქალებზე მოდიოდა 29 312 258 შრომადღე, რაც შეადგენდა გამომუშავებულ შრომადღეთა 43,6 პროცენტს.

ცნობილია იმ დიდი როლის შესახებ საკოლმეურნეო წარმოებაში, რომელიც ქალმა შეასრულა დიდი სამამულო ომის წლებში, როცა იგი მთავარ ძალად იქცა სოფლის მეურნეობაში.

ამგვარად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, საქართველოს კოლმეურნე ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაში, მისი ეკონომიკისა და ყოფაცხოვრების შეცვლაში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ხუთწლედის ძლევამოსილად განხორციელებასა და სოციალიზმის მშენებლობაში.

დაძლეული იქნა მუშაობაში არსებული შეცდომები და ნაკლოვანებები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უსაზღვროდ გაიზარდა ქალის როლი, ფართოდ გამოვლინდა მისი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობანი.

კომუნისტურმა პარტიამ სოფლად აღზარდა ახალი ტიპის ქალები, პოლიტიკურად შეგნებული, შრომის მაღალ კულტურას დაუფლებული და თავისი ქვეყნის მხურვალე მოსიყვარულე.

კოლმეურნე ქალთა შეგნებულობის, მათი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში ქალთა შორის მუშაობის სპეციალურ ორგანოებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს სოფლად არსებულმა ქოხსამკითხველოებმა, კინო-თეატრებმა, კლუბებმა, რადიომ, აგრონომიულმა პროპაგანდამ, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებმა, სხვადასხვა წრეებმა, სპეციალურმა საშუალო და უმაღლესი განათლების ფართო ქსელმა, უფრო გვიან კი დაუსწრებელი სწავლების ორგანიზებამ.

К. Д. АНТИДЗЕ

## РОЛЬ ЖЕНЩИН ГРУЗИНСКОЙ ССР В КОЛХОЗНОМ СТРОИТЕЛЬСТВЕ (1929—1933 гг.)

### Резюме

В период социалистической реконструкции народного хозяйства и наступления социализма по всему фронту, когда партия на основе ленинского плана кооперации переводила мелкособственнические крестьянские хозяйства на путь колхозов, на путь социализма, огромное значение имело активное участие крестьянок в колхозном строительстве.

Исходя из указания ЦК КП(б), решений съездов партии, конференций и пленумов, а также из государственного значения вопроса Коммунистическая партия Грузии большое внимание уделила улучшению работы среди женщин на селе, что нашло ясное отражение в целом ряде постановлений Центрального Комитета Компартии Грузии и Закавказского Краевого Комитета, в решениях партии и правительства по вопросам колхозного строительства.

Коммунистическая партия Грузии осуществляла работу среди женщин с помощью таких звеньев, как женские отделы при партийных организациях, делегатские собрания крестьянок, женские клубы и уголки, широкая сеть учреждений для помощи матери и ребенку, учреждения по внешкольной работе, женская пресса, деятельность женских организаторов при политотделах, производственные совещания и др.

Колхозницы Грузии овладели сложными сельскохозяйственными орудиями, умело усвоили сельскохозяйственную науку, стали известными специалистами, инициаторами замечательных движений, в целом ряде отраслей установили рекорды. Колхозницы показали образцы высокопроизводительного труда в получении высоких урожаев зерна, овощей, хлопка, чая, в росте поголовья в животноводстве и в деле повышения продуктивности. Колхозницы внесли большой вклад в социалистическое преобразование села республики.

О том, какой колоссальной силой стала женщина в колхозном труде, как быстро росло применение женского труда в сельском хозяйстве, красноречиво говорят следующие данные: к концу 1933 года по сравнению с 1928 годом применение женского труда в процентах выросло: в совхозах на 570,1 процента, в заготовке чая — на 368,9, в лесном хозяйстве — на 668,0, на опытных участках — на 608,0 процента.

Колхозницы оправдали доверие партии на руководящей работе. Они умело руководили колхозами, бригадами, звеньями, животноводческими фермами, хорошо работали в качестве агрономов и агротехников.

Коммунистическая партия воспитала на селе женщин нового типа, политически сознательных, владеющих высокой культурой труда и патриотов своей страны.

Колхозное строительство повысило роль женщины, широко выявило ее способности и возможности. Колхозный строй избавил женщину от угнетения и нищеты, освободил ее от кулацкой эксплуатации.

Благодаря колхозному строительству крестьянка стала не только активным строителем социализма, но и она совершила глубокие изменения в жизни женщины труженицы, в ее психологии. Колхозное строительство принесло женщине подлинное равенство с мужчиной, женщина стала заслуженным человеком социалистического села.

## ლიტერატურა


1. ვ. ი. ლენინი—თხზ. ტ. 30, გვ. 447.
2. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობა, 1929.
3. გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 15 აგვისტო, 1933, № 187.
4. გაზ. „კოლექტივიზაცია“, 8 იანვარი, 1931, № 3 (4471).
5. გაზ. „კოლექტივიზაცია“, 20 იანვარი, 1931, № 21 (989).
6. გაზ. „კოლექტივიზაცია“, 26 სექტემბერი, 1931, № 131, (599).
7. გაზ. „კოლექტივიზაცია“, 15 მაისი, 1931, № 131.
8. გაზ. „კოლექტივიზაცია“, 16 მარტი, 1933, № 3 (828).
9. გაზ. „კომუნისტი“, 23 ივნისი, 1931, № 143.
10. მლისფპა, ფ. 14, ნაწ. 1, საქმე 3102, ფ. 17.
11. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი III, გვ. 23.
12. ჟურნ. „მშრომელი ქალი“, 1931, № 7—8.
13. შ. თ ე თ ვ ა ძ ე. — საქართველოში მუშათა და გლეხთა კავშირის ლენინური იდეის განხორციელების ბრძოლის ისტორიიდან (1939—1932 წლები) საქ. კომპარტიის ისტორიის საკითხები, 1970, № 16, გვ. 131.

14. შ. თ ე თ ვ ა ძ ე — საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესა სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის ბრძოლაში (1929—1932 წწ.) საქ. კომპარტიის ისტორიის საკითხები, 1967, № 15, გვ. 171.
15. ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1931, № 9—10.
16. მლისფპა, ფ. აღწერა 1, ნაწ. IV, საქმე 3790, ფ. 25.
17. ა. ბ ა უ ყ ა ძ ე. — აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის, ბათუმი, 1962, გვ. 185.
18. მ. გ ო ც ი რ ი ძ ე — აჭარის ქალები ახალი ცხოვრების მშენებლები, ბათუმი, 1971, გვ. 104.
19. მლისფპა, ფონდი 13, აღწერა 1. განყ. IV, საქმე 3793, ფ. 29.
20. გაზ. „კოლექტივიზაცია", 1934, 28 თებერვალი, № 49 (1017).
21. გაზ. „კომუნისტი", 6 აპრილი, 1933, № 80 (3636).
22. მოამბე, 1929, № 1.
23. ნ. ბ უ რ ძ ე ნ ი ძ ე — პოლიტმასობრივი მუშაობა საქართველოს ქალთა შორის, 1972.
24. სსრ საქ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მოქმედების მოკლე ანგარიში (1931—1934 წწ.), 1934.
25. ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1931, № 7 — 8.
26. ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1931, № 9—10.
27. მასობრივი მუშაობა ქალთა შორის (რესპუბლიკური ცკ და საოლქო კომიტეტის ქალთა სექტ. ა/კ. თათბირის რეზოლუციები, 1932.
28. ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1931, № 3—4.
29. მლისფპა, ფ. 13, აღწერა 1, ნაწილი IV, საქმე 3793, ფ. 25.
30. მილსფპა, ფ. 13, აღწერა 1, ნაწილი IV, საქმე 3793, ფ. 25.
31. გაზ. „კომუნისტი, 1931, 15 ივლისი, 161 (3116).
32. გაზ. „კოლექტივიზაცია", 1931, 12 ივლისი, № 104 (562).
33. გაზ. „კოლექტივიზაცია", 30 აპრილი, № 59.
34. ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1932, № 2 (52), გვ. 15.
35. მილსფპა, ფ. 13. აღწერა 1, ნაწ. IV, საქმე 3793, ფ. 27.
36. გაზ. „კომუნისტი", 22 სექტ. 1931, № 218 (3173).
37. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი და ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი — სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, სახელგამი, 1946, გვ. 5.
38. გაზ. „კოლექტივიზაცია", 9 მარტი, 1931, № 33 (501).
39. ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1933, № 5.
40. ვ. ჭ ყ ა დ უ ა — პოლიტგანყოფილებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტ. შრომები, ტ. XIV, 1957.
41. ქ. ა ნ თ ი ძ ე, — ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში, 1955.
42. Воспоминания О Владимире Ильиче Ленине, сборник, к-а, 2 м 1957.
43. Е. Бочкарева, С. Любимова, Светлый путь М., 1967.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ვ. ჭკადუა

# საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა სოფლის მეურნეობის კადრებით განმტკიცებისათვის მეექვსე ხუთწლედში

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების ცხოვრებაში განხორციელება მოითხოვდა კადრებით სასოფლო რაიონული რგოლების შემდგომ განმტკიცებას. რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის დონეზე დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის სახალხო საქმის წარმატებით გადაჭრა. ამის გამო სკკპ XX ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით მიუთითა: „უზრუნველყოფილ იქნას, რომ პარტიის რაიკომებში ხელმძღვანელ სამუშაოზე... აგრეთვე რაიონული საბჭოების აღმასკომებში იყვნენ მასების ენერგიული, ინიციატივიანი ორგანიზატორები, ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ამისათვის საჭიროა გულმოდგინედ გაგრძელდეს მუშაობა რაიონული რგოლის განსამტკიცებლად როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში გაზრდილი საუკეთესო ადგილობრივი მუშაკების დაწინაურებით, ისე რაიონებში სამუშაოდ ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან ადამიანების გამოყენებით, შეიქმნას რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა უშუალო მატერიალური დაინტერესება მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შედეგებით“.

ასრულებდა რა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყო პარტიული კადრებისა და ყველა კომუნისტის მობრუნება სამეურნეო მშენებლობის კონკრეტული ხელმძღვანელობის საკითხებისაკენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სათანადო ღონისძიებებს ატარებდა სასოფლო რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და დაწინაურებისათვის. სასოფლო რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ თანამდებობებზე უმეტესწილად რეკომენდაცია ეძლეოდა ისეთ მუშაკებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ სოფლის მეურნეობის წარმოებას და რომელთაც ჰქონდათ ორგანიზატორული მუშაობის უნარი და პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში მუშაობის გამოცდილება. ამ ღონისძიების გატარების შედეგად სასოფლო რაიონების პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე მუშაკთა რაოდენობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა სასოფლო რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. 1957 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ რესპუბლიკურ პარტიულ სკოლასთან გაიხსნა პარტიის რაიკომების მდივნებისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისათვის 3—4-თვიანი კურსები. იმავე წელს სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი მთლიანად ჩაბმული იყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელ სემინარებსა და სკოლებში. რაიონებისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკთა ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლების მიზნით სასოფლო რაიონებში ხშირად ეწყობოდა ეკონომიური კონფერენციები. ასევე პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო და რაიონული კომიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ლექციურ პროპაგანდას ეკონომიკის საკითხებზე. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1956 წელს სასოფლო რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე წაკითხულ იქნა 2500-ზე მეტი ლექცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხშირად იხილავდა საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების საქმიანობას კადრებთან მუშაობის საკითხებზე. 1956 წელს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სპეციალური მსჯელობის საგნად გახადა სიღნაღის პარტიის რაიკომის მიერ კადრებთან მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ. ამ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება განიხილა სიღნაღის პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა. ცენტრალური კომიტეტის დახმარებით რაიონულმა კომიტეტმა გამოასწორა კადრებთან მუშაობაში არსებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ძალიან ცუდ გავლენას ახდენდა სამეურნეო საქმიანობაზე. ასევე, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინა პარტიის დმანისის რაიონულ კომიტეტს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში, გაკიცხა ამ საქმისადმი რაიონული კომიტეტის ზედაპირული, ზერელე დამოკიდებულება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავლენდა და სათანადო ზომებს ღებულობდა რაიონული ხელმძღვანელი მუშაკების შერჩევაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. სამუშაოდან ათავისუფლებდა ისეთ მუშაკებს, რომლებმაც ვერ გამოამჟღავნეს ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი თვისებები, ვერ უზრუნველყვეს მასების დარაზმვა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ასე, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1958 წლის 18 თებერვლის დადგენილებით სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნენ მაიაკოვსკის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ტაბატაძე და მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჭოხონელიძე, რომლებიც კონკრეტულად ვერ წვდებოდნენ კოლმეურნეობებში არსებული საქმის ვითარებას და სათანადო ზომებს არ ღებულობდნენ მათი სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ასეთივე ღონისძიე-

ბები გატარდა რესპუბლიკის რიგი რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მიმართ.

კადრების შერჩევაში არსებულ ნაკლოვანებებზე მკაცრად იყო აღნიშნული ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობაზე. პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ თავიდან ვერ მოეშორებინათ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები, მათ ვერ გამოავლინეს მასების დარაზმვის უნარი. ამის შედეგად სამტრედიის, ხაშურის, ვანის და ზოგიერთი სხვა რაიონების ეკონომიკაში 1956 და 1957 წლებში არსებითი გაუმჯობესება არ მომხდარა. აღნიშნული რაიონის პარტიულ კონფერენციებზე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების ფანცულაიას, ქვლივიძის და ლილუაშვილის საქმიანობა.

კადრების შერჩევასა და განაწილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული ერთგვარი მუშაობის მიუხედავად ამ საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ მარტო 1956, 1957 წლებში ცუდი მუშაობის გამო პარტიის რაიკომის მდივნისა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან მოიხსნა 34 კაცი.

სკკპ XX ყრილობამ ჯეროვანი ყურადღება დაუთმო კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცებისა და მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საკითხს.

პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებდნენ კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების საკითხში. კოლმეურნეობების გამსხვილების პერიოდში პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ათასობით კვალიფიციური და ორგანიზატორული მუშაობის უნარის მქონე მუშაკები გაგზავნეს კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 25 მარტის დადგენილებით 30000-მდე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი გაიგზავნა სოფლად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად. მათგან საქართველოს კოლმეურნეობებში თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა 406 კაცი.

ეს იყო დიდი მასშტაბის ღონისძიება კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების საქმეში. 30000-იანელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დიდი მუშაობა გასწია კოლმეურნეობების სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან: ვ. ბელქანია, პ. კუბლაშვილი, ა. კოკილაშვილი, დ. ცხომარია, ნ. ალბოროვი, ვ. აბაკელია, მ. შავიშვილი და ბევრი სხვა. წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა კაჭრეთის რაიონის სოფ. ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. 1955 წლის ივლისში ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი მუშაკი ვ. ბელქანია. მან პარტიული ორგანიზაციისა და აქტივის დახმარებით დარაზმა კოლმეურნეები ეკონომიკის განმტკიცებისათვის. იგი თავის მუშაობაში ეყრდნობოდა კოლმეურნეთა ფართო აქტივს. კოლმეურნეობაში გაძლიერდა მომთხოვნელობა, გადახალისდა ბრიგადირთა შემადგენლობა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური

შეჯიბრება, გატარდა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებანი. ყოველივე ამის შედეგად ამაღლდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა. მათ თითოეულ შრომადღეზე მიიღეს 5 კგ მარცვლეული და 600გ მზესუმზირის თესლი. კოლმეურნეებმა დიდი შრომითი წვლილი გაიღეს სოფლის კეთილმოწყობისათვის, სოფელში გაყვანილ იქნა წყალსადენი, შეკეთდა სასოფლო გზა და ა. შ. ადრე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა მოკლე ხანში რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში ჩადგა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გარეუბნის რაიონის სოფ. ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მას შემდეგ, რაც იქ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ცხომარია. მან მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოახმარა კოლმეურნეობის ეკონომიკის შემდგომი ამაღლების საქმეს. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების დანერგვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საფუძველზე, მან კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

1955 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა თელავის რაიონის სოფ. კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა. ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის 30-ათასიანელ არჩილ კოკილაშვილს, რომელიც არჩეულ იქნა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მან გამოავლინა ხელმძღვანელობის, მასებთან ორგანიზატორული მუშაობის შესანიშნავი უნარი. ასევე შეიძლება ითქვას ხაშურის რაიონის სოფ. გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პ. კუბლაშვილის მუშაობაზე.

მნიშვნელოვანი ძვრები დაეტყო საგარეჯოს რაიონის სოფ. საგარეჯოს მარქსის სახელობის, წალკის რაიონის სოფ. გუმბათის პარიზის კომუნის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის, წითელწყაროს რაიონის სოფ. ოზაანის კოლმეურნეობებს, რომელთა თავმჯდომარეებად იყვნენ 30-ათასიანელები: ვ. აბაშილია, ა. ნაზაროვი, ი. ბეჟაშვილი, ს. მაჭავარიანი. აღნიშნულ კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. საგრძნობლად გადიდდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი და კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება.

სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების — 30-ათასიანელთა შერჩევაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ, პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თანამდებობაზე ყველა კანდიდატურა როდი შეარჩიეს მათი საქმიანი ნიშნის მიხედვით. აღნიშნულ თანამდებობებზე რეკომენდებულ პირთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ვერ გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და მოხსნილ ან განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან. 1958 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში 30-ათასიანელებიდან განითესა 115 კაცი. მათ შორის ნახევარზე მეტი განთავისუფლებულ იქნა სუსტი მუშაობის გამო. ხოლო 1959 წლის 15 იანვრის მონაცემებით საქართველოს კოლმეურნეობებში 406 ოცდაათათასიანელიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა მხოლოდ

151 კაცი და 255 კაცი განთავისუფლდა სამუშაოდან სხვადასხვა მიზეზებით. ასე, მაგალითად, ა. სომხიშვილი, რომელიც წინათ მუშაობდა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, სპეციალობით აგრონომი, გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრების მიერ 1956 წლის თებერვალში განთავისუფლებულ იქნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან სუსტი მუშაობის გამო. 30-ათასიანელი ხახნელიძე მოხსნილ იქნა თიანეთის რაიონის სოფ. სიმონიანთხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან უპასუხისმგებლობის გამოჩენის, ბანკის გარეშე თანხის დიდი რაოდენობით ხარჯვისა და საკოლმეურნეო ქონების მითვისებისათვის. მცხეთის პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ სოფ. ნიჩბისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა თ. ფრუიძე სუსტი მუშაობისა და საკოლმეურნეო ქონების ხელყოფისათვის. ასევე პარტიის ბორჯომის რაიკომმა წაღვერის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა 30-ათასიანელი შ. გეგეშიძე სუსტი მუშაობისათვის და ა. შ.

პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ უპასუხისმგებლობას იჩენდა საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმეში. კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად ზოგჯერ არჩევდნენ ისეთ პირებს, რომლებსაც არაფერი გაეგებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთ კოლმეურნეობაში მუშაობის ჩაშლის ან საკოლმეურნეო დოვლათის გაფლანგვისათვის მოხსნილი პიროვნება იგზავნებოდა სხვა კოლმეურნეობაში თავმჯდომარის თანამდებობაზე. საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების არასწორად შერჩევის შედეგად ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობებში თავმჯდომარეთა ხშირ ცვალებადობას. მარტო სამი წლის (1956—1958) განმავლობაში საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და სხვადასხვა დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლდა 1381 კაცი, ე. ი. მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

1956 წლის დასაწყისისათვის 2117 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან ერთ წლამდე სტაჟით იყო 560 კაცი, ერთი წლიდან სამ წლამდე — 577 კაცი, სამიდან ხუთ წლამდე —536, 5-დან 10 წლამდე —250 და 10 წელზე ზევით მხოლოდ —194 კაცი. ამრიგად, თავმჯდომარეთა მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტს ჰქონდა ამ თანამდებობაზე ერთ და სამ წლამდე მუშაობის სტაჟი.

საკოლმეურნეო კადრების ასეთი დენადობა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის — საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრალური ფიგურის გულდასმით შერჩევა, ამ თანამდებობაზე ისეთ პირთა დაწინაურება, რომლებიც კარგად იცნობენ სოფლის მეურნეობის წარმოებას, რომელთაც აქვთ ორგანიზატორული მუშაობის უნარი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დახმარებითა და ხელშეწყობით ამაღლდა კოლმეურნეობათა თავმჯდო-

მარეების როგორც საერთო, ისე სპეციალური განათლების დონე. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიიღო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაუსწრებელი სწავლების გზით. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით ეწყობოდა მოკლევადიანი კურსები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადასამზადებლად. უფრო გვიან უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან ჩამოყალიბებული ეს კურსები გადაკეთდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებად. ამასთან პარტიის რაიონული კომიტეტები კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებდნენ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს. ამის შედეგად კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე პირთა რაოდენობა. 1958 წლის დასაწყისში 2302 კოლმეურნეობის თავმჯდომარეებიდან უმაღლესი განათლებით იყო 549 კაცი (მთელი შემადგენლობის 23,8%), მათ შორის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლებით იყო 248 კაცი; საშუალო განათლებით—1104 კაცი (48%), მათ რიცხვში საშუალო სპეციალური განათლებით იყო 321 კაცი; არასრული საშუალო განათლებით — 608 კაცი (26,4%) და დაბალი განათლებით—41 კაცი (1,8%). კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მთელი შემადგენლობის 24,7%-ს ჰქონდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო და საშუალო სპეციალური განათლება.

სკკპ XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამეურნეო მშენებლობის სხვადასხვა უბნებში კომუნისტების განაწილების საკითხს და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გაემახვილებინათ ყურადღება წარმოებაში მომუშავე კომუნისტთა რიცხვის გადიდებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები სათანადო ღონისძიებებს ატარებდნენ საკოლმეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებზე პარტიული ბირთვის ზრდისათვის. 2302 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი იყო 2118 კაცი, ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წევრი —14 და უპარტიო —101 კაცი. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების 95%-ს კომუნისტები შეადგენდა.

რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიის რაიონული კომიტეტების მუშაობის ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საკოლმეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოებზე ძალზე მცირე იყო ქალთა რაოდენობა. 1958 წლის დასაწყისში კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მხოლოდ 19 ქალი მუშაობდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკკპ XX ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არსებითად გაუმჯობესებულიყო მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ხარისხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო და რაიონული კომიტეტები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო მუშაობას ატარებდნენ სოფლის მეურნეობისათვის მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადების შესახებ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. რესპუბლიკაში საკოლმეურნეო კადრების მომზადება ძირითადად ხორციელ-

დებოდა სამწლიანი აგროტექნიკური და ზოოტექნიკური კურსების საშუალებით. ისინი არსებობდნენ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და მასში ჩაბმული იყვნენ მემინდვრეობის ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, მოწინავე კოლმეურნეები, მეცხოველეობის ფერმების ბრიგადირები, მოწინავე მეცხოველეები და ა. შ.

პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ აგროტექნიკური და ზოოტექნიკური კურსების სწორად დაკომპლექტებისა და მათი მუშაობის საკითხებს. ავლენდნენ კურსების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და ღებულობდნენ საჭირო ზომებს მათ გამოსასწორებლად. ასე, მაგალითად, 1956 წლის თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებმა შეისწავლეს კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებში სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის საკითხი.

მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების გეგმის მიხედვით 1955—1956 სასწავლო წელს რაიონის კოლმეურნეობებში აგროტექნიკურ სწავლებაში უნდა ჩაებათ 450 კაცი. ფაქტიურად ჩაბმული იქნა 384 (ე. ი. 66 მსმენელით ნაკლები.) დარღვეული იყო კონტინგენტის შერჩევის დებულება. მსმენელთა გადიდების მიზნით კურსებში ჩაბმული იყო ბიბლიოთეკისა და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო წარმოებაში. რაიონის კოლმეურნეობებში არსებული 24 სასწავლო ჯგუფიდან 10-ს საშუალო განათლების მქონე აგროტექნიკოსები ხელმძღვანელობდნენ, მაშინ როცა ბადიაურისა და კაჭრეთის მტს-ების აპარატში 16 უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი მუშაობდა, რიგ ჯგუფებში ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. ხშირად ხელმძღვანელები მოუმზადებლად, უინტერესოდ ატარებდნენ მეცადინეობებს. არც მტს-ების, არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკები არ დაინტერესებულან ამ რაიონში აგროტექნიკური კურსების მუშაობით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო ზომები მიიღო აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიის გორის რაიონული კომიტეტის ყოველდღიური ყურადღების ცენტრში იყო მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების საკითხი. რაიკომის ბიურომ არაერთხელ განიხილა ეს საკითხი. მაგალითად, რაიკომის ბიურომ დეტალურად შეისწავლა და 1956 წლის 25 იანვრის სხდომაზე განიხილა „რაიონის კოლმეურნეობებში სამწლიანი აგროტექნიკური კურსების მეცადინეობების მიმდინარეობის შესახებ“.

პარტიის რაიონული კომიტეტის ოპერატიული ხელმძღვანელობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების შედეგად რაიონში გადაჭარბებით სრულდებოდა მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების გეგმები. 1956 წელს გორის რაიონის კოლმეურნეობებში არსებობდა 26 აგროტექნიკური და 15 ზოოტექნიკური კურსები. სულ სამივე წლის ნაკადებში გაერთიანებული იყო 835 მსმენელი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 813 მსმენელისა. კურსები ჩამოყალიბდა კოლმეურნეობების საწარმოო მიმართუ-

ლების მიხედვით: მეხილეობა-მევენახეობის, მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მეჭარხლეობის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ა. შ.

მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების მომზადების საქმეში ასეთსავე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ რესპუბლიკის სხვა რაიონული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები. რის შედეგადაც მარტო 1957 წელს აგროტექნიკური კურსების საშუალებით კვალიფიკაცია აიმაღლა 30000-ზე მეტმა სოფლის მეურნეობის მუშაკმა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების განმაზოგადებელ სკოლებშიც, რომლებიც არსებობდა რესპუბლიკის რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოზადება ხორციელდებოდა სამ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი და ზოოვეტერინალური ინსტიტუტი), 28 ტექნიკუმში, სამ ერთწლიან და ერთ სამწლიან სკოლაში და ორ სპეციალიზებულ ტექნიკუმში.

1956 წლის დასაწყისში ამ სამი უმაღლესი სასწავლებლის კონტინგენტი შეადგენდა 5063 კაცს (დასწრებულ განყოფილებაზე) და 30 ტექნიკუმისა — 8991 კაცს.

1956 და 1957 წლებში სასოფლო-სამეურნეო უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე 2449 აგრონომი და ინჟინერი სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობისათვის, 442 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, ხოლო საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა 5548 აგროტექნიკოსი, მეტყევე, ინჟინერ-ტექნიკოსი და ვეტფერშალი. ასევე საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრა და ბუღალტრის, სტატისტიკოსის და მგეგმავის კვალიფიკაცია მიიღო 963-მა კაცმა.

მარტო შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა სამი წლის განმავლობაში (1956—1958 წლებში) დასწრებული სწავლის ხაზით გამოუშვა 1722 აგრონომი, ინჟინერი, ტექნოლოგი და ეკონომისტი. იმავე წლებში ინსტიტუტის დაუსწრებელმა განყოფილებამ სოფლის მეურნეობას მიაწოდა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე 413 სპეციალისტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხებს. ისინი ხშირად იხილავდნენ სასწავლებლებში კონტინგენტის შერჩევის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების სწორად ორგანიზაციისა და სხვა საკითხებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1958 წლის 1 ივლისის სხდომაზე იმსჯელა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებებზე. იმავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი „რესპუბლიკის უმაღლესი სას-

წავლებლების დაუსწრებელი და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე სპეციალისტების მომზადებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ". ამ საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ირღვეოდა სახელმწიფო გამოცდებზე სტუდენტთა დაშვების წესი. ზოგჯერ გამოცდაზე უშვებდნენ ისეთ სტუდენტებს, რომლებსაც სასწავლებლის თეორიული კურსი არ ჰქონდათ დამთავრებული. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის 25 სტუდენტიდან, რომლებიც სახელმწიფო გამოცდაზე იყვნენ დაშვებული, 10-ს ჩაუბარებელი ჰქონდა ერთი და რამდენიმე საგანი. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მწარმოებლურ შრომაში არ იყო ჩაბმული და სამსახურის შესახებ ყალბ საბუთებს ადგენდა სასწავლებელში.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს და პარტიულ ორგანიზაციებს ძირეულად გაეუმჯობესებინათ დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული განყოფილებების მუშაობა. კათედრებისა და სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე პერიოდულად განეხილათ ამ განყოფილებებზე სასწავლო პროცესების მიმდინარეობის საკითხი. სასწავლებელთა ხელმძღვანელებს უზრუნველეყოთ დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტობა სახელმძღვანელო ლიტერატურით, მეთოდური მითითებებითა და პროგრამებით; განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული განყოფილებების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს, ჯეროვანი ყურადღება მიექციათ დაუსწრებელი სწავლების განყოფილების კონტინგენტის შერჩევისათვის, რაც შეიძლება უფრო მეტად მიეზიდათ წარმოების მოწინავენი, რისთვისაც გახშირებულიყო უმაღლეს სასწავლებელთა კონტაქტი წარმოება-დაწესებულებებთან, პერიოდულად მოწყობილიყო წარმოების ახალგაზრდების შეხვედრა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან. ხშირად ჩატარებულიყო ახალგაზრდობასთან ლექციები და საუბრები უმაღლეს სასწავლებლების, ცალკეული ფაკულტეტის თუ სპეციალობის დანიშნულების შესახებ და სხვ.

ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა მიერ სადიპლომო შრომების დაცვის საკითხზე და რჩევა მისცა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს, რომ ძირითადად დიპლომების დაცვა ჩატარებულიყო უშუალოდ წარმოებაში, რომლის ანალიზსაც იძლეოდა დიპლომანტი თავის ნაშრომში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ პრაქტიკული დახმარება აღმოეჩინათ უმაღლესი სასწავლებლებისათვის დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომ მათ შესაფერისი როლი შეესრულებინათ კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის საკითხები იხილებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, სოფლის მეურნეობის საკითხებზე გამართულ რესპუბლიკურ თათბირებსა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა თათბირზე.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიციური კადრების მომზადების, სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდიკურ-მასობრივი მუშაობის მიმდინარეობის საკითხი არაერთხელ განუხილავს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტს და თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პარტიის რაიონულ კომიტეტს.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანისადმი იყო დაქვემდებარებული. გაძლიერდა კონტაქტი და დახმარება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომუშავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულებისადმი. ამ მიმართულებით კარგი ინიციატივა გამოიჩინეს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორატმა და პარტიულმა კომიტეტმა. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები პერიოდულად სწავლობენ კურსდამთავრებულთა საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, მათ ეძლევათ საჭირო რჩევა-დარიგება. შემდეგ ეწყობა კურსდამთავრებულთა ზონალური თათბირები ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, სადაც ჯამდება კურსდამთავრებულთა საქმიანობა, მათი დადებითი გამოცდილება და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. აქვე ისახება ღონისძიებანი ინსტიტუტის კურსდამთავრებულ სპეციალისტთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათთან კონტაქტის ფორმების სრულყოფისათვის.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობოდა სხვადასხვა სახის კურსები, სადაც ისინი ეცნობოდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს. უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან არსებული ეს მუდმივმოქმედი კურსები გადაკეთდა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებად, რომლებსაც ყოველწლიურად ამთავრებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ასობით სპეციალისტი.

მეექვსე ხუთწლედში ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა საშუალო და მასობრივი კვალიფიკაციის მექანიზატორთა კადრების მომზადებას. მარტო 1956 და 1957 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოლებში, შრომითი რეზერვების სკოლებსა და სხვადასხვა კურსებზე მომზადდა და გამოშვებულ იქნა 5600 კაცი. მათ შორის 2500 ტრაქტორისტი, 100 კომბაინერი და ა. შ.

1959 წელს საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში მუშაობდა 7441 ტრაქტორისტი, 1119 კომბაინერი და 8816 ავტომძღოლი. 1959 წლის აპრილისათვის ტრაქტორისტების რიცხვმა კოლმეურნეობებში შეადგინა სოფლად მომუშავე ამ პროფესიის ყველა მუშაკთა 85 პროცენტი, კომბაინერებისა — 95 პროცენტი და ავტომძღოლებისა — 83 პროცენტი.

1959 წლის 1 დეკემბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 11209 სპეციალისტი. მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე 4000 კაცი.

ბიბლიოთეკა

სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების დარგში მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ჯერ კიდევ საგრძნობლად განიცდიდა სოფლის მეურნეობა სპეციალისტების ნაკლებობას. 1959 წლის 1 აპრილის მონაცემებით საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აგრონომის თანამდებობაზე მომუშავე 2082 კაციდან უმაღლესი სპეციალური განათლება ჰქონდა 972-ს (მთელი რაოდენობის 46,7%-ს), საშუალო სპეციალური განათლება — 1074-ს (51,6%) და ამ თანამდებობას ასრულებდა 36 პრაქტიკოსი. 960 ზოოტექნიკოსის თანამდებობაზე ეკავა უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე 334 კაცს (34,8%-ს), საშუალო სპეციალური განათლების მქონე 601 კაცს (62%-ს) და 25 პრაქტიკოსს. ვეტექიმის თანამდებობაზე მომუშავე 1281 კაციდან უმაღლესი სპეციალური განათლება ჰქონდა 258-ს (20,1%-ს), საშუალო სპეციალური განათლება — 920-ს (71,8% და ამავე თანამდებობაზე მუშაობდა 103 პრაქტიკოსი. 3430 მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმის გამგიდან უმაღლესი სპეციალური განათლებით იყო 84 კაცი (2,5%), საშუალო სპეციალური განათლებით — 769 (22,4%) და ამ თანამდებობას ასრულებდა 2577 პრაქტიკოსი.

მთელ რიგ შემთხვევაში არაპროპორციულად ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო კადრების განაწილება. ზოგიერთი რაიონი განიცდიდა ამ კადრების დიდ ნაკლებობას. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 185 კოლმეურნეობაში მუშაობდა უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ 12 აგრონომი. აჭარის კოლმეურნეობებში — 44 აგრონომი, ხაშურის რაიონის 52 კოლმეურნეობებში — 5 აგრონომი, თეთრიწყაროს რაიონის 55 კოლმეურნეობაში — 10 აგრონომი. მაგრამ გურჯაანის, თელავის, გორის, მახარაძის, ლანჩხუთის, წულუკიძის, ზესტაფონის, ტყიბულის და რესპუბლიკის სხვა რაიონების კოლმეურნეობებში წამყვან აგრონომებთან ერთად მუშაობდნენ დარგობრივი აგრონომებიც.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები არ იყვნენ უზრუნველყოფილი ზოოტექნიკური კადრებით. აფხაზეთის ასსრ 218 კოლმეურნეობაში მუშაობდა უმაღლესი განათლების მქონე 12 ზოოტექნიკოსი (რაც შეადგენს საშტატო ერთეულით გათვალისწინებულის 5,5%-ს), აჭარის რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების მქონე ზოოტექნიკოსებით კოლმეურნეობათა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იყო მხოლოდ 3,6 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში —2,1 პროცენტით, საჩხერის რაიონში —3,1 პროცენტით, ხაშურის რაიონში—3,8 პროცენტით, ონის რაიონში — 5,5 პროცენტით, კასპის რაიონში —10,1 პროცენტით, თეთრი წყაროს რაიონში —12,7 პროცენტით და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დმანისის, თიანეთის,

ყაზბეგის, ბოგდანოვკის და სამხრეთ ოსეთის მეცხოველეობის წამყვან რაიონებში არ იყო უმაღლესი განათლების მქონე არცერთი ვეტექიმი, რესპუბლიკის სხვა რიგი რაიონების კოლმეურნეობებს ვეტერინალურ მომსახურეობას უწევდნენ საშუალო კვალიფიკაციის მქონე მუშაკები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები არადამაკმაყოფილებლად იყვნენ უზრუნველყოფილი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მექანიზატორთა კადრებით. მხოლოდ 315 კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობათა მთელი რაოდენობის 14, 3%) მუშაობდა სოფლის მეურნეობის მექანიზატორი. მათ შორის იყო 79 ინჟინერ-მექანიზატორი, (მთელი შემადგენლობის 25,1%) და 175 მექანიზატორ-ტექნიკოსი (55,6%). რესპუბლიკის 18 რაიონში ხაშურის, ქარელის, დუშეთის, ზესტაფონის, ხობის და სხვა). არცერთ კოლმეურნეობაში არ იყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მექანიზატორი.

ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების სიმცირე იგრძნობოდა სოფლის მეურნეობის მომსახურე რიგ ორგანიზაციებსა და უწყებებში. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 24 სამმართველოში შტატით გათვალისწინებულ 421 ინჟინრისა და ტექნიკოსის თანამდებობაზე მუშაობდა უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე 102 კაცი, საშუალო ტექნიკური განათლებით — 202 და 117 პრაქტიკოსი.

კოლხიდის სამანქანო-ექსკავატორის სადგურში შტატით გათვალისწინებული 8 ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობდა 2 უმაღლესი სპეციალური განათლებით, 2 საშუალო სპეციალური განათლებით. ხოლო 17 ტექნიკოსის საშტატო თანამდებობაზე — 7 საშუალო სპეციალური განათლებით და 10 პრაქტიკოსი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ოდნავადაც არ იყვნენ უზრუნველყოფილი უმაღლესი განათლების მქონე ეკონომისტთა კადრებით, რომლებსაც დიდი როლი აკისრიათ სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი ზრდის საქმეში.

კოლმეურნეობების გაერთიანების შემდეგ მნიშვნელოვნად გამსხვილდნენ საწარმოო ბრიგადები. ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საწარმოო ბრიგადების დიდი ნაწილი აერთიანებს იმაზე უფრო მეტ ოჯახს, ვიდრე წინათ მთელ კოლმეურნეობაში იყო. საწარმოო ბრიგადა სასოფლო-სამეურნეო არტელის ძირითადი საწარმოო ერთეულია. ბრიგადებში შრომის სწორ ორგანიზაციაზე, ბრიგადის წევრთა შრომის სწორად გამოყენებაზე, სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონის ამაღლებაზე დამოკიდებულია მთელი კოლმეურნეობის სამეურნეო წარმატებანი. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებით საწარმოო ბრიგადების განმტკიცების საკითხს. ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანები გადაჭრით მოითხოვს, რომ ბრიგადების ხელმძღვანელებად გვყავდეს უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი ან საშუალო აგრონომიული განათლების მქონე სპეციალისტი. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯება

გადაიდგა მეექვსე ხუთწლედის წლებში. 1959 წლის 1 აპრილის მონაცემებით საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში არსებობდა 11229 საწარმოო ბრიგადა. აქედან 52 ბრიგადას ხელმძღვანელობდა უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი (ბრიგადების მთელი რაოდენობის 0,4%), 1680 ბრიგადას — საშუალო სპეციალური განათლების მქონე აგროტექნიკოსები (14,9%), ხოლო 9497 ბრიგადას — დაბალი განათლების მქონე პრაქტიკოსები (84,7%).

სასოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და კომკავშირულმა ორგანოებმა სათანადო რჩევა უნდა მისცენ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომ ისინი წავიდნენ სამუშაოდ ბრიგადებში. ამ მიმართულებით დიდი ღონისძიებების განხორციელება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ყოველმხრივ წახალისებას და მხარდაჭერას უნდა პოულობდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავლენ საწარმოო ბრიგადებში, სადაც უშუალოდ წყდება სასოფლო-სამურნეო პროდუქტების გადიდების ბედი.

სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში კადრების სიმცირე იმითაც არის გამოწვეული, რომ სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების ნაწილი თავს არიდებს პროფილის მიხედვით მუშაობას. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლის მეურნეობას დაუბრუნეს მრავალი სპეციალისტი, რომლებიც ადრე არ მუშაობდნენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კადრების არაპროფილის მიხედვით მუშაობის შემთხვევები დღესაც გრძელდება.

ეს გარემოება მოითხოვს პარტიული და საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებასა და ღონისძიებებს, რომ სოფლის მეურნეობისათვის მომზადებული კადრები მუშაობდნენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და უწყებებში და არ ჰქონდეთ ამ კადრების გამოყენების უფლება სხვა ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებს შესაბამისი ორგანოების სათანადო ნებართვის გარეშე. ამ მიმართულებით საქმის მოწესრიგების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სტუდენტთა კონტინგენტის შერჩევას ძირითადად სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ხარჯზე, რაც პრაქტიკულად ხორციელდება.

უახლოეს პერიოდში სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრებით განმტკიცების მიზნით პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ყოველწლიურად იზრდებოდა სტუდენტთა კონტინგენტი უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. 1960/61 სასწავლო წელს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებაზე სწავლობდა 9744 სტუდენტი, ხოლო საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში — 8026 კაცი. 1960 წელს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 1157 და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა — 1954 სპეციალისტი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კადრებს შორის კომუნისტების რაოდენობა. 1959 წლის 1 იანვრის მონაცემებით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობდნენ კომუნისტები: 2685 აგრონომი, ზოო-

ტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, 5875 ბრიგადირი, 2704 რგოლის ხელმძღვანელი, 2927 საკოლმეურნეო ფერმის გამგე და მეცხოველეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, 1489 ტრაქტორისტი, კომბაინერი, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი და მისი თანაშემწე. კომუნისტები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თავიანთი ავანგარდული როლით რაზმავდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა და სპეციალური უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე კადრებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1958 წელს უდრიდა 10,9 ცენტნერს და 1,2 ცენტნერით გაიზარდა 1955 წელთან შედარებით.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1958 წლის 16 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. რესპუბლიკაში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 133 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც 24,6 ათასი ტონით აღემატებოდა 1957 წელს მოკრეფილ ჩაის ფოთოლს. 1958 წელს ჩაის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 2925 კილოგრამს მიაღწია, რაც 436 კილოგრამით ჭარბობს 1957 წელს ჰექტარზე მიღებულ საშუალო მოსავალს.

მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდა მევენახეობა. 1958 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში ვენახების ფართობმა 74,9 ათას ჰექტარს მიაღწია, ხოლო ყურძნის საერთო მოსავალმა — 3058,7 ათას ცენტნერს. 1958 წელს კოლმეურნეობებში ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 47 ცენტნერს შეადგენდა და 5,7 ცენტნერით გაიზარდა 1955 წელთან შედარებით.

შემდგომი განვითარება ჰპოვა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა დარგმა — მებაღეობამ. 1958 წელს ხილის მოსავალი ყველა კატეგორიის მეურნეობებში 283,8 ათას ტონას შეადგენდა და 88,6 ათასი ტონით გაიზარდა 1955 წელთან შედარებით. შესაბამისად ხილის მოსავალი გაიზარდა კოლმეურნეობებში 30,2 ათასი ტონით და საბჭოთა და სხვა დამხმარე სახელმწიფო მეურნეობებში — 4 ათასი ტონით. ხილის საშუალო საჰექტარო მოსავალი 1955 წელთან შედარებით გაიზარდა 1958 წელს: ყველა კატეგორიის მეურნეობებში 15 ცენტნერით, კოლმეურნეობებში — 18,4 ცენტნერით და საბჭოთა და სხვა დამხმარე მეურნეობებში — 16,8 ცენტნერით.

1958 წელს საქართველოს რესპუბლიკამ სახელმწიფოს მიჰყიდა 31 ათას 700 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც 13 ათას 300 ტონით მეტია 1953 წელს ჩაბარებულზე და 7 ათას 700 ტონით სჭარბობს 1957 წელს დამზადებულს.

მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაღჩეული და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების განვითარებაში.

რესპუბლიკის მეცხოველეებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში. 1958 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნამატმა მიაღწია 139,8 ათას სულს და 1947 წელთან შედარებით გაიზარდა 105,1%-ით. 1958 წლისათვის კოლმეურნეობებში ძროხის საშუალო წველადობამ 1091 კილოგრამს მიაღწია 1957 წლის 984 კილოგრამთან შედარებით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში იგი ავიდა 2129 კილოგრამამდე. 1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიღებულ იქნა 163,5 ათასი ტონა რძე, რაც 12,8 ათასი ტონით სჭარბობს 1957 წელს მიღებულს. საბჭოთა მეურნეობებმა 1957 წელთან შედარებით 2,6 ათასი ტონით გაადიდეს რძის წარმოება და 1958 წელს მიიღეს 11,7 ათასი ტონა რძე.

წინა წელთან შედარებით 1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ხორცის წარმოება გაიზარდა 105,3%-ით და მიაღწია 37,9 ათას ტონას, საბჭოთა მეურნეობებში კი — 157,9%-ით და ავიდა 3000 ტონამდე.

1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 6,3 ათასი ტონით მეტი ხორცი (ცოცხალი წონით) ანუ 28,6%-ით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

1958 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წილი შეადგენდა: ხორცის დამზადებაში 75%-ს, რძის — 80%-ს, კვერცხის — 55%-ს და მატყლის დამზადებაში —75%-ს.

სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებამ უზრუნველჰყო კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავლის განუხრელი ზრდა. 1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 2 მილიარდ 493 მილიონ მანეთს შეადგენდა და მარტო ერთი წლის განმავლობაში 420 მილიონი მანეთით გაიზარდა. 1958 წელს საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთი შრომადღის ღირებულება 13 მანეთსა და 48 კაპიკს უდრიდა. რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში მისი ღირებულება გაცილებით უფრო მაღალი იყო.

რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ეკონომიკის განუხრელ აღმავლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1958 წელს კოლმეურნეობების განუყოფელ ფონდებში ჩაირიცხა 525,7 მილიონი მანეთი, ანუ მთელი ფულადი შემოსავლის 21,1%.

ფულადი შემოსავლისა და განუყოფელი ფონდების ზრდამ შესაძლებლობა მისცა რესპუბლიკის კოლმეურნეობებს ფართოდ გაეჩაღებინათ სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა.

ღრმა სოციალური ცვლილებები მოხდა კოლმეურნე გლეხობაში. მათი კეთილდღეობის ძირითადი წყარო გახდა საკოლმეურნეო საზოგადოებრივი წარმოება.

ასრულებდნენ რა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა 1958 წელს გადაჭარბებით შეასრულეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმა, რის გამოც მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მილოცვა დაიმსახურეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

В. К. ЧКАДУА

## ДЕЯТЕЛЬНОСТЬ КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ В ШЕСТОЙ ПЯТИЛЕТКЕ ПО УКРЕПЛЕНИЮ КАДРАМИ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

### Резюме

В деле мощного подъема сельского хозяйства большое значение имело проведение в жизнь постановлений Партии и Правительства по укреплению сельского хозяйства кадрами. Как в предыдущих пятилетках, так и в шестой пятилетке Коммунистическая партия проводила важные мероприятия по обеспечению сельского хозяйства квалифицированными кадрами.

Постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 25 марта 1955 года до 30.000 партийных, советских и хозяйственных работников были направлены в села председателями колхозов, из них в колхозы Грузинской ССР 406 человек.

В результате мероприятий, проведенных партийными, советскими и сельскохозяйственными организациями Грузинской ССР, значительно возрос как общий, так и специальный уровень образования руководящих кадров колхозов.

В начале 1958 года из общего числа председателей колхозов республики высшее образование имело 23,8% и среднее образование — 48%. 95 процентов председателей колхозов составляли коммунисты.

В Грузинской ССР подготовка кадров-специалистов высшей и средней квалификации для сельского хозяйства осуществлялась в трех высших сельскохозяйственных учебных заведениях, 28 техникумах, трех одногодичных и одной трехгодичной школах, а также в двух специализированных техникумах.

В труде освещена деятельность ЦК КП Грузии, обкомов и райкомов партии по улучшению работы этих учебных заведений.

В труде рассмотрена плодотворная работа республиканских партийных организаций в деле подготовки квалифицированных кадров для сельского хозяйства.

В результате осуществления постановлений Партии и Правительства по укреплению кадров сельского хозяйства значительно возросло количество специалистов сельского хозяйства.

К концу 1959 года в колхозах республики, РТС, совхозах и вспомогательных государственных сельскохозяйственных предприятиях работало 11.200 специалистов с высшим и средним специальным образованием.

В труде отмечено, что и в годы шестой пятилетки сельское хозяйство республики испытывало недостаток в кадрах. В колхозах Юго-Осетинской автономной области работало только 12 агрономов, имеющих высшее образование, в колхозах Хашурского района — 5 агрономов и т. д.

В труде заострено внимание на тех недостатках, которые имели место в деле подготовки и распределения специалистов сельского хозяйства.

## ლიტერატურა


1. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. IV, 1962.
2. მ ლ ი ს ფ პ ა, ფონდი 14; აღწ. 40, საქმე 488, 513, 549;
   აღწ. 47, საქმე 227, 236, 310;
   აღწ. 48, საქმე 165;
   აღწ. 54, საქმე 2, 35, 76, 330;
   აღწ. 55, საქმე 12;
   აღწ. 56, საქმე 295, 315, 319;
3. გაზ. „კომუნისტი", 28 იანვარი, 1958 წ, № 23.
4. ჟურ. „საქ. კომუნისტი", № 2, 1956; № 11, 1959.
5. Грузинская ССР, Статистический сборник, Тб., 1959.
6. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის მასალები.
7. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ. 1961.
8. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წ. სტატისტიკური კრებული, 1968.
9. საქ. სსრ სტატ. სამმ. ცნობიდან. გაზ. „კომუნისტი", 25 იანვარი, 1959, № 21.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

Б. А. КАПАНАДЗЕ

# БОРЬБА КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ ЗА ПРЕОБРАЗОВАНИЕ И РАЗВИТИЕ НАРОДНОГО ПРОСВЕЩЕНИЯ В ДЕРЕВНЕ В ВОССТАНОВИТЕЛЬНЫЙ ПЕРИОД (1921—1925 гг.).

В деле реконструкции села и социалистическом воспитании крестьян первостепенное значение имела ликвидация безграмотности и малограмотности и развитие народного образования. Надо было ликвидировать старое наследство, доставшееся Советской власти от царской России. Правда, Грузия, по сравнению с другими окраинами и самой Россией, была, по своему культурному развитию, одним из передовых уголков, но, по сравнению с цивилизованными странами Европы и Америки, уровень культурного развития и здесь был низкий. По переписи 1897 г., количество грамотных составляло только 23,6% всего населения. Еще более низким был этот уровень в деревне. По материалам той же переписи, уровень грамотности городского населения Грузии составлял 56,2%, а сельского населения — всего 15,6%, то есть в 3,5 раза ниже, чем в городе. И еще более низким был уровень грамотности других народностей Грузии. В Абхазии (тогдашний Сухумский округ) грамотные составляли только 11,3%, а в селе — 8,5%. Такое же положение было в Аджарии и Юго-Осетии.

Царская администрация всячески притесняла прогессивных деятелей Грузии, которые хотели способствовать развитию народного образования. Несмотря на это, они все же многое сделали в этом направлении и если Грузия в области грамотности стояла выше других окраин, в этом большая их заслуга. По инициативе И. Чавчавадзе в 1879 г. было создано «Общество по распространению грамотности среди грузин». На протяжении 40-летия своего существования общество провело большую работу по распространению грамотности среди населения, особенно в сельских местностях. Общество на свои средства, которые собирались среди членов общества, открывало школы, народные библиотеки — читальни, печатало учебники, собирало и охраняло памятники грузинской культуры и т. д. После Октябрьской революции общество передало местным властям 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

школ и более 150-ти библиотек-читален со своим имуществом [1]. Общество имело грузинские школы также в Баку и во Владикавказе.

В годы господства меньшевиков в Грузии дело народного образования обстояло не лучше, чем во время царизма. В системе народного просвещения существенных изменений не произошло. Оно сохранило свое буржуазное и помещичье классовое содержание. Как старая, так и новая сеть народного просвещения, которая создавалась по инициативе населения, была лишена всякого внимания со стороны государства. Поэтому школы, число которых во время правления меньшевиков как-то возросло, часто закрывались; имело место сокращение контингента учащихся. В период господства меньшевиков влияние церкви на народное образование почти не изменилось; церковь получала даже помощь из государственной казны. По реформе, проведенной меньшевиками, преподавание богословия являлось не обязательным, но допустимым. Фактически во многих школах богословие преподавалось и учителями были священники.

Несмотря на то, что меньшевиками в школах было введено обучение на родном языке, ничего не было сделано по изданию детской литературы, что являлось серьезной помехой в обучении детей на родном языке. Меншевистская реформа вообще не коснулась частных гимназий. Меньшевики во время своего господства почти ничего не сделали для ликвидации безграмотности и малограмотности населения.

Только после установления Советской власти в Грузии стало возможным проявление серьезного внимания к делу народного образования и развитию культуры. С первых же дней Советской власти Компартия Грузии стала во главе реорганизации системы народного просвещения. В центре внимания была поставлена задача коренной перестройки системы народного просвещения на селе.

В реорганизации народного просвещения и ликвидации безграмотности Компартия Грузии опиралась на руководящие указания В. И. Ленина и опыт, накопленный в этом направлении в Российской федерации. В. И. Ленин подчеркивал, что при переходе от военного коммунизма к новой экономической политике перед нашими людьми стояли три главных врага: «Первый враг — коммунистическое чванство, второй — безграмотность и третий — взятка» [2]). «Относительно второго врага — безграмотности, — говорил Ленин, — я могу сказать, что пока у нас есть в стране такое явление, как безграмотность, о политическом просвещении слишком трудно говорить. Это не есть политическая задача, это есть условие, без которого о политике говорить нельзя. Безграмотный человек стоит вне политики, его сначала надо научить азбуке. Без этого не может быть политики, без этого есть только слухи, сплетни, сказки, предрассудки, но не политика» [3].

Несмотря на большие экономические и политические трудности, Коммунистическая партия и Советское правительство в первые же годы Советской власти провели ряд существенных мероприятий для повышения грамотности и культуры населения. Мероприятия Компартии в области народного просвещения осуществлялись в двух направлениях: радикальной перестройки и развития школьного дела и ликвидации безграмотности и малограмотности.

21-го марта 1921 г. был создан Народный комиссариат просвещения Грузии. Были созданы также отделы народного образования при уездных и городских ревкомах, а затем при исполкомах уездных и городских ревкомах, а затем при исполкомах уездных и городских советов, в руках которых были сосредоточены все вопросы народного образования и культуры. 15-го апреля 1921 г. Ревком Грузии издал один из первых своих декретов «Об отделении церкви от государства, а школы от церкви». По этому декрету во всех школах Грузии было запрещено преподавание богословия. Этим был положен конец господству и влиянию церкви во всех звеньях народного образования. Наркомпрос Грузии вместе со своими комитетами и подкомитетами закончил реорганизацию системы народного просвещения Грузии к концу 1923 г. После этой реорганизации, уже в 1923/24 учебном году, в Грузинской ССР была создана такая же сеть школьного образования, как в РСФСР. В деле расширения народного образования активное участие принимало сельское население. Оно активно участвовало в строительстве школьных зданий и их ремонте, обеспечении топливом и т. д. В корреспонденции, помещенной в газете «Коммунисти» 20-го октября 1922 г., из Озургетского уезда сообщалось: «Население с любовью относится к делу образования и поэтому всегда готово деньгами, своим трудом внести свою лепту в дело упорядочения народного образования. Именно только такой любовью можно объяснить то положение, что во всем Озургетском уезде с помощью местного населения отдел народного просвещения отремонтировал 80% всех школ» [4]. В августе-сентябре 1923 г. в Сенакском уезде с помощью крестьян были отремонтированы все школы [5]. В селе Карби (Горийский уезд) крестьяне, которые работали на строительстве Тирифонской оросительной системы, решили всю годичную зарплату перечислить для строительства своей школы [6]. Ввиду того, что республика переживала финансовые трудности, на основе постановления Президиума ЦК Компартии Грузии от 18-го декабря 1922 г. Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров Грузии приняли постановление об установлении налога за обучение с 1923 г. С помощью этого определенная часть покрытия расходов на народное образование возлагалась на население.

Большой вклад в дело развития народного образования на селе внесли шефские фабрики и заводы и коллективы учреждений, деятельность ко-

торых широко развернулась с 1923 г. по известному указанию В. И. Ленина и XII съезда РКП(б). Шефы помогали селам в строительстве школ, в ремонте, в приобретении учебных пособий, учебников. По поручению культотдела земельно-лесного союза рабочие и служащие Карталинского Народного имения взяли шефство над селом Мухрани и в 1923 г. открыли там пункт для распространения с/х знаний [7]. Комячейка Тбилисской табачной фабрики имени Р. Люксембург шефствовала над селом Манглиси. В село были посланы книги, журналы, газеты, письменные принадлежности [8]. Комячейка части особого назначения Тбилисского уезда шефствовала над селом Табахмела, где в 1923 г. была открыта школа[9]. Чрезвычайные комиссии Закавказья и Груз. ССР оказывали большую помощь школьникам села Цилкани, посылали им учебники, тетради и др. [10]. Сотрудники наркомата соцобеспечения Грузии в 1923 г. собрали 1 млрд. 800 млн рублей (по тогдашнему курсу). Эта сумма была передана для усиления фонда школы села Гагмамелекедури (Гурия) [11] и т. д.

Свой вклад в дело развития народного образования в деревне внесли крестьянские комитеты взаимопомощи, созданные в Грузии с мая 1923 г. Кресткомы участвовали в строительстве школьных зданий, ремонте и помогали детям бедных крестьян поступить в школу. Например, в Горийском уезде в 1924/25 уч. году Кресткомы отремонтировали 17 школ и открыли две новые школы, передали школам 170 парт, 8 досок и т. д. В Зугдидском уезде Кресткомы передали школам, избам-читальням и другим культурным учреждениям 3.445 руб. [12]. Крестком села Дигоми Тбилисского уезда открыл женскую школу [13] и т. д.

После проведенной Компартией Грузии определенной работы уже в 1921/22 уч. году в республике существовало 97 средних школ с 87,127 учащимися и 1795 начальных школ с 156.265 учащимися. В 1925/26 уч. году число начальных школ увеличилось до 1828, в которых обучалось 230.407 учащихся. Большая часть школьной сети приходилась на деревни. Сельские школы составляли 80% всех школ и 75% всех учащихся [14].

Большое внимание уделялось делу развития и реорганизации народного просвещения негрузинского населения, которое составляло около 40% всего населения республики. Первостепенной задачей в этом направлении была ликвидация той шовинистической политики, которую проводили меньшевики в годы своего господства. Эта шовинистическая политика особенно ярко проявлялась в системе народного просвещения. С первых же дней установления Советской власти была проведена большая работа по созданию и расширению школьной сети для нацменьшинств и интернациональному воспитанию молодежи. Все народы получили право учиться на родном языке. Для руководства работой среди нацменьшинства на основе решения X съезда РКП(б) при отделе пропаганды и агитации ЦК КП(б) Грузии был создан подотдел нацменьшинств еще в марте

1921 года. Такие же подотделы и секции были созданы и в других парткомитетах. Одной из основных задач работы подотделов и секций нацменьшинств было развитие народного просвещения и культуры среди нацменьшинств. В июле 1921 г. при Наркомпресе Грузии был создан Совет нацменьшинств в составе 11-ти человек.

Центр тяжести работы в области народного образования среди нацменьшинств был перенесен в уезды, которые были населены нацменьшинствами. В первые же годы существования Советской власти (1921—22 уч. год), в Грузии для нацменьшинств было создано 318 трудовых школ, 15 техникумов и одно профессиональное училище. Из них в деревне работало 247 трудовых школ, 3 техникума и одно профессиональное училище [15].

В Ахалцихском уезде, где большинство населения составляли мусульмане и армяне, в 1921 г. существовало только 12 школ, а в 1924/25 учебном году здесь уже действовала 21 школа. В Ахалкалакском уезде, где большинство населения составляли также мусульмане и армяне, в 1921 году действовало 37 школ, а в 1927 году их число возросло до 72. В Борчалинском уезде, где большинство населения составляли мусульмане, в 1921 году было 36 школ, а в 1927 году — 94. Кроме этого, школам нацменьшинств предоставлялись разные привилегии. В районах нацменьшинств действовали школы, где количество учащихся было ниже установленных норм [16]. В деле народного просвещения большая работа была проведена в Аджарии. В Аджарии до Советской власти существовало только 6 школ. После установления Советской власти Аджария покрывалась сетью школ. Уже в 1923 г. в Аджарии только в начальных школах училось 3000 детей.

Несмотря на экономические трудности Советское правительство неустанно заботилось о материальном обеспечении учителей. С каждым годом увеличивалась их зарплата. Имея в виду серьезную нехватку преподавательских кадров, Ревком Грузии декретом от 6 июня 1921 года освободил учителей от воинской обязанности. С той же целью Ревкомом Грузии, по постановлению от 28 ноября 1921 года, была проведена мобилизация работников просвещения. После кропотливой работы Компартией Грузии со старыми кадрами преподавателей и улучшения их материального состояния, их отношение к Советской власти резко изменилось. Съезд учителей Самурзакано, который состоялся в местечке Гали (Абхазия) в июне 1921 года, приветствовал Советскую власть и обещал, что приложит все усилия к развитию народного образования и обновлению школ [18]. Учительское собрание Горийского уезда, состоявшиеся в июле 1924 года, на котором присутствовало 100 учителей, приняло обязательство служить делу народного образования и сердечно поддерживать Коммунистическую партию и Советское правительство [19] и т. д. Мероприятия партии по обеспечению народного образования кадрами не ограничивались привлечением старых

кадров на свою сторону. Были приняты меры к воспитанию новых кадров, которые были бы опорой Компартии и Советского правительства. Для трудовых школ такие кадры готовились в двух высших учебных заведениях: в Тбилисском государственном университете и Тбилисском педагогическом институте, который был основан в 1922 году. Распределение принимаемого контингента и его подбор для пединститута проводились по районам. Для начальных школ учителей готовили педагогические техникумы и девятилетки с педагогическим уклоном. В 1921 году в республике существовало 6 педагогических техникумов, а в 1925 году их число возросло до 10; семь из них грузинских, два армянских и один — азербайджанский. Было открыто также 20 девятилеток с педагогическим уклоном, из которых 13 находилось в Тбилиси, 4 — в Кутаиси и по одной в Душети, Зугдиди и Харогоули [20]. В 1923 году Наркомат просвещения Грузии принял постановление «О подготовке учителей трудовых школ», на основе которого были открыты 17 кратковременных летних курсов, на которых в течение трех лет прошло курс обучения более 6000 учителей. Во время летних каникул устраивались также двух-трехнедельные курсы — конференции как в Тбилиси, так и в уездных центрах, на которых для усовершенствования учителей читались лекции и доклады по педагогическим и методическим вопросам.

Наряду с перестройкой народного просвещения Компартия Грузии проводила большую работу по ликвидации неграмотности и малограмотности. Одним из первых декретов, принятых Ревкомом Грузии, был декрет от 31 марта 1921 г. о ликвидации неграмотности в частях Красной Армии в Грузии. Этот декрет обязывал командование частей, Наркомат просвещения, руководителей государственных учреждений и профсоюзных организаций оказывать широкую поддержку в ликвидации неграмотности в частях Красной Армии. Была создана Чрезвычайная комиссия для ликвидации неграмотности в армии. Этой комиссии предоставлялось право провести мобилизацию неработавшей интеллигенции и частичную мобилизацию работников просвещения. В апреле 1921 года по инициативе Политуправления 11-ой армии был созван армейский съезд по вопросам ликвидации неграмотности. На съезде наряду с представителями военных частей присутствовали представители Наркомата просвещения, профсоюза учителей, профессуры и других общественных организаций. На съезде с приветственным словом выступил председатель Ревкома Грузии Ф. Махарадзе. Съезд принял решение всеми силами бороться за ликвидацию неграмотности.

4 июля 1921 года Ревком Грузии издал декрет «О ликвидации неграмотности среди населения». По этому декрету все взрослое население от 14 до 50-ти лет было обязано вступить в школы по ликвидации неграмотности, созданные Чрезвычайной комиссией по ликвидации неграмотности.

Наркомату просвещения и его местным органам предоставлялось право в обязательном порядке использовать всех работников просвещения в работе по ликвидации неграмотности. В это дело были включены партийные и комсомольские ячейки, профсоюзы, комиссии по работе среди женщин и т. д. В том же 1921 году в городах и селах Грузии было открыто 300 школ по ликвидации неграмотности. Ликвидация неграмотности проводилась также в индивидуальном порядке. При Совете Народных Комиссаров Грузии, под председательством М. Цхакая, был создан общественный комитет по ликвидации неграмотности и малограмотности. Поскольку проведению этого мероприятия мешала нехватка преподавательских кадров, Пленум ЦК Компартии Грузии в своем постановлении от 28 мая 1921 года поручил Наркомату просвещения провести срочную мобилизацию учителей для ликвидации неграмотности в армии и среди населения. Мобилизации подлежали учителя обоего пола города Тбилиси.

Тяжесть работы по ликвидации неграмотности была перенесена на села, которые, как отмечалось выше, сильно отставали от города. Занятия в школах по ликвидации неграмотности проводились по вечерам и по воскресеньям. Широко была внедрена система группового и индивидуального обучения по месту жительства. Особое внимание уделялось ликвидации неграмотности в уездах, населенных нацменьшинством, где уровень грамотности был очень низким. Были изданы буквари и другая литература на языках этих нацменьшинств.

Большое внимание было уделено ликвидации неграмотности среди членов партии и комсомольцев, значительная часть которых была неграмотной или малограмотной. Как отмечалось на первой конференции КП Грузии в июне 1922 года, из всего состава Компартии Грузии 25% были неграмотными и еще больше малограмотными [21]. Большинство из них было сельскими коммунистами. Неграмотными были даже секретари некоторых партийных ячеек. Представитель ЦК КП(б) Грузии в своей докладной записке писал, что «В Зугдидском уезде даже секретари ячеек неграмотные» [22]. Поэтому первая конференция КП Грузии приняла решение ликвидировать неграмотность в первую очередь среди коммунистов и комсомольцев и к декабрю 1922 года закончить ее.

В результате проведенных Компартией Грузии серьезных мероприятий к концу 1922 года число грамотного населения возросло почти вдвое. Большое стремление в этом деле проявляло сельское население. На всей территории Грузии стихийно начинали работать школы по ликвидации неграмотности. Однако ввиду недостатка средств не было возможности более широко развернуть это дело. Неграмотными в Грузии, по переписи 1923 года (исключая автономные единицы) в возрасте от 18 до 40 лет было 369076 человек. Из них в городе — 37832 и в селах — 331244 человека. Еще больше было неграмотных в автономных республиках. В Абхазии не-

грамотных было 39137, в Аджарии — 28022, в Юго-Осетии — 23055 [23]. По уездам более высоким по грамотности уровнем отличались: Озургетский уезд, где грамотными было 74,2%, Рачинский уезд — 58,9%, Сенакский уезд — 45,9%, Шоропанский уезд — 45,2%, Кутаисский уезд — 42,1%. По грамотности на низком уровне были районы нацменьшинств и горные районы: в Борчалинском уезде грамотными было только 2%, Тианетском уезде — 8%, Душетском узеде — 10%, Ахалкалакском уезде — 10%, Ахалцихском уезде — 14,8%, Горийском узеде — 23%, Лечхумском уезде — 24,3% и т. д. [24].

В 1925—26 учебном году в республике действовало 1574 школы по ликвидации неграмотности, которые окончило 37900 человек, из них мужчин 29.692, женщин 8.298. К 1926 году в республике грамотными было 947.567 чел. или 46,9% всего взрослого населения.

Большие успехи, достигнутые в культурном строительстве на селе в годы восстановления народного хозяйства ярко охарактеризовал М. И. Калинин, в марте 1925 года путешествовавший по деревням Грузии. М. И. Калинин дал корреспонденту газеты «Заря Востока» интервью о своих впечатлениях: «Меня поразила также чрезвычайная культурность деревни, огромная жажда знаний, живой и остроумный язык крестьян, их организованность. По всем деревням сейчас кипит творческая работа. Строятся школы, народные дома, читальни, ремонтируются здания, почти во всех деревнях выписывают и читают газеты. Крестьянство охотно дает средства и бесплатную рабочую силу для построения новых культурных очагов [25]».

## Литература


1. Центральный государств. ист. архив Октябрьской революции Груз. ССР (ЦГИАОРГ), ф. 300, оп. 1, д. 1, л. 1.
2. В. И. Ленин, ПСС, т. 44, стр. 173.
3. Там же, стр. 174.
4. Газ. «Коммунисти», 10 октября 1924 г.
5. Там же, 9 марта 1924 г.
6. Партархив Груз. филиала ИМЛ при ЦК КПСС (ПАГФИМЛ), ф. 14, оп. 1, д. 208, л. 166.
7. Газ. «Коммунисти», 23 сентября, 1924 г.
8. Там же, 29 июля 1923 г.
9. Там же, 21 августа 1923 г.
10. Там же, 15 апреля 1924 г.
11. Там же, 13 января 1924 г.
12. ПАГФИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 2/34, л. 55—56.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. Там же, л. 61.
14. Там же, д. 976, л. 238.
15. ЦГИАОРГ, ф. 300, д. 79, л. 11.
16. Стенографический отчет IV съезда Советов Грузии, стр. 165.
17. ПАГФИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 1360, л. 178.
18 Газ. «Коммунисти», 16 июня 1921 г.
19. Там же, 9 июля 1924 г.
20. Народное образование и педагогические науки в Советской Грузии, Тб. 1962, стр. 52.
21. ПАГФИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 204, л. 13.
22. Там же, д. 144, л. 71.
23. Газ. «Коммунисти», 10 октября 1924 г.
24. ЦГИАОРГ, ф. 300, д. 80, л. 40.
25 Газ. «Заря Востока», 15 марта 1925 г.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

გ. ბოცირიძე

# ვ. ი. ლენინის ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ (1903—1904 წწ.)

ტროცკიზმი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ებრძვის ლენინიზმს, მის თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან ეს ბრძოლა მარქსისტული, რევოლუციური თეორიის სამოსელში ეხვეოდა. თუმცა მან ვერ შესძლო სერიოზულ იდეურ მიმდინარეობად ქცეულიყო. არსებობდა და არსებობს ტროცკისტული ჯგუფები, ამ ჯგუფთა ეფემერული გაერთიანებანი. მაგრამ ასეთ ჯგუფებს, თუ მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ წარმოებს, შეუძლიათ ზიანი მოუტანონ სოციალისტურ მოძრაობას.

ასეთი ჯგუფებისაგან „.... თავის ხსნა, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი, მტკიცე, მუშათა მოძრაობის ხანგრძლივი ისტორიის გამოცდილებით შემოწმებული პრინციპულობით“. [1].

უკვე 1903—1904 წლებში ტროცკიმ გაშალა ბრძოლა ლენინიზმის წინააღმდეგ. რსდმპ II ყრილობაზე, ტროცკი ფაქტიურად უერთდება ერთიან ოპორტუნისტულ ფრონტს ლენინის წინააღმდეგ. „რბილ ისკრელებში“ ტროცკიმ თავისი თანამოაზრენი შეიცნო და მიემხრო მათ. ისიც კი სცადა გამოსულიყო ყრილობაზე როგორც ოპორტუნისტულ შეხედულებათა მთავარი გამომხატველი.

ტროცკის შეხედულებათა ოპორტუნისტული არსება გამომჟღავნდა მის დამოკიდებულებაში პროლეტარიატის დიქტატურის საკითხისადმი. ტროცკის არ შეეძლო პირდაპირ გამოსულიყო პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნის წინააღმდეგ და ამ საკითხში ისკრულ მიმართულებას შეუერთდა. მაგრამ ტროცკი შეეცადა პროლეტარიატის დიდქტატურის შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პარტიისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგა. ტროცკიმ განაცხადა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც: «Социал-демократическая партия и рабочий класс... будут наиболее близки к отождествлению», а «сам рабочий класс составит большинство нации».

ტროცკის შეხედულება პროლეტარიატის დიქტატურის საკითხზე იმაზე მიუთითებს, რომ მას არ სწამდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება მეტად თუ ნაკლებად ახლო მომავალში. ტროცკის ამ შეხედულებას დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსი გ. ბრამსი ჭეშმარიტად მარქსისტულ შეხედულებაზე სთვლის.

შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომისტი აკიმოვი — „ისკრის“ პირდაპირი მოწინააღმდეგე, აშკარა ოპორტუნისტი, რომელიც II ყრილობაზე ილაშქ-

რებდა პარტიის პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნის დაყენების წინააღმდეგ, ყრილობის შემდეგ აცხადებდა, რომ ტროცკის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს სავსებით ვეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ყრილობაზე ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ტროცკი ამბობდა, რომ „ხალხის“ თვითმპყრობელობის დროს დიქტატურა ეკუთვნის ბურჟუაზიას, როცა სოციალისტები მიიღებენ ხმების უმრავლესობას, მაშინ დადგება პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა. ტროცკი ეკონომისტ აკიმოვთან კამათში, როგორც მინიშნებულად და ზოგადად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა იქნება არა კონსპირაციულად ხელში ჩაგდება ძალაუფლებისა, არამედ ორგანიზებული პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა, პროლეტარიატის, რომელიც შეადგენს ერის უმრავლესობას. მაგრამ თუ პროლეტარიატი არ შეადგენს ერის უმრავლესობას, მაშინ გამორიცხულია პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობა, რადგან ასეთ შემთხვევაში თუ პროლეტარიატი ხელისუფლების დაპყრობას განიზრახავს, ეს იქნება შეთქმულებითი, რაღაც კონსპირაციული გზით ხელისუფლების დაპყრობა. ასეთია მისი შეხედულება.

ტროცკი ვერ ხედავდა იმის შესაძლებლობას, რომ პროლეტარიატს შეუძლია თავის მხარეზე გადაიყვანოს გლეხობის ფართო მასები და ამგვარად გახდეს ერის უმრავლესობა და კანონიერი პრეტენზიაც განაცხადოს ხელისუფლებაზე.

საკითხის ასეთი გაუგებრობა შემდეგში საფუძვლად დაედო პერმანენტული რევოლუციის ყალბ სქემას, რომელიც 1905 წელს ტროცკიმ წამოაყენა პარვუსთან ერთად. ამ თეორიის შემდგომ განვითარებას მოჰყვა, ერთი ცალკე აღებული ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც ცნობილია, ამ ტროცკისტულ თეორიას დღესაც აქვს გასავალი თანამედროვე ტროცკისტებს შორის.

ორგანიზაციულ საკითხებშიც ტროცკი მერყევ და ფაქტიურად მენშევიკურ პოზიციებზე აღმოჩნდა. ამ მხრივ დამახასიათებელია პლეხანოვთან ტროცკის შეპასუხება. პლეხანოვი ამბობდა, რომ წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება პარტიას დაეხმარება დაიცვას თავი ოპორტუნისტული ელემენტებისაგან. ტროცკიმ ამის გამო განაცხადა, რომ არავითარ წესდებას არ შეუძლია იხსნას პარტია ასეთი საფრთხისაგან. ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს ის, რომ თითქოს საერთოდ შეუძლებელია ოპორტუნიზმის წინააღმდეგ რაიმე ორგანიზაციული ზომების მიღება, რადგან (ეს პლეხანოვს ჩაუწერია ტროცკის სიტყვიდან) „ოპორტუნიზმი იქმნება პროლეტარიატის განვითარების ობიექტური პირობებით“. ამრიგად, ტროცკი ოპორტუნიზმს თავის „კანონიერ“ ადგილს აძლევდა მუშათა მოძრაობაში და იმის წინააღმდეგი იყო, რომ პარტიას გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა ოპორტუნისტული გადახვევების წინააღმდეგ. პლეხანოვმა მოითხოვა ტროცკის სიტყვების ოქმში შეტანა, რადგან ოქმში იგი არ ჩანდა. ამის შემდეგ ტროცკიმ ეტყობა უხერხულად იგრძნო თავი და სთქვა, რომ მას ასეთი რამ თავის სიტყვაში არ უთქვამს. თუმცა ტროცკის სიტყვის დამთავრების შემდეგ, როგორც პლეხანოვი ამბობს, აკიმოვმა განაცხადა, რომ იგი სრულიად ეთანხმება ტროცკის. აქაც აკიმოვი და ტროცკი ერთ ხაზზე აღმოჩნდნენ.

რაც უფრო ღრმაა ოპორტუნიზმის მიზეზები, მით უფრო ბასრი უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმართული იარაღი, „ამიტომ ოპორტუნიზმის ღრმა მიზეზებით გამართლება ფორმულირებისა, რომელიც მას კარს უღებს, წმინდა წყლის მაჩანჩალობაა“ — ამბობდა ვ. ი. ლენინი.

ტროცკი ყრილობაზე ისე აყენებდა საკითხს, თითქოს ლენინი მიისწრაფოდა შეექმნა რაღაც ჩაკეტილი, შეთქმულებითი ინტელიგენტური ორგანიზაცია, რომელიც მოწყვეტილი იქნებოდა ფართო პროლეტარული მასებისაგან. საქმე იმაშია, რომ წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება პარტიას კი არ წყვეტდა მასებისაგან, არამედ პირიქით, აამაღლებდა პარტიის ავტორიტეტს მასებში იმით, რომ კარს უღებდა მხოლოდ ღირსეულთ. ხოლო მის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენდა მარტოვის ფორმულირება და როგორც ნაყოფი მარტოვის განსაზღვრისა, მუშათა კლასს ხელში უნდა შერჩენოდა უცნაური „პარტია“, რომლის წევრებსაც „...პროგრამა ერთნაირი აქვთ (ჯერ ესეც საკითხია!) და ტაქტიკურ-ორგანიზაციული შეხედულებები კი სხვადასხვანაირი! იდეალური სხვადასხვაობა! რით არ დაემგვანება ჩვენი პარტია ბანკეტს?“ — წერდა ი. ბ. სტალინი [2].

შეიძლება ითქვას, რომ ყრილობაზე ტროცკი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც „თავი გამოიჩინა“ ვ. ი. ლენინის ფორმულირების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა, რომ ლენინის ფორმულა უკუგდებულ უნდა იქნესო. მოხდა ისე, რომ ყრილობამ მართლაც არ მიიღო ლენინის ფორმულირება. დროებით გადასძლია მენშევიკების ოპორტუნიზმმა, ოპორტუნისტების გაერთიანებამ აკიმოვიდან ტროცკამდე.

ეს შეცდომა ცხოვრებამ მალე გაასწორა. ეს მოხდა 1905 წელს, პარტიის III ყრილობაზე.

ოპორტუნისტების დროებითი გამარჯვება ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან წესდების ისკრული, ლენინური პრინციპების მიღება ყრილობის მიერ, პირველი პარაგრაფის გამოკლებით, ნიშნავდა ისკრული, ლენინური პრინციპების გამარჯვებას. თვით მარტოვი აღიარებდა, რომ წესდების პირველ პარაგრაფთან დაკავშირებული მარცხი «.... было однако для Ленина сведено к нулю принятием остальных пунктов устава» [3].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისკრელთა ბრძოლას პარტიის წესდებისათვის ისკრული ორგანიზაციული გეგმისათვის. ამ გეგმის საფუძველზე წარმოიშვა და განმტკიცდა რევოლუციურ-მარქსისტული პარტია რუსეთში, ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკების გამარჯვება ყრილობაზე (წესდება, პროგრამა, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები) იმას ნიშნავდა, რომ დაიწყო ახალი ეტაპი რუსეთისა და მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობაში.

ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მათთან ერთად ყო ტროცკი. ყრილობის შემდეგ 17 მენშევიკის თათბირზე შეიქმნა ოპოზიციის საიდუმლო ცენტრი, რომლის შემადგენლობაში მენშევიკებთან ერთად (მარტოვი, დანი, პოტრესოვი, აქსელროდი) არჩეული იქნა ტროცკი. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა რომელიც დაამტკიცა 17 მენშევიკის თათბირმა შემუშავებული იყო მარტოვისა და ტროცკის მიერ.

მენშევიკები ჩასაფრდნენ „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთის ლიგაში“, რომლის 9/10-ს წარმოადგენდნენ რუსეთისაგან მოწყვეტილი ინტელიგენტი-ემიგრანტები და აქედან გააჩაღეს ბრძოლა ბოლშევიკების პარტიის, ლენინისა და ლენინელების წინააღმდეგ. მარტოვი თვით აღიარებდა, რომ მათ მოაწყვეს აჯანყება ლენინიზმის წინააღმდეგ [4]. ტროცკი ამ აჯანყების მეთაურთა რიგებში აღმოჩნდა. მას ეს ბრძოლა არასოდეს არ შეუწყვეტია.

მენშევიკები ამტკიცებდნენ დემაგოგიურად, რომ ლენინმა პარტიაში შექმნა არადემოკრატიული რეჟიმი. ტროცკი „ციმბირის დელეგაციის“ მოხსენებაში რსდმპ II ყრილობის შესახებ, ლენინს ცილისმწამებლურად მიაწერდა პარტიაში „ერთპიროვნული დიქტატურისაკენ“ მისწრაფებას.

მენშევიკებმა 1903 წ. ოქტომბერში მიაღწიეს ლიგის გამოყვანას პარტიის ცენტრალური კომიტეტის კონტროლიდან. ლიგის ყრილობაზე ტროცკი აცხადებდა, რომ უარყოფს შინაპარტიულ ცენტრალიზმს და იცავს ლიგის ავტონომიურ უფლებებს. მისი აზრით, ლიგის წესდებას არ ესაჭიროება ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცება.

ვ. ლ. ბონჩ-ბრუევიჩი, რომელიც, ესწრებოდა ლიგის ყრილობას, მოგვითხრობს, რომ ტროცკი გამოვიდა ყრილობაზე მენშევიკობის სახელით და გამოამჟღავნა მთელი თავისი შავი სიძულვილი ბოლშევიკების მიმართ.

II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა შესძლეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ხელში ჩაგდება. პლეხანოვიც მენშევიკებთან გადაბარგდა და „ისკრაში“ კოოპტაციის წესით მოიწვია ძველი რედაქტორები. მათთან ერთად ისკრაში თანამშრომლობდა ტროცკი, განსაკუთრებით სამარცხვინო იყო „ისკრისათვის“ მის ფურცლებზე ტროცკის პასკვილების სისტემატური გამოჩენა. ახალი „ისკრა“ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანო გახდა. პლეხანოვი, რომელიც ამ დროს მენშევიკებთანაა და რედაქტორობდა „ისკრას“, ამბობდა, რომ ტროცკის წერილების ბეჭვდა „ისკრას“ არცხვენსო.

პარტია კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აქედან გამოსავალს კი ლენინი პარტიის მორიგი III ყრილობის მოწვევაში ხედავდა. თვალს ადევნებდა რა პარტიული კრიზისის მიმდინარეობას, ლენინი ამბობდა, რომ ეს იყო ჩვენი პარტიის რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთის ბრძოლა. ამ ბრძოლაში იზრდებოდა და ვითარდებოდა ბოლშევიზმი. მაგრამ ეს წინსვლა ზოგჯერ ასეთ შეფარდებას იღებდა: „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან... ეს ხდება ხოლმე“ „ინდივიდუმების ცხოვრებაშიც, ერების ისტორიაშიც, პარტიათა განვითარებაშიც“ [5].

მაგრამ არ შეიძლებოდა იმაში დაეჭვება, რომ მომავალი აუცილებლად ეკუთვნოდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას.

ამ პერიოდის უდიდესი მოვლენა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში იყო ლენინის წიგნის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ გამოსვლა (მაისი, 1905 წ.). ეს იყო მარქსისტული პლატფორმა, რომლის საფუძველზეც უნდა შეკავშირებულიყო ჩვენი პარტია, თავი დაეღწია კრიზისისაგან და გადაქცეულიყო იმ ძალად, რომელიც მთავარია ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ძალა არის მტკიცედ ორგანიზებული, ცენტრალიზებული, მასებთან განუყრელ კავშირში მყოფი პარტია.

ორგანიზაციული პრინციპები, რომელიც გადმოცემულია ლენინის წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, მოწონებულ იქნა ერთსულოვნად რუსეთის რევოლუციური მარქსისტების მიერ. ამ პრინციპების საფუძველზე შენდებოდა და შენდება მსოფლიოს მარქსისტულ-ლენინური პარტიები.

მენშევიკები შეეცადნენ შეემცირებინათ ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ლენინის წიგნმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. მათ გააღრმავეს შინაპარტიული განხეთქილებითი მუშაობა.

1904 წლის შემოდგომაზე მენშევიკურმა „ისკრამ“ გამოსცა ტროცკის ბროშურა „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები“, რომელიც წარმოადგენდა მენშევიზმის თავისებურ პროგრამულ მანიფესტს, რომელიც მიმართულია ლენინის წინააღმდეგ. ტროცკი ცდილობს ხაზი გაუსვას სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიულ წარსულს იმისათვის, რომ დაასაბუთოს მენშევიკური იდეა ბოლშევიზმის არაუფლებამოსილობის შესახებ. ტროცკი აქ იცავს ეკონომისტურ მიმართულებას რუსეთის მუშათა მოძრაობაში. მისი აზრით, „ისკრელების“ მთელი ბრძოლა ეკონომისტების წინააღმდეგ იყო უაზრო და წარმოადგენდა ორგანიზაციული ცხოვრების დემოკრატიული ფორმებისაკენ უკან დახევას. „ისკრა“ (ძველი), ტროცკის აზრით, პროლეტარული მოძრაობიდან მოწყვეტილი გაზეთი იყო.

მთავარ დარტყმას ტროცკი მიმართავს პარტიის მშენებლობის ლენინური პრინციპების წინააღმდეგ. ბოლშევიკები პარტიას აშენებენ კაპიტალისტური ფაბრიკის პრინციპის მიხედვით. პარტიის წევრი იქნება რეგლამენტირებულ-ბატონყმურ დამოკიდებულებაში. ისინი უბრალო ხრახნები იქნებიან. ტროცკი გამოდის პარტიულ მშენებლობაში ცენტრალიზმის წინააღმდეგ, მკაცრი პარტიული დისციპლინის წინააღმდეგ. ტროცკი ბრალს დებს ბოლშევიკებს პარტიის წესდების ფეტიშიზაციაში. ბოლშევიკები, მისი აზრით, მიისწრაფიან პროლეტარიატზე პარტიის დიქტატურის დამყარებისაკენ. ვ. ი. ლენინი, ტროცკის აზრით, არის პარტიის რეაქციული ფრთის ბელადი, დიქტატორი, იაკობინელი.

ი. ბ. სტალინი ეხება ტროცკის ამ ბროშურაში პარტიული დისციპლინის საკითხს და ტროცკის შეხედულებას ასე გადმოსცემს: „...პარტიულ დისციპლინას უნდა დაემორჩილო იმდენად, რამდენადაც პარტიის გადაწყვეტილებანი არ ეწინააღმდეგებიან იმათ სურვილებსა და შეხედულებებს, ვინც მოწოდებულია პარტიას დაემორჩილოს“ [6]. ეს, როგორც სტალინი ამბობდა, იყო წმინდა მენშევიკური ორგანიზაციული პრინციპი, ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ცხადყოფს ისტორიულ სიმართლეს იმის შესახებ, რომ ტროცკის ბრძოლას ლენინისა და მისი პარტიის წინააღმდეგ შორეული, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

შემთხვევითი არ არის, რომ ტროცკის ბროშურა მოიწონეს მენშევიკების ლიდერებმა და ლიბერალების „ოსვობოჟდენიემაც“ კი. ეს უკვე ისეთი ატესტაცია იყო, რომელსაც ტროცკი ვერასოდეს ვერ დააღწევდა თავს.

ბოლშევიკებმა გაშალეს მუშაობა პარტიის III ყრილობის მოსაწვევად. ტროცკის ბროშურამ ვერ შეასრულა ის ამოცანები, რომელსაც მას უსახავდნენ. მენშევიკების ავტორიტეტი მუშათა კლასის ფართო მასებში მცირდებოდა. ტროცკიმ იგრძნო, რომ დადგა ხომალდის დატოვების დრო. 1904 წ. სექტემბერ-

ში ტროცკი ფორმალურად გამოვიდა მენშევიკური ცენტრის ხელმძღვანელობიდან და თავი გამოაცხადა ფრაქციების გარეშე მდგომად. მოჩვენებითმა „არაფრაქციულობა“ ტროცკისა — ეს იყო ერთგვარი მისატყუებელი, რომლის გავლენაში მოექცია ადამიანები.

ვ. ი. ლენინი, როცა ტროცკიზმის თეორიულ საფუძვლებზე ლაპარაკობდა მიუთითებდა: ეს საძირკველი ასეთია: „ფრაქციები, ფრაქციები და ფრაქციულობა.“

თანამედროვე პირობებში, ისევე როგორც ბოლშევიზმის ჩამოყალიბების წლებში ტროცკიზმი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართავს იმ ძველ, ნაცად დემაგოგიურ მეთოდებს, რომელთა შესახებ ლაპარაკი იყო ამ სტატიაში.

ყველა ანტიკომუნისტურად განწყობილი ელემენტი ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული ბანაკიდან (შაპირო, დანიელსი, დეიჩერი და სხვები) სოლჟენიცინამდე, თანაუგრძნობდნენ და რეკლამას უკეთებდნენ ტროცკისა და ტროცკისტებს.

ამიტომ ბოლშევიზმის ისტორიულ გამოცდილებას ტროცკიზმისა და სხვა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

Г. Г. ГОЦИРИДЗЕ

## БОРЬБА В. И. ЛЕНИНА ПРОТИВ ТРОЦКИЗМА

### Резюме

Троцкизм ведет борьбу против Ленинизма со времени образования большевизма. Эта борьба развернулась прежде всего против ленинских организационных принципов строения партии.

Не случайно, что открытое выступление Троцкого против Ленина и ленинцев связано с расхождением по коренному вопросу, волновавшему социал-демократическое движение, по вопросу о типе создаваемой в России партии и ее отношении к возможным непролетарским попутчикам.

В статье показано, что в своей беспринципной, интриганской борьбе против Ленинизма в 1903—1904 годы Троцкий не мог опереться на силу логики научно обоснованных доводов и аргумнтов, подчеркнутых из реальной действительности.

В. И. Ленин вскрыл мелкобуржуазную сущность взглядов Троцкого и это безусловно способствовало победе ленинских идей на втором съезде РСДРП и после съезда.

Выступая против ленинской формулировки первого параграфа устава партии, Троцкого демагогически пытался приписать В. И. Ленину стрем-

ление создать кастовую замкнутую заговорщическую интеллигентскую организацию, оторванную от широких пролетарских масс. Это клеветническое утверждение, сразу подхваченные всеми меньшевиками и ныне усердно пропагандируемое буржуазными и ревизионистскими фальсификаторами истории КПСС, также было подвергнуто обстоятельной критике В. И. Лениным.

Ленин и ленинцы разоблачили раскольническую, фракционную деятельность Троцкого после II съезда РСДРП и сомкнули свои ряды на почве ленинских идей.

Платформой сплочения партии на позиции ленинизма стала книга В. И. Ленина «Шаг вперед, два шага назад».

Уроки борьбы нашей партии против троцкизма имеет историческое значение на современном этапе развития международного коммунистического движения.

Все пороки, стойко сопровождавшие в прошлом троцкизм, внутренне присущи ему и на нынешнем этапе. Именно они определили и определяют политическое лицо троцкизма.

## ლიტერატურა

1. ვ. ი. ლენინი — თხზულებანი, ტ. 17. IV გამოცემა. გვ. 321.
2. ი. ბ. სტალინი — თხზ., ტ. 1. გვ. 71.
3. История КПСС — т. I., стр. 474.
4. ვ. ი. ლენინი—თხზ. ტ. 7, გვ. 508.
5. ვ. ი. ლენინი — თხზ. ტ. 7, გვ. 517.
6. ი. ბ. სტალინი — თხზ., ტ. 10, გვ. 219.
7. Ленинский сборник, т. VI.
8. История КПСС. т. 1, М., 1964.
9. Второй съезд РСДРП, Протоколы. М., 1957.
10. В. Д. Бонч-Бруевич. Воспоминиания о Ленине изд. 2-ое, «Наука». 1969.
11. В. А. Гринко, Н. А. Миткин, Е. Ф. Сопин, С. С. Шаумян. Борьба партии большевиков против троцкизма (1903, февраль. 1917 г.), «Мысль», 1968.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. მამრიკიშვილი

# „კულტურული რევოლუციის" განმარტებისათვის

ისტორიის გამოცდილება მოწმობს, რომ წარსულში ყველა ძირეულ სოციალურ გადატრიალებას კანონზომიერ მოვლენად თან სდევდა გადატრიალება ადამიანთა შეხედულებებსა და წარმოდგენებში: იცვლებოდა საზოგადოების კულტურა როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. სულიერი წარმოება და მისი „პროდუქტი" კი გაბატონებული კლასის — „რჩეულთა" განკარგულებაში რჩებოდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის განვითარებაში, კულტურის უდიდესი მოვლენა იყო მსოფლიო პროგრესის გზაზე. დაიწყო თვისობრივად სრულიად ახალი ეტაპი კულტურის, ცივილიზაციის ისტორიაში. პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ მეცნიერებისა და კულტურის განვითარება ჩამდგარიყო მასების სამსახურში, კულტურის მიღწევები მისაწვდომი გამხდარიყო ხალხისათვის.

რუსეთის მუშათა კლასმა სოციალისტური რევოლუცია მოახდინა არა მარტო იმისათვის, რომ შეეცვალა არსებული ურთიერთობანი, არამედ იმისათვისაც, რომ „თავისი თავიც შეეცვალა".

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო არა მარტო საზღვარი, საიდანაც დაიწყო ჭეშმარიტი კულტურის ისტორია, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის სახით მან შექმნა სოციალური ბაზა, პირველი და გადამწყვეტი პოლიტიკური წინამძღვარი სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჩამოაყალიბეს სახელმძღვანელო დებულებები კულტურის წარმოშობისა და მისი არსის შესახებ. განსაზღვრეს მისი ადგილი საზოგადოებაში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების აღმოჩენით და ისტორიის მატერიალისტური გაგების დასაბუთებით კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოამზადეს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ რევოლუციური მოძრაობის შემდგომ პერიოდში სოციალისტური კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები სრული მეცნიერული სიღრმით დამუშავებულიყო.

ვ. ი. ლენინს მოღვაწეობა მოუხდა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, როდესაც სოციალისტური რევოლუციის საკითხმა თეორიიდან უშუალოდ პრაქტიკის სფეროში გადაინაცვლა და რევოლუციური

მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით მასების შეგნებულობისა და ორ-განიზებულობის საკითხებმა წინა პლანზე წამოიწიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მუშათა მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში, რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად ვ. ი. ლენინმა დაამუშავა სოციალისტური კულტურის თეორია და პროგრამა, შემდეგ კი დასახა ახალი კულტურის მშე-ნებლობის კონკრეტული გზები.

ვ. ი. ლენინის თეორიულ მემკვიდრეობაში კულტურის პრობლემებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

კულტურის ლენინური თეორია, რომელიც კულტურის შესახებ მეცნიე-რული კომუნიზმის ფუძემდებელთა მოძღვრების ლოგიკური გაგრძელება და განვითარებაა სათავეს იღებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ვ. ი. ლენინის პირველი მნიშვნელოვანი დებულებები კულტურის ცალკეული საკითხებისა თუ ასპექტების შესახებ.[1]

ჯერ კიდევ 1896 წ. ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად წეროდა: სოცი-ალიზმის დროს „საერთო შრომით შექმნილი პროდუქტები... თვით მშრომელ-თა სასარგებლოდ წავა, ხოლო მათ მიერ წარმოებული ზედმეტი პროდუქტები მოხმარდება თვით მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მთელი მათი უნარის სრულ განვითარებას და იმას, რომ თანასწორუფლებიანად ისარგებ-ლონ მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა მონაპოვრით“ [2].

თავისი მოღვაწეობის შემდგომ ეტაპზე ვ. ი. ლენინს კულტურული მშე-ნებლობის საკითხები არასოდეს გაუშვია ყურადღების სფეროდან. სოციალის-ტური კულტურის თეორიისა და უფრო მეტად კი პრაქტიკის საკითხები ბელადის ყურადღების ცენტრში მოექცნენ რევოლუციის გამარჯვების მეორე დღიდანვე, როდესაც მას თვითონ მოუხდა უშუალო ხელმძღვანელობა გაეწია ახალი კულ-ტურის მშენებლობისათვის.

სოციალისტური კულტურის თეორიული საფუძვლები და პარტიის პოლი-ტიკა კულტურის დარგში, როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინმა ოქტომბრის რე-ვოლუციამდე დაამუშავა, ხოლო კულტურული რევოლუციის პროგრამა და მი-სი განხორციელების კონკრეტული გზები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დასახა.

ტერმინი „კულტურული რევოლუცია“ ვ. ი. ლენინმა მხოლოდ თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში (1923 წ.) იხმარა ცნობილ ნაშრომში „კოოპერაციის შესახებ“, მაგრამ აზრი კულტურის განვითარების აუცილებ-ლობაზე წითელ ზოლად გასდევს ვ. ი. ლენინის რიგ ნაშრომებს[3].

კულტურული რევოლუციის ლენინურ თეორიაზე ჩვენში საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა დაგროვდა. გამოიცა მნიშვნელოვანი მონოგრაფიე-ბი, ბროშურები, დაიწერა მრავალი შინაარსიანი სტატია, მაგრამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა კულტურული რევოლუციის მნიშვნელოვან საკითხებზე, რო-მელიც კარგა ხანია არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, კვლავ რჩება. დღემდე არ შემუშავებულა მტკიცე საერთო აზრი ისეთ მნიშვნელოვან საკით-ხებზეც კი როგორიც არის კულტურული რევოლუციის არსი და მისი ქრო-ნოლოგიური ჩარჩოები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ არა გვაქვს

თვით კულტურის ცნების განმარტებაც. უფრო სწორად, კულტურის ცნების მრავალი განმარტება არსებობს. ისინი ცალ-ცალკე, ასე თუ ისე, სწორად [illegible]ვენ კულტურის ამა თუ იმ მნიშვნელოვან მხარეებს და სპეციფიკურ [illegible]ურებებს, მაგრამ კულტურის სრულფასოვანი განმარტება, რომელიც დაასრულებდა ამ საკითხებზე დიდი ხნის კამათს, ჯერჯერობით არ არსებობს.

ამიტომ, რა თქმა უნდა, მართალია გერმანელი (გდრ) მეცნიერი ერხარდიონი, როდესაც წერს:—თუ მართლზომიერია კულტურული რევოლუცია დავახასიათოთ და გვესმოდეს როგორც რევოლუციური გადატრიალება საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, მაშინ აუცილებელია ვიცოდეთ, რა უნდა გვესმოდეს კულტურის ქვეშ. რადგან აქედან გამომდინარეობს პასუხი კითხვაზე, თუ რა უნდა გარდავქმნათ რევოლუციურად კულტურული რევოლუციის მსვლელობის პროცესში [9].

ლიტერატურაში არსებულ კულტურის მრავალრიცხოვან განმარტებათა შორის არის ერთ-ერთი „ხანდაზმული“ განმარტება, რომელსაც ხშირად აკრიტიკებენ — „აუმჯობესებენ“, მაგრამ ძირითადად მაინც იგივე რჩება.

ამ ფართოდ გავრცელებული დეფინიციის მიხედვით კულტურა არის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია თუ ქმნის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის პროცესში, რომელიც მოიცავს შემოქმედებით მოღვაწეობას ამ ფასეულობათა წარმოების დარგში და მათი გამოყენებისა და გადაცემის საშუალებებს. უფრო ვიწრო გაგებით ლაპარაკობენ მატერიალურ კულტურაზე (ტექნიკა, საწარმოო გამოცდილება, წარმოების პროცესში შექმნილი მატერიალური ფასეულობანი) და სულიერ კულტურაზე (მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ფილოსოფიის, მორალის, განათლების... დარგში სულიერ ფასეულობათა წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებაზე) [10].

აღნიშნული განმარტება უშუალოდ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან გამომდინარეობს და მას ემყარება. თვით კულტურის პირდაპირი განმარტება კი, როგორც ცნობილია, მარქსიზმის კლასიკოსებს არ მოუციათ.

არა გვაქვს აზრთა სრული ერთიანობა იმაშიც, თუ რა შინაარსს გულისხმობენ ისინი კულტურის ცნებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ა. ლუნაჩარსკის აზრი, რომელსაც ხშირად (ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად) იმოწმებენ კულტურული რევოლუციის საბჭოთა მკვლევარები.

„თავისთავად იგულისხმება, — წერდა ა. ვ. ლუნაჩარსკი, — რომ ძირითადი ნიშნებით ლენინის მოძღვრება კულტურაზე იგივეა, რასაც მარქსსა და ენგელსთან ვხვდებით. მათთან კულტურის გაგება მოიცავს არსებითად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმას. უშუალოდ მწარმოებლურის გამო[illegible]ლებით. ცხადია, ეს უკანასკნელიც შეიძლება მივაკუთვნოთ კულტურას, თუ ამ უკანასკნელს უპირისპირებენ ნატურის ცნებას, ე. ი. ბუნებისა და ადამიანისაგან მისი ყოველგვარი შეცვლის გარეშე [11]“ თუ ლუნაჩარსკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ვ. ი. ლენინი კულტურას განიხილავდა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეთა ერთობლიობის გამოხატულებას, კულტურის განვითარება ლენინის თეორიულ მემკვიდრეობაში წარმოდგენი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია როგორც ერთიანი, მთლიანი პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ წარმოებას, თვით ტერმინს „კულტურა" (ლათინურად cultura — დამუშავება) ბელადი, როგორც ცნობილია, სხვა მნიშვნელობით ხმარობდა.

თავის უკანასკნელ სტატიებსა და წერილებში ვ. ი. ლენინმა დაამუშავა სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული გეგმა, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნასთან ერთად ითვალისწინებდა კულტურული რევოლუციის განხორციელებას. „მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების ამოცანა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენს წინაშე დადგა სხვა ამოცანები — კულტურული ამოცანები" [4].

. სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა პრობლემებთან კავშირში და სპეციალურადაც ვ. ი. ლენინი ოქტომბრის შემდეგ ხშირად უბრუნდებოდა კულტურული რევოლუციის ცალკეულ საკითხს, ამუშავებდა ახალი სოციალისტური კულტურის შექმნის გზებს, ფორმებსა და მეთოდებს. სწორედ ამაზე წერს სოციალისტური კულტურის შესანიშნავი თეორეტიკოსი და მშენებელი ა. ვ. ლუნაჩარსკი:

„იგი ამაზე (კულტურული რევოლუციაზე — გ. მ.) განსაკუთრებით ხშირად ლაპარაკობდა უკვე ოქტომბრის შემდეგ. ლაპარაკობდა სახალხო განათლების სხვადასხვა დარგის ყრილობებზე, საჯაროდ, თავის შესანიშნავ სიტყვაში, რომლითაც კომკავშირს მიმართა. ამაზე წერდა სტატიებში, როცა კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა რევოლუციის კულტურული ამოცანების თემას და ამ თემას დიდი ყურადღება დაუთმო ბოლო ფურცლებზე, რომლებიც მისი ხელით არის დაწერილი" [11].

კულტურული რევოლუციის შინაარსი დეფინიციის სახით ისევე, როგორც კულტურის განმარტება, ლენინს არ მოუცია თუმცა ასეთი განმარტებისათვის მის სხვადასხვა ნაშრომში ცალ-ცალკე ყველა კომპონენტია წარმოდგენილი.

კულტურული რევოლუციის შინაარსის, ამოცანების ტემპებისა და მასშტაბების შესახებ ვ. ი. ლენინის უმდიდრესი აზრები მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძველია კულტურული რევოლუციის არსის გახსნისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესასწავლად საბჭოთა ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ კულტურული რევოლუციის არსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთო აზრი დღემდე არ დამკვიდრებულა. ეს კი „მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ლენინის თეორიული მემკვიდრეობის სხვადასხვაგვარ წაკითხვასთან [12]. კულტურული რევოლუციის ცნობილი საბჭოთა მკვლევარის მ. კიმის ამ სიტყვებს შეიძლება დავუმატოთ, რომ აზრთა სხვადასხვაობა მნიშვნელოვანწილად კი არა, უმთავრესად ლენინური თეორიული მემკვიდრეობის სხვადასხვანაირი გაგებიდან გამომდინარეობს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კულტურული რევოლუციის რამდენიმე განმარტებას.

ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში (ხუთტომეული 1964 წ. ტ. 3, გვ. 121) ვკითხულობთ: „კულტურული რევოლუცია არის სოციალისტური და კომუ

ნისტური მშენებლობის შემადგენელი ნაწილი, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ძირეული გარდაქმნა, უმაღლესი საფეხურის — სოციალიზმის და კომუნიზმის კულტურის შექმნა, მშრომელების მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლება. კომუნისტური სულისკვეთებით მათი აღზრდა“.

თითქმის ასეთივე განმარტებაა საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაშიც (1965 წ. ტ. 8, გვ. 279). დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 24, გვ. 37, გამოცემა მეორე) ნათქვამია „კულტურული რევოლუცია არის სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ მომზადებული ნახტომი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის კულტურული ჩამორჩენილობიდან საყოველთაო მაღალი წიგნიერებისაკენ, მრავალრიცხოვანი ახალი, სახალხო სოციალისტური ინტელიგენციის შექმნისაკენ. კულტურულმა რევოლუციამ ასახვა ჰპოვა ახალი, უმაღლესი ტიპის სოციალისტური კულტურის შექმნაში“.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში (ტ. 13 გვ. 507, 1974 წ.) უფრო განსხვავებული განმარტებაა მოცემული.

„კულტურული რევოლუცია საზოგადოების სულიერი გარდაქმნის რევოლუციური პროცესია, სოციალისტური მშენებლობის შემადგენელი ნაწილი, მსოფლიო კულტურის განვითარების უმაღლესი საფეხურის სოციალისტური კულტურის შექმნაა, კულტურული რევოლუცია მიმართულია ყველა მშრომელის კულტურულ-ისტორიული პროცესის სოციალურად აქტიურ მონაწილეებად გადაქცევისაკენ, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისაკენ. კულტურული რევოლუცია სოციალიზმის აშენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა“.

„მეცნიერული კომუნიზმის“ ლექსიკონში კულტურული რევოლუცია ორნაირი გაგებით არის წარმოდგენილი: „კულტურული რევოლუცია კულტურის დარგში ძირეული გარდაქმნებია; რომლებსაც საზოგადოება ახორციელებს სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით. კულტურული რევოლუცია მთავარ მიზნად ისახავს კულტურის სოციალური არსის გარდაქმნას, უმოკლეს ვადაში პირობების შექმნას თავისი ხასიათით ბურჟუაზიული კულტურიდან სოციალისტურ კულტურაზე გადასვლისათვის“.

„ფართო მნიშვნელობით კულტურულ რევოლუციაში გულისხმობენ სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელ პერიოდს. კულტურული რევოლუციის დამთავრება განეკუთვნება სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდს“ [13].

კულტურული რევოლუციის არსის შესახებ ა. არნოლდოვი წერს:

„სოციალისტური კულტურული რევოლუციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ორი ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთ განპირობებული ძირითადი მიზანი: ჯერ ერთი, ახალი სოციალისტური კულტურის შექმნა და მეორე, ხალხთა მასებში ამ კულტურის უაღრესად ფართოდ გავრცელება, მისი მიღწევების გამოყენება კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღსაზრდელად“ [14].

ვ. გორბუნოვი კულტურული რევოლუციის მთავარ მიზნად თვლის „მთლიანად საზოგადოების განვითარების ახალ კულტურულ დონეზე, სულ-

ერი წარმოების ახალ ეტაპზე, ერთი სიტყვით, ახალ სოციალისტურ კულტურაზე გადასვლას [10].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, ისტორიულ და ფილოსოფიურ ენციკლოპედიებში, „მეცნიერული კომუნიზმის“ ლექსიკონში მოცემული განმარტებების ავტორები დგანან იმ თვალსაზრისზე, რომ კულტურული რევოლუცია სსრ კავშირში დამთავრებული არ არის [13] და რომ მის მიზანს შეადგენს სოციალისტური და კომუნისტური კულტურის შექმნა. გავრცელება და მასების კომუნისტური აღზრდა. ა. არნოლდოვის განმარტებით, კულტურული რევოლუციის წინაშე ორი მთავარი მიზანი დგას: ერთი, სოციალისტური კულტურის შექმნა და მეორე, მასებში მისი გავრცელება, და თუ ახალი ადამიანის აღზრდას დავუმატებთ, რომელიც ჩართულია განმარტებაში, მაშინ ავტორს სამი მთავარი მიზანი გამოუდის [16].

საერთოდ, ზემოაღნიშნულ განმარტებებში სწორად არის მითითებული კულტურული რევოლუციის ცალკეულ მხარეზე, მთავარ მიზანზე, ამოცანებზე, მაგრამ მათში გაიგივებულია კულტურული რევოლუციის არსი, მიზანი და ამოცანები, და ამიტომაც ცალ-ცალკე აღებული, როგორც დეფინიცია სრულფასოვანი არცერთი არ არის.

დღეისათვის ლიტერატურაში არსებულ განმარტებათა შორის კულტურული რევოლუციის ძირითად შინაარსს, ლენინური პოზიციიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულყოფილად (თუ მოცულობას არ მივიღებთ მხედველობაში) ასახავს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემა (იხ. ტ. 13, გვ. 597). როდესაც კულტურული რევოლუციის განმარტებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ იგი იმდენად რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომ შეუძლებელია გამოიძებნოს ყოვლისმომცველი განმარტება, რომელიც მოვლენის ყველა მხარეს ასახავდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ რევოლუციაზეა ლაპარაკი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, ანდა თუ გვინდა ეს მოვლენა დეფინიციაში გამოვსახოთ, მაშინ ორივე შემთხვევაში უნდა გამოვყოთ (რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მოკლედ) რევოლუციის უმთავრესი მიზანი. უმთავრესი მიზანი კი შეიძლება ერთი იყოს და არა ორი და სამი (რომელიც განსაზღვრავს მოვლენის არსს და რომლის შესრულებაც თავისთავად გულისხმობს, ითვალისწინებს მასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას.

თუ ასეთი პოზიციიდან მივუდგებით, კულტურული რევოლუცია შეიძლებოდა ასეთი სახით წარმოგვედგინა (რა ქმა უნდა, შეიძლება სრულყოფილი არც ეს განმარტება გამოდგეს):

კულტურული რევოლუცია — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ზოგადი კანონზომიერება — რთული და მრავალმხრივი რევოლუციური პროცესია და მიზნად ისახავს საზოგადოების სულიერი წარმოება-მოხმარების სფეროს ძირეულ გარდაქმნას, სრულიად ახალი, სოციალისტური სახალხო კულტურის შექმნას.

კულტურული რევოლუციის საბჭოთა მკვლევარები, კითხვაზე, თუ რას გულისხმობდა ვ. ი. ლენინი „კულტურულ რევოლუციაში“ ხშირად სხვადასხვა პასუხს იძლევიან.

ცნობილია, რომ კულტურულ რევოლუციას ვ. ი. ლენინი დიდ რევოლუციურ გადატრიალებად თვლიდა. „საჭიროა მთელი გადატრიალება, ხალხის მთელი მასის კულტურული განვითარების მთელი ხანა“ [5] წერდა ვ. ი. ლენინი. ნ. კრუპსკაიას აზრით, „კულტურულ რევოლუციაში“ ვ. ი. ლენინი გულისხმობდა იმას, რომ მასები ერთსულოვანი, ორგანიზებული დაწოლით გაანგრევენ სიბნელისა და უმეცრების კედელს, თან წაიღებენ მათთვის აუცილებელ ცოდნას, მათთვის აუცილებელ ცივილიზაციას [5].

საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისათვის მიეცა, სხვებისათვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად“[6]

ჩვენი აზრით, ვ. ი. ლენინისა და ნ. კრუპსკაიას ამ სიტყვებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „კულტურულ რევოლუციაში“ ვ. ი. ლენინი გულისხმობდა კულტურასა და ხალხს შორის არსებული უფსკრულის მოსპობას, სულიერი მონობიდან და უმეცრებიდან მასების გამოყვანას, მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებისაკენ დიდი ნახტომის გაკეთებას.

ასეთი ნახტომისათვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური წანამძღვრებიც დიდმა ოქტომბერმა მოამზადა, მაგრამ ერთბაშად ასეთი ნახტომის გაკეთება შეუძლებელი იყო. „კულტურული ამოცანა ვერ გადაწყდება ისე სწრაფად, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი. — უნდა შევიგნოთ, რომ წინსვლის პირობები ახლა სულ სხვაა. კრიზისის გამწვავების ხანაში პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება რამდენიმე კვირაში შეიძლება. ომში შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე თვეში, ხოლო კულტურის გამარჯვება ასეთ ვადაში შეუძლებელია [7].

მაინც, დროის რა მონაკვეთში შეიძლება ასეთი ნახტომის მომზადება? კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის მთელი ისტორიული ეპოქაა საჭირო, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ეს ეპოქა, კი ბელადის აზრით, შეიძლებოდა გაგვევლო ერთი-ორი ათეული წლის განმავლობაში [8]. საერთოდ, ტერმინს „კულტურული რევოლუცია“ ვ. ი. ლენინი მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდს უკავშირებდა და ამიტომაც სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ გეგმაში მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

Г. К. МАМРИКИШВИЛИ

## К ВОПРОСУ ОПРЕДЕЛЕНИЯ КУЛЬТУРНОЙ РЕВОЛЮЦИИ

### Резюме

Богатейшие мысли В. И. Ленина о содержании, задачах, темпах и масштабах культурной революции составляют методологическую основу для определения культурной революции, для выяснения ее сущности.

В отличие от существующих определений культурная революция в дефиниции можно было бы представить следующим образом:

Культурная революция — общая закономерность переходного периода от капитализма к социализму — сложный и многосторонний революционный процесс коренного преобразования духовного производства и потребления общества, целью которой является создание новой, социалистической культуры.

На наш взгляд такое определение в основном отражает сущность культурной революции. В нем подчеркивается, что культурная революция обязательная закономерность переходного периода от капитализма к социализму, составная часть социалистического строительства и осуществляется (завершается) в переходном периоде, что культурная революция неразрывно связана с социально-экономическими преобразованиями общества, что в процессе культурной революции осуществляется преобразование всей сферы духовного производства и потребления, в результате чего создается новая, социалистическая культура, а трудящиеся массы превращаются в активных участников культурно-исторического процесса, т. е. становятся не только потребителями духовных ценностей, но и непосредственно их создателями.

## ლიტერატურა


1. ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ. 1, გვ. 185.
2. ვ.ი. ლენინი — თხზ. ტ. 2, გვ. 118.
3. ვ .ი. ლენინი — თხზ. ტ. 10. გვ. 34; ტ. 20, გვ. 292. ტ. 27. გვ. 139—140. ტ. 31 გვ. 380—382.
4. ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ. 33, გვ. 64.
5. ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ. 33, გვ. 555.
6. ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ. 26, გვ. 563.
7. ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ.33, გვ. 73.
8. ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ. 33. გვ. 555.
9. Ион — Проблемы культуры и культурная деятельность. М., 1972. стр. 13.
10. Н. Н. Горбунов — Ленин и социалистическая культура, М., 1972. стр. 25, 125.
11. А. В. Луначарский — Статьи о социалистической культуре, М., 1958. стр. 23.
12. Ленин и социалистическая культура. хроника событии 1917—1923 гг., М., 1972, стр. 6.
13. Научный коммунизм, словарь. 1969. стр. 155.
14. А. Арнольдов — Расцвет культуры—закономерность развития мировой социалистической системы. В книге «Строительство коммунизма и проблемы культуры», М., 1963. стр. 43.
15. Воспоминания о Владимире Ильиче Ленине, т. 2., М., 1956. стр. 455.
16. დ. ჩხიკვიშვილი — ერი, კულტურა, სოციალიზმი, თბ., 1972, გვ. 116.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. Г. МАХАРАДЗЕ

# РОЛЬ ГОСУДАРСТВЕННОЙ СОБСТВЕННОСТИ В КОЛХОЗНОМ ПРОИЗВОДСТВЕ

Народное хозяйство Союза Советских Социалистических республик представляет совокупность предприятий двух основных секторов — государственного и колхозно-кооперативного. Из них по своим количественным и качественным показателям ведущими и определяющими во всем общественном производстве являются предприятия государственного сектора. Предприятия этого сектора: фабрики, заводы, совхозы и т. д. по своим основным и оборотным фондам, производимой валовой и товарной продукции значительно превышают основные и оборотные фонды и производимую валовую и товарную продукцию предприятий колхозно-кооперативного сектора. Так, стоимость всех производительных фондов СССР на 1 января 1970 г. составляла 461 миллиард рублей; из них на колхозы приходилось производительных фондов на 39,9 миллиардов рублей, что составляет всего 8,6 процентов всех производительных фондов. Однако, между этими двумя основными секторами производства, основывающимися на двух различных формах собственности, существует не только количественные, но и качественные различия.

В Советском Союзе социалистическая промышленность представлена в основном предприятиями государственного сектора, в то время как социалистическое сельское хозяйство — предприятиями колхозно-кооперативного и государственного сектора — в виде колхозов и совхозов. Из них наиболее массовыми и распространенными долгое время были колхозы.

Целью колхозного производства, также как и предприятий государственного сектора является наиболее полное удовлетворение постоянно растущих материальных и культурных запросов каждого члена нашего общества путем широкого внедрения и использования в производстве передовой сельскохозяйственной техники, минеральных и органических удобрений, достижений агрономической науки. Колхозное производство, будучи крупным социалистическим производством, развивается на основе закона планового, пропорционального развития народного хозяйства, зара-

нее обдуманных и составленных текущих и перспективных планов, что исключает анархию и конкуренцию в сфере колхозного производства, распределения обращения и потребления.

Таким образом, колхозы, также как и предприятия государственного сектора, развиваются на основе характерных для социализма экономических законов и категорий. В процессе колхозного производства между работниками производства исключаются антагонистические отношения и установлены новые, социалистические отношения. Основой установления новых, социалистических отношений является общенародная и колхозно-кооперативная собственность. Ведущая роль государственной собственности в отношении колхозной собственности выявляется в общенародной собственности всего земельного фонда (22,4 млн. кв. кл.) нашей страны. Следует отметить, что по площади земли Советский Союз занимает первое место в мире и его территория примерно в 3 раза превышает территорию США. Во всем земельном фонде советского государства наиболее высоким удельным весом представлены земли сельскохозяйственного назначения — 1048,5 млн. га. Отсюда на колхозы приходится 357,1 млн. га, т. е. 34,1% всех сельскохозяйственных земель.

Советский Союз благодаря созданию общенародной собственности на землю и крупных сельскохозяйственных предприятий имеет все условия для высокоэффективного использования земли. При этом высокоэффективному использованию земли способствует развитие и рациональное размещение крупных социалистических сельскохозяйственных предприятий на основе заранее составленных планов, плановое снабжение сельскохозяйственной техникой, минеральными и органическими удобрениями, обеспечение высококвалифицированными кадрами, беспрепятственное внедрение достижений науки и использование передового опыта.

Общая площадь земель Грузинской ССР составляет 69,7 тыс. кв. км. Общая площадь сельскохозяйственных предприятий и хозяйств на 1 ноября 1970 г. составляла 4,6 млн. га. Из них на колхозы приходилось 2,0 млн. га, совхозы — 1,0 млн. га, а на личные подсобные хозяйства колхозников и рабочих и служащих — 172,4 тыс. га. Основа социалистической системы землепользования в Грузии была заложена Декретом Грузинского Революционного Комитета от 6 апреля 1921 года.

В деле эффективного использования земель в нашей стране огромное значение имеют закон о землепользовании и экономическая оценка земель. Эти важные вопросы по инициативе партии и правительства разрабатываются в настоящее время. Экономическая оценка земель по их плодородию подразумевает их классификацию и составление земельного кадастра, что вовсе не обуславливает превращения земли в предмет купли-продажи.

Следует отметить, что по фонду земельных угодий, пригодных под сельскохозяйственные культуры, Грузия занимает одно из последних мест

среди отсталых союзных республик, в то время как с точки зрения общего числа населения и его плотности на один кв. км картина совершенно иная. Грузия — это не страна залежных и целинных земель. Здесь, в основном, всегда осваивались земли, пригодные под сельскохозяйственные культуры. Хотя это отнюдь не означало их использование под высокотоварные сельскохозяйственные культуры, дающие большие денежные доходы.

Социалистическая природа колхозов обусловливается не только тем, что они работают на землях государственной собственности, но и тем, что они широко используют производимые государственным сектором сельскохозяйственные машины и орудия, электроэнергию и минеральные удобрения.

Производимая в государственном секторе сельскохозяйственная техника в 1927—1958 годах путем планового распределения концентрировалась в МТС-ах. МТС — это было государственное предприятие, которое на основе заранее заключенного договора планомерно обслуживало колхозы и совхозы.

На протяжении длительного периода колхозного строительства объективная необходимость концентрации сельскохозяйственной техники в МТС обусловливалась как уровнем развития производства сельскохозяйственного машиностроения в государственном секторе, так и экономической мощностью отдельных колхозов. Государство не имело возможности продавать всем колхозам сельскохозяйственную технику: тракторы, комбайны, грузовые автомашины и другие, а у колхозов также не было возможности приобрести эту технику.

Сентябрьский Пленум Центрального Комитета КПСС (7 сентября 1953 года) тогда уже указывал на необходимость дальнейшего укрепления МТС, использование ими хозяйственного расчета. МТС являлись материально-технической базой социалистического сельского хозяйства, которая сыграла важнейшую историческую роль в деле создания и укрепления у нас колхозного производства — технического обслуживания, подготовки кадров, укрепления экономической связи рабочих и крестьян.

Переход техники в колхозную собственность сравнительно снизил качество ее эксплуатации, продлил простой, период т. н. «отдыха». При этом значительно увеличился ее физический износ, что привело к не экономическому использованию орудий производства, а это отрицательно сказалось на экономике колхозного производства в целом, т. к. в себестоимости колхозной продукции значительно увеличился процент износа, амортизации орудий труда.

Реорганизация МТС и продажа сельскохозяйственной техники непосредственно колхозам были осуществлены по решению февральского Пленума Центрального Комитета КПСС (1958 г.).

В результате реорганизации МТС финансовое положение некоторых колхозов ухудшилось. С увеличением расходов в связи с приобретением сельскохозяйственной техники увеличился объем кредитования. Некоторые колхозы страны оказались с просроченными ссудами. Ввиду этого, постановлением от 10 января 1961 года была значительно снижена цена сельскохозяйственной техники, горючего и ремонта техники, рассрочена значительная часть кредита, выданного колхозами, и уменьшен процент как долгосрочных, так и краткосрочных ссуд. А в 1965 году рассроченные ссуды были полностью списаны с колхозов. В указанных постановлениях само-собой видно какое влияние оказала реорганизация МТС на экономику колхозов.

Реорганизация МТС внесла определенные изменения во взаимоотношения промышленности и сельского хозяйства, города и деревни, рабочих и крестьян.

Уровень развития двух основных отраслей народного хозяйства — промышленности и сельского хозяйства в значительной мере зависит от соотношения развития самих этих отраслей. Промышленность призвана обеспечивать крупное социалистическое сельское хозяйство сельскохозяйственными машинами и орудиями, минеральными удобрениями и ядохимикатами для борьбы с вредителями сельского хозяйства, а сельское население — товарами широкого потребления и мелким сельскохозяйственным инвентарем.

Перевод единоличного крестьянского хозяйства на социалистические рельсы, создав возможность использования новейших современных сельскохозяйственных машин и орудий, поставил производство сельскохозяйственных машин и орудий и химическую промышленность перед большими задачами, значительно повысил их роль и значение в сельском хозяйстве.

Таким образом, увеличивая свою потребность в сельскохозяйственной технике и химических удобрениях, крупные сельскохозяйственные предприятия — колхозы и совхозы значительно повышают значение промышленности для сельского хозяйства, переход же на рельсы крупного социалистического сельского хозяйства и повышение уровня механизации и автоматизации, со своей стороны, обусловливают сокращение сельского населения и числа занятых в сельском хозяйстве. Так, если в 1913 г. сельское население нашей страны составляло 131,1 млн. на 1 января 1973 г. оно составляло всего 102,5 млн. душ, в то время как общее число населения нашей страны быстро увеличивалось — со 159,2 млн. в 1913 г. до 208,8 млн. в 1959 г., а на 1 января 1973 г. оно достигло уже 248,8 млн. человек. Согласно семилетнему плану (1959—1965 гг.), объем сельскохозяйственной продукции должен был увеличиться в 1,7 раза, фактически же он увеличился всего на 14% и за эти годы сравнялся примерно с темпом роста населения.

Прирост населения Советского Союза в 1959—1965 гг. составил 11% всего населения нашей страны, что указывает на то, что объем производства сельскохозяйственной продукции на душу населения остался почти без изменения, т. е. не увеличился, что безусловно сказалось на улучшении материальных и культурных условий трудящихся.

Увеличение среднегодового объема валовой продукции сельского хозяйства в 1966—1972 годах (в процентах) по сравнению с 1960—1965 годами в СССР составило 113%, а в Грузии — 108%. В Советском Союзе в 1965—1972 годах валовая продукция сельского хозяйства (в сравнимых ценах 1965 г.) увеличилась с 70,9 млрд. руб. до 83,9 млрд. руб., в то время как в 1961—1964 годах она увеличилась с 64,7 млрд. руб. до 69,5 млрд. рублей. Если в 1958—1964 годах среднегодовая валовая продукция этой отрасли (в сравнимых ценах 1965 г.) составляла 63,8 млрд. руб., в 1965—1972 годах она составляла 80,6 млрд. руб.

Сельское население Грузии в 1921—1972 гг. определенно возросло — с 1936,0 тыс, до 2463,0 тыс., однако по сравнению с 1939 г. оно сократилось на 11 тыс. душ.

За сокращением сельского населения как по всему Союзу, так и в Грузии последовало уменьшение числа людей, занятых в сельском хозяйстве.

На количество сельского населения и число работников, занятых в сельском хозяйстве, влияют не только механизация и автоматизация процессов труда, осуществленные в результате индустриализации страны, но и культурная революция и материальное стимулирование. Не секрет, что в колхозах с низкой оплатой труда (а таких в Грузии не так уж мало), низка трудовая дисциплина — значительная часть членов колхоза, в особенности молодежь, избегает колхозы и ищет работу за пределами села, в городах и промышленных центрах.

Полагаем, что сокращение числа работников, занятых в сельскохозяйственном производстве, будет представлено в неправильном свете если не учесть число работников, занятых в производстве сельскохозяйственной техники и минеральных удобрениях вместе с теми, кто занят в научно-исследовательских учреждениях и учебных институтах, кто принадлежит к городскому населению, но обслуживает сельское хозяйство. Механизация, химизация сельскохозяйственного производства и его ведение на научной основе сокращают количество сельского населения, число занятых в сельском хозяйстве, однако они отнюдь не сокращают в такой же пропорции числа работников, нужных для сельского хозяйства, так как производство сельскохозяйственных машин и минеральных удобрений и подготовка квалифицированных кадров для сельского хозяйства обусловливают рост той части населения городов и промышленных центров, которая обслуживает сельскохозяйственное производство.

Таким образом, сокращение сельского населения и числа занятых в сельском хозяйстве вовсе не означает пропорционального сокращения числа работников сельскохозяйственного производства.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Сокращение сельского населения и числа занятых в сельском хозяйстве в результате механизации и автоматизации производственных процессов должно быть отнесено к прогрессивным явлениям.

Однако, нужно сказать, что на рост или сокращение сельского населения того или иного района или деревни влияют не только вышеуказанные факторы, но и другие факторы не экономического характера. Для подтверждения сказанного достаточно сравнить динамику населения Махарадзевского и Кобулетского районов, находящихся в примерно одинаковых экономических условиях. За последние годы отмечено сокращение населения Махарадзевского района и рост населения Кобулетского района. Следует отметить также рост населения экономически слабого (по сравнению с Махарадзевским), Ахалцихского района. Дело в том, что рост населения Кобулетского района обусловлен не только естественным приростом, но и ежегодным переселением в приморские районы — в Кобулети и Батуми — в среднем 100, 150 семей из горных районов Аджарии (Хулойского, Шуахевского и Кедского). Вообще, приток населения из горных районов в низменные районы и города обусловливается недостаточным количеством земель, пригодных для сельского хозяйства в горных районах и слабым развитием промышленности. Однако, следует всячески способствовать сохранению определенного количества населения в горных районах. Этого по возможности требуют интересы хозяйственного и культурного развития этих районов.

Крупное социалистическое сельское хозяйство создает и увеличивает свой спрос на селькохозяйственную технику и минимальные удобрения и тем самым создает широкий внутренний рынок для социалистической промышленности. Расширение же внутреннего рынка способствует развитию социалистической промышленности и, в частности промышленности сельскохозяйственного машиностроения.

Но с другой стороны индустриализация страны и ее промышленное развитие создают большой и широкий внутренний рынок социалистическому сельскому хозяйству.

В индустриально развитых странах социалистическое сельское хозяйство стоит перед еще более сложными задачами. В условиях сокращения числа работников, занятых в сельском хозяйстве, там должны удостоверяться возросшие требования на сельскохозяйственное сырье и сельскохозяйственные продукты. Например, с общим ростом населения Советского Союза отмечались исключительно высокие темпы роста городского населения. В нашей стране за годы Советской власти были построены тысячи новых городов и промышленных центров, реконструи-

ровано и построено много новых предприятий, учебных и научных учреждений, что значительно увеличило число городского населения. В 1939—1959 гг. за счет естественного прироста городское население увеличилось всего на 8 млн. и примерно на 24—25 млн. — за счет переезда жителей села на постоянное жительство в города. Наряду с этим, рост городского населения обусловлен также превращением крупных сел в города и населенные пункты городского типа. В результате этих мероприятий население городов увеличилось еще на 8 млн.

За 1939—1959 гг. городское население Советского Союза увеличилось на 40,4 млн. душ, т. е. на 39,6%, а с 1959 г. по 1972 г. — на 46,1 млн., т. е. на 46,1%.

Соотношение городского и сельского населения СССР в 1913—1973 годах дает следующую картину.

| | 1913 г. | 1939 г. | 1959 г. | 1973 г. |
|---|---|---|---|---|
| Население всего (млн. ч.) | 159,2 | 190,7 | 208,8 | 236,7 |
| В т. ч.: | | | | |
| городское | 28,1 | 60,4 | 100,0 | 146,1 |
| сельское | 131,1 | 130,3 | 108,8 | 102,5 |
| В процентах | | | | |
| городское | 18, | 32 | 48 | 59 |
| сельское | 82 | 68 | 52 | 41 |

Примерно аналогично изменилось соотношение городского и сельского населения и в Грузии. Так, если по переписи в декабре 1926 г. все население Грузии составляло 2677 тыс., то из них 593 тыс. составляло городское население и 2083 тыс. — сельское. На 1 января 1960 г. население в Грузии составляло 4129 тыс. душ, из них 1749 тыс.—жители городов и 2380 тыс.— население сел. К первому января 1972 г. население республики достигло 4789 тыс., из них городское население составляло 2322 тыс. Сельское — 2467 тыс. Следует отметить, что сельское население Грузии по сравнению с 1939 г. на 1 января 1972 г. сократилось на 11 тыс. Если в 1926 г. городское население составляло 22% всего населения, в 1960 г. оно достигло 42%, а на 1 января 1972 г. — 48%. Если в 1926 г .в Грузии было всего 26 городов, в 1972 г. их число возросло до 151. Также увеличилось число населенных пунктов — с 16 до 51.

Таким образом, как в союзном масштабе, так и в Грузии число потребителей сельскохозяйственных продуктов, в городе возрастает, на селе же оно незначительно сокращается. А это вызывает сокращение числа производителей сельскохозяйственных продуктов и увеличение потребителей. Отмеченное выше изменение в соотношении городского и сельского населения в пользу первого обязывает социалистическое сельское хозяйство систематически увеличивать товарную продукцию, что может быть достигнуто на базе увеличения производства валовой продукции. При оп-

ределении доли товарной продукции в производстве ряда сельскохозяйственных продуктов должны соблюдаться как общегосударственные интересы, так и интересы производителей.

Если социалистическая промышленность — эта крупнейшая и ведущая отрасль народного хозяйства, представлена одним общенародным, государственным сектором, то социалистическое сельское хозяйство — эта вторая крупнейшая отрасль народного хозяйства, представлено в виде двух производственных секторов: 1). государственного и общенародного и 2) колхозно-кооперативного. Рядом с ними важную роль сохраняет за собой личное подсобное хозяйство.

Совхозы сыграли исключительно важную роль в социалистическом преобразовании сельского хозяйства. Со дня формирования на них была возложена задача не только увеличить производство сельскохозяйственной продукции, но и дать развитию сельского хозяйства новое направление. Они должны были показать многомиллионному мелкому крестьянству преимущество крупного социалистического хозяйства перед крупным капиталистическо-кулацким хозяйством с одной стороны и перед мелким единоличным крестьянском хозяйством — с другой. В. И. Ленин в своем выступлении на I съезде работников сельского хозяйства Петроградской губернии в марте 1919 года сказал: «... Советская власть все, что в ее силах, немедленно и безусловно сделает, чтобы помочь такой организации переделать деревенскую жизнь, чтобы не осталось места для кулака, чтобы не было места для спекуляции, чтобы товарищеский общий труд сделался в деревне общим правилом». Эти слова В. И. Ленина были произнесены в адрес тогда еще слабо развитых совхозов, имеющих слабую материально-техническую базу.

Совхозы были и на сегодняшний день остаются примером для колхоза как высокомеханизированные и высокотоварные хозяйства.

Несмотря на это, совхозы на долгое время, как в союзном масштабе, так и в нашей республике, в частности, не стали массовой и господствующей формой хозяйства. Причину этого следует искать не в субъективных явлениях, а в исторических закономерностях и особенностях сельскохозяйственного производства и погребления.

## Литература

1. В. И. Ленин — Соч., т. 29, стр. 22.

2. Народное хозяйство СССР в 1970 г. М., 1971, стр. 61, 288—290.

3. Земельный кадастр СССР, М., 1967.

4. СССР в цифрах в 1972 г., М., 1973, стр. 98.

5. В. Джаошвили — Размещение населения Грузии по высотним зонам. Журн. «Сакартвелос экономисти» (Экономист Грузии), 1961, № 4, стр. 57.
6. П. С. Продъячих — Население СССР. М., 1961, стр. 70.
7. СССР в цифрах в 1967 году. М., 1968, стр. 7.
8. 40 лет Советской Грузии, стат. сборник, Тб., 1961, стр. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მიროტაძე

# მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირების თავისებურებანი

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერება მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში მონაწილე ნივთიერ ფაქტორებს (წარმოების საშუალებანი), იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი წარმოების პროცესში და როგორია მათი მონაწილეობა ღირებულების ფორმირების საქმეში, ძირითად და საბრუნავ ფონდებად ყოფს.

სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, წარმოების ისეთ ძირითად საწარმოო ფონდებთან ერთად, როგორიცაა საწარმოო შენობა-ნაგებობანი, მანქანა-იარაღები, დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა, ძირითადი საწარმოო ფონდების შედგენილობაში შედის აგრეთვე წარმოების ისეთი სპეციფიკური საშუალებანი როგორიცაა: მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და მრავალწლიანი კულტურები.

მრავალწლიანი კულტურების წარმოების ძირითად ფონდებად ფორმირება, ისე როგორც მანქანა-იარაღებისა და ფონდების სხვა შემადგენელი ნაწილებისა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი მიუთითებდა, რომ — „ცხოველები და მცენარეები, რომლებიც ჩვეულებრივად ბუნების პროდუქტებად მიაჩნიათ, ნამდვილად შრომის პროდუქტებია და ისიც არა მარტო გასული წლის შრომისა, არამედ თავიანთი ახლანდელი ფორმებით ისინი წარმოადგენენ იმ განუწყვეტელი გარდაქმნის პროდუქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მრავალთაობათა მანძილზე ადამიანის კონტროლის ქვეშ, ადამიანის შრომის მეშვეობით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირების კანონზომიერებათა შესწავლას, ძირითადი ფონდების სხვა ელემენტებთან მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენას და ამ საფუძველზე ღირებულებისა და ამორტიზაციის ნორმის სწორად განსაზღვრას.

მრავალწლიანი კულტურების ძირითადი საწარმოო ფონდების სხვა შემადგენელ ნაწილებთან არსებითი ნიშნების მიხედვით მსგავსების მიუხედავად

არ შეიძლება არ გამოვყოთ ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებითაც მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირება ხასიათდება. ჩვენი აზრით, ამ თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: პირველი — მრავალწლიანი კულტურები წარმოადგენენ ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებსაც ახასიათებთ ზრდა-განვითარების ბიოლოგიური კანონზომიერებანი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია, როგორც მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდების, აგრეთვე მათი, როგორც ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით. მეორე — განსხვავებით ძირითადი საწარმოო ფონდების სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან, მრავალწლიან კულტურებში, როგორც ძირითად საწარმოო ფონდებში, ერთდროულად არის შერწყმული შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების ფუნქციები. წარმოების პროცესში მონაწილეობის ხანგრძლივობისა და ღირებულების გადაცემის წესის მიხედვით მრავალწლიანი კულტურები მიეკუთვნებიან ძირითად საწარმოო ფონდებს, ხოლო როგორც შრომის ობიექტი, საითკენაც მიმართულია ადამიანის შრომა, წარმოადგენენ შრომის საგნებს.

მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირების პროცესი მოიცავს ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულ და, ამავე დროს, ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულ ზრდა-განვითარების სამ სტადიას:

პირველი სტადია მოიცავს სარგავი მასალის ფორმირებას (სასათბურე და სანერგე მეურნეობის ორგანიზაცია), ჯურებისა და ჯიშების სწორად შერჩევას.

მეორე სტადია იწყება მრავალწლიანი კულტურების ნერგების მუდმივ ადგილზე დარგვიდან, ვიდრე ისინი ექსპლოატაციაში შევიდოდნენ; არსებითად ამ სტადიაზე მიმდინარეობს მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირება. მეორე სტადიის ხანგრძლივობა განსხვავდება ცალკეული კულტურების, ჯურებისა და ჯიშების მიხედვით.

მესამე სტადია იწყება მრავალწლიანი კულტურების ნარგაობათა ექსპლოატაციაში შესვლიდან მათი სიცოცხლის დასასრულამდე. მაშასადამე, ფაქტიურად მესამე სტადიით იწყება მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდებში გადასვლა და საწარმოო ფუნქციონირება.

როგორც ვხედავთ, მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირებას ესაჭიროება საკმაოდ დიდი დრო, რაც ცალკეული კულტურებისა და ჯიშების მიხედვით, საშუალოდ 5—10 და უფრო მეტ წლამდე გრძელდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის, როგორც ძირითადი ფონდების თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მათი ფონდებში გადასვლის შედეგად გრძელდება ზრდა-განვითარების ბიოლოგიური სტადიები, რაც გავლენას ახდენს მათ გამოყენებაზე.

პროფ. ე. ს. კანჩერი, რომელიც იზიარებს უცხოელ და საბჭოთა მკვლევარების მონაცემებს მრავალწლიანი კულტურების სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მოსავლიანობის სტადიურობის კანონზომიერებათა შესახებ, თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომში — „აღრიცხვა, ამორტიზაცია და მრავალწლიანი კულტურების შეფასება“, მრავალწლიან კულტურებს სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მოსავლიანობის მიხედვით შემდეგ პერიოდებად ჰყოფს (ცხრ. 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროფ. ე ს. კანჩერს მრავალწლიანი კულტურების განვითარება, სიცოცხლის ხანგრძლივობა და მოსავლიანობა ხუთ პერიოდად აქვს დაყოფილი. აქედან საწყისი პერიოდია „0“ — ეს ის პერიოდია, როდესაც მრავალწლიანი კულტურები მოსავალს არ იძლევიან „0“ პერიოდის შემდეგ იწყება მოსავლიანობის პერიოდი, რომელიც თავის მხრივ ოთხ პერიოდად იყოფა. აქედან I—II—III პერიოდში მოსავლიანობა თანდათანობით იზრდება, ხოლო IV პერიოდიდან დაწყებული, მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მცირდება.

ცხრილი 1

ზოგიერთი მრავალწლიანი კულტურის სიცოცხლის ხანგრძლივობა და მოსავლიანობის პერიოდები (წწ-ით)

| | სიცოცხლის ხანგრძლივობა | 0 | მოსავლიანობის პერიოდები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV |
| ვაშლი | 50—60 | 1—9 | 10—19 | 20—27 | 28—48 | 49—58 |
| მსხალი | 60—70 | 1—7 | 8—21 | 22—28 | 29—58 | 59—65 |
| ვენახი | 60—80 | 1—5 | 6—11 | 12—24 | 25—43 | 42—50 |
| ქლიავი | 20—25 | 1—4 | 5—11 | 12—15 | 16—24 | 25—28 |
| ალუბალი | 25—30 | 1—4 | 5—12 | 13—15 | 16—25 | 26—30 |

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ს. მ. ჩოლოყაშვილმა ამიერკავკასიის, მათ შორის საქართველოს სსრ, პირობებისათვის შეისწავლა მრავალწლიანი კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის ცვალებადობის კანონზომიერებანი. პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილის მონაცემები არსებითად ემთხვევა პროფ. ე. ს. კანჩერის, ა. ი. კონიკუოვისა და სხვა მკვლევარების მონაცემებს.

პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილის მიხედვით, მრავალწლიანი კულტურების სიცოცხლის ხანგრძლივობის პირველ პერიოდს 21—23% უკავია; მეორე — 16—19%; მესამეს — 44—49%, მეოთხეს — 19—21%.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი ინსტიტუტის მონაცემების, აგრეთვე თავისი გამოკვლევის საფუძველზე, პროფ. ო. ტატიშვილი იძლევა მრავალწლიანი კულტურების ხანგრძლივობის ექსპლოატაციაში შესვლისა და ამორტიზაციის ნორმის შემდეგ უფრო სრულყოფილ ვარიანტს (ცხრ. 2).

მართალია, მრავალწლიანი კულტურების სიცოცხლის ხანგრძლივობა და ექსპლოატაციის პერიოდი, აგრეთვე ამორტიზაციის ნორმა, აქ უფრო სრულყოფილად არის მოცემული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით საბოლოოდ ყველაფერი გაკეთებულია. საქმე იმაშია, რომ საწარმოო ძალ-

ცხრილი 2

| | რომელი წლიდან შედის ექსპლოატაციაში | საექსპლოატაციო წლების რაოდენობა | ამორტიზაციის წლიური ანარიცხი (%) |
|---|---|---|---|
| ვენახი დაბლარი, ნამყენი ნერგით გაშენებული | მე-5 წლიდან | 30 – 40 | 3,3 — 2,5 |
| ვენახი საკუთარ ძირზე გაშენებული | „ | 20 — 25 | 5 — 4 |
| ვენახი მაღლარი, ნამყენი ნერგით გაშენებული | „ | 50 | 2.0 |
| ვენახი მაღლარი, საკუთარ ძირზე გაშენებული | „ | 50 | 2,0 |
| ხეხილი თესლოვანი | 9. წ. | 30 – 40 | 3,3 — 2,5 |
| კურკოვანები მ. შ. | | | |
| ბალი | 7. წ. | 25 — 30 | 4 — 3.3 |
| ქლიავი | „ | 25 | 4.0 |
| ატამი | 5. წ. | 15 | 6,7 |
| ჩაის პლანტაცია | 5. წ. | 40 — 50 | 2,5 — 2,0 |

თა განვითარების კვალობაზე იცვლება წარმოების საშუალებათა, ამ შემთხვევაში, მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები, ამიტომ საჭიროა ცალკეული კულტურების, ჯურებისა და ჯიშების, გაშენების წესის და სხვა საკითხების უფრო დაწვრილებით შესწავლა თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე მრავალწლიანი კულტურების მოვლა-გაშენების ახალი პროგრესული ღონისძიებების გათვალისწინებით და ამ საფუძველზე მრავალწლიანი კულტურების ღირებულებისა და ამორტიზაციის ნორმის უფრო სწორად დადგენა.

**მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად ფონდებად ფორმირების ხარჯები.** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში მრავალწლიანი კულტურებს ნარგაობის დიდი ეკონომიური მნიშვნელობის მიუხედავად, 1967 წლამდე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით კოლმეურნეობებში, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მრავალწლიანი ნარგაობის ღირებულების და ამორტიზაციის საკითხების შესწავლას, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენდა მათი ღირებულებისა და ამორტიზაციის სწორად განსაზღვრაზე.

მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირების ხარჯებს ამახინჯებს ის არასწორი პრაქტიკაც, რომ ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა ნარგაობის მოვლა-გამოზრდის ხარჯებს, განსაკუთრებით, ნაწილობრივი მოსავლიანობის დაწყებიდან მთლიანად მიმდინარე დანახარჯების კატეგორიას მიაკუთვნებენ და შეაქვთ იმავე სამეურნეო წელს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში. წარმოების დანახარჯების ასეთი არასწორად განაწილების შედეგად ხელოვნურად იზრდება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და ხელოვნურადვე მცირდება მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის მოვლა-აღზრდის (ფორმირების) ფაქტიური დანახარ-

ჯები, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ამცირებს მათ საბალანსო ღირებულებას. მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდების ფორმირების ხარჯების განსაზღვრის შესახებ პროფ. ვ. პაპუნიძე აღნიშნავს (ჩვენც ამ აზრს ვიზიარებთ) — „ხარჯები, რომელიც გაწეულია არასრულმოსავლიან პლანტაციებში და ისინი უნდა მიეკუთვნონ კაპიტალდაბანდებებს და შევიდეს მის საბალანსო ღირებულებაში, ჩათვლილია მიმდინარე წლის საწარმოო დანახარჯებში, რაც ხელოვნურად ზრდის ჩაის ფოთლის თვითღირებულებას“.

არასრულმოსავლიანი ნარგაობიდან მიღებული მოსავლის ხარჯები უნდა განისაზღვროს არა ფიზიკური, არამედ მათი სრულმსხმოიარე ასაკში გადაყვანის წესით, ასე მაგალითად, თუ არასრულმოსავლიანი ნარგაობა მესამე წელს იძლევა სრულმოსავლიანი ნარგაობის მოსავლის 15%, მაშინ დანახარჯების 15% მას უნდა დაეწეროს, ხოლო 85% ფორმირების ხარჯებს და შევიდეს კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯებში, ე. ი. მათ საბალანსო ღირებულებაში.

მრავალწლიანი კულტურების ძირითად ფონდებიდან ფორმირების ხარჯების არასწორად განსაზღვრის გამო დიდი განსხვავებაა 1 ჰა ერთი და იმავე ჯიშის მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის საბალანსო ღირებულებაში არა მარტო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ცალკეული ზონების, არამედ ზონებს შიგნით კოლმეურნეობებს შორის. ასე მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის კოლმეურნეობაში 1973 წელს სრულმსხმოიარობაში შესული 1 ჰა ვენახის საბალანსო ღირებულება 2154 მანეთს უდრის, ხოლო მოსაზღვრედ მდებარე ჰაბუკიანის კოლმეურნეობაში — 1200 მანეთს.

მცხეთის რაიონის მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში 1972 წ. სრულმსხმოიარობაში შევიდა ვაზიანის უბნის 6,5 ჰა ვენახი და 1 ჰა ნარგაობის ღირებულება 6787 მან. უდრიდა, ხოლო ხეხილის ნარგაობის (ძირითადად ვაშლის ნარგაობა 8X8) — 2673 მან.

გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში 1960, 1961, 1962 წლებში გაშენებული ვაშლის ბაღები (ძირითადად შერეული ნარგაობა 10 X 8 ან 8 X 8) სრულმსხმოიარობაში გადაყვანილ იქნან 1973, 1974 წლებში. საშუალოდ 1 ჰა ნარგაობის საბალანსო ღირებულება 1150 მანეთს უდრის. ამავე რაიონის სოფელ მერეთის ი. მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში 1973, 1974 წლებში მსხმოიარობაში შესული 1 ჰა ვაშლის ბაღის საბალანსო ღირებულება 2000 მან. უდრის. მახარაძის რაიონში 1973 წელს სრულმსხმოიარობაში შესული 1 ჰა ჩაის პლანტაციის ფორმირებაზე დაიხარჯა: სოფელ გურიანთის კოლმეურნეობაში — 4055 მან. სოფელ ბაღდათის კოლმეურნეობაში — 5626 მან. სოფელ ლაშის კოლმეურნეობაში — 4481 მან., სოფელ ექადის კოლმეურნეობაში — 5500 მან. ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში 1973 წ. ექსპლოატაციაში გადაყვანილი 1 ჰა ჩაის პლანტაციის საბალანსო ღირებულება 6203 მან. უდრიდა.

მრავალწლიანი კულტურების საბალანსო ღირებულებაში (1 ჰა) ასეთი დიდი სხვაობის ზემოაღნიშნულ მიზეზებს ისიც ემატება, რომ ზოგჯერ მათი სრულმსხმოიარობაში გადაყვანის ასაკი არასწორად განისაზღვრება. ასე, მაგა-

ლითად, გორის რაიონის კოლმეურნეობებში აშენებენ ვაშლის შე[illegible]ებს (სინაპი. შამპანური. რენეტი. ბანანი, კეხურა და სხვა), მაგრამ იმ[illegible]რომ კეხურა ჯიში სრულმსხმოიარობაში მე-13, მე-14 წელს შედის [illegible] ობაც მე-13, მე-14 წელს გადაყავთ სრულმსხმოიარობაში, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის და ზრდის 1 ჰა ნარგაობის ფორმირების ხარჯებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებში მრავალწლიანი კულტურების ღირებულების არასწორად გაანგარიშების პრაქტიკა არ შეესაბამებოდა გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მოთხოვნებს, ამახინჯებდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებასა და საერთო უარყოფით გავლენას ახდენდა კოლმეურნეობების ეკონომიკაზე. ამიტომ მრავალწლიანი კულტურების მიმართულების კოლმეურნეობებში წარმოების დანახარჯების, პროდუქციის თვითღირებულების, დარგებისა და კულტურების რენტაბელობის, შრომისნაყოფიერებისა და ძირითადი საწარმოო ფონდების სწორად განსაზღვრისათვის აუცილებელი იყო კოლმეურნეობებში ძირითადი საწარმოო ფონდების პირველ რიგში, მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ღირებულების გადაფასების ღონისძიების გატარება.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირში, პირველად, მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ღირებულების გადაფასების დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩაატარა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა.

ჩვენ, არსებითად ვიზიარებთ რა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდიკის ძირითად დებულებებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრებანი მრავალწლიანი კულტურების ღირებულებისა და ამორტიზაციის ნორმის სწორად განსაზღვრის სპეციფიკური თავისებურებების შესახებ.

რა თქმა უნდა, მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის, როგორც ადამიანის შრომის პროდუქტების, ღირებულება განისაზღვრება იმ შრომითი და მატერიალური დანახარჯების ჯამით, რაც საზოგადოებრივად აუცილებელია მათი წარმოებისათვის ექსპლოატაციაში შესვლამდე და რომლის მიხედვითაც უნდა წარმოებდეს მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ბალანსზე აღრიცხვა.

ღირებულების განსაზღვრის საყოველთაოდ ცნობილი ამ მარქსისტული დებულების მიუხედავად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს წარმოების დანახარჯების სწორად აღრიცხვა-განაწილებაში, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებში საკუთარი წარმოების საშუალებანი (ამ შემთხვევაში სარგავი მასალა, ნაკელი და სხვა საშუალებანი) კვლავწარმოების პროცესში უმეტეს შემთხვევაში თვითღირებულების და არა ღირებულების მიხედვით მონაწილეობენ, ამიტომ მრავალწლიანი კულტურების ნარგაობაც არასრული ღირებულებით აღირიცხება კოლმეურნეობის ბალანსზე, მაშინ როცა როგორც წესი, ძირითადი ფონდების სხვა ელემენტები ღირებულების მიხედვით აღირიცხებიან საწარმოთა ბალანსზე. მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის, როგორც ძი-

რითადი ფონდების შემადგენელი ელემენტის, მიმართ, ასეთი „გამონაკლისს“ არავითარი საფუძველი არ აქვს. სწორედ ამაზე მიუთითებს კ. მარქსის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ საკუთარი წარმოების საშუალებანიც კვლავწარმოების პროცესში საქონლის სახით, ე. ი. სრული ღირებულებით, მონაწილეობენ, — „რამდენადაც მიწათმოქმედება აწარმოებს ბაზრისათვის, აწარმოებს საქონელს, საგნებს გასასყიდლად და არა საკუთარი მოხმარებისათვის, — იგი ანგარიშობს თავის ხარჯებს და განიხილავს ამ ხარჯების ყოველ მუხლს, როგორც საქონელს, იმის მიუხედავად, თავისთავისაგან (ე. ი. თავის წარმოებაში) ყიდულობს იგი ამ საგანს თუ მესამე პირისაგან. იმავე ზომით, რითაც პროდუქტები საქონლად იქცევიან, ბუნებრივია, საქონლად იქცევიან აგრეთვე წარმოების ელემენტებიც, რადგან ეს ელემენტები სოულიად ისეთსავე პროდუქტებს წარმოადგენენ“ [1].

ჩვენ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ შიგასამეურნეო მოხმარებისათვის გამოყენებული საკუთარი წარმოების პროდუქტები სახელმწიფო შესყიდვის ან ჩაბარების ფასების მიხედვით შეფასდეს. ეს გამართლებული იქნება, როგორც თეორიული, ისე სამეურნეო პრაქტიკული თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში პროდუქციის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების კატეგორიას სახელმწიფო შესყიდვისა და დამზადების ფასები უფრო შეესატყვისება, ვიდრე ცალკეულ საწარმოთა, ამ შემთხვევაში კოლმეურნეობების, ინდივიდუალური დანახარჯები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოლმეურნეობებში მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის კვლავწარმოების პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის აუცილებლად მიგვაჩნია მათი ფორმირებისათვის გამოყენებული საკუთარი წარმოების საშუალებანი შეფასდეს სახელმწიფო შესყიდვის ან დამზადების ფასებში. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ძირითადი საწარმოო ფონდების ბალანსზე აღრიცხვა მოხდეს ღირებულების მიხედვით, როგორც ეს წარმოებს სხვა სოციალისტურ საწარმოებში.

განსხვავებით წარმოების სხვა ძირითადი ფონდებისაგან, მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის (როგორც ძირითადი ფონდების) ფორმირების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ექსპლოატაციაში შესვლამდე მათი გაშენებისათვის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დროებით „კარგავენ“ იმ მოსალოდნელ შემოსავალს, რომლის მიღება შესაძლებელი იყო მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის გამოყენებულ მიწის ფართობიდან. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მრავალწლიანი კულტურების გაშენებით გამოწვეული შემოსავლის დროებით შემცირების კომპენსაცია მოხდეს იმის მიხედვით, რა რაოდენობის წმინდა შემოსავალს იძლეოდა აღნიშნული მიწის ფართობი და იგი მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის წარმოების ხარჯებში უნდა იქნეს შეტანილი. ფაქტიურად აღნიშნული შემოსავლის შემცირება ხომ მრავალწლიანი კულტურების გაშენებით და არა სხვა მიზეზებითაა გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია მრავალწლიანი კულტურების რიგთაშორისების ბოსტნეულ-ბაღჩეული ან სხვა ერთწლიანი კულტურების ქვეშ გამოყენება და ამ გზით მოსალოდნელი „დანაკარგების“ ანაზღაურება, რადგან ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება აგროწესებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების დროულად და მაღალ-

ხარისხოვნად შესრულება, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდა ნარგაობის ფორმირებაზე.

შემდეგი თავისებურება, რომელიც არსებითად მებაღეობის კულტურებს (ძირითადად ვაშლი, მსხალი) ეხება, ეს არის მეწლეობა, რომელიც პერიოდულად ყოველ მეორე წელს მეორდება. ამიტომ ხეხილოვანი კულტურების საექსპლოატაციო ასაკი (მოსავლიანი წლების მიხედვით) ფაქტიურ სიცოცხლის ასაკთან შედარებით 1,5—2,0-ჯერ ნაკლებია. ეს უკანასკნელი გათვალისწინებული უნდა იქნეს ამორტიზაციის ნორმის გაანგარიშების დროს, რაც ჯერჯერობით მხედველობაში არ არის მიღებული.

ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებიდან მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ბალანსზე ღირებულების და არა თვითღირებულების მიხედვით აღრიცხვის აუცილებლობაზე, მათ გასაშენებლად გამოყენებული მიწებიდან მოსალოდნელი შემოსავლის ძირითადი ფონდების ფორმირების ხარჯებში შეტანისა და აგრეთვე მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის ამორტიზაციის სახსრების წინასწარი გამოყოფის, მორალური ცვეთის გავლენის გათვალისწინებისა და მებაღეობაში მეწლეობის გავლენის შესახებ საფუძველს იძლევიან მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის გადაფასება და ამორტიზაციის ნორმების გადასინჯვა ჩატარდეს პერიოდულად. ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, კოლმეურნეობებში ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოების პროცესის ნორმალურად წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია მრავალწლიანი კულტურების პერიოდული გადაფასება. ამრიგად, მრავალწლიანი კულტურების ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირება და მათი ღირებულების წარმოქმნა, ძირითადი საწარმოო ფონდების ტექნიკური ნაწილისაგან განსხვავებით, რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მრავალწლიანი კულტურების (როგორც ძირითადი საწარმოო ფონდები) ეკონომიური ეფექტიანობის ანალიზისა და მისი ამაღლების სწორი ღონისძიების შემუშავებისათვის.

К. А. МИРОТАДЗЕ

## ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ МНОГОЛЕТНИХ НАСАЖДЕНИЙ В ОСНОВНЫЕ ПРОИЗВОДСТВЕННЫЕ ФОНДЫ

### Резюме

В экономике колхозов Грузинской ССР ведущее место занимают также отрасли сельского хозяйства, как чаеводство, виноградарство, садоводство и цитрусоводство.

Достаточно сказать, что в валовой и товарной продукции сельского хозяйства колхозов на продукции этих отраслей соответственно приходится 46%—60%. А в структуре основных производственных фондов сельскохозяйственного назначения удельный вес многолетних культур, как основных производственных фондов, составляет в средем более 45%.

Учитывая большой удельный вес многолетних культур в производственных фондах колхозов, в работе освещены вопросы особенностей формирования многолетних культур в основные производственные фонды, а также определения производственных издержек посадки и выращивания 1 га насаждения (балансовая стоимость).

Многолетние культуры, как основные производственные фонды значительно различаются от других средств производства, входящих в состав основных производственных фондов. Эти различия в основном определяются биологическими особенностями развития и формирования многолетних культур, среди которых необходимо отметить: Во-первых, формирование многолетних культур в основные производственные фонды требуют значительно длительный период времени, в среднем 5—10, который делится на три стадии:

**Первая стадия** включает период подбора пород, организация тепличного и питомнического хозяйства, а также выращивание посадочного материала.

**Вторая стадия** начинается с посадки саженцев на постоянные земельные участки, и длится до вступления их в плодоносящий возраст.

**Третья стадия** начинается с периода вступления многолетних культур в полное плодоношение до конца эксплуатационного периода.

Во-вторых, для выращивания и формирования многолетних культур отводятся сельскохозяйственные угодья, от которых до этого колхозы и совхозы ежегодно получали определенную продукцию и чистый доход. В связи с этим, до вступления многолетних культур в полное плодоношение в хозяйствах сокращается соответствующий чистый доход.

В-третьих, природно-экономические условия (почва, рельеф, климат, породный состав, порядок посадки культур и т. д.), для посадки и выращивания многолетних культур значительно различаются по зонам производственной специализации и поэтому большая разница в издержках производства (балансовая стоимость) 1 га насаждений. На разницу балансовой стоимости также влияет порядок оценки средств труда собственного производства колхозов, использованных для выращивания многолетних культур (посадочный материал, навоз и т. д.). Исследование показывает, что в колхозах средства собственного производства, использованные внутри хозяйства, чаще всего оцениваются по себестоимости, когда как правила, в воспроизводстве средства производства должны участвовать по стоимости.

В-четвертых, следующая особенность многолетних культур, которая влияет на уровень эффективности производства в том числе основных производственных фондов, является то, что для них характерна стадийность урожая и изреженность насаждений.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

По данным Е. С. Канчера и С. М. Челекаева выделяются четыре стадии, по которым урожайность многолетних культур колеблется.

На первой и второй стадиях урожайность постепенно повышается, на третьей стадии достигает максимума (и более стабильный), а с четвертого периода урожайность постепенно понижается [6].

В-пятых, особенность многолетних, как основные производственные фонды, заключается в том, что в них одновременно сочетаются функции средств труда и предметов труда.

Все эти особенности многолетних насаждений, как сельскохозяйственных культур, и основных производственных фондов влияют на эффективность общественного производства колхозов и должны быть учтены при анализе эффективности использования основных производственных фондов.

Исходя из вышеизложенного, в работе поставлены предложения, которые будут способствовать правильному определению балансовой стоимости, норм амортизации, а также определения эффективности использования основных производственных фондов в колхозах с большим удельным весом многолетних культур. Например:

**первое** — временное сокращение чистого дохода от сельскохозяйственных угодий, отведенных для выращивания многолетних культур, необходимо включить в издержки их выращивания;

**второе** — средства собственного производства участвующие в воспроизводстве, в данном случае посадочный материал, навоз и т. д., более правильно оценивать по государственным закупочным или сдаточным ценам, а не по себестоимости;

**третье** — для своевременной ликвидации изреженности многолетних культур из амортизационного фонда следует выделить специальный фонд для этой цели;

**четвертое** — периодически проводить переоценку многолетних культур, как основных производственных фондов так, как это проводится по отношению технической части фондов, и вносить соответствующие коррективы в балансовую стоимость и нормы амортизации многолетних культур.

## ლიტერატურა


1. კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. 1, გვ.232, თბ., 1954.
2. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები (კაპიტალი IV ტომი). ნაწ. II, გვ. 69, თბ., 1969.

3. ო. ტატიშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების ეკონომიკის ძირითადი პრობლემები. გვ. 203, 1973.
4. გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 16 მაისი 1973
5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, გვ. 87, 101, 1961.
6. Е. С. Канчар, Учет. амортизация и оценка многолетних культур». 1931.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. თელია

# საადგილმამულო კრედიტი ქუთაისის გუბერნიაში

საქართველოში საადგილმამულო ბანკების დაარსების იდეა საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში ჩაისახა, მისი პირველი ინიციატორი — თავადაზნაურობის იდეოლოგი და ქომაგი — დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი იყო. მას ამ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობა ეკავა და ბუნებრივია, მის მთავარ საზრუნავს ყმების განთავისუფლების შემდეგ, უმწეო მდგომარეობაში ჩაცვენილი „ბრწყინვალე წოდების“ გადარჩენა წარმოადგენდა. იგი შეეცადა შეემუშავებინა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტი, ბევრი იმუშავა კიდევ მასზე, პროექტის რამდენიმე ვარიანტიც შეადგინა, მაგრამ შემდეგში თვითონვე, დარწმუნდა მის მიერ გააზრებულ ბანკის წესდების პროექტის პრაქტიკულ უვარგისობაში და ბოლოს საერთოდ ხელი აიღო ამ საქმეზე. 70-იან წლებში ბანკის დაარსების საკითხით დაინტერესდნენ ქართველი სამოციანელები, კერძოდ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ბ. ღოღობერიძე.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტის შედგენა ქუთაისის ბანკის დამწესებლებმა ბესარიონ ღოღობერიძეს დაავალეს, მან ბევრი წინააღმდეგობისა და უსიამოვნების მიუხედავად, შეასრულა ეს დავალება და 1873 წლის 25 იანვარს, მის მიერ შედგენილი ბანკის წესდების პროექტი თავადაზნაურთა კრებას მიაღებინა, ხოლო 1875 წლის 10 დეკემბერს იგი მთავრობამ დაამტკიცა. 1876 წლის იანვრიდან გაზ. „დროება“ იწყებს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წესდების გამოქვეყნებას.

1876 წლის 10 ოქტომბერს, ქუთაისში გაიხსნა გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია ბესარიონ ღოღობერიძე, დირექტორებად ნ. დადიანი და დ. ერისთავი.

ქუთაისის ბანკის წესდება, ძირითადად თბილისის, ამავე ტიპის ბანკის წესდების საფუძველზე იყო შემუშავებული, ორივე ბანკის წესდებებს კი საფუძვლად ედო ხერსონისა და ხარკოვის საადგილმამულო ბანკების წესდების მუხლები, მაგრამ ქართული ბანკების წესდებები ძირითადად გამოხატავდნენ ადგილობრივ პირობებსა და ხალხთა ჩვევებს. მათში ზოგიერთი ისეთი მუხლი იყო შეტანილი, რომლის მსგავსი არც ერთი რუსული ბანკების წესდე-

ბეზში არ მოიძებნებოდა. ილია ჭავჭავაძე 1902 წელს პროკპაუზის ლექსიკო-ნისათვის დაწერილ თავის ავტობიოგრაფიაში შემდეგნაირად გაახასიათა საქართველოს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების თავისებურებებს „მათი [illegible]-ლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებიდან განარჩევს, ის არის, რომ ბანკების მოგება იმის გარდა, რაც სხვა-დასავსე თანხებს უნდა მიემატოს; ხმარდება არა მარტო მიწათმფლობელთა, ე. ი. თავადაზნაურობას, არამედ მიწათმოქმედთა საჭიროებასაც. ამ მხრივ თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთივე ერთ-ეთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წეს-დებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესები. მოგების სარგებლო-ბა ხდება საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსად თბილისის საადგილმამულო ბანკებისა ქუთაისის ბანკის წესდე-ბაშიც გათვალისწინებული იყო სპეციალური პარაგრაფი, რომლის ძალით იქ-მნებოდა საზოგადოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებელი ფონდები, რო-მელიც წმინდა მოგების 60%-შეადგენდა.

როგორც თბილისის, ისე ქუთაისის საადგილმამულო ბანკები წმინდა წოდებრივი ხასიათისა იყვნენ. ისინი ბანკის დამფუძნებელ თავადაზნაურთა საკუთრებას შეადგენდნენ, რადგან ბანკების დაარსებისათვის საჭირო თავდაპირ-ველი კაპიტალი თავადაზნაურთა შემონატანი იყო, იმ ფულის 10%-ს რაოდე-ნობით, რაც მათ მიიღეს მთავრობიდან ყმების განთავისუფლების გასამრჯელოდ. ქუთაისში ამ გზით შეგროვილმა ბანკის ძირითადმა კაპიტალმა 400 000 მანეთს გადააჭარბა, მაგრამ მსესხებელთა მოთხოვნა სასესხო კაპიტალზე, და-საწყისშივე რამდენჯერმე აღემატებოდა ამ თავდაპირველ კაპიტალს, ამიტომ ბუნებრივია, ქუთაისის ბანკს ნაღდი ფულის გაცემა სესხად არ შეეძლო. ერთ-ადერთ საშუალებას, რითაც ბანკი დააკმაყოფილებდა მსესხელებს, წარმოად-გენდა სესხის გაცემა სავირაო ფურცლებით საიმედო გირაოს უზრუნველყო-ფით. წესდებით ბანკები გირაოდ ღებულობდნენ სახნავ-სათეს მამულებს, ხე-ხილის ბაღებს, ვენახებს, ყმების დასახლებულ და დაუსახლებელ მამულებს, ქვის შენობებს, წისქვილებს, დუქნებს და ძვირფას ნივთებს. მსესხებლებს სესხი ეძლეოდათ ამ გირაოს დაფასების 60% სოფლის მამულებზე, ხოლო 50% ქალაქის ქონებაზე.

დასაწყისში ქუთაისის ბანკის საკრედიტო ოპერაციები დამაკმაყოფილებ-ლად მიდიოდა, მაგრამ იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1879 წლის მარტში, გულის ნევროზით გარდაიცვალა ამ ბანკის გამგებელი ბესარიონ ღოღობერიძე. მისი მმართველობის პერიოდში ბანკმა სასურველ შედეგებს მიაღწია. ბანკის აქტივი 1876 წელს 436.319 მანეთიდან გაიზარდა 1879 წლის 1 იანვრისათ-ვის 1,057.571 მანეთამდე. მიღებული მოგებიდან 44375 მანეთი გადაიდო საზო-გადო საჭიროებისათვის. ბანკმა გასცა სესხი ამ პერიოდში სოფლის მამულე-ბის გირაოთი 315 200 მანეთი, ქალაქის მამულებისა და უძრავი ქონების გი-რაოთი 134 705 მანეთი, სხვადასხვა ბანკებში შენახული ჰქონდა ნაღდი ფუ-ლი 103 789 მანეთი, რომლისგანაც ღებულობდა სარგებელს.

ბ. ღოღობერიძის გარდაცვალებამ დიდი არევ-დარევა შეიტანა ბანკის მუ-შაობის ნორმალურ მსვლელობაში, იწყება ბრძოლა ბანკის დამფუძნებელ ახალგაზრდა თავადებს შორის, ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებო-

ბის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ბესარიონის ბიძაშვილი ნიკოლოზ ლოლობერიძე იმარჯვებს, ხოლო ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის [illegible] მისი კარგი მეგობარი ალექსანდრე ფიფინაშვილი იკავებს, და აქედან [illegible] ბანკის თვითნებურად მართვა, წესდების უხეში დარღვევები, ძმაბიჭების სესხის გაცემა, დამფასებელი კომისიის უკანონო მოქმედება და ბოროტმოქმედება.! [illegible] ნ. ლოლობერიძე და ა. ფიფინაშვილი ბანკის საქმეების წარმართვაში,' როგორც საკუთარ სახლში. ამის შესახებ მიუთითებდა გაზეთი „შრომა“ „ნიკო ლოლობერიძე აწარმოებს სააღგილმამულო ბანკის საქმეს. ისე, როგორც მისი ქეიფია და არა ისე, როგორც მოვალეა მთავრობიდან დამტკიცებული წესდების ძალით.“ ბანკის უთავბოლო ხელმძღვანელობამ დასცა ბანკის ავტორიტეტი, სახელი გაუტეხა მის მოქმედებას, ბანკის საქმე სულ უკან მიდიოდა, დაეცა ბირჟაზე ქუთაისის სააღგილმამულო ბანკის გირაოს ფურცლების ფასი 82—84 პროცენტამდე, ბანკს აშკარა დაღუპვა ემუქრებოდა, გამგეობის წევრებმა წინადადება მისცეს ნ. ლოლობერიძეს ხელი აეღო ბანკის მმართველის თანამდებობაზე.

ნ. ლოლობერიძე არ დათანხმდა ბანკის გამგეობის ამ წინადადებას და ყოველ მხრივ ცდილობდა შეენარჩუნებინა თანამდებობა მომავალ არჩევნებამდე. ნ. ლოლობერიძის თვითნებობის ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ფინანსთა სამინისტროს, ბანკი სესხს დიდი რაოდენობით იძლეოდა ბანკის წესდების უხეში დარღვევით, სათანადო გირაოს უზრუნველყოფის გარეშე. ასე მაგალითად, თუ ბესარიონ ლოლობერიძის მმართველობის სამი წლის განმავლობაში — 1877—1879 წლებში, ბანკმა გასცა 879 ათასი მანეთის სესხი, აქედან სოფლის მამულების გირაოთი — 406 ათასი მანეთი, და ქალაქის მამულების და უძრავ ქონების გირაოთი — 473 ათასი მანეთი, მომდევნო სამ წელიწადში 1880—1882 წლებში, ნ. ლოლობერიძის მმართველობის პერიოდში, ბანკმა გასცა 3. 280, 000 მანეთის სესხი, აქედან სოფლის მამულების — 484 ათასი, მან. ხოლო ქალაქის მამულებისა და ქონების გირაოთი 2. 806 000 მანეთი. სესხის გაცემის ასეთმა მკვეთრმა აღმავლობამ სამართლიანად დააფიქრა ფინანსთა სამინისტრო, იმიტომ, რომ სამინისტრო, რუსეთის სააღგილმამულო ბანკების მუშაობის დიდი ხნის გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ქალაქის ქონების გირაოთი გაცემული სესხი საზარალო იყო ბანკისათვის, განსაკუთრებით თუ სესხი გაცემულია პატარა ქალაქებში მდებარე სახლების გირაოთი და შიგ ცხოვრობენ მდგმურები, მოსამსახურეები ან ღარიბები, ასეთ შემთხვევებში სახლები მცირე შემოსავალს იძლევიან და ბანკის ვალი მათ მეპატრონეს სხვა შემოსავლებიდან უნდა ეხადათ, თუ ისინი ფულის გადახდაზე უარს განაცხადებდნენ, დაგირავებული სახლებიანი მამულები გასაყიდლად გამოცხადდებოდა, მაგრამ მათი მუშტრები იშვიათად აღმოჩნდებოდნენ, ამიტომ ეს სახლებიანი მიწის ნაკვეთები ბანკს საზარალოდ რჩებოდა.

სამინისტროს ბანკის ხელმძღვანელობისადმი ეჭვი იმითაც გაუძლიერდა, რომ ბანკი დაგირავებულ მამულზე ან ქონებაზე სესხს აძლევდა არა დაფასების 60%-ს, როგორც ბანკის წესდებით იყო დადგენილი, არამედ 100%-ს. ეს იმ დროს, როდესაც გირაო გაცილებით მეტად ფასდებოდა ვიდრე მისი ღირებულება, ამასთან შენობების დაგირავებისას, არ აქცევდნენ ყურადღებას მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანძრისაგან დაზღვევის უზრუნველყოფას. ნ. ღოღობერიძის თვითნებობაზე ისიც ლაპარაკობს, რომ მან საკუთარი ინიციატივით, გაზარდა ბანკის მუშაკთა შტატი. ნაცვლად 4 დამფასებლისა ყავდა 7, თუმცა არც ერთი არ იყო ლეტვირთული, ზედმეტი ყავდა 1 ბუღალტერი. გაადიდა ბანკის მმართველობის ხელფასი, უკანონოდ იღებდა ჯილდოებს ბანკის მოგების ერთი მეოთხედის რაოდენობით და ა. შ.

ყველა ამ გარემოების გამო, სამინისტრომ ქუთაისის საადგილმამულო ბანკს, 1883 წლის იანვრიდან, შეუჩერა სესხის გაცემის შემდგომი წარმოება და მისი ფუნქციები განსაზღვრა მხოლოდ სესხის სარგებლის ყოველთვიური სავალდებულო შემოსავლების ამოღებით. 1884 წლის გაზაფხულზე ნ. ღოღობერიძის მმართველობის რწმუნება გავიდა, და მის მაგიერ აირჩიეს დიმიტრი დადიანი, მას მეტად მძიმე ვითარებაში მოუხდა ბანკის ხელმძღვანელობა. ბანკი ფაქტიურად გაუქმებული იყო, მას ჩამორთმეული ჰქონდა მისი ძირითადი ფუნქცია — სესხის გაცემა, ამიტომ დადიანს არაერთგზის მოუხდა სამინისტროში თხოვნის გაგზავნა, ბანკისადმი წართმეული ფუნქციის დაბრუნების შესახებ, მაგრამ უშედეგოდ.

1886 წელს თვით მინისტრი ჩამოვიდა ბათუმში, ეს მომენტი კარგად გამოიყენა დ. დადიანმა. ეხლა ბათუმში, შეატყობია ქუთაისელ მიწათმფლობელთა გასაჭირი, და თხოვა ნება დაერთო ბანკისათვის გაეცა კვლავინდებურად სესხი. მინისტრი დათანხმდა და იმავე წლის ბოლოს ოფიციალურად დაუბრუნა ქუთაისის ბანკს კარგახნის ჩამორთმეული ფუნქცია, მაგრამ შენიშვნით კერძოდ, აეკრძალა ქუთაისის ბანკს გაეცა წელიწადში სესხად 300,000 მანეთზე მეტი — ფული გირაოს ფურცლებით.

1890 წელს დ. დადიანს გაუთავდა ორი არჩევის ვადა და დატოვა ბანკი. ბანკის მუშაობის 13 წლის ანგარიში შემდეგ სურათს იძლევა: ბანკის გახსნიდან 1890 წლამდე ბანკს დარჩენია 70 ზარალიანი მამული, აქედან 45 გაუყიდიათ, რის შედეგად ბანკს უნახავს164.186 მანეთის ზარალი, რომელიც ბანკის მოგებიდან დაიფარა. ეს ზარალი მთლიანად ნ. ღოღობერიძის მმართველობის პერიოდში განიცადა ბანკმა. ამ პერიოდში ქუთაისის ბანკს 4.5 მილიონი მანეთის სესხი გაეცა და მისი წლიური შემოსავალი საშუალოდ 95 ათას მანეთს არ აღემატებოდა. ეს სესხიც გაცემული იყო ძირითადად ნ. ღოღობერიძის მმართველობის პერიოდში წესდების უხეში დარღვევით, რის გამოც ბანკი დაისაჯა. ამავე პერიოდში თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკმა გასცა სრულიად ნორმალურ პირობებში 8 მილიონ მანეთზე მეტი სესხად და საშუალო-წლიურმა შემოსავალმა 200 ათას მანეთს გადააჭარბა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს ქართული ბანკები ერთნაირი წესდებით, ერთ ქვეყანაში, ერთნაირ პირობებში მუშაობდნენ. ამას მიმატებული, ქუთაისის ბანკს ორჯერ მეტი ძირითადი კაპიტალი გააჩნდა ვიდრე თბილისისას.

13 წლის განმავლობაში ქუთაისის ბანკმა მიიღო 1 035.820 მანეთი მოგება და იგი შემდეგნაირად გაანაწილა: ძირითადი (თავნი) კაპიტალის გასაძლიერებლად გადადო 165 168 მანეთი, ბანკის ზარალის დასაფარავად გასცა 189 862 მანეთი, ბანკის მოხელეთა ხელფასზე გასცა 340 921 მანეთი, ხაზინის განმტკი-

ცებისათვის 21 500 მანეთი, ბანკის მუშაკთა დასაჯილდოებლად 49,619 მანეთი, წმინდა შემოსავალი მიიღო 267.678 მანეთი, რომელიც დაიხარჯა ქუთაისში და სენაკში გახსნილი თავადაზნაურთა სკოლების შესანახად, უმაღლეს სასწავლებლებში წასულ სტუდენტთა სტიპენდიისათვის და სხვა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ბანკის ფუნქციების აღდგენის შემდეგ განმტკიცდა ქუთაისის ბანკის ავტორიტეტი, გამოცოცხლდა ბანკის მუშაობა. დ. დადიანმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბანკს მოეპოვებინა მოსახლეობის ნდობა და პირველ რიგში იგი გამოიხატა ბანკის საგირაო ფურცლების ფასების ზრდაში, ახლა ეს ფურცლები უკვე 99,7% იყიდებოდა.

ქუთაისის ბანკს, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ბედი არ წყალობდა. მთელი მისი არსებობის ისტორიაში, მხოლოდ ბესარიონ ღოღობერიძისა და დიმიტრი დადიანის მმართველობის მანძილზე შეიძლება ჩაითვალოს ამ ბანკის ნორმალური მუშაობის პერიოდად, ნიკოლოზ ღოღობერიძის ბანკში ხელმძღვანელობის წლები სანატრელად გაუხდა ქუთაისის ბანკის დამფუძნებლებს 90-იანი წლებიდან მთელი 12 წლის მანძილზე.

1890 წლის 18 მაისს ქუთაისის ბანკის კრებაზე დ. დადიანის ნაცვლად დიდი მაქინაციებისა და შანტაჟით გაძვრა ადვოკატი კალისტრატე ჩიქვაიძე, რომელმაც მოახერხა შემდეგში მორიგი საარჩევნო კრებების თაღლითურად გადადება გაურკვეველი დროით და მიუხედავად ქუთაისის, როგორც ბანკის დამფუძნებელი თავადაზნაურობის, ისე ახალი თაობის აღშფოთებისა და სასტიკი პროტესტებისა, ჩიქვაიძე მთელი 12 წლის მანძილზე აურჩევლად და ძალადური მეთოდით განაგებდა ბანკს. ვინ იცის კიდევ სანამ გაგრძელდებოდა მისი თვითნებობა, რომ საქმეში მთავრობა არ ჩარეულიყო და არ მიეღო გადამჭრელი ზომები.

კ. ჩიქვაიძის მმართველობის პერიოდი შავ ლაქად მისდევს ქუთაისის ბანკის მთელ ისტორიას. ეს იყო პერიოდი, როდესაც ბანკში გამეფებულ ჩიქვაიძის დიქტატურას, მის თვითნებობას, ბანკის ოპერაციების არევ-დარევას საზღვარი არ ჰქონდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუთაისის ბანკში შეიქმნა მძლავრი ოპოზიცია, რომელშიც ქუთაისის ყველა პროგრესული ძალები მონაწილეობდნენ. ოპოზიციის მიზანი იყო, დაეხსნა ბანკი ჩიქვაიძის ბრჭყალებისაგან და ბანკისათვის დაებრუნებია ძლივს მოპოვებული ავტორიტეტი, ოპოზიცია ამხელდა ჩიქვაიძის თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას კრებებზე, ქუთაისსა და საქართველოში პრესისა თუ პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. ასე ჩაეყარა საფუძველი ქუთაისის გუბერნიაში ორი მოწინააღმდეგე დასის შექმნას და ძმათა გადაკიდებას. ქუთაისში მომხდარი ამბების გამო გაზეთი „ივერია" მიუთითებდა იმერეთის თავადაზნაურობას, რომ „ამ ორ დასს მორის ბრძოლას არავითარი მიზანი და საფუძველი არ გააჩნია. ამ ბრძოლაში იჟულიტება ბანკი, საჭიროა სიდინჯე საქმის ობიექტური თვალით ხედვა, რომ ბოლო მოეღოს საზოგადო საქმეში ძმათა გადაკიდებას. გაზეთი ამხელს ჩიქვაიძეს, როგორც კარიერისტს, რომელიც ბანკის მმართველობის შენარჩუნებისათვის ყოველგვარ ბინძურ საშუალებებს მიმართავს, მან გადაიკიდა სამეგრე-

ცებისათვის 21 500 მანეთი, ბანკის მუშაკთა დასაჯილდოებლად 49,619 მანეთი, წმინდა შემოსავალი მიიღო 267.678 მანეთი, რომელიც დაიხარჯა ქუთაისში და სენაკში გახსნილი თავადაზნაურთა სკოლების შესანახად, უმაღლეს სასწავლებლებში წასულ სტუდენტთა სტიპენდიისათვის და სხვა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ბანკის ფუნქციების აღდგენის შემდეგ განმტკიცდა ქუთაისის ბანკის ავტორიტეტი, გამოცოცხლდა ბანკის მუშაობა. დ. დადიანმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბანკს მოეპოვებინა მოსახლეობის ნდობა და პირველ რიგში იგი გამოიხატა ბანკის საგირაო ფურცლების ფასების ზრდაში, ახლა ეს ფურცლები უკვე 99,7% იყიდებოდა.

ქუთაისის ბანკს, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ბედი არ წყალობდა. მთელი მისი არსებობის ისტორიაში, მხოლოდ ბესარიონ ლოლობერიძისა და დიმიტრი დადიანის მმართველობის მანძილზე შეიძლება ჩაითვალოს ამ ბანკის ნორმალური მუშაობის პერიოდად, ნიკოლოზ ლოლობერიძის ბანკში ხელმძღვანელობის წლები სანატრელად გაუხდა ქუთაისის ბანკის დამფუძნებლებს 90-იანი წლებიდან მთელი 12 წლის მანძილზე.

1890 წლის 18 მაისს ქუთაისის ბანკის კრებაზე დ. დადიანის ნაცვლად დიდი მაქინაციებისა და შანტაჟით გაძვრა ადვოკატი კალისტრატე ჩიქვაიძე, რომელმაც მოახერხა შემდეგში მორიგი საარჩევნო კრებების თაღლითურად გადადება გაურკვეველი დროით და მიუხედავად ქუთაისის, როგორც ბანკის დამფუძნებელი თავადაზნაურობის, ისე ახალი თაობის აღშფოთებისა და სასტიკი პროტესტებისა, ჩიქვაიძე მთელი 12 წლის მანძილზე აურჩევლად და ძალადური მეთოდით განაგებდა ბანკს. ვინ იცის კიდევ სანამ გაგრძელდებოდა მისი თვითნებობა, რომ საქმეში მთავრობა არ ჩარეულიყო და არ მიეღო გადამჭრელი ზომები.

კ. ჩიქვაიძის მმართველობის პერიოდი შავ ლაქად მისდევს ქუთაისის ბანკის მთელ ისტორიას. ეს იყო პერიოდი, როდესაც ბანკში გამეფებულ ჩიქვაიძის დიქტატურას, მის თვითნებობას, ბანკის ოპერაციების არევ-დარევას საზღვარი არ ჰქონდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუთაისის ბანკში შეიქმნა ძლიერი ოპოზიცია, რომელშიც ქუთაისის ყველა პროგრესული ძალები მონაწილეობდნენ. ოპოზიციის მიზანი იყო, დაეხსნა ბანკი ჩიქვაიძის ბრჭყალებიდან და ბანკისათვის დაებრუნებია ძლივს მოპოვებული ავტორიტეტი, ოპოზიცია ამხელდა ჩიქვაიძის თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას კრებებზე, ქუთაისსა და საქართველოში პრესისა თუ პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. ასე ჩაეყარა საფუძველი ქუთაისის გუბერნიაში ორი მოწინააღმდეგე დასის შექმნას და ძმათა გადაკიდებას. ქუთაისში მომხდარი ამბების გამო გაზეთი „ივერია" მიუთითებდა იმერეთის თავადაზნაურობას, რომ „ამ ორ დასს შორის ბრძოლას არავითარი მიზანი და საფუძველი არ გააჩნია, ამ ბრძოლაში იჭყლიტება ბანკი, საჭიროა სიდინჯე საქმის ობიექტური თვალით ხედვა, რომ ბოლო მოეღოს საზოგადო საქმეში ძმათა გადაკიდებას. გაზეთი ამხელს ჩიქვაიძეს, როგორც კარიერისტს, რომელიც ბანკის მმართველობის შენარჩუნებისათვის ყოველგვარ ბინძურ საშუალებებს მიმართავს, მან გადაიკიდა სამეგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსა და იმერეთის თავადაზნაურობა, ქადაგებს საზოგადოებაში განხეთქილების სიძულვილს, აწყობს პროვოკაციებს და ნერგავს საზოგადოებაში [illegible]-დობლობასა და სიძულვილს“[1].

ფინანსთა მინისტრის 1901 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებებით. ამ საგანგებო ღონისძიებით ბანკის საერთო კრებას ჩამოერთვა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევის უფლება და ბანკის გამგებელს, პირდაპირ ნიშნავს ფინანსთა სამინისტრო ზევიდან. ამ ხერხით ბანკს საბოლოოდ ჩამოაცილეს კ. ჩიქვაიძე და ქუთაისის ბანკის მმართველად დანიშნეს რუსეთის მთავრობის მოხელე მელნიკოვი და აღჭურვეს იგი საგანგებო უფლებებით. რაც შემდეგში გამოიხატა. გააუქმეს შეზღუდვები სესხის გაცემის საქმეში, დაგირავებულ მამულებზე დარჩენილი გადასახადები განავადეს 5 წლით, ბანკში დარჩენილი ზარალიანი მამულების გაყიდვა უნდა დამთავრებულიყო 5 წელიწადში, და ზოგიერთი სხვა უფლებებიც, რაც მანამდე ქუთაისის ბანკს არ ჰქონდა.

ახალმა ღონისძიებამ სწრაფად გაზარდა ბანკის ოპერაციები, უკვე 1901 წელს ბანკმა გასცა 9.783 351 მანეთი, 1902 წელს კი 15.154 234 მან. წმინდა მოგება ამ წელს 62 925 მანეთამდე ავიდა, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი იყო.

1905 წლის რევოლუცია, რომელიც მზადდებოდა წინა წლების საზოგადოებრივი ეკონომიური განვითარების მსვლელობით მოასწავებდა მკვეთრ მობრუნებას რუსეთის იმპერიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ამ რევოლუციამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს პოლიტიკურ სფეროში, მუშათა კლასის წინააღმდეგ მთავრობის მიერ რეაქციის გაძლიერებას თან მოჰყვა ეკონომიკის სფეროში კაპიტალისტების მიერ რეაქციის გაძლიერება ბურჟუაზიამ მუშათა კლასზე განსაკუთრებით გააძლიერა შეტევა მრეწველობის მოდუნების და უმუშევართა ზრდის წლებში. რუსეთში მძვინვარე ეკონომიური კრიზისის შედეგად, საქართველოს სუსტი მრეწველობა კიდევ უფრო დაქვეითდა. 1907—1910 წლებში საქართველოში დაიხურა 860 სამრეწველო საწარმო და დიდი რაოდენობის მუშები გამორეკეს ქუჩებში. მარტო თბილისში 2000-მდე უმუშევარი იყო. ეკონომიურმა კრიზისმა და რევოლუციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მთელი რუსეთის იმპერიის სააღგილმამულო ბანკები და მათ შორის თბილისის და ქუთაისის სააღგილმამულო ბანკებიც. ქუთაისის ბანკს არ შეეძლო მტკიცე გირაოს გარეშე გაეცა სესხი, მსესხებლებს კი ასეთი საიმედო გირაო უკვე ფაქტიურად არ მოეპოვებოდათ, რომ გამოეყვანათ ქუთაისი ბანკი ამ ჩიხიდან, მთავრობამ ნება დართო შეეძინა ბირჟიდან გირაოს ფურცლები ტირაჟებიდან გამოსული გირაოს ფურცლების მაგიერ ამ ეკონომიურ სიძნელეებს თან ერთოდა ისიც, რომ ქუთაისის ბანკის მესვეურებს არ ასვენებდა ფიქრი, რომ მათ ბანკს მართავდა უცხო პირი, ამასთან წესდების ზევით მინიჭებული საგანგებო უფლებები, და ბანკის შემოსავლებიდან ყოველ წლიურად იგი ღებულობდა 5000 მანეთს.

რაც დრო გადიოდა ქუთაისის ბანკი უფრო და უფრო მეტ ეკონომიურ სიძნელეებში ვარდებოდა, ბანკის გამგებელმა მელნიკოვმა განსაკუთრებული უფლებების გამოყენებითაც კი ვერ შეეძლო საქმის აწყობა, ბანკის წევრთა შორის უკმაყოფილება მის მიმართ კი დღითიდღე ძლიერდებოდა. მელნიკოვმა

შეატყო, რომ მუშაობა ქუთაისის ბანკში შემდგომში კიდევ მეტად ძნელი და შეუძლებელი გახდებოდა, თავი მოიავადმყოფა და 1907 წლის 16 სექტემბერს პეტერბურგში გაიწვიეს, იმავე წლის 7 ნოემბერს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ქუთაისის ბანკს ახალი გამგებელი მოევლინა — ნადვორნი სოვეტნიკი ერემიევი. ამან კიდევ უფრო მეტად აღაშფოთა ქუთაისელები, ისინი ისევ განაგრძობდნენ ბრძოლას დაკარგული პრესტიჟის აღდგენისათვის, თავის წევრთა რიგებიდან ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევისათვის. ქუთაისელთა დაჟინებით და ხანგრძლივ მოთხოვნებს ხელს უწყობდა ისიც, რომ ახალი მმართველის დანიშვნამაც ვერაფერი უშველა ბანკს, მისი საქმე სულ უკან მიდიოდა, რომელიც არ რჩებოდა სამინისტროს შეუნიშნავი. ამიტომ სამინისტრო იძულებული შეიქნა 1910 წლის 26 მარტს გაეუქმებინა თავისი 1901 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და მართალია ნება დაერთო ქუთაისის ბანკის კრებას თავისი რიგებიდან აერჩია ბანკის გამგებელი, მაგრამ ამავე დადგენილებით ყველა საადგილმამულო ბანკებში და მ. შ. ქუთაისის ბანკშიც, დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობა იყო დაეწესებინა მკაცრი კონტროლი ბანკის წესდებებისა და სამინისტროს განკარგულებათა შესრულებაზე, თვალყური ედევნებინა ბანკის მთელი საქმის წარმოებასა და ანგარიშიანობაზე, თუ საჭიროდ სცნობდა მოეხდინა ბანკის სალაროსა და ფასეულების შემოწმება, გამგეობის თანდასწრებით. ყურადღება მიექცია დაფასებული ობიექტებისათვის, ბანკის მთელი საქმიანობა უნდა აეყვანა კონტროლზე და საქმის კურსში დაეყენებინა ფინანსთა მინისტრი. ქუთაისის ბანკის რწმუნებულად მინისტრმა სობრიევი დანიშნა.

იმავე წლის მაისში ჩატარდა ბანკის რწმუნებულთა კრება და ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ მექი ფაღავა აირჩიეს.

ბანკი რომ გამოეყვანათ მძიმე მდგომარეობიდან 1912 წლის 26 ივნისის დადგენილებით სამინისტრომ ქუთაისის ბანკს ნება დართო გამოეშვა ობლიგაციები ქალაქის მესხებელთათვის 6% სარგებლით.

1910—12 წლებში გირაოს ფურცლების შესყიდვით დიდი მოგება ნახა. ამ წლებში ბანკმა შეისყიდა 1065 300 მანეთის გირაოს ფურცელი და აქედან მიიღო მოგება 217 - 310 მანეთი.

როგორც ქუთაისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარის 1913 წლის მოხსენებიდან ჩანს ქუთაისის ბანკს საგრძნობლად გაუუმჯობესებია მუშაობა. ქუთაისის ბანკის გირაოს ფურცლები, რომლებიც 1902 წ. იანვრისათვის იმყოფებოდა ბრუნვაში, შეადგენდა 8778 600 მანეთს, 1913 წლის 1 იანვრისათვის კი 15.299 100 მანეთის 1914 წელს ქუთაისის ბანკმა ამნაირი ოპერაციიდან მიიღო მოგება 30.000 მანეთი, 1915 წელს კი 93.101 მანეთი. პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია გირაოს ფურცლების ფასის მკვეთრი დაცემა განსაკუთრებით ქუთაისის ბანკისა, რომლის ფასი 6—8% — ნაკლები გახდა. თბილისის ბანკის მხოლოდ 1.1% დაეცა.

ქუთაისის ბანკი არსებობდა თითქმის მხოლოდ გირაოს ფურცლების ყიდვა-გაყიდვით მიღებული მოგების საფუძველზე. მან თავისი პირვანდელი სახე როგორც საკრედიტო დაწესებულებამ დაკარგა, ამიტომ ფინანსთა სამინისტ-

რომ მოითხოვა მისი ლიკვიდაცია, რადგან წესდების 105 პარაგრაფის მიხედვით მისი თავნი კაპიტალი შეადგენდა მიმოქცევაში მყოფ გირაოს ფურცლების ღირებულების 1/20-ზე ნაკლებს. საკრედიტო ოპერაციების წარმოებისას ქუთაისის ბანკი ზედიზედ მარცხს განიცდიდა. 1915 წელს ბანკში დაგირავებული მამულის რაოდენობა იყო 144 მ, რომლის ვალში გაცემული ჰქონდა ბანკს 1840 000 მან., 1916 წელს იგი 124-ზე ჩამოვიდა, მაგრამ ფულის ნიშნების გაიაფების შედეგად მათზე კაპიტალური ვალი 2 546.800 მანეთამდე გადიდდა. 1918 წელს კი არც ერთი მამული არ მიუღია ბანკს გირაოში.

1919 წელს საქართველოს მენშევიკების მთავრობამ ქუთაისის ბანკი გაანთავისუფლა მეფის სამინისტროს დაქვემდებარებიდან, ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს კი მიანიჭა საზოგადო კრების უფლება და ამიერიდან საჭირო აღარ იყო ბანკის ყოველწლიური კრებების გამართვა, ორთავე ქართულ ბანკებს ჩამოერთვა თავადაზნაურთა სახელწოდება და შეეცვალა წესდების 17, 30, 31 34 მუხლები ქუთაისის ბანკი დარჩა ისევ კერძო უფლებებში და სახელმწიფო არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს თავისთავზე მათ მიმართ 1920 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა სავაჭრო მრეწველო ბანკი, რომელსაც საქართველოს სახალხო ბანკი უწოდა. ქუთაისის ბანკი მას შეუერთდა და ამიერიდან აღარ არსებობდა იგი დამოუკიდებლად.

---

А. Г. ТЕЛИЯ

## ЗЕМЕЛЬНЫЙ КРЕДИТ КУТАИССКОЙ ГУБЕРНИИ

### Резюме

В октябре 1876 года в Кутаиси был открыт Дворянский земельный банк губернии под председательством правления самого В. Гогоберидзе. Первоначальный капитал банка составлял 400.000 рублей, который был собран дворянством Кутаисской губернии для этой цели. Таким образом, банк превратился в частное учреждение землевладельцами губернии.

Потребности в ссудном капитале были несколько больше, чем банковские наличные деньги, поэтому банк ссуды выдавал по закладным листам.

Первые годы дела банка шли нормально.

В 1890 году председателем банка был избран адвокат К. Чикваидзе, который не оправдал доверия учредителей; он всяческими способами оттягивал срок своего переизбрания и продолжал свое самовластие в банке до 1901 года. Чикваидзе в своей работе грубо нарушал Устав банка, выдавая ссуды самовольно и по своему усмотрению, не обращая внимания на оценку залогов и совершая злоупотребления. Деятельность Чикваидзе стала известна Министру финансов и он два раза направлял в Кутаисский

банк правительственную ревизию. На основе этих материалов Министр потребовал от правления банка устранения недостатков и улучшения банковских операций, но Чикваидзе никакого вывода из этого для себя не сделал и продолжал работу по-прежнему, которая грозила опасностью дальнейшего существования банка. Поэтому Министерство финансов провело чрезвычайные мероприятия. По приказу Министра от 4.VII. 1901 г., в Кутаисском банке отменили выбор председателя банка и его назначал сам Министр. Новый управляющий банком Мельников, несмотря на то, что имел особые права в управлении банком, не смог наладить там порядка. Со дня его назначения начинается экономический кризис и революционная ситуация, вследствие чего и банк потерпел неудачу. Дела банка шли по пути к гибели, их не спас ни Мельников и не Эремиев, который заменил Мельникова в 1908 г.

Экономические кризисы в 1912—14 гг. и первой мировой войны, затем Октябрьская революция коренным образом изменили характер Кутаисского банка. Меньшевистское правительство Кутаисский банк объявил пока частным банком, затем его соединил с Центральным грузинским банком. После победы Советской власти в Грузии, дворянский банк перестал существовать, он был национализирован и все его имущество и денежные средства перешли в руки Советского правительства.

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ძაგნიძე

# ინტენსიფიკაციის არსის საკითხის შესახებ

ეკონომიურ ლიტერატურაში მიღებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტესიფიკაციის არსის ცალმხრივი განმარტება, აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ინტენსიფიკაციის განმარტებას სახელმძღვანელოებიდან, რადგანაც იგი ზუსტად უნდა ასახავდეს მეცნიერების ისეთ მიღწევებს, რომელიც საყოველთაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს. პროფ. გ. ბადირიანის [5] ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია ერთსა და იმავე ფართობზე პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდების მიზნით წარმოების საშუალებებისა და შრომითი თანმიმდევრული დაბანდების პროცესია. მ. სოკოლოვს [6] მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაში იგულისხმება წარმოების საშუალებებისა და შრომის კონცენტრაცია მიწის ერთსა და იმავე ფართობზე, მიწის ნიადაგობრივი და სასოფლო-სამეურნეო შრომისნაყოფიერების ამაღლების მიზნით.

პოლიტიკური ეკონომიის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია არის წარმოების საშუალებებისა და შრომის დამატებითი დაბანდება იმისათვის, რომ მიღებულ იქნას მეტი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ერთსა და იმავე ნაკვეთზე [7].

ი. ა. ლამკინის, ი. ფ. პისკუნენკოს და ფ. ე. სავიცკის [4] რედაქციით გამოსული „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა კითხვებსა და პასუხებში“ აღნიშნულია, რომ ინტენსიფიკაციის ძირითადი ნიშანია მატერიალური სახსრების, ხოლო ზოგჯერ შრომის დანახარჯების გადიდება ერთი და იმავე მიწის ფართობის გამოყენებაში (დამატებითი ხარჯები), ამ ფართობებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით“.

ასეთი მაგალითების მოტანა ბევრი შეიძლება, როგორც სახელმძღვანელებიდან, ისე ცალკე სამეცნიერო შრომებიდან.

ზემოაღნიშნულ ყველა განმარტებათა საერთო ნაკლი ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია განმარტებულია როგორც შრომისა და საშუალებების ახალი დაბანდება დამატებითი პროდუქციის მოსაღებიდან რაც, ჩვენი აზრით, სრულყოფილი არ არის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ა. ნოვიკოვმა, რომ ინტენსიფიკაცია ჩვეულებრივ დაკავშირებულია დანახარჯების ზრდასთან ფართობის ერთეულზე. მაგრამ ეს ყოველთვის არ არის აუ-

ცილებელი. არის შემთხვევები, როცა დანახარჯები ღირებულებით გამოხატულებაში კიდეც მცირდება, მაგრამ პროდუქციის წარმოება ფართობის ერთეულზე იზრდება, ხოლო თვითღირებულება მცირდება, როგორც წესი, ეს დაკავშირებულია მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე პრაქტიკის დანერგვასთან, ტექნოლოგიის მოდერნიზაციასთან, წარმოების უფრო ეფექტიან საშუალებებისა და მეთოდების დანერგვასთან [8].

ასევე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ვ. ეფიმოვი [9], რომ ინტენსიფიკაცია არის სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების განსაკუთრებული ტიპი და არ შეიძლება შემოვიფარგლოთ წარმოების პროცესში მხოლოდ ნივთობრივი ცვლილებებით და უგულებელვყოთ მისი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სოციალისტური სახელმწიფო საგეგმო-სამეურნეო მთელი სისტემის სრულყოფა.

ასევე მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა რ. გოგოხიამ, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია არის სახმარი მიწის ერთეულზე პროდუქციის გადიდება და გაიაფება შრომისა და საშუალებების როგორც დამატებითი დაბანდებით, ისე არსებულის მაღალეფექტური გამოყენებით, რაც საზოგადოებრივი მეურნეობის გაძღოლის მოწინავე მეთოდებით მიიღწევა.

ინტენსიფიკაციის ზემოაღნიშნულ განმარტებაში საყურადღებოა ის, რომ შრომისა და საშუალებების დამატებით დაბანდებასთან ერთად ხაზი აქვს გასმული ეკონომიური ბერკეტების მნიშვნელობას.

სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, ეკონომისტები ინტენსიფიკაციის არსის განმარტებისას ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს ინტენსიფიკაციად მიაჩნიათ შრომისა და საშუალებების დამატებითი დაბანდება მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე. მეორე ჯგუფი ეკონომისტებისა ზემოაღნიშნულ განმარტებას უმატებენ ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემას.

თუმცა ზოგიერთი ეკონომისტი ინტენსიფიკაციის არსზე შეხედულებათა მიხედვით მკვლევარებს ჰყოფს სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფის ეკონომისტები ინტენსიფიკაციას განიხილავენ, როგორც მიწის ფართობის ერთეულზე შრომისა და საშუალებების დაბანდების გადიდებას. მეორე ჯგუფის ეკონომისტები ინტენსიფიკაციას განიხილავენ, როგორც მიწის ფართობის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებას შრომისა და საშუალებების დამატებითი დაბანდების მეშვეობით. მესამე ჯგუფის ეკონომისტები ინტენსიფიკაციას განიხილავენ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ფართობის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებას.

იმისათვის, რომ სწორი დასკვნა გავაკეთოთ ჯერ აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ კითხვას არის თუ არა ყოველივე ის, რაც ემსახურება მიწის ფართობის ერთსა და იმავე ნაკვეთზე პროდუქციის გადიდებას ინტენსიფიკაციიის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი.

დიახ, ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ, თვით ინტენსიფიკაციის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე ინტენსიობა ლათინური სიტყვაა (intensio) და ნიშნავს დაძაბულობას, გაძლიერებას, უკეთეს შედეგ

ნაყოფიერების გადიდებას; მაშასადამე, ადამიანს ხელთ გააჩნია სხვადასხვა საშუალება მიწის ერთი და იმავე ნაკვეთზე ნაყოფიერების გადიდებისა, რომლებსაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში იყენებს ყველას ერთად ანდა ცალ-ცალკე მომენტებისათვის უნარიანად შერჩეულ საშუალებას. აი რას ამბობს ეკონომიურ ღონისძიების შესახებ ლ. ი. ბრეჟნევი „წინა წლებშიც (ლაპარაკია ჩვენს პარტიაში არსებულ სუბიექტივიზმის პერიოდზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა წერტილი დაუსვა — რ. ძ.) ბევრს ესმოდა, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება ხელს შეუწყობდა წარმოების ზრდას (ლაპარაკია ფართობის ერთეულზე — რ. ძ,) მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ეს საკითხი არ წყდებოდა. იქმნებოდა ერთგვარი დახშული წრე, წარმოება არ იზრდებოდა ჯეროვანი ტემპით, რადგან არ იყო გამოყოფილი საკმარისი სახსრები მატერიალური სტიმულირებისათვის, სახსრები კი არ გვყოფნიდა იმის გამო, რომ ნელა იზრდებოდა წარმოება“ [2].

აღნიშნულ დებულებაში მკვეთრად აქვს ხაზი გასმული წარმოების ზრდის ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის ეკონომიური ბერკეტები, 1965 წლის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მწვავედ დადგა საკითხი, რომ ზემოაღნიშნული „წრისათვის“ თავი დაგვეღწია, ამისათვის კი, პირველ რიგში, აუცილებელი იყო გადაჭრით შეცვლილიყო დამკვიდრებული პრაქტიკა და ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცედ გადადგა ეს ნაბიჯი, განვლილმა ათმა წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დროული და სწორი იყო. და დღეს, 1965 წელს შემუშავებულ სკკპ აგრარულ პოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია ეკონომიური ბერკეტების მოქნილად და უნარიანად გამოყენებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კ. მარქსის დებულება, რომელიც ეხება მიწათმოქმედების სფეროში ბუნებაზე ადამიანის უნარიანი ზემოქმედების მნიშვნელობას „მიწათმოქმედებაში არ შეიძლება დამუშავებული მიწის გაფართოება თესლისა და სასუქების დამატებითი დაავანსების გარეშე, მაგრამ თუ დაავანსება უკვე მოხდა, მაშინ ნიადაგის თვით წმინდა მექანიკური დამუშავებაც კი სასწაულებრივ გავლენას ახდენს პროდუქციის რაოდენობაზე შრომის გადიდებული რაოდენობა, რომელსაც მუშების უწინდელი რიცხვი იძლევა, აძლიერებს ამგვარად ნიადაგის ნაყოფიერებას და აძლიერებს ისე, რომ არ საჭიროებს **ახალ ხარჯებს** (ხაზი ჩვენია რ. ძ.) შრომის პირდაპირი ზემოქმედება ბუნებაზე, **რომელიც ახალი კაპიტალის ჩაურევლად** (ხაზი ჩვენია რ. ძ.) გამაძლიერებელი დაგროვების უშუალო წყარო ხდება [1]. ვფიქრობთ, აღნიშნულ დებულებაში უაღრესად ნათლად არის ჩამოყალიბებული აზრი, რომ შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა და მასზე დამოკიდებული წმინდა შემოსავლის მასის გადიდება ერთსა და იმავე მიწის ფართობზე შრომისა და საშუალებების დამატებითი დანახარჯების გარეშე, ე. ი. ეკონომიური ღონისძიებების გატარების შედეგად.

არ შეიძლება აქ არ მოვიყვანოთ ვ. ი. ლენინის დებულება, რომ „არსებითად ხომ თვით ცნება „დამატებითი ანუ თანმიმდევარი დაბანდება შრომისა

და კაპიტალისა“ გულისხმობს **წარმოების წესების შეცვლას** (ხაზი ჩვენია ო. ძ.) ტექნიკის გარდაქმნას, მიწაზე დასაბანდებელი კაპიტალის რაოდენობის მნიშვნელოვნად გადიდებისათვის საკმარისია გამოგონებულ იქნას ახალი მანქანები, მემინდვრეობის ახალი სისტემები, პირუტყვის მოვლის, პროდუქტების გადაზიდვის ახალი წესები და სხვა.

ვ. ი. ლენინის ეს დებულება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგანაც აქ ინტენსიფიკაცია წარმოდგენილია როგორც კომპლექსური ღონისძიებათა სისტემა და ვ. ი. ლენინი მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად ხაზგასმით მიუთითებს წარმოების წესის მნიშვნელობაზე, ანუ წარმოების ეკონომიური მართვის ღონისძიებათა სისტემაზე, რომლებიც დღეს გარკვეული თვალსაზრისით წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ აქ მკითხველი ნუ იფიქრებს, თითქოს ჩვენ ეკონომიური ღონისძიებების ფეტიშიზაციას ვახდენდეთ, არა, მას გააჩნია თავისი დამოკიდებული როლი, რომელიც ყოველთვის აუცილებლად ანგარიშგასაწევია.

პარტიის XXIV ყრილობამ აღნიშნულ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო, რადგანაც მათთვის სრულყოფა დღეს საუკუნეების პრობლემად იქცა ყველა ქვეყანაში. თუმცა ამ მოვლენის კონკრეტული მიზეზები სხვადასხვა ხასიათისაა, მას მაინც საფუძვლად უდევს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია.

მართვა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განშტოებაა, თუ დღეს პროგრესი ვითარდება მატერიალური წარმოების დარგში, ხვალ უკვე (უმეტესად კი ერთდროულად) მან უნდა მოიცვას მართვაც, სრულყოს მისი ფორმები და მეთოდები.

მართვა წყვეტს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას — წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მართვა ხომ თავის თავში აერთიანებს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას. განვლილი წლების გამოცდილებამ — წერს ლ. ი. ბრეჟნევი — სავსებით დაადასტურა ეკონომიური ბერკეტების ეფექტიანობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ უნარიანად უხამებენ მორალურ სტიმულებს, საკმარისია კვლავაც სრულვყოთ ისინი და მიზნად დავისახოთ, რომ ცალკეული მუშაკებისა და კოლექტივების შრომის ანაზღაურება სულ უფრო პირდაპირ იყო დამოკიდებული მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე, მხოლოდ ასეთი გზით მივაღწევთ მიწებისა და ტექნიკის ეფექტიან გამოყენებას, შრომისნაყოფიერების დაჩქარებულ ზრდას.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია არის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იწვევს მიწის ფართობის ერთეულზე პროდუქციის წარმოების გადიდებას და აუცილებლად გაიაფებას, როგორც შრომისა და საშუალებების დამატებითი დაბანდების, ისე არსებულის მაღალეფექტურად გამოყენებით, მეურნეობის გაძღოლის პროგრესული ეკონომიური მეთოდების დანერგვის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Р. В. ДЗАГНИДЗЕ

## ВОПРОС О СУЩНОСТИ ИНТЕНСИФИКАЦИИ

### Резюме

До настоящего времени в экономической литературе принято одностороннее разъяснение сути интенсификации сельскохозяйственного производства, а в частности, будто интенсификация обусловливается лишь только дополнительным вложением труда и средств. Что касается роста производства экономических беркетов, роль большинства экономистов отрицается, что и неверно.

Раз целью интенсификации является производство продукции с меньшими затратами, то это достигается не только в результате дополнительного вложения труда и средств, но и в условиях неизменности и сокращения вложения труда и средств. И когда производство растет в условиях неизменности вложения труда и средств или в условиях сокращения, здесь безусловно решающую роль играют экономические беркеты.

Отсюда, интенсификация сельского хозяйства есть система комплексного мероприятия, которая вызывает увеличение производства продукции единицы земельного участка и обязательно удешевление, как дополнительного вложения труда и средств, так и высококвалифицированного использования существующего хозяйства на основе прогрессивно-экономического внедрения.

### ლიტერატურა

1. მარქსი — კაპიტალი, ტ. 1.
2. ლ. ი. ბრეჟნევი — პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა, თბ., 1974.
3. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესიის მასალები.
4. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა კითხვებსა და პასუხებში. თბ., 1974.
5. Г. Бадирян — Экономика социалистического сельского хозяйства, учебник, М., 1971.
6. М. Соколов — Экономика социалистического сельского хозяйства, учебник, М., 1970.
7. Политэкономический словарь под ред. проф. Е. Борисова и др. Изд. второе, М., 1972.
8. Пути интенсификации сельского хозяйства Ставрополя. Ставрополь, 1966.
9. В. Ефимов — Социалистическая интенсификация. Сущность, факторы, эффективность (на примере сельского хозяйства, М., 1971).

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ბეწაძე

# წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორები

პირველად ადამიანის აზროვნების ისტორიაში წარმოების არსის სწორ გადაწყვეტას იძლევა მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვით ადამიანებს, ვიდრე ისინი მოჰკიდებდნენ ხელს საზოგადოების ზედნაშენის გარკვევასა და შექმნას, მანამდე მათ უნდა ჰქონდეთ ის აუცილებელი, რაც მათ მისცემდა ძალასა და საშუალებას იდეების შექმნასა და გავრცელებაში, ე. ი. მათ უნდა ჰქონოდათ საზრდო, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და სხვა მატერიალური საშუალებანი, ხოლო ამ საარსებო საშუალებების შექმნისათვის საჭიროა მათი წარმოება. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს: როგორც მოხმარების შეწყვეტა არ შეუძლია საზოგადოებას, ასევე არ შეუძლია წარმოების შეწყვეტაც. უფრო მეტიც, კ. მარქსი თავისი მეგობრის კუგელმანისათვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ: თითოეულმა ბავშვმაც კი იცის, რომ ყოველი ერი შიმშილით ამოწყდებოდა, თუ კი ის მუშაობას შეაჩერებდა, არ ვლაპარაკობთ ერთი წლით, თუნდაც რამოდენიმე კვირითაც კი.

ბუნების ძალების მრავალფეროვნებისა და უაღრესად რთული შინაარსის გამო, ადამიანები იძულებულნი არიან გააერთიანონ თავიანთი ძალები და ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში ჩაებან ჯგუფურად, ე. ი. ბუნების ძალები ადამიანებს უბიძგებენ კი არ დაქსაქსონ, დაფანტონ თავიანთი შესაძლებლობანი, არამედ პირიქით, გააერთიანონ, განამტკიცონ და ორგანიზებულად გამოიყენონ ისინი, ამიტომ წარმოება ყველა პირობებში არის საზოგადოებრივი ხასიათისა, ხოლო შრომა კი ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობა.

ეკონომიური ეპოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა იმით, თუ რა მატერიალური დოვლათი იწარმოება, არამედ იმით, თუ შრომის რა საშუალებებით აწარმოებენ ამ დოვლათს.

წარმოების საშუალებათა შემადგენლობაში განსაზღვრული ელემენტია შრომის საშუალებანი და უპირველეს ყოვლისა, შრომის იარაღები და ცხადია, მათი განვითარებისა და გამოყენების დონეზეა დამოკიდებული წარმოების პროცესის ეფექტურობა. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ხაზგასმულია, რომ საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების საფუძველზე თანმიმდევრულად შევამციროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისა და მძიმე, აგრეთვე არაკვალიფიციური შრომის გამოყენებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია წარმოების ყველა სტადიაში მანქანა-იარაღების სულ უფრო დ აუფრო მზარდი გამოყენება.

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ძლიერდება აგრეთვე შრომის საგნების მნიშვნელობა. იქმნება ახალი სახეობის მასალები, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების განუწყვეტელ ზრდა-განვითარებას და ამის საფუძველზე მოსახლეობის მატერიალური პირობების გაუმჯობესებას.

სოციალისტური საზოგადოება, სადაც წარმოების საშუალებებზე არსებობს საერთო სახალხო ანუ სახელმწიფოებრივი და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრება, არსებითად განაპირობებს სოციალისტური წარმოების ჰარმონიულ განვითარებას.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანად წარმართვა, ყოვლად შეუძლებელია ნივთობრივი ფაქტორის გარეშე, რომელიც სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყველაზე წამყვანი და აქტიური ნაწილია.

ნივთობრივი ფაქტორის სოციალ-ეკონომიური ბუნების ღრმა მეცნიერული ანალიზი მოცემულია მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში. მარქსის მიხედვით, როგორიც უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, მუშები და წარმოების საშუალებანი მუდამ მის ფაქტორებად რჩებიან, მაგრამ ერთიც და მეორენიც ერთმანეთისაგან გათიშვის მდგომარეობაში მყოფნი, მის ფაქტორებს წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობის მიხედვით იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოონ, ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ, ამრიგად, მატერიალური დოვლათის წარმოება ყოველთვის მოითხოვს წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების განსაზღვრული წესით შეერთებას.

მართალია, კ. მარქსმა ამ ფაქტორთა საერთო მეთოდოლოგიური საფუძვლები შეისწავლა და გამოიყენა კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, საწარმოო კაპიტალის ანალიზისათვის, მაგრამ მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების ანალიზისათვის.

წარმოების ნივთობრივი ფაქტორები, განსაკუთრებით ისინი, რომლის საშუალებანი სისტემატურად განვითარებადია, დაკავშირებულია ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან. მაგრამ ეს განვითარება არ არის ხვედრი ერთი რომელიმე საზოგადოებრივი სოციალ-ეკონომიური ფორმაციისა, არამედ მისი განვითარება განსხვავებული შინაარსით დამახასიათებელია ყველა ფორმაციისათვის. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა შრომის საშუალებანი არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიც შრომა წარმოებს. შრომის საშუალებებს შორის, შრომის მექანიკური საშუალებანი, რომელთა ერთობლიობასაც წარმოების ძვალკუნთოვან სისტემას უწოდებენ, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმოების ეპოქისათვის გაცილებით უფრო ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ, ვიდრე შრომის ისეთი საშუალებანი, რომელნიც მხოლოდ შრომის შენახვას ემსახურებიან და რომელთა ერთობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიობასაც ზოგადად წარმოების სისხლძარღვოვანი სისტემა შეიძლება ეწოდოს.

ეკონომიური შინაარსით საერთო შრომის ყველა საშუალებანი წარმოებაში, და ამრიგად, მატერიალური დოვლათის შექმნაში ყველა ერთნაირ როლს არ ასრულებს. ამიტომაა, რომ შრომის საშუალებათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ამ საშუალებათა წარმოებაში შესაძლო გამოყენების პირობები, ზოგნი უშუალოდ წარმოებით არიან დასაქმებულნი და პირდაპირ კავშირში არიან მატერიალური დოვლათის შექმნასთან (მაგ. წარმოების სფეროს საშუალებანი და ზოგიც დამხმარე როლს თამაშობს). როგორც მარქსის ზემომოყვანილი დებულებიდან ჩანს, შრომის საშულებათა კომპლექსში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის იარაღებს. (წარმოების ძვალკუნთოვან სისტემას.). მაგრამ კ. მარქსი ძვალკუნთოვან და სისხლძარღვოვან ჯგუფთან ერთად კიდევ გამოჰყოფს ისეთ ჯგუფს შრომის საშუალებებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას, ე. ი. ქმნიან წარმოებას მატერიალურ პირობებს: შრომის პროცესის საშუალებებს მიეკუთვნება ყველა მატერიალური პირობები, რომელნიც საერთოდ საჭიროა იმისათვის, რომ პროცესი წარმოებდეს. ეს პირობები არ შედის უშუალოდ შრომის პროცესში.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება ნივთობრივი ფაქტორების როლი საზოგადოებრივი წარმოების სფეროში, რომელიც დამყარებულია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებზე, რომელიც ხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ზრდის მთავარი წყარო, რაც აგრეთვე ამოსავალი პუნქტია კომუნისტური საზოგადოების მატერიალური ტექნიკური ბაზის შექმნისა და განმტკიცებისათვის.

კ. მარქსი თავის ღირებულების თეორიებში მიუთითებს, რომ წარმოების საშუალებანი თავისთავად არავითარ ღირებულებას არ ქმნიან, მაგრამ პიროვნული ფაქტორის (ადამიანის კონკრეტული შრომა) დაკავშირების შედეგად ისინი თავიანთ ღირებულებას გადასცემენ საქონელს, რომელიც იქმნება ამ ორი ფაქტორის კონკრეტული ურთიერთქმედების პირობებში, რაც დაკავშირებულია წარმოების პროცესის გარკვეულ ციკლთან.

რადგანაც ზემოთ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ნივთობრივი ფაქტორების ორ ნაწილად დაყოფაზე: შრომის იარაღები და შრომის საგნები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის, რომ მიუხედავად მათი ერთდროული მონაწილეობისა მატერიალური წარმოების პროცესში, მათი როლი საქონლის სახმარი ღირებულებისა და ღირებულების შექმნის თვალსაზრისით განსხვავებულია, რაც იქიდან ჩანს, რომ შრომის იარაღები გამოიყენებიან როგორც შრომის საგანზე ადამიანის შრომის გადამტანი საშუალებანი და ღირებულებათა თვალსაზრისით ისინი ნაწილობრივად მონაწილეობენ შექმნილი ღირებულების სიდიდეში (ცვეთის რაოდენობა), ნივთობრივად კი არ შედიან საქონლის შემადგენლობაში. შრომის საგნები, როგორც ცნობილია, ნივთობრივად შედიან საქონლის შემადგენლობაში, და აგრეთვე ღირებულებაშიაც

(ცვეთის დაურიცხავად), სწორედ მათი ერთობლიობა პლუს ადამიანის შრომა ქმნის საქონლის სახმარ ღირებულებას და ღირებულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაინც არ არის გამორიცხული ის შესაძლებლობანი, რომ წარმოების საშუალებათა ერთი და იგივე ელემენტი არ შეგვხვდეს საბრუნავ საშუალებათა შემადგენლობაში და პირიქით.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ღირებულების გადაცემის მიხედვით შექმნილ საქონელზე, ე. ი. ნივთობრივი ფაქტორების ერთი ნაწილი სავსებით მოიხმარება წარმოების პროცესში (საბრუნავი საშუალებანი) და საჭირო ხდება წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელახალი მარაგის შექმნა მაშინ, როდესაც ნივთიერი ფაქტორის მეორე ნაწილი წარმოების იარაღის სახით განაგრძობს საწარმოო მომსახურებას და ჩვეულებრივ ასრულებს თავის საწარმოო ფუნქციას.

ნივთობრივი ფაქტორების ფუნქციონალური როლის შესახებ ანალიზი ფართოდ არის წარმოდგენილი ეკონომიურ ლიტერატურაში, მაგრამ მათი განმარტებანი სხვადასხვანაირია. ზოგი ამ საკითხის განმარტებას იძლევა კაპიტალის მარქსისტული განმარტებიდან, ზოგიც საკუთარ კონცეფციებზე დაყრდნობით გვთავაზობს ნივთობრივი ფაქტორის ფუნქციონალური როლის განმარტებას.

ეკონომიურ ლიტერატურაში არის შემთხვევები, როდესაც ნივთობრივი ფაქტორები გაიგივებულნი არიან საწარმოო ფონდებთან. უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე წარმოების მატერიალური პირობებიდან წარმოების საშუალებანი შრომის პროცესის ნივთობრივ ელემენტთა ერთობლიობაა, მიუხედავად იმისა, თუ როგორია საზოგადოებრივი წარმოების წესი მაშინ, როდესაც საწარმოო ფონდები გვიჩვენებენ საზოგადოების წარმოებით ურთიერთობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ნივთობრივი ფაქტორები და წარმოებითი ფონდები ერთმანეთის ტოლი არ არიან. ეკონომიური შინაარსის მიხედვით ნივთობრივი ფაქტორები უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე საწარმოო ფონდები, რადგან საწარმოო ფონდების შემადგენლობაში შედიან მხოლოდ და მხოლოდ წარმოების საშუალებანი, რომელთაც გააჩნიათ ღირებულება და შრომის საშუალების ან შრომის საგნის სახით უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში.

ამიტომ სწორად არ მიგვაჩნია ცალკეულ ავტორთა შეხედულებანი, რომლებიც აიგივებენ ნივთობრივ ფაქტორებსა და საწარმოო ფონდებს. მაგ. ვ. სოლოვიოვის შეხედულებანი, რომელიც ყველა საშუალებას, რაც გამოიყენება მეურნეობრივი თვალსაზრისით მიეკუთვნება წარმოებრივ ფონდებს. თითქმის ანალოგიური აზრია გატარებული მთელ რიგ შრომებსა და სახელმძღვანელოებში, სადაც ნივთობრივი ფაქტორები გათანაბრებული არიან საწარმოო ფონდებთან.

მართალია, ერთობლივი საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება სამუშაო ძალის, შრომის საშუალებათა და შრომის საგნების დიალექტიკურ ერთია-

ნობას გულისხმობს მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიური თვალსაზრისით ეს ფაქტორები მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიური ბუნებით ხასიათდებიან, რომელთა შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სოციალისტურ საწარმოებში იმისდა მიხედვით, თუ როგორი საწარმოო მიმართულების არიან ისინი, თავმოყრილია განსაზღვრული რაოდენობისა და შემადგენლობის ნივთობრივი ფაქტორები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცავენ როგორც ძირითად წარმოებრივ საშუალებებს, ასევე საბრუნავ საშუალებებს. ძირითადი საშუალებები, როგორც ძირითადი წარმოებრივი ფონდები სოციალიზმის დროს ისეთი კატეგორიაა, რომელსაც ორი ფორმა აქვს:

1. ნატურალურ-ნივთობრივი;

2. ღირებულებითი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი არსებობის გამოვლინება უპირველეს ყოვლისა ხორციელდება ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით, რომელიც გვიჩვენებს რომ ისინი შედგებიან ისეთი ნივთებისაგან, რომლითაც განსხვავებული სახმარი ღირებულება აქვთ და ცხადია, მოიხმარებიან საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგში, იმისდა მიხედვით თუ სად და რაზეა უმთავრესად მათზე მოთხოვნილებანი.

ნივთობრივი ფაქტორის ძირითადი საშუალებების საწარმოო ფუნქციაში დამახასიათებელია ისიც, რომ განსხვავებულია მათი საწარმოო ფუნქცია, მომსახურების ვადა. ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში ძირითადი საშუალებების განმარტებანი მოცემულია სხვადასხვანაირად. ზოგი ავტორი ამ საშუალებებს იხილავს ღირებულებით ფორმაში, ზოგი გამოყენების ხანგრძლივობაში. აღსანიშნავია, რომ ეს განმარტებანი სტოვებენ ისეთ შთაბეჭდილებას, სადაც ძნელია გაიგო საბოლოოდ ამ საშუალებათა ეკონომიური არსი.

საწარმოო ფუნქციური თვალსაზრისით ნივთობრივი ფაქტორების კლასიფიკაციის საფუძველს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს მათი განსაზღვრული ნიშნების მიხედვით დაჯგუფება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ნატურალურ-ნივთობრივი ელემენტების განსაზღვრული ნიშნები, როგორიცაა: საწარმოო ნიშანი, მომსახურების ვადა და ა. შ.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, ნივთობრივ ფაქტორთა სწორ კლასიფიკაციას დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში საშუალება გვეძლევა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში სწორად განისაზღვროს მოთხოვნები ამ სახის საშუალებათა ცალკეულ ერთეულზე ან მთლიანად ჯგუფზე.

შრომის საშუალებების სახმარ ღირებულებაში იგულისხმება წარმოებაში მათი მოხმარება, წარმოების გარეშე მათი სახმარი ღირებულება მხოლოდ მოხმარების დაკმაყოფილების პოტენციალური შესაძლებლობის მაჩვენებელია. ნივთობრივ ფაქტორთა დახასიათების დროს საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, იცვლება თუ არა ამ საშუალებათა სახმარი ღირებულება მათი გამოყენების შედეგად. ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევჩერდებით შრომის

საგნებზე, რადგანაც მათი სახმარი ღირებულების ცვალებადობა წარმოების პროცესში ეჭვს არ იწვევს და არც არის ეს საკითხი სადავო ეკონომიკურ ლიტერატურაში, მაგრამ რაც შეეხება წარმოების საშუალებების ეკონომისტებს შორის არის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა. ზოგი მეცნიერ-ეკონომისტი იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ წარმოების საშუალებათა სახმარი ღირებულება გამოყენების პროცესში არ განიცდის ცვლილებას, რადგანაც მასზე გამოყენების პროცესში სისტემატურად ხორციელდება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. ზოგი მეცნიერ-ეკონომიური აღიარებს, რომ წარმოების პროცესში განიცდის ცვლილებას, მაგ., პროფ. ბ. პავლოვი, ა. კოლოსოვი და სხვები. ჩვენ ვიზიარებთ მათ შეხედულებას, რადგან მათი აზრი ემსახურება იმ მცდარ ჭეშმარიტებას, რომ ბუნებაში უცვლელი არაფერი არ არის, ეს რა თქმა უნდა, დიალექტიკური ჭეშმარიტებაა. ანდა თავი რომ დავანებოთ წარმოების საშუალებათა ფიზიკურ ცვეთას, რომელიც დაკავშირებულია წარმოების პროცესთან, რომ არსებობს ცვეთის მეორე სახე — მორალური ცვეთა. ცხადია, ავტორთა ის ჯგუფი, რომელიც იზიარებს აზრს მათი სახმარი ღირებულების უცვლელობის შესახებ, დგანან არასწორ პოზიციებზე, მათი აზრით, უარყოფილია სოციალისტურ საზოგადოებაში ტექნიკური პროგრესის შედეგად გამოწვეული მორალური ცვეთა.

საზოგადოების საწარმოო ძალების მთავარ ელემენტს წარმოადგენენ ადამიანები, წარმოების სუბიექტური ანუ პიროვნული ფაქტორი, რომლის სულიერ და ფიზიკურ ძალთა ერთობლიობა იძლევა სამუშაო ძალას, რომელიც ადამიანს მოძრაობაში მოჰყავს, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, ყოველთვის, როცა რაიმე სახეობის სახმარი ღირებულება იწარმოება.

ამრიგად, ადამიანი სულიერ და ფიზიკურ ძალთა ერთობლიობის ასპექტში, საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალაა. მთელი კაცობრიობის პირველი საწარმოო ძალაა მუშა, მშრომელი, აქედან გამომდინარე შრომითი რესურსების არსის გაგების საკითხში არსებითად ყურადღება უნდა გამახვილდეს სამუშაო ძალის მიმართ, თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ დიდი აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერ ეკონომისტთა შორის თუ რა ურთიერთობა არსებობს სამუშაო ძალასა და შრომით რესურსებს შორის, მეცნიერთა ერთი ნაწილი: ა. კუზნეცოვი, ვ. უკოლოვი „შრომითი რესურსების“ ცნებას აიგივებენ შრომისუნარიან ასაკში მყოფ მამაკაცებისა და ქალების რაოდენობასთან, რომლებიც დასაქმებული არიან წარმოებაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ შრომითი რესურსებისა და სამუშაო ძალის ცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, მაგრამ მათი გაიგივება შეუძლებელია. უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი რესურსების ცნება, ვიდრე ცნება სამუშაო ძალის შესახებ უფრო ფართოა, ვინაიდან იგი მოიცავს როგორც წარმოების პროცესით დასაქმებულ სამუშაო ძალას, ასევე ბუნებრივად არსებულ მარაგსაც.

ჩვენს ქვეყანაში სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნასთან დაკავშირებით შრომისუნარიანთა ასაკობრივი ზღვრები — ზედა და ქვედა იცვლება, მაგრამ ბუნებრივად ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის მწარმოებლური ძალების შინაგანი წყარო? პასუხი ერთია, ადამიანების წარმოებრივი საქმიანობა,

ე. ი. შრომა. მაშასადამე, საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების მთავარი მამოძრავებელნი არიან ადამიანები, როგორც მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, მწარმოებლური ძალები ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის შედეგია.

მწარმოებლურ ძალებში, რა თქმა უნდა, იგულისხმება აგრეთვე ნივთობრივი ფაქტორებიც, მაგრამ მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი (ე. ი. ნივთობრივი ფაქტორები) მოცულნი არიან ადამიანური შრომის ცოცხალი ცეცხლით: ადამიანების თვით შრომითი ენერგია, მათ პრაქტიკული შედეგები დამოკიდებულია მრავალნაირ გარემოებაზე. მაგალითად, წარმოებრივ ურთიერთობათა ხასიათზე, რადგანაც, როგორც ცნობილია, სხვადასხვა წარმოებით ურთიერთობები წარმოშობენ შრომის სხვადასხვაგვარ სტიმულებს, აძლიერებენ ან ახშობენ მასების შრომით ენთუზიაზმს. ამასთან, სწორი არ იქნება იმის თქმა, თითქოს წარმოებრივ ურთიერთობებში იყოს მწარმოებლური ძალების ისტორიული ევოლუციის ერთადერთი წყარო და მიზეზი. რადგანაც ცნობილია, რომ წარმოებრივი ურთიერთობანი, მწარმოებლურ ძალთა პროგრესის ფორმაა, ე. ი. მათი განივთების შინაგან ასპექტსაც უნდა მიესადაგოს გარკვეული პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორები უნდა ჩაგვეთვალა პასიურ ელემენტად, რომელთაც არ შეუძლიათ საზოგადოებრივი წარმოების განვითარება, რაც რეალური ცხოვრების პირობებს ეწინააღმდეგება.

მატერიალური დოვლათის წარმოება პიროვნული ფაქტორის არსის განმსაზღვრელი ფაქტორია, იმიტომ რომ მისი შემწეობით ადამიანები ეთმანეთთან შედიან განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობებში, რომლებიც ქმნიან საზოგადოების ბაზისსაც და მის პოლიტიკურ ზედნაშენსაც. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ წარმოებრივი საქმიანობა ქმნის ადამიანის სოციალური ბუნების საფუძველს. პიროვნული ფაქტორი ისტორიულად შრომის შემწეობით ხდება შეგნებული შემოქმედი. მხოლოდ ანტაგონისტურ საზოგადოებებში, რომელნიც შრომის ექსპლოატაციას ემყარებიან. მუშა დაყვანილია მარტივი მუშაძალის დონემდე.

სოციალიზმი და კომუნიზმი წარმოებას ანვითარებს პიროვნული ფაქტორების ყოველმხრივი სრულყოფით, მათი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობათა გაფურჩქვნის გზით, სადაც შრომა ცხოვრების აზრად, პიროვნების პროგრესის მთავარ საფუძვლად იქცევა. თავის მხრივ წარმოების განვითარება ადამიანს, მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, მისი უნარის ყოველმხრივ სრულყოფას ემსახურება. პიროვნულ ფაქტორთა ყოველმხრივი განვითარება ეს მხოლოდ შრომისნაყოფიერების განუხრელი ამაღლების, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდების საშუალება კი არ არის, არამედ კომუნისტური საზოგადოების უშუალო მიზანიცაა.

როგორც ცნობილია, ბუნებასთან ურთიერთმოქმედებაში ადამიანი თვითონ გამოდის როგორც ფიზიკური ძალის მატარებელი, რომელსაც ის გამოავლენს მთელი თავისი შესაძლებლობით, რათა მას გამოსტაცოს თავისი არსებობისათვის საჭირო პროდუქტები. როგორც არ უნდა იცვლებოდეს ადამიანის ადგილი წარმოების პროცესში, მისი ფიზიკური და გონებრივი შრომა ყოველთვის საჭირო იქნება ყოველი წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის,

ამიტომ ადამიანის მწარმოებლური ძალა შრომისადმი ფიზიკური და სულიერი უნარის ერთიანობაა.

სოციალიზმის პირობებში განუსაზღვრელად გაიზარდა წარმოების პროცესში მუშის როლი. მშრომელები დაინტერესებულნი არიან წარმოების საშუალებათა მომჭირნედ ხარჯვით. სოციალისტური წარმოების მუშები დაინტერესებულნი აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების სრულყოფისა და განვითარებისათვის, აგრეთვე მისი მართვის, გეგმების შედგენისა და მუშაობის შედეგების განხილვისათვის. ქვეყანაში შექმნილია 68,6 ათასი საზოგადოებრივი ბიურო და ეკონომიური ანალიზის ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 565 ათასი კაცი. 160 მუდმივად მოქმედ საწარმოო თათბირებში მონაწილეობს 43 მილიონი მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. გასული ხუთწლედის მანძილზე მათ საშუალოდ შეიტანეს 1,7 მილიონი წინადადება, რომლებიც მიმართული არის წარმოების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ.

სკკპ XXIV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მიმდინარე ხუთწლედში სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენების საკითხზე, რაც ასახულია ყრილობის დირექტივებში სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება არის ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულება. რაშიაც შრომითი რესურსების როლი უსაზღვროდ დიდია, ცხადია, აღნიშნული პირობა არა მარტო გადაჭრის მიმდინარე ხუთწლედში უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიურ ამოცანებს, არამედ შექმნის პირობებს იმ აუცილებელი შესაძლებლობისათვის, რაც დამყარდება წარმოების პროცესში ნივთობრივ და პიროვნულ ფაქტორებს შორის, არსებულ მუშა ხელსა და მასზე მოთხოვნას შორის. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ შეიმჩნევა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის ტემპის შემცირება (ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამჟამადაც სოფლის მეურნეობაში). აღნიშნული გარემოება გამოწვეულია იმით, რომ როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე ჩვენს რესპუბლიკაში მცირდება შობადობა, რაც გამოიწვევს იმას, რომ შრომისუნარიან ასაკის ფარგლებს დატოვებს თანამედროვე მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც შექმნის იმის პირობას, რომ ძირითადად აქცენტი გადატანილ იქნეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართოდ განვითარებაზე.

ДЖ. А. ГЕЦАДЗЕ

## ВЕЩЕСТВЕННЫЕ И ЛИЧНОСТНЫЕ ФАКТОРЫ ПРОИЗВОДСТВА

### Резюме

Этот вопрос в экономической литературе довольно мало разработан и поэтому его изучение способствует делу частичного исправления этого вопроса.

В работе на основе учения марксизма-ленинизма рассмотрена сущность факторов как вещественных, так и личных; дано огромное народнохозяйственное значение этих факторов и их структура, необходимость их взаимосвязи для производственного процесса; критически рассмотрены взгляды некоторых ученых экономистов, в особенности, для выяснения вопроса сущности трудовых ресурсов, обострено внимание в отношении этих факторов в системе социалистического аграрного взаимоотношения и т. д.

## ლიტერატურა


1. კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. I, გვ. 713, ტ. II, გვ. 11, თბ. 1957.
2. კ. მარქსი, ფ. ენგელსი — რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 565, ტ. 1, ტ. 27, თბ., 1964.
3. კ. მარქსი — პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 267.
4. ვ. ი. ლენინი — თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 2, 29, გვ. 422, ტ. 30, 1952.
5. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971.
6. სსრკ ციფრებში — მოსკოვი, 1972.
7. საქართველოს სსრ ციფრებში, 1973.
8. სსრ კავშირის 50 წელი, 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ქარქაშაძე

# აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები

ჩვენს ქვეყანაში ახლა ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მრეწველობასთან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შეერთების პროცესი, რომელიც გვთავაზობს საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ახალ ფორმებს, ეს კავშირები უპირველეს ყოვლისა გაპირობებულია სოციალური, ეკონომიური და საზოგადოებრივ-ისტორიული ფაქტორებით.

ასეთი გაერთიანების მატერიალური საფუძვლები გამოვლინდა ჯერ კიდევ კაპიტალიზმის პირობებში. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო შრომის შეერთება წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას, საწარმოო ძალების განვითარების იმ სტადიაში, როდესაც მიწათმოქმედებას არა აქვს შემდეგი განვითარების საშუალება თავის წიაღში, ვინაიდან განვითარებისათვის საჭირო პირობები არსებობენ სხვა დამოუკიდებელ დარგებში.

ამრიგად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ამზადებს ნიადაგს შემდგომში მათი ისევ შეერთებისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება, არა ყველა სახის შრომის შეერთებას, არამედ სპეციალიზებული, ტექნოლოგიურად დაკავშირებული შრომის შეერთებას.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შეერთების ეკონომიური არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ბადებს შრომის ახალ საწარმოო საზოგადოებრივ ძალას, რომელიც დაფუძნებულია კომბინირებული შრომის გამოყენებაზე, მას ლენინის გამოთქმით თან მოჰყვება შრომის დანაკარგების შემცირება.

კ. მარქსი საზოგადოებრივი შრომის კომბინირებაში ხედავდა აგრეთვე კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან უპირატესობას, კერძოდ იმას, რომ საქონელი სწრაფად გადადიოდა წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში, რის შედეგადაც მინიმუმამდე მცირდებოდა საქონლის უმოქმედო პერიოდში ყოფნის ვადა.

სოფლის მეურნეობის მრეწველობასთან კოოპერირების იდეას, ჩვენს ქვეყანაში გარკვეული ისტორია აქვს. ჯერ კიდევ სკკპ (ბ) XV ყრილობაზე იყო აღნიშნული ინდუსტრიისა და სას.-სამეურნეო წარმოების შერწყმის მნიშვნელობაზე. პარტიამ რეკომენდაცია მისცა შაქრის, ბამბის და სხვა გადამამუშავებელ საწარმოებს, რათა დაემყარებინათ მყარი სამეურნეო კავშირი ნედლეულის მიმწოდებელ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან. ასეთი კავ-

შირების დამყარებისათვის კი საჭირო იყო მძლავრი მატერიალური ბაზა, რომელიც მაშინ არ არსებობდა, XV ყრილობის გადაწყვეტილებით უნდა შექმნილიყო 300 აგრარულ-ინდუსტრიული კომპლექსი, მაგრამ შეიქმნა სულ რამოდენიმე, და მათი არსებობაც ხანმოკლე აღმოჩნდა, აღნიშნულ საკითხს ჩვენი ქვეყანა დაუბრუნდა 1940 წლისათვის, როდესაც შეიქმნა გარკვეული წინაპირობები ასეთი კავშირების შესაქმნელად, მაგრამ სამამულო ომმა აღნიშნული იდეის განხორციელების საშუალება არ მოგვცა. ომის შემდგომ პერიოდში ისევ წარმოიშვა ასეთი გაერთიანებების იდეა და ზოგიერთი მათგანი განხორციელდა კიდეც. განსაკუთრებული ყურადღება აგრო-სამრეწველო, მეურნეობათაშორისო, საკოლმეურნეობათაშორისო, გაერთიანებების შექმნას მიეცა 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ, თანდათანობით შეიქმნა ყველა მატერიალური და სოციალური პირობები ასეთი გაერთიანებების განხორციელებისათვის. ლ. ი. ბრეჟნევი ქალაქ ალმა-ათაში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ყამირი მიწების ათვისების 20 წლისთავს აღნიშნავდა: „სპეციალიზაციის განვითარებას მივყევართ კოოპერირების უფრო მაღალი ფორმების ჩამოყალიბებისაკენ, როდესაც კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად გაერთიანებაში ერთვებიან სახელმწიფო სამრეწველო საწარმოები, იქმნება აგრო-სამრეწველო კომპლექსების ტიპის საწარმოები ...საკითხი ეხება არა მიმდინარე ორგანიზაციულ-საკოლმეურნეო პრობლემებს, არამედ პრინციპულ პრობლემას-საკუთრების სახელმწიფო და საკოლმეურნეო კოოპერაციული ფორმების შემდგომ დაახლოებას“.

სპეციალიზებულ საწარმოებში წარმოების კონცენტრაცია, გაერთიანება დამოუკიდებელ დარგებად, ქმნის უფრო ფართო შესაძლებლობებს მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის. მაგრამ საზოგადოებრივი შრომის ეფექტურობა ამ დროს განისაზღვრება არა მარტო მისი დონით ცალკეულ დარგებში, არამედ სპეციალიზებულ საწარმოებს შორის დამყარებული ეკონომიური და ტექნიკური კავშირებით, რომლებსაც არ შეუძლიათ თვითონ უზრუნველყონ წარმოება აუცილებელი საშუალებებით და ამავე დროს მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სხვა წარმოების საქმიანობის შედეგებს.

ცალკეული პროდუქტების დამზადებისას მჭიდრო და შედარებით მყარი საწარმოო კავშირების დამყარებას სპეციალიზებულ საწარმოებს შორის, მივყევართ მათი კოოპერირებისაკენ. ამრიგად, სპეციალიზაცია და კოოპერირება წარმოადგენს ერთი და იგივე პროცესის, კერძოდ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სხვადასხვა მხარეს და განვითარებაში განაპირობებენ ერთმანეთს. ერთი მხრივ, რაც უფრო სპეციალიზებულია საწარმოო, მით უფრო ძლიერადაა იგი დამოკიდებული სხვა საწარმოებზე, უფრო მჭიდრო საწარმოო კავშირებია მათ შორის დამყარებული და უფრო მაღალი მოთხოვნილებაა ამ კავშირების ხარისხზე. მეორე მხრივ, რაც უფრო მრავალმიმართულებიანია საწარმოო კავშირები და მაღალია მოთხოვნილება ამ კავშირების ხარისხზე, მით უფრო ძნელი ხდება მათი განხორციელება.

სპეციალიზებულ საწარმოებში, გაერთიანებებსა და დამოუკიდებელ დარგებში წარმოების კონცენტრაცია ქმნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის უფრო ფართო შესაძლებლობებს, ეს უკანასკნელი კი შრომისნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ საზოგადოებრივი შრომის ეფექტიანობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება არა მხოლოდ მისი დონით ცალკეულ დარგებში, არამედ ცალკეულ საწარმოებს შორის ეკონომიური და ტექნოლოგიური კავშირების სიმჭიდროვითაც. როგორც ცნობილია, წარმოების ცალკეულ რგოლებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი თავი წარმოებისათვის საჭირო ყველა ელემენტით, თუმცა ამ დროს თვითონაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სხვა საწარმოების საქმიანობას.

განსაკუთრებით ჭირს მყარი კავშირების დამყარება იმ საწარმოებს შორის, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრულ სტადიებს ასრულებენ და გაფანტული არიან ცალკეულ დარგებში. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კარგად დამყარებული კავშირების დროსაც კი წარმოიქმნება შეუთანხმებლობა და დისპროპორციები, რომლებიც ხშირად არღვევენ მუშაობის რიტმს, რაც უარყოფითად მოქმედებს, არა მარტო საბოლოო პროდუქტის ხარისხზე, არამედ იწვევს გაუმართლებელ დანაკარგებსაც.

დღეისათვის უკვე ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს სპეციალიზებული საწარმოების შეერთება, ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის შესაქმნელად.

ცნობილია საწარმოო კოოპერირების ორი წესი: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. პირველს მიკუთვნება ინტეგრაცია ერთი დარგის შიგნით და მას უწოდებენ აგრეთვე შიგასამეურნეო კოოპერაციას, ხოლო მეორე შემთხვევაში გაერთიანებაში მონაწილეობს ორი ან მეტი დარგის საწარმო და იგი წარმოადგენს დარგთა შორის კოოპერაციას.

ვერტიკალური კოოპერაციის ერთ-ერთი ფორმაა აგრო-სამრეწველო გაერთიანებები, რომლებშიც როგორც წესი მონაწილეობს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო და დამხმარე საწარმოები, კოოპერაციის ამ ფორმას მიეკუთვნება აგრეთვე სამრეწველო-გამსაღებელი გაერთიანებები.

არსებობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაახლოების რამოდენიმე გზა, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება კერძოდ: 1. მეურნეობათაშორისო საწარმოო კოოპერირება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებს შორის და 2. აგრარულ სამრეწველო საწარმოების და გაერთიანებების შექმნა. თითოეული მიმართულება გაერთიანების გარკვეულ ფორმებს ექვემდებარება.

მეურნეობათაშორისო საწარმოო კოოპერირება დღეისათვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი ემყარება სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოო კავშირების დამყარებას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებს შორის. აღნიშნულმა ფორმამ მოიცვა ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმების განურჩევლად. ასეთი კავშირები მყარდება, ერთის მხრივ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებსა და, მეორეს მხრივ, ხორცკომბინატებსა, რძის ქარხნებსა,

საკონსერვო და ღვინის ქარხნებსა, ჩაის ფაბრიკებსა და კვების მრეწველობის სხვა საწარმოებს შორის. მათ შორის ეკონომიური ურთიერთობანი ემყარება სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს. ამჟამად გადამუშავებისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა, კვების მრეწველობის საწარმოებში ხვდება სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული საწარმოო კავშირების მეშვეობით. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა საწარმოო კოოპერირების აღნიშნულ ფორმას, მართალია, ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მოვლენები, მაგრამ იგი ყველაზე მისაღებ ფორმას წარმოადგენს და ამდენად საჭიროა მუშაობა მის დასახვეწად და სრულყოფისათვის. უკანასკნელ წლებში აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს გარკვეული სახის კვლევითი მუშაობა.

კოოპერირების მეორე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს რამოდენიმე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიერ თავიანთი რესურსების გაერთიანება ერთობლივი სამრეწველო საწარმოების შესაქმნელად.

შექმნილი საწარმოები წარმოადგენენ მონაწილე სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკუთრებას, ასეთი ტიპის გაერთიანებები გვაქვს ჩვენს რესპუბლიკაშიც და ისინი წარმოდგენილია სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმოების, ღორის სასუქი პუნქტების, კომბინირებული სასუქების დამამზადებელი ქარხნების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნებისა და საამქროების სახით.

მეცხოველეობის პროდუქციის განუხრელმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მსხვილი მექანიზებული მეცხოველეობის საწარმოო კომპლექსების შექმნა, რომელშიც მონაწილეობდნენ წილობრივი უფლებით როგორც კოლმეურნეობები, ისე საბჭოთა მეურნეობები. 1973 წელს ქვეყნის მასშტაბით მოქმედებდა 350 მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გასასუქებელი პუნქტი, 600 მეფრინველეობის ფაბრიკა და ინკუბატორი, 153 კომბინირებული საკვების ქარხანა და სხვა.

დღეისათვის ცხოვრება გვკარნახობს საწარმოო გაერთიანებების ახალ ფორმებს, რომლებიც თავისი შინაარსითა და ფორმით ზუსტად პასუხობს მატერიალურ-ტექნიკური ეპოქის მოთხოვნილებებს. მათ განეკუთვნება აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები (მეურნეობა — ქარხანა), კომბინატები და კომპლექსები, რომლებიც წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიულ, ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ გაერთიანებებს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან. როგორც ცნობილია სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია უპირველეს ყოვლისა ნიშნავს სოფლის მეურნეობის გადასვლას სამრეწველო საფუძველზე., აგრარულ სამრეწველო გაერთიანებებსა და კომპლექსებში შედიან სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები. ასეთი კომბინირება საშუალებას გვაძლევს მიღწეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაციონალური სპეციალიზაცია, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტეგრაცია საზოგადოებრივი შრომის ეკონომიის ინტერესებისათვის სეზონურობის გადალახვისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

აღნიშნული გაერთიანებების შექმნას აქვს სოციალური მხარეც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს კვალიფიციური შრომის გამოყენებას, ამაგრებს სოფლად კადრებს, სოფლის მშრომელებს აძლევს მრავალმხრივი განვითარების საშუალებას, იშლება ზღვარი სოფელსა და ქალაქს შორის, ადამიანები თვალნათლივ ხედავენ თავიანთი შრომის რაციონალურ მიზნობრივ გამოყენებას.

აგრო-სამრეწველო გაერთიანებების შექმნა წარმოების უფრო ეფექტური ხელმძღვანელობის საშუალებას გვაძლევს, იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მოგვარდეს საწარმოების ნედლეულით შეუფერხებელი მომარაგება, მყარდება პირდაპირი მიზნობრივი კავშირი სამრეწველო საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის.

გაერთიანების შიგნით წარმოქმნილი ანარჩენები გამოიყენება ადგილზევე, რაც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას უწყობს ხელს. ასეთი გაერთიანებების შექმნას თან სდევს სხვა ეკონომიური შედეგებიც, კერძოდ მცირდება სატრანსპორტო, მმართველობის და სხვა ხარჯები, რაც საგრძნობლად ამცირებს საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებას.

დღეისათვის აგრო-სამრეწველო გაერთიანების შედარებით მასობრივი ფორმაა მეურნეობა-ქარხანა, რომლის დროსაც ერთიან პროცესადაა შერწყმული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოება-ნედლეულის დამზადებიდან მის სამრეწველო გადამუშავებამდე. საწარმოო ციკლი კი ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება, პირველი — ნედლეულის წარმოება და მეორე ნედლეულის გადამუშავება.

აღნიშნული ფორმით სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ინტეგრაციამ გავრცელება ჰპოვა ღვინის, ეთერზეთების, შაქრის და სხვა პროდუქციის წარმოებაში. დღეისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში არსებული 665 საბჭოთა მეურნეობიდან 386 წარმოადგენს მეურნეობა-ქარხანას, მათ ჰყავთ ერთიანი-ოპერატიული ხელმძღვანელობა. ასეთმა გაერთიანებამ დადებითი გავლენა მოახდინა შრომითი რესურსების გამოყენებაზე, გაიზარდა მეურნეობის მუშების კვალიფიკაცია.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის შემდეგი ფორმაა აგრო-სამრეწველო კომბინატი, რომელთა მოქმედების სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე გაერთიანების პირველი საფეხურის დროს, მართალია აგრო-სამრეწველო კომბინატებს აქვთ გაერთიანებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ ვხვდებით სპეციფიკური ხასიათის განსხვავებებსაც, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში გაერთიანებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო წარმოების რამოდენიმე დარგი. აგრო-სამრეწველო ტიპის კომბინატებმა განვითარება ჰპოვეს შაქრის მრეწველობაში, სადაც გაერთიანებულია რამოდენიმე ჭარხლის მეურნეობა და შაქრის ქარხანა ერთიან სისტემად. ამჟამად მეჭარხლეობის მიმართულების 139 მეურნეობიდან, რომელიც არსებობს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაში 111 ანუ 80 პროცენტი შედის კომბინატის შემადგენლობაში და აქვთ ჭარხლის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები. დიდი გამოცდილება დაგროვდა ამ მიმართულებით უკრაინაში, მათ შექმნეს 100-ზე მეტი კომბინატი, თითოეული მათგანის შემადგენლობაშია, შაქ-

რის ქარხანა, რამოდენიმე მეჭარხლეობის მეურნეობა და ანარჩენებზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეურნეობა, მთელ რიგ კომბინატებში კი არსებობენ აგრეთვე სხვადასხვა სახის საამქროები, რომლებიც ამუშავებენ მეცხოველეობიდან მიღებულ პროდუქციას.

აგრო-სამრეწველო კომბინატები მიეკუთვნებიან მმართველობის სტრუქტურაში გაერთიანების საშუალო რგოლს და პერსპექტივაში უნდა დაექვემდებარონ რესპუბლიკურ სამეურნეო გაერთიანებებს.

აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების უმაღლესი ფორმაა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსები, რომელთა ფორმირების პრობლემა დღეისათვის ძალზე აქტუალურია და ჯერ კიდევ არაა შესწავლილი სათანადო სიღრმით თეორიული, პრაქტიკული და არც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში, არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში იქმნება ტერიტორიული-საწარმოო კომპლექსები, რომელიც არა მარტო არსებული რესურსების მიზანშეწონილად და რაციონალურ გამოყენებას უწყობს ხელს, არამედ მწარმოებლურად იყენებს ძირითადი დარგების ანარჩენებს. კომპლექსები აერთიანებს ერთმანეთისაგან იურიდიულად დამოუკიდებელ საწარმოებს, რომელთა ურთიერთობა განისაზღვრება სამეურნეო ხელშეკრულებით.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესში იწყება აგრო-სამრეწველო კომპლექსების გეგმაზომიერი ფორმირება, ისინი ვითარდებიან, მათი შექმნა განპირობებულია საწარმოო ძალების ზრდით და წარმოადგენენ ობიექტურ აუცილებლობას.

რასაკვირველია თავისი მასშტაბებით აგრო-სამრეწველო კომპლექსებს ინდივიდუალური ხასიათი აქვს, ამიტომ მათ ჰყოფენ პირობით მიკრო- და მაკრო-კომპლექსებად. ჯერ კიდევ არ არსებობს გაერთიანებისათვის საჭირო მეთოდოლოგური საფუძველი, მაგრამ ამ პირობებშიც კი ცხადია, რომ აგრო-სამრეწველო კომპლექსების შექმნა ეკონომიურად გამართლებულია.

აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების შექმნის კარგი გამოცდილება დაგროვდა მოლდავეთში, უკრაინაში, ჩეჩენო-ინგუშეთში, დაღესტნის ავტონომიურ ოლქში, დონის როსტოვში და სხვაგან.

ჩვენს რესპუბლიკაში აგრარულ-სამრაწველო გაერთიანებებს გარკვეული ისტორია აქვს. მართალია ასეთი კავშირები არ იყო შესწავლილი ეკონომიური ეფექტიანობის თვალსაზრისით, მათ სტიქიურობის ელფერი უფრო გადაკრავდათ, 1961 წლამდე რესპუბლიკაში არსებობდნენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც ჰქონდათ ღვინის ქარხნები, არსებობდა ჩაის საბჭოთა მეურნეობა — ჩაის ფაბრიკით, (ინგირში) მართალია ასეთი გაერთიანებები ერთმანეთთან მჭიდრო ორგანულ კავშირში იმყოფებოდნენ, მაგრამ გადამამუშავებელ საწარმოების სიმძლავრეები ვერ პასუხობენ თანამედროვე ტიპის საწარმოოს სიმძლავრეებს. რიგ შემთხვევაში წარმოებას ნახევრად კუსტარული ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ისინი ვერ აღმოჩნდნენ სიცოცხლისუნარიანი. თავის დროზე არც არავის უზრუნია მათი სამეურნეო ეკონომიური განმტკიცებისათვის. დღეისათვის რესპუბლიკაში გვაქვს აგრარულ-სამრეწველო ტი-

პის გაერთიანებები მხოლოდ ეთერზეთების მოპოვება-გადამუშავებაში და როგორც ტრესტის საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა მათ არა აქვთ ცუდი ეკო-ნომიური შედეგები, თუნცა დღეისათვის ამ სისტემაში ზრუნავენ აღნიშნული კავშირების სრულყოფისა და დახვეწისათვის.

მაღალეკონომიურ ეფექტს მოგვცემს აგრარულ-სამრეწველო კომპლექ-სების შექმნა ჩაის, ღვინის, კონსერვის წარმოებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ რომ ასეთი გაერთიანებები უნდა შეიქმნას არა მარტო ტერიტორიული, არამედ დარგობრივი პრინციპების მიხედვითაც, რომლებიც რესპუბლიკის მასშტაბით კომპლექსის ხასიათს მიიღებს.

აღნიშნული საკითხების მოგვარება ჩვენი რესპუბლიკისათვის სპეციალურ კვლევას მოითხოვს, მაგრამ ერთი კი ცხადია: აგრარულ-სამრეწველო გაერთია-ნებების შექმნა წარმოების ხვალინდელი დღეა, ის პროგრესულია და საჭიროა ამ მიმართულებით დროზე გადაიდგას რეალური ნაბიჯები.

Н. КАРКАШАДЗЕ

## АГРОПРОМЫШЛЕННЫЕ ОБЪЕДИНЕНИЯ ЗАВТРАШНИЙ ДЕНЬ ПРОИЗВОДСТВА

В настоящее время в нашей стране наблюдается процесс интенсивного слияния сельскохозяйственного производства с другими отраслями народного хозяйства.

Автор рассматривает данный вопрос в историческом аспекте и показывает целесообразность и эффективность таких объединений. В статье в теоретическом плане, с позиции марксизма-ленинизма показана на современном этапе производства, историческая необходимость агро-промышленных объединений, дает общую картину таких объединений по разным производственным направлениям по стране и республике, рассматривает пути таких объединений.

Автор считатет, что в чайном производстве создание единого технологического процесса — обязательное условие повышения эффективности общественного производства, отдает предпочтение объединениям по территориально-производственным принципам.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თურმანიძე

# ფასების როლი კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავლის რეგულირების საქმეში

ფასი, როგორც ეკონომიური კატეგორია, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფასი სოციალისტურ მშენებლობის ყველა ეტაპზე იყო საშუალება მუშათა და გლეხთა შორის კავშირის განმტკიცებისა.

ფასებს საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ღირებულება ვ. ი. ლენინი გვასწავლის: ფასი არის ღირებულების კანონის გამოვლინება. ღირებულება არის ფასთა კანონი, ე. ი. ფასის მოვლენის განზოგადებული გამოხატულება.

ფასები — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში — სულ უფრო მეტად ასახავდნენ შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს, უზრუნველყოფდნენ წარმოების და მიმოქცევის ხარჯების ანაზღაურებას და გარკვეულ მოგებას თითოეული ნორმალურად მომუშავე საწარმოსათვის, ეს დებულება ამოსავალია ფასწარმოქმნის ყველა საკითხის გადაჭრისას. იგი მიუთითებს საქონელთა საზოგადოებრივ ღირებულებაზე ფასების დაფუძნების აუცილებლობაზე. ისმის საკითხი—წარმოების როგორ პირობებში გაწეული დანახარჯები განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივ ღირებულებას, და აქედან გამომდინარე, ფასს?

დამამუშავებელ მრეწველობაში საქონლის საზოგადოებრივი ღირებულება განისაზღვრება წარმოების საშუალო პირობებში გაწეული დანახარჯებით. ამის შესაბამისად განისაზღვრება ფასებიც, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის დროს. ნიადაგურ-კლიმატური პირობების მკვეთრი განსხვავებით გამოწვეული წარმოების პირობების სხვადასხვაობა ართულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის პრობლემების გადაჭრას.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს არეგულირებს იმ პროდუქტთა ღირებულება, რომლებიც შედარებით ცუდ მიწებზე იწარმოება.

ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები სოციალიზმის დროს თითქოს აღარ განისაზღვრება ცუდ მიწებზე წარმოებული პროდუქციის ღირებულებით. მათი აზრით, ვ. ი. ლენინის დებუ-

ლებას იმის შესახებ, რომ: „მიწის განსაზღვრულობა იწვევს იმას, რომ პურის ფასს განსაზღვრავენ წარმოების პირობები არა საშუალო ხარისხის მიწაზე, არამედ უცუდეს დასამუშავებელ მიწაზე“, ძალა აქვს მხოლოდ კაპიტალის-ტურ საზოგადოებაში. ისინი ფიქრობენ, რომ ღირებულების კანონის შეგნებული და გეგმიანი გამოყენება სოციალისტურ ეკონომიკაში თითქოს განაპირობებს იმას, რომ ღირებულებასა და ფასს არეგულირებს საშუალო მიწებზე პროდუქტების საწარმოებლად გაწეული დანახარჯები.

მართალია, სოციალიზმმა არსებითად შეცვალა ცუდ მიწებზე პროდუქციის ინდივიდუალური ღირებულებით მათი საზოგადოებრივი ღირებულების რეგულირების სოციალურ-ეკონომიური პირობები, მაგრამ არ მოუსპია ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები, კერძოდ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არსებობა და ღირებულების კანონის მოქმედება, ნაყოფიერებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით მიწის ნაკვეთებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება, კარგი და საშუალო მიწების განსაზღვრულობა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა მიერ ამ მიწებით მონოპოლიური სარგებლობა, სამეურნეო ანგარიშის არსებობა და თითოეულ მეურნეობაში საკუთარი სახსრებით გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელების აუცილებლობა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საშუალო ბუნებრივ პირობებში წარმოებული პროდუქტების მიხედვით ფასების განსაზღვრისას, ცუდ მიწებზე მომუშავე მეურნეობებში პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხები ვერ უზრუნველყოფენ გაფართოებულ კვლავწარმოებას. უფრო მეტიც, ვერ ნაზღაურდება შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯები, ე. ი. შეუძლებელი ხდება მარტივი კვლავწარმოების განხორციელებაც.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები რომ საშუალო დონეზე დაწესდეს, მაშინ შეუძლებელი გახდება ყველა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს საწარმოთა მაღალ და მყარ ანუ მუდმივ რენტაბელობას. მაშასადამე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების სრულყოფილად განხორციელება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა მოკავშირე რესპუბლიკებს რჩევა და უფლება მისცა საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ შესყიდვის ფასების დიფერენციაცია მიკროზონების მიხედვით. ასეთ დიფერენციაციას კი, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, საფუძვლად ედება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯთა სხვადასხვაობა.

რესპუბლიკის შიგნით ყველაზე მაღალი შესყიდვის ფასები იმ რაიონებში უნდა დაწესდეს, სადაც შედარებით უფრო ცუდი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია და დანახარჯებიც უფრო მაღალია. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვის ყველაზე მაღალი ფასებია დაწესებული იმ რაიონებისათვის, სადაც მისი წარმოებისათვის ყველაზე ცუდი პირობებია და ამის შესაბამისად გამოყოფილია ჩაის მწვანე ფოთლის სახელმწიფო შესყიდვის სამი ზონა; პირველ ზონაში 1 კგ I ხარისხის ჩაის ფოთლის სახელ-

მწიფო შესყიდვის ფასი შეადგენს 0,90 მან., მეორე ხარისხის — 0,60 მან., მეორე ზონაში შესაბამისად 0,94 მან. და 0,63 მან., III ზონაში კი 1 მან. I ხარისხზე, ხოლო II ხარისხზე კი 0, 65 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასების გადახრა ღირებულებიდან დასაშვებია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფასი არ მოწყდეს მის განმსაზღვრელ საფუძველს — ღირებულებას, უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების, საზოგადოებრივი ღირებულების მოძრაობას.

ეკონომისტების ის ნაწილი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების განსაზღვრისას საშუალო პირობებს ემყარებიან, თავიანთ მოსაზრებას შემდეგი მოტივით ასაბუთებენ: ჯერ ერთი, თუ ფასებს უცუდესი პირობებით განვსაზღვრავთ, მაშინ ყველა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობას ხელოვნურად უზრუნველვყოთ რენტაბელური მუშაობისათვის საჭირო პირობებით, ეს კი არ შეუწყობს ხელს საწარმოთა მატერიალური დაინტერესების ზრდას და ამის შესაბამისად სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებას; მეორე მხრივ, უცუდესი მიწებიდან მიღებული პროდუქტების მიხედვით ფასების დაწესება გამოიწვევდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საცალო ფასების მკვეთრ გადიდებას, რაც შეაფერხებს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, და, მაშასადამე, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნების ყოველმხრივ გათვალისწინებას. მაგრამ სახელმწიფო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შესასყიდი ფასების დაწესებისას, არ გამოდის ზემოთ აღნიშნული მოსაზრებიდან, არამედ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოების ინტერესებს, კოლმეურნეობებში საჭირო დაგროვების შექმნის აუცილებლობას. იმის გამო, რომ კოლმეურნეობების განკარგულებაში არსებული მიწების რაოდენობა განსაზღვრულია, საჭირო ხდება ცუდი მიწების დამუშავებაც, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ერთი და იგივე რაოდენობის შრომის გამოყენებისას კოლმეურნეობები უკეთეს მიწებზე გაცილებით მეტ პროდუქციას მიიღებენ, ვიდრე ის კოლმეურნეობები, რომელთაც ცუდი მიწები აქვთ.

იმისათვის, რომ მთელი საკოლმეურნეო სისტემის მასშტაბით უფრო თანმიმდევრულად განხორციელდეს შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი, პარტიის პროგრამა ითვალისწინებს, უზრუნველვყოთ სულ უფრო თანაბარი ეკონომიური პირობების შექმნა იმ კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ზონაში, აგრეთვე ზონის შიგნით, არათანაბარ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან.

ამ ღონისძიებების გატარების საქმეში გარკვეული მნიშვნელობა და როლი ეკუთვნის დამზადების პოლიტიკას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების სწორად დადგენას ქვეყნის ზონების მიხედვით.

თუ სახელმწიფო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი წინასწარ გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, შრომის მიხედვით გამომუშავების შესაბამისად, კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების დონე დამოკიდებულია მთლიანად ცალკეული კოლმეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალზე. ხშირად გარკვეული სამუშაოს შესრულება-

სათვის ზოგიერთ კოლმეურნეობებში ღებულობენ რამდენჯერმე მეტ ანაზღაურებას, ვიდრე იმავე სახის სამუშაოს შესრულებისათვის სხვა კოლმეურნეობებში; თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის დამზადების ფასების ქვეყნის ზონების მიხედვით სწორ დიფერენცირებას.

შესასყიდი ფასების ზონალური დიფერენციაციის ეკონომიური აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის ერთი და იგივე სახის პროდუქციის წარმოებზე დახარჯული შრომითი დანახარჯების რაოდენობა, მოსავლიანობა და პროდუქციის თვითღირებულების დონე დიდად განსხვავდება როგორც რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ზონებში, ისე ზონისა და რაიონის შიგნითაც. თუ რაიონის საშუალო მონაცემებს და ტიპურ კოლმეურნეობათა მაჩვენებლებს შევადარებთ ეს სხვაობა დიდი არაა (ცხრილი 1).

ცხრილი 1

შრომის პირდაპირი დანახარჯები 1 ც პროდუქციაზე კ/საათებში (1971—1973)

| დასახელება | ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი | რძე | წონამატი |
|---|---|---|---|
| 1. ქობულეთის რაიონის სოფ. ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობა | 46,00 | 8,90 | 75,00 |
| 2. ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ | 39,52 | 15,60 | 141,32 |
| 3. ხელვ ჩაურის რაიონის სოფ. წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა | 58,00 | 12,78 | 80,80 |
| 4. ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ | 56,14 | 15,30 | 104,28 |
| 5. აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში საშუალოდ | 46,72 | 19,49 | 154,60 |

ამავე წლებში ჩაის მწვანე ფოთლის თვითღირებულებამ შეადგინა (მა- ნეთობით) ქობულეთის რაიონში 54,56, ამავე რაიონის სოფ. ქვედა ულია- ნოვკის კოლმეურნეობაში 60,19, ხელვაჩაურის რაიონში — 58,46, ამავე რა- იონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში —53,87 და აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში საშუალოდ 56,4. ხოლო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე შეადგინა (ცენტნერობით) შესაბამისად 62,4; 74,3; 52,3; 58,5 და 57,2;

როგორც ვხედავთ, ორივე რაიონის და ტიპური კოლმეურნეობების მე- ჩაიეობის დარგის საშუალო ეკონომიური მაჩვენებლები დაახლოებით თანაბა- რია, მაგრამ თუ ჩვენ ანალიზს გავუკეთებთ რაიონის შედარებით ცუდ პირო- ბებში მყოფი კოლმეურნეობების ეკონომიურ მაჩვენებლებს, სხვა სურათს მი- ვიღებთ; კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონის შედარებით სუსტი კოლმეურნეობა

ანალიზმა (აღნიშნული კულმეურნეობები ეკონომიური სიძლიერის მიხედვით განეკუთვნებიან ყველაზე დაბალ ჯგუფს. დაჯგუფება საფუძვლად დაედო რენტაბელობის დონე და მთლიანი შემოსავლის ოდენობა ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით) გვიჩვენა, რომ მათში ერთ ცენტნერ ძირითადად პროდუქციაზე გაწეული შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯები რამდენჯერმე მაღალია, მოსავლიანობა კი დაბალია რაიონის ტიპური და საშუალო კოლმეურნეობების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით; აღნიშნულის შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 2.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ერთი ცენტნერი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებაზე სოფ. ქედქედის მე-18 პარტ.ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში, ხელვაჩაურის რაიონის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, დაიხარჯა 10,7%-ით მეტი კაცსაათი, მოსავლიანობა დაბალია 24,1%-ით, ხოლო თვითღირებულების დონე მაღალია 10,3%-ით, მსგავსი სურათი შეიმჩნევა სხვა დანარჩენ კოლმეურნეობებშიც.

დასმული საკითხის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, აუცილებელია ჩაის ხარისხოვანი ფოთლის შესყიდვის საშუალო რესპუბლიკური ფასის შენარჩუნების პირობებში, მათი შიდარაიონული დიფერენციაციის გაღრმავება, რასაც საფუძვლად დაედება თითოეულ რაიონში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის

ცხრილი 2

**ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ხარისხოვან ფოთლის წარმოებაზე შრომის, ფულად-მატერიალური დანახარჯებისა და მოსავლიანობის მაჩვენებლები. (1971—1978 წლების საშუალო მონაცემები).**

| დასახელება | ერთ ცენტნერ პროდუქციაზე შრომის პირდაპირი დანახარჯები კ/საათებში | მოსავლიანობა (ც) | თვითღირებულება (მან) |
|---|---|---|---|
| 1. სოფ. ქედქედის მე-18 პარტყრილობის სახ. კოლმეურნეობა | 60,1 | 31,7 | 60,6 |
| 2. აჭარის აღმართის ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობა | 80,2 | 22,2 | 53,5 |
| 3. ზედა ჩხუტუნეთის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა | 96,0 | 15,0 | 75,0 |
| 4. ქვედა ჩხუტუნეთის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობა | 66,6 | 18,8 | 72,5 |
| 5. ჩუქუნეთის კოლმეურნეობა | 69,4 | 39,2 | 62,8 |

მოსავლიანობის, თვითღირებულების და ერთ ცენტნერ პროდუქციაზე შრომითი დანახარჯების მრავალწლიური მონაცემების ანალიზი. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ ხუთ კოლმეურნეობაში ჩაის ხარისხოვანი ფოთლის სახელმწიფო შესყიდვის ფასი რაიონის საშუალო და ძლიერ კოლმეურნეობასთან შედარებით მაღალი უნდა იყოს, კერძოდ, გაუთანაბრდეს დაახლოებით იგივე ბუნებრივ პირობებში მყოფი ქედის რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის სახელმწიფო შესყიდვის ფასებს.

მეცნიერულად შემუშავებული შესასყიდი ფასები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წმინდა შემოსავლის გადიდებისა კოლმეურნეობების მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელებისათვის, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დონის გადიდებას საკოლმეურნეო წარმოების გაფართოებისათვის საჭირო დაგროვების შექმნას.

საბჭოთა კავშირში შესასყიდი ფასები წესდება სოფლის მეურნეობის ზონების მიხედვით, ხოლო ზონების ფარგლებში ყველა კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასები ერთგვარია. სასურველი იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო ზონების რაოდენობის გადიდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების დიფერენციაციის გაღრმავებით, იმ მიზნით, რომ ზუსტად იქნეს გათვალისწინებული კოლმეურნეობების ბუნებრივ-ეკონომიური პირობების თავისებურებანი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე გაწეული ხარჯები.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების დაწესებისას, რაიონის შიგნით უნდა გამოიყოს კოლმეურნეობათა ჯგუფები და უნდა დადგინდეს ცალკეული ჯგუფის კოლმეურნეობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის ფასები დიფერენციალურად.

ზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, ის, რომ კოლმეურნეობამ აინაზღაუროს წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები, ხოლო, მეორე მხრივ, მიიღოს წმინდა შემოსავალი წარმოების გაფართოებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილება მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ დააჩქაროს სოფლის-მეურნეობის აღმავლობა, საკოლმეურნეო წარმოების სწრაფი განვითარება, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ეკონომიკის წამოწევა ეკონომიურად მოწინავე კოლმეურნეობათა დონემდე.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სხვადასხვა პირობებში მყოფ კოლმეურნეობათა ეკონომიური პირობების გათვალისწინებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტენსიფიკაციის ღონისძიებების განხორციელებას, რათაც სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციის მხრივ მიუახლოვდება მრეწველობის დონეს; სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცევა სამრეწველო შრომის ნაირსახეობად; ბუნების სტიქიაზე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შემცირდება, შემდეგ კი მინიმუმამდე დავა.

ინტენსიფიკაციის შემადგენელი ნაწილია სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაცია. სპეციალიზაციის მიზანია სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული განლაგება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გათვალისწინებული უნდა იქნეს, პირველ რიგში, ისეთი კულტურების წარმოება, რომლებიც აუც

ლებელია ქვეყნის საჭიროებისათვის და ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად იძლევა თითოეულ ჰექტარზე მეტ პროდუქციას და შესაბამისად ზრდის კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესასყიდი ფასებისა და დამზადების სწორი პოლიტიკის გატარება, სხვა ღონისძიებებთან ერთად, შექმნის სათანადო პირობებს წარმოების სწორი სპეციალიზაციისა და განლაგებისათვის და მთელი საკოლმეურნეო სისტემის მასშტაბით ხელს შეუწყობს თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების განხორციელების შესაძლებლობას.

კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების და წმინდა შემოსავლის გადიდების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენს აგრეთვე პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

საზოგადოებისათვის აუცილებელია არა მარტო წარმოებული პროდუქციის გადიდება, არამედ პროდუქციის ხარისხის ამაღლებაც. ამასთან დაკავშირებით, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXIV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში, ეხება რა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „.....ეს არის პროდუქციის ხარისხის არსებითი გაუმჯობესება და შესაბამისად, იმ წარმოებათა განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანის გადაწყვეტას. ახლანდელ პირობებში, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტს, უკეთესი — ეს თითქმის ყოველთვის ნიშნავს მეტსაც“.

კოლმეურნეობის ყოველი სახის პროდუქციის შესასყიდი ფასი დიფერენცირებულია აგრეთვე ხარისხის მიხედვით. შესაბამისად, მაღალი ხარისხის პროდუქციას უფრო მაღალი შესყიდვის ფასი აქვს, ვიდრე დაბალს, რაც განსაზღვრავს მეურნეობის შემოსავალსაც.

ჩვენ მიერ ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში შესწავლილია, თუ როგორ მოქმედებს ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხი კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალზე (ცხრ. 3).

ცხრილი 3

**ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხის გავლენა წმინდა შემოსავალზე ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში**

| საშუალოდ კოლმეურნეობებში | წლები | ფაქტიური მოსავალი (ტ-ობით) | მათ შორის | | პირველი ხარისხის ხვედრითი წონა მოსავალში (%) | | ჩაის მწვანე ფოთლის დამზადებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი (ათ. მან) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I ხარისხი | II ხარისხი | გეგმით | ფაქტიურად | გეგმით გათვალის. ხარ. პირ. | ფაქტიური ხარისხის პირობ. |
| ქობულეთის რაიონი | 1971 | 15870,9 | 10258 | 5612,9 | 71,2 | 64,6 | 4880 | 4041 |
| | 1972 | 16789,0 | 10789 | 5911 | 70,9 | 65,2 | 5325 | 4973 |
| | 1973 | 17[illegible]10 | 10[illegible]23 | 6987 | 71,2 | 60,9 | 6000 | 5263 |
| ხელვაჩაურის რაიონი | 1971 | 8889 | 5945 | 2944 | 71,2 | 66,0 | 2290 | 1912 |
| | 1972 | 9227,3 | 6101,7 | 3125,6 | 70,9 | 66,1 | 2440 | 2394 |
| | 1773 | 10137,3 | 6249,6 | 3888,2 | 71,0 | 61,6 | 3076 | 2763 |

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, საკვლევი რაიონების კოლმეურნეობები გეგმით გათვალისწინებულ ჩაის ხარისხოვან ფოთლის პროპორციებს ვერ იცავენ და, ამის შედეგად, ჩაის ხარისხოვანი ფოთლიდან მიღებული წმიდა შემოსავალიც განსხვავებულია.

აქედან გამომდინარე, ყოველი კოლმეურნეობა დაინტერესებული უნდა იყოს როგორც გეგმური პროდუქციის, ასევე ზეგეგმური პროდუქციის წარმოების დროს პროდუქციის ხარისხის ამაღლებით, რაც მათი ეკონომიური ეფექტიანობის გაზრდის დიდი რეზერვია.

С. А. ТУРМАНИДЗЕ

## РОЛЬ ЦЕН В РЕГУЛИРОВАНИИ ЧИСТОГО ДОХОДА КОЛХОЗОВ


### Резюме

Программой КПСС и решениями Мартовского (1965 г) Пленума ЦК КПСС поставлена задача совершенствования заготовительных и закупочных цен на продукты сельского хозяйства. В связи с этим необходима дифференциация по зонам закупочных цен на продукцию сельского хозяйства.

Как известно, закупочные цены дифференцированы по зональному принципу. В целях более лучщей дифференциации закупочных цен на зеленый чайный лист, в исследуемой зоне были изучены экономические показатели колхозов, находящихся в менее благоприятных условиях. Анализ деятельности экономически слабого колхоза Хелвачаурского района показал, что трудовые и денежно-материальные затраты на единицу продукции в несколько раз выше, а урожайность — ниже, чем в среднем по колхозам района.

Исходя из вышеизложенного, нам представляется целесообразным, в условиях сохранения среднереспубликанской закупочной цены на сортовой чайный лист, осуществить их дальнейшую внутрирайонную дифференциацию. Основанием этому должен послужить анализ многолетних среднегодовых показателей урожайности сортового чайного листа, себестоимости и трудовых затрат на производство одного центнера продукции по каждому району в отдельности. В указанных пяти колхозах государственные закупочные цены на сортовой чайный лист должны быть выше, чем в средних и мощных колхозах района.


### ლიტერატურა


1. ვ. ი. ლენინი თხზ. ტ V.
2. ვ. ი. ლენინი თხზ. XX.
3. სკკპ XXIII ყრილობის მასალები.
4. სკკპ XXIV ყრილობის მასალები.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჭკადუა

# აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სრულყოფის საკითხისათვის

სოფლის მეურნეობის ძირითად ამოცანას თანამედროვე ეტაპზე და პერსპექტივაში შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაღალი ტემპით ზრდა, რომელთანაც ორგანულად დაკავშირებულია მეორე ფაქტორალური მაჩვენებელი — მისი ეფექტიანობის ამაღლება.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის იმ გზებს შორის, როგორიცაა: სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა ინდუსტრიულ ბაზაზე, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის კულტურის დონის ამაღლება, მხოლოდ მაშინ ავლენენ სრულ ეფექტს, როცა განხორციელებულია სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა: ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და რაციონალური გაადგილება.

საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის მთავარ მიმართულებას შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას და გაადგილებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამაზე ნათლად მიუთითებს ლ. ი. ბრეჟნევის შემდეგი სიტყვები: „... წარმოების შემდგომი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მეურნეობათაშორისო კოოპერაციის გაღრმავება ამჟამად ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საჭირბოროტო, ძირეული საკითხებია".

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის უფრო სრულყოფილი ფორმების ძიება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული და გამოდიოდეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საყოველთაოდ ცნობილი სამი ფორმიდან, როგორიცაა: ტერიტორიული, მეურნეობათაშორისო და შიდა სამეურნეო სპეციალიზაცია, რომლებთანაც უშუალო კავშირშია წარმოების ორგანიზაციის და მართვის ფორმები.

ჩვენი მოსაზრებით, პირველ რიგში უნდა იქნეს შემუშავებული აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სრულყოფის განხორციელების ძირითადი ეტაპები პერსპექტივაში და მისი ორგანიზაციული მხარეები. აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია უნდა გამოდიოდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესებიდან, რაც თავის მხრივ მოითხოვს სპეციალიზაციის საკითხის გადაწყვეტას

პერსპექტივაში ერთიანი გენერალური გეგმის საფუძველზე და განსაზღვრული უნდა იქნეს აფხაზეთის ასსრ ადგილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაში. ეს არის სპეციალიზაციის სრულყოფის პირველი ეტაპი, რომელიც ამჟამად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძირითადად გადაჭრილია.

მეორე ეტაპზე უნდა გადაიჭრას ტერიტორიული სპეციალიზაციის საკითხები აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის და ადმინისტრაციული რაიონების შიგნით. აღნიშნული საკითხი მოითხოვს სრულყოფილ მეცნიერულ ანალიზს, დიფერენცირებულ მიდგომას. საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის Xა და Xბ ქვეზონაზე რაიონების მიკუთვნება აფხაზეთის ასსრ-ში სწორადაა გადაჭრილი და პერსპექტივაშიც სოფლის წარმოების დარაიონების ასეთი სქემა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად მოვახდენთ დარგებისა და კულტურების გაადგილებისა და კონცენტრაციის საკითხებს ადმინისტრაციულ რაიონებსა და მის შიგნით, რაც ამჟამად არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს.

მესამე ეტაპზე შემუშავებული და განსაზღვრული უნდა იქნეს ამჟამად და პერსპექტივაში ადმინისტრაციული რაიონების შიგნით მეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო სპეციალიზაცია ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით. ამ უკანასკნელს კი მივყევართ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის ღრმა ტიპიზაციისაკენ და, ჩვენი მოსაზრებით, ამ მიმართულებით უნდა ავიღოთ გეზი, რაც მოგვცემს პერსპექტივაში თითოეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბუნებრივ-ეკონომიური პირობების მაქსიმალურად გამოყენების, ტექნიკური პროგრესის უშუალოდ გატარების შესაძლებლობას, რაც გამოიწვევს მეურნეობათა წარმოების ეფექტურობის გადიდებას; აღნიშნული საერთო დებულება კი — განსაკუთრებით მართებულია სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის საწარმოთათვის.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საფუძველზე აფხაზეთის ასსრ-ში ჩამოყალიბდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, სადაც საერთოდ გეგმაზომიერად არის შეთანაწყობილი ძირითადი, დამხმარე და დამატებითი დარგები, თუმცა ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დარგთა და კულტურათა სწორი შეთანაწყობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, რაც თავის მხრივ აფერხებს სოფლის მეურნეობის წარმოების მაღალი ტემპებით განვითარებას, მის ეკონომიურ ეფექტურობას.

გამომდინარე აქედან, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სრულყოთისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეურნებათაშორისო და შიდასამეურნეო სპეციალიზაციის ფართოდ და თანმიმდევრულად გატარებას. სოფლის მეურნეობის საწარმოთა სპეციალიზაცია, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პრობლემებს შორის წარმოადგენს ძირითადს, მთავარს, რადგანაც სოციალისტური სოფლის მეურნეობის სისტემაში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ იმ ძირითად რგოლს, სადაც უშუალოდ ხდება საწარმოო ძალის შეერთება წარმოების საშუალებებთან, რის შედეგად იქმნება მატერიალური სიმდიდრე. გარდა ამისა, სპეციალიზაციის აღნიშნუ-

ლი ფორმა მოიცავს, ჯერ ერთი, სასაქონლო პროდუქციას, რომელიც გადის მეურნეობის, რაიონის, ზონის გარეთ და უშუალოდ პასუხობს ტერიტორიული სპეციალიზაციის მოთხოვნებს; მეორე — პროდუქციას, რომლის რეალიზაცია ხდება რაიონის, ზონის ფარგლებში და მესამე — პროდუქცია, რომელიც მოიხმარება მეურნეობის შიგნით წარმოებისა და მშრომელთა პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონებად დაყოფის მიხედვით აფხაზეთის ასსრ შედის კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული კულტურების ზონაში და მისი რაიონების სასოფლო-სამეურნეო პროფილი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის და სოხუმის რაიონებში განვითარებულია მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა და სუბტროპიკული მეხილეობა, რომლებიც შეხამებულია ქალაქებისა და კურორტების სავარეუბნო მეურნეობასთან და 1974 წლის მონაცემებით აერთიანებს 64 კოლმეურნეობასა და 14 საბჭოთა მეურნეობას. ოჩამჩირისა და გალის რაიონებში ძირითადია მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა და სუბტროპიკული მეხილეობა — და მოიცავს 45 კოლმეურნეობასა და 24 საბჭოთა მეურნეობას.

კოლმეურნეობათა საწარმოო ტიპების მიხედვით გამოიყოფა: 1) მეთამბაქოეობა-მეჩაიეობის (გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის და გულრიფშის რაიონები) საწარმოო ტიპი და 1974 წლის მდგომარეობით აერთიანებს 66 კოლმეურნეობას, მეჩაიეობა-მეციტრუსეობის (სუბტროპიკული) საწარმოო ტიპი (გალის, ოჩამჩირის, სოხუმის და გუდაუთის რაიონები) აერთიანებს 43 კოლმეურნეობას. საბჭოთა მეურნეობის ძირითადი საწარმოო ტიპებია: მეჩაიეობის — 11, მეციტრუსეობის — 11, მერძევეობა — მებოსტნეობის —2, ეთერზეთოვანების —7, ტუნგოს 1 და მევენახეობის —1; საბჭოთა მეურნეობის ეს ტიპი ძირითადად განლაგებულია საწარმოო სპეციალიზაციის შესაბამის ზონაში, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში ერთი და იგივე საწარმოო ტიპის საბჭოთა მეურნეობა სხვადასხვა ზონაშია განლაგებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მევენახეობის საწარმოო ტიპი არაა დამახასიათებელი ამ ზონისათვის და მის ცალკე საწარმოო ტიპად გამოყოფა არ მივიჩნია მიზანშეწონილად. ასევე შეიძლება ითქვას დანარჩენ 5 საბჭოთა მეურნეობაზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სახელმწიფო სანერგე, სანაშენო, სატყეო კომიტეტის დამხმარე მეურნეობა).

როგორც აღვნიშნეთ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ტიპები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თითოეული ტიპი ჩამოყალიბებულია ადგილობრივი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესაბამისად. როგორც ამას მეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა გვიჩვენებს, თვით საწარმოო ტიპის შიგნით არსებული მეურნეობები ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დარგთა და კულტურათა შეთანაწყობის ხასიათით, მათი კონცენტრაციის დონით, თუმცა მთავარი, წამყვანი დარგების, ხვედრითი წონით საერთო და სასაქონლო პროდუქციაში ისინი მსგავსნი არიან.

როდესაც ვიხილავთ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხებს, მეურნეობათაშორისო სპეციალიზაციის ამჟამად არსებულ

დონეს ზონებისა და რაიონების მიხედვით, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება მათი შემდგომი რაციონალიზაციის მიზნით.

მეთამბაქოეობა-მეჩაიეობის საწარმოო ტიპი აერთიანებს ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის რაიონების კოლმეურნეობებს. აღნიშნული საწარმოო ტიპისათვის გაგრის რაიონის კოლმეურნეობების მიკუთვნება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან მათ არ გააჩნიათ არც ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია; აღნიშნულ კოლმეურნეობებში მეთამბაქოეობას სასაქონლო პროდუქციაში 92%-ზე მეტი უკავია, რომელსაც ეთანაწყობა მეციტრუსეობა, მებოსტნეობა (1,47%) და სარძევე მიმართულების მსხვილი რქოსანი მეცხოველეობა (6,6%). დანარჩენი რაიონების აღნიშნული საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების სასაქონლო პროდუქციაში წამყვან დარგს — მეთამბაქოეობას სასაქონლო პროდუქციაში უკავია გუდაუთის (53,6%), სოხუმის (84%), გულრიფშის (73,3%), ციტრუსებს 1%-დან 2,7%-მდე, ბოსტნეულს 0,49% (გულრიფშის) — 2,0%-მდე (სოხუმი), სარძეო მიმართულების მსხვილ რქოსან მეცხოველეობას 4,5%-დან (გუდაუთის); 7,0%-მდე სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში. აღნიშნული საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების განლაგების ზონაში მდებარეობენ საკავშირო მნიშვნელობის შავიზღვისპირა კურორტები. გამომდინარე აქედან, ისინი უფრო მეტად უნდა პასუხობდნენ კურორტების, ტურისტული ბაზების, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესებს ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა მოუხდელი რძე და რძემჟავა პროდუქტები, ქორფა ბოსტნეული, სუბტროპიკული და ხაადრეო ხილით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პესპექტივაში შენარჩუნებული არ იქნება მეთამბაქოეობის ადგილი, პირიქით, მეთამბაქოეობის განვითარებასთან ერთად, რაც ძირითადად უნდა გადაწყდეს არა ფართობების ზრდის, არამედ მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად, მოსავლიანობის და ნედლეულის ხარისხის ამაღლებით, უნდა განვავითაროთ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების წარმოება.

აფხაზეთის ასსრ მეთამბაქოეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონაში მეურნეობათაშორისო სპეციალიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეთამბაქოეობა-მეჩაიეობის საწარმოო ტიპთან ერთად ცალკე გამოიყოს მეთამბაქოეობა-მეციტრუსეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობები, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ აფხაზეთის ასსრ ჩრდილო-დასავლეთის და ცენტრალური ნაწილის (გაგრის, გუდაუთის, სოხუმის და გულრიფშის რაიონები) ის კოლმეურნეობები, რომლებიც ძირითადად დასაქმებულია ამ ორი კულტურის მოყვანაში მერძეული მიმართულების მეცხოველეობასთან ერთად. აღნიშნულ საწარმოო ტიპს უკანასკნელი სამი წლის მონაცემების მიხედვით მიეკუთვნება 23 კოლმეურნეობა — აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა 20,1%. გამომდინარე აქედან, რესპუბლიკის შიგნით გამოყოფილი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის Xა ქვეზონა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე უნდა მოიცავდეს მეთამბაქოეობა-მეჩაიეობის საწარმოო ტიპის 43 და მეთამბაქოეობა-მეციტრუსეობის 23 კოლმეურნეობას. ეს კი სხვა ღონისძიებებთან ერთად ხელს შეუწყობს მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის შემდგომ აღმავლობას. აღნიშნულ ზონაში პერსპექტივაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დარგებისა და კულტურების კონცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციის საკითხს. ამჟამად დარგები და კულტურები მეტად დაქსაქსულია მეურნეობებს შორის (ცალკეულ კოლმეურნეობებში მოჰყავთ 15—20 კულტურა), რაც აფერხებს მექანიზაციის დანერგვას, აგროტექნიკური ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებას, ართულებს წარმოების მართვას, დაბლა სწევს კოლმეურნეობათა რენტაბელობას.

მცირე მოცულობის დარგები უმეტეს შემთხვევაში ხელს უშლის მთავარი, ძირითადი დარგის შემდგომ განვითარებას, მეტად შეზღუდული, მცირემიწიანობის პირობებში (განსაკუთრებით კი სახნავის), რაც დამახასიათებელია ამ ზონის მეურნეობებისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ზონაში თავი უნდა შევიკავოთ სპეციალიზებული მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებისაგან, რადგანაც ასეთი მსხვილი მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ფართობები თითქმის ამოწურულია ყველა ხელსაყრელ მიკროზონაში. ამასთან ერთად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოსდა მეციტრუსეობის განვითარება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში ნაკლებ ხელსაყრელი იყოს, პირიქით, ციტრუსების გავრცელების არეალი და ხელსაყრელი პირობები უფრო მეტი გააჩნია კოლმეურნეობებს, თვით ამჟამად სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მიზეზით გამოუყენებელი მიწების ათვისების თვალსაზრისითაც (დიდი დაქანების ფერდობების ტერასირება, ბუჩქების ათვისება და სხვ.).

შემდეგ სრულყოფას მოითხოვს მეურნეობათაშორისო სპეციალიზაცია და დარგების და კულტურების შეთანაწყობა მეჩაიეობა-მეციტრუსეობის (სუბტროპიკულ) საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში. აღნიშნული საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში მეჩაიეობის ხვედრითი წონა რაიონებისა და ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს 72,6%-დან (ოჩამჩირის რაიონი) — 90%-მდე (გალის რაიონი). მეჩაიეობას ეთანაწყობა ციტრუსები, დაფნა, ტუნგო, ხეხილი, მინდვრის კულტურებიდან — სიმინდი და მერძეული მიმართულების მეცხოველეობა, მეღორეობა. ამ საწარმოო ტიპის მეურნეობებში მეღორეობის შენარჩუნება მიზანშეუწონლია კონცენტრირებული საკვების წარმოების ბაზის სიმცირის გამო.

მემცენარეობაში შედარებით უმნიშვნელო ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ერთწლიანი სამარცვლე და საკვები კულტურები: 1965 წელი — 4,97. 1970 წელი—2,23 1973 წელი—1,55%. აღნიშნული გარემოება ამ საწარმოო ტიპისათვის დამახასიათებელი საკვები ბაზის მეტისმეტ შეზღუდულობას კიდევ უფრო აღრმავებს და არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. პირიქით, აღნიშნულ კოლმეურნეობებში სწორი სპეციალიზაცია მოითხოვს მარცვლეულის წარმოების აუცილებლობას (განსაკუთრებით აფხაზეთის სამხრეთ ხაწილის რაიონებში), ისე, რომ მან ხელი არ შეუშალოს წამყვანი კულტურების განვითარებას. სიმინდის, ამ ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის არსებობს ყველა პირობა, ამასთან ერთად მისი მოვლა-მოყვანის მდიდარი გამოცდილება; პერსპექტივაში გადაუდებელ ამოცანას შეადგენს აღვუდგინოთ მთელ მეურნეობებს უწინდებული მიდრეკილება და დიდი ინტერესი ამ კულტურის წარმოებისადმი. აქ ყველა პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა არსებობს იმისათვის, რომ სიმინდის მოსავლიანობა გავზარდოთ ამჟამად არსებულ დონესთან შედარებით 3-ჯერ და მეტად, რის შედეგად მკვეთრად გაიზრდება მისი წარმოების რენტაბელობა.

ხეხილის (სუბტროპიკულის ჩათვლით) ფართობი 1940 წელთან შედარებით 4,5-ჯერ და მეტად გაიზარდა და მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობის მიმართ აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში შეადგენს 21, 2%-ს. იგივე მაჩვენებელი ცალკეულ რაიონებში აღწევს 59,2%-მდე (გაგრის რაიონი), ხოლო მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში კი მერყეობს 8,5%-დან (გალის რაიონი) 22,9%-მდე (გუდაუთის რაიონი). მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სასაქონლო პროდუქციაში მისი ხვედრითი წონა სრულიად უმნიშვნელოა და არ აღემატება 0,2—0,35%-ს. ამდენად, აღნიშნული დარგი, რომელსაც აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში უკავია 2600 ჰექტარი ფართობი (1973 წლის მონაცემებით), წარმოგვიდგება არა როგორც წარმოების რესურსი, არამედ როგორც ბალასტი. ანალოგიური მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობებშიც. ეს კი მეურნეობათა მუშაობის დიდ ნაკლს შეადგენს. პერსპექტივაში ხეხილის (სუბტროპიკულის ჩათვლით) ფართობების კონცენტრაციას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, უფრო მეტად მისი გაადგილება და კონცენტრაცია სასურველია მოხდეს აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში.

მეჩაიეობას ყველაზე უკეთ ეთანაწყობა ციტრუსი, ტუნგი და წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით გამართლებულია, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კულტურებს ნაკლები ყურადღება ექცევა მეჩაიეობის, საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით ეს ითქმის ტუნგის კულტურაზე, რომელიც ციტრუსთან შედარებით ნაკლებ მოთხოვნებს უყენებს ბუნებრივ პირობებს და ჩაის შემდეგ ყველაზე რენტაბელურია. აღნიშნული კულტურების კონცენტრაცია ყველაზე ხელსაყრელ მიკროზონებში გადაუდებელ ამოცანას შეადგენს. მეტად დაბალია აღნიშნული საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებში ვენახის ფართობის კონცენტრაცია და ცალკეულ მეურნეობებში არ აღემატება 1—2 ჰექტარს. იგივე ითქმის ბოსტნეულ კულტურებზე. საშუალოდ აფხაზეთის ასსრ-ში 1973 წელს ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 4 ჰექტარამდე ბოსტნეული კულტურების ნათესი. მაგრამ მისი განაწილება რაიონების მიხედვით ძალიან განსხვავებულია; ასე, მაგალითად, თუ გაგრის რაიონში იგივე მაჩვენებელი 5 ჰექტარს აღემატება, გალის რაიონში შეადგინა 1,2 ჰექტარი, ოჩამჩირის რაიონში 2 ჰექტარი. გალის რაიონის კოლმეურნეობებში ასევე დაბალია თამბაქოს ფართობის კონცენტრაცია (1—2 ჰექტარი). უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევაში აღნიშნული კულტურების მოყვანის გეგმები კი არ ემყარება ხელსაყრელ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, არამედ ერთგვარი დატვირთვისა და დავალების სახით არის ნებისმიერად განაწილებული ცოტ-ცოტათი მრავალ მეურნეობათა შორის. გალის რაიონში ამჟამად შექმნილია ეთერზეთების სამი სპეციალიზებული მეურნეობა, ჩვენი მოსაზრებით უფრო სწორი იქნება თამბაქოს წარმოების კონცენტრაცია აღნიშნულ მეურნეობებში და ცალკეულ კოლმეურნეობებში, რომლებსაც გააჩნიათ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ამ კულტურების წარმოებისათვის.

აუცილებლობას წარმოადგენს მებოსტნეობის წარმოების კონცენტრაციის საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით. მიზანშეწონილია გალის, გულრიფშის, გუდაუთის რაიონებში შეიქმნას მერძეველობა-მებოსტნეობის საწარმოო ტიპის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას მთლიანად გავანთავისუფლოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბოსტნეულის წარმოებისაგან (კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულ-ბაღჩეულის ფართობი 1973 წელს შესაბამის რაიონებში შეადგენდა 56 — 117 — 104 ჰექტარს) და პერსპექტივაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე არ იქნეს დაყვანილი ბოსტნეულის სახელმწიფოზე მიყიდვის დავალება.

სუბტროპიკული ზონის მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარება, როგორც სხვა სპეციალიზაციის მეურნეობებში, დამოკიდებულია მტკიცე საკვები ბაზის არსებობაზე. ამასთან ერთად, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა სუბტროპიკული ზონის მეურნეობებში რიგი დამახასიათებელი თავისებურებების გამო საკმაოდ რთულია და მოითხოვს ამ საკითხისადმი სათუთ მიდგომას, მის გადაწყვეტას ღრმა მეცნიერულ საფუძველზე.

საქმე ისაა, რომ ისეთ პირობებში, როგორიც გააჩნია სუბტროპიკული ზონის მეურნეობებს, მიწის ყოველი ნაკვეთის მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენებით შევქმნათ მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობანი იმ დონეზე, რაც ძირითადში დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. ამ ამოცანას გვიკარნახებს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება. 1973 წლის მდგომარეობით აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო სავარგულოებიდან აბსოლუტურ ბუნებრივ სავარგულოებზე მოდის 67.1%. ცალკეულ რაიონებში აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია და აღწევს 74—76 პროცენტამდე.

ისმება კითხვა: გამოვიყენოთ აღნიშნული სათიბები და საძოვრები თუ არა მეცხოველეობისათვის? მეცხოველეობის განვითარებას ხელს უშლის არა მარტო საკვები ბაზის სიმცირე, არამედ მეურნეობათა ხელთ არსებული საკვების წარმოების ბაზის არაეფექტური გამოყენება და ნაკლები ყურადღება საკვების ყაირათიანად ხარჯვაზე. წარმოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მსხვილი რქოსანი პირუტყვი მერძეული მიმართულებისა უნდა იყოს, მაშასადამე, ნახირის სტრუქტურაში ფურების ხვედრითი წონა უნდა შეადგენდეს 50—60%-ს; მაგრამ როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, ეს მაჩვენებელი დასაშვებზე 2—2,5-ჯერ ნაკლებია და არ აღემატება 26,3%-ს. ამ მხრივ უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება გაგრის რაიონი (30,6%). ძალზე დაბალია მისი კონცენტრაცია (საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე 43—60 ფური).

აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის მიზანშეწონილია მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ისეთ ოპტიმალურ სიდიდემდე გაზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მანქანური ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებას, მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები რესურსების ადგილზე წარმოების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი ისეთი სახის საკვებისა, რომლის გარედან შემოზიდვა მთელი რიგი მიზეზების გამო შეუძლებელია და ეკონომიურად გაუმართლებელი.

ამასთან ერთად უნდა შემუშავებული იქნეს საკვებწარმოების ეკონომიკური საფუძვლები სხვადასხვა ტიპის მეურნეობებისათვის საწარმოო პირობების მკაცრად გათვალისწინებით. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და [illegible] უნდა შევქმნათ მეურნეობათაშორისი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოზრდისა და სუქების პუნქტები. ასეთ პუნქტებში უნდა გადაეცეს მეურნეობებიდან 6-თვიდან—1 წლამდე და უხნესი პირუტყვი, ეს კი საშუალებას მისცემს მეურნეობებს იყოლიონ 100—150 სულამდე ფური და ამასთან ერთად საგრძნობლად გაიაიფონ რძის თვითღირებულება, გახადონ ეს დარგი რენტაბელური. აღნიშნული ღონისძიების გატარების შედეგად წარმოების კონცენტრაცია შეხამებული იქნება მის სპეციალიზაციასთან და მოგვცემს საშუალებას ფართოდ გამოვიყენოთ თანამედროვე პროგრესული ტექნიკა და ტექნოლოგია.

Г. Б. ЧКАДУА

## К ВОПРОСУ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СПЕЦИАЛИЗАЦИИ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА АБХАЗСКОЙ АССР

### Резюме

В современных условиях объективно необходима последовательная специализация сельского хозяйства Абхазской АССР. Для решения этой важнейшей проблемы, во-первых, нужно четко определить место и значение специализации сельского хозяйства Абхазской АССР в соответствии с требованиями поставленными в перспективе перед сельским хозяйством Грузинской ССР. Следует отметить, что этот вопрос в настоящее время решен, в основном, правильно, даже по административным районам.

По нашему мнению, главное внимание надо сосредоточить на проведение внутризональной и внутрихозяйственной специализации с доведением ее до каждого колхоза и совхоза, с тем, чтобы в проведении этих мероприятий не впадать в крайности — с максимальным учетом местных производственных условий.

Развитие специализации Абхазской АССР должно быть органически увязано с межхозяйственным кооперированием, особенно в животноводстве. Целесообразно в каждом районе создать специализированные межхозяйственные объединения по доращиванию и откорму крупного рогатого скота. В связи с этим колхозы и совхозы могут, в соответствии с природными условиями, осуществить правильную специализацию в скотоводстве и резко увеличить производство цельного молока.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თავდიშვილი

# საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების გაანგარიშების საკითხისათვის

ეკონომიურ ლიტერატურაში გავრცელებულია ცნებები: საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერება და ინდივიდუალური შრომისნაყოფიერება.

ინდივიდუალური შრომისნაყოფიერება გულისხმობს ცოცხალი შრომის ეფექტურობას, რაც დგინდება წარმოებული პროდუქციისა და მის შექმნაზე დახარჯული სამუშაო დროის ურთიერთშეპირისპირებით.

საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერებად კი იგულისხმება მთელი საზოგადოების შრომითი დანახარჯების ეფექტურობა. ამ შემთხვევაში ის დგინდება შექმნილი პროდუქციის შეპირისპირებით, მთლიანად დახარჯულ როგორც ცოცხალ, ისე განივთებულ შრომასთან.

საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების მსგავსი გაგება კ. მარქსის ცნობილ დებულებას ეყრდნობა, სადაც ნათქვამია: „შრომისნაყოფიერების გადიდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ დიდდება ისე, რომ საქონელში მოქცეული შრომის მთელი ჯამი კლებულობს, მაშასადამე, ისე რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტს კლებულობს, ვიდრე წასული შრომა მატულობს“[1].

ამ დებულებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, შრომისნაყოფიერების დონე გაანგარიშებული უნდა იქნეს არა ცოცხალ — ახლად დახარჯულ შრომაზე, არამედ ერთობლივ-ცოცხალ და განივთებულ შრომაზე ერთად.

პროდუქციის წარმოებაზე, როგორც ცნობილია, იხარჯება ცოცხალი შრომა და წარმოების საშუალებები ანუ განივთებული შრომა. პირველის აღრიცხვა ხდება სამუშაო დროით, მეორის კი ღირებულებითი ფორმით. საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონის დადგენისათვის კი აუცილებელია წარსული შრომაც ისევე როგორც ცოცხალი შრომა, გამოხატული იქნეს სამუშაო დროით — ვთქვათ კაცდღეებში.

განიხილავდა რა მიწათმოქმედებაში მიღწეულ შრომისნაყოფიერებას როგორც შედეგს არა მარტო სამიწათმოქმედო არამედ, ინდუსტრიალური შრომისას ს. სტრუმილინი ჯერ კიდევ 1949 წელს ამბობდა, რომ მუშის გამომუშავება მიწათმოქმედებაში ინდუსტრიალური შრომის დანახარჯების გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს მარცვალში განივთებული შრომისნაყოფიერების

საზომად. იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ მას (ანუ შრომისნაყოფიერების დონეს) და გამოვლინებული იქნეს მიწათმოქმედების მარცვლეულ პროდუქციაში ინდუსტრიული შრომის წილი, აუცილებელია მივმართოთ ამ პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურას და დავადგინოთ, რამდენი განივთებული შრომა იხარჯება ტრაქტორზე, მუშა გამწევ ძალაზე, თესლზე, სასუქზე და სხვ. [6].

მისი აზრით, საბჭოურ ერთ ტ მარცვალში იმ პერიოდისათვის (1949 წ.) სოფლის შრომასთან ერთად იყო 50% განივთებული ინდუსტრიული შრომა.

1949 წელთან შედარებით ჩვენი სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება დიდი ნაბიჯით წავიდა წინ და თუ ს. სტრუმილინის მაშინდელ გაანგარიშებას დავეყრდნობით, ინდუსტრიული შრომის წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში და მით უმეტეს მარცვალში სათანადოდ უნდა გაზრდილიყო და აღნიშნული მიჯნა, ცხადია, უკვე წარსულ ეტაპად უნდა ჩაითვალოს.

შრომისნაყოფიერების გაანგარიშება წარსული, განივთებული შრომის გათვალისწინებით ერთი შეხედვით არ უნდა მივიჩნიოთ ძნელ და რთულ საქმედ. მართლაც, ხომ შეიძლება დადგენილ იქნეს, ვთქვათ, ტრაქტორის დასამზადებლად საჭირო კაცდღეების რაოდენობა სატრაქტორო ქარხნებში. თუმცა ეს საქმეს არ შველის. პირველ ყოვლისა ტრაქტორის დამზადება ხდება სრულიად სხვა საწარმოო სფეროში, ვიდრე სოფლის მეურნეობაა. მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში კი შრომითი დანახარჯები თანაღირებულები არ არიან.

გარდა ამისა, მთელი რიგი ნაწილები და მასალები, რომლებიც საჭიროა ტრაქტორის აწყობისათვის. ზოგჯერ ათეულ სხვადასხვა საწარმოში მზადდება და სატრაქტორო ქარხნებთან კოოპერირებული არიან. თუ ამას დავუმატებთ, რომ სოფლის მეურნეობა იყენებს სხვადასხვა პირობებში და ქარხნებში შექმნილ მრავალი მარკის ტრაქტორს და მრეწველობის მრავალი სახის პროდუქციას, ცხადი გახდება, როგორც პროფ. ს. კოლესნევი, ბ. ბრაგინსკი და სხვა მრავალი მეცნიერი ადასტურებს, ამ მეთოდით სარგებლობის მთელი რიგი სიძნელე.

საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით მ. ფედოროვიჩმა სცადა მიეცა მისი გაანგარიშების მეთოდიკა [7].

მისი აზრით, საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონის გაანგარიშებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ფორმულა:

$$П = \frac{O}{T_{სოფ.} + T_{გან.}}$$

ამ ფორმულიდან ამოსახსნელია მხოლოდ $T_{გან.}$ რამდენადაც ის აღნიშნავს წარსულ შრომას, რომელიც განივთებულია საწარმოო საშუალებებში და გამოხატულია ფულად ფორმაში. დანარჩენი ელემენტები მაგ. O ან $T_{სოფ.}$ სადავო არ არის, რადგან ის პროდუქციას და მასზე დახარჯულ შრომას გამოხატავს ნატურალურ ფორმაში.

$T_{გან.}$ დაადგე ად ის გავწვდი ფორმულას

$$T_{გან.} = \frac{C - З}{B}$$

სადაც,

C არის გამომუშავებული პროდუქციის ამ ხნის ღირებულება:

З — ხელფასის ჯამი პროდუქციის წარმოებაზე;

B — ერთ კაცდღეზე ან ერთ მუშაკზე პროდუქციის გამომუშავება სარეალიზაციო ფასით.

ასეთ შემთხვევაში შრომისნაყოფიერების განსაზღვრის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$П = \frac{O}{T_{ცოცხ} + \frac{C - З}{B}}$$

განსხვავება C — З მოიცავს მატერიალურ დანახარჯებს და თუ მას გავყოფთ ერთი კაცდღის ან ერთი საშუალო მუშაკის გამომუშავებაზე მოგვცემს მატერიალური დანახარჯების შეფასებას კაცდღეებში ან საშუალო წლიურ მუშაკზე.

მართალია ფედოროვიჩს აღნიშნული მეთოდით შრომისნაყოფიერების დონე გაანგარიშებული აქვს მრეწველობის საწარმოში, მაგრამ შემდგომი ანალიზისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გამოვიყენოთ ის სოფლის მეურნეობაში კონკრეტული კოლმეურნეობის მონაცემების მაგალითზე.

გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შეადგენს:

| | | |
|---|---|---|
| O — | მთლიანი პროდუქციის მოცულობა მან. | 2,068,293; |
| C — | მთლიანი პროდუქციის თვითღირებულება | 1,360,144; |
| $T_{ცოცხ.}$ — | ცოცხალი შრომის დანახარჯი კაცდღეებში | 195,476; |
| З — | შრომის ანაზღაურების ფონდი მან-ში | 1,043,531; |
| B — | მთლიანი პროდუქციის რაოდენობა ერთ კაცდღეზე $\left(\frac{O}{T_{ცოცხ.}}\right)$ მანეთებში | 10.58 |

წარსული ანუ განივთებული შრომა კაცდღეებში დგინდება ფორმულით

$$T_{გან.} = \frac{C + З}{B} = \frac{1,360 \cdot 144 - 1,043 \cdot 531}{10,58} = \frac{316\ 613}{10,58} = 29920.$$

ამ გაანგარიშებიდან ვღებულობთ, რომ წარსული, განივთებული შრომა ($T_{გან.}$) ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 2,068293 მანეთის მთლიან პროდუქციაზე შეადგენს 29920 კაცდღეს.

რადგან დადგენილია განივთებული შრომის რაოდენობა, საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონის დადგენა ადვილია და ფორმულის მიხედვით ის შეადგენს

$$\Pi = \frac{O}{T_{ცოცხ} + T_{გან.}} = \frac{2,068,293}{195476 + 29 \cdot 920} = \frac{2 \cdot 068 \cdot 293}{225396} =$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ი. საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონე შეადგენს 9,18 მან. 10,58 მან. ნაცვლად ცოცხალ შრომაზე გაანგარიშებისას.

ისმის საკითხი: რამდენად სწორად ასახავს ეს მეთოდი საზოგადოებრივ შრომისნაყოფიერების დონეს, შეიძლება თუ არა ის გამოვიყენოთ ამ პრობლემის გადასაჭრელად?

ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების გაანგარიშების ეს მეთოდი ვერ გადაჭრის სადავო საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონის გაანგარიშების მეთოდიკასთან დაკავშირე-

ისმის საკითხი: რამდენად სწორად ასახავს ეს მეთოდი საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონე ვერ ასახავს ნამდვილ მდგომარეობას.

საქმე იმაშია, რომ ზემოთ მოყვანილ ფედოროვიჩის ფორმულაში $T_{გან.}$ წარმოადგენს ერთადერთ ამოსაცნობ ელემენტს. ფაქტიურად მის სწორ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მეთოდიკის ვარგისიანობა. სახელდობრ, ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს სუსტ მხარეს მოცემულ მეთოდიკაში და საერთოდ საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების გაანგარიშების მეთოდიკის საქმეში. ფედოროვიჩმა ის გადაწყვიტა მოცემულ საწარმოში თვითღირებულებისა და ხელფასის სხვაობის გაყოფით ერთ კაცდღეზე მიღებულ მთლიანი პროდუქციის ღირებულებაზე.

თვითღირებულებისა და ხელფასის (კოლმეურნეობაში თვითღირებულებისა და შრომის ანაზღაურების) სხვაობა ეს მატერიალური დანახარჯებია, რომელშიც შედის როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი საშუალებები და მათ შორის, ვთქვათ, სახარატო დაზგაც. მატერიალურ დანახარჯებში განივთებული შრომა დადგინდა ერთ კაცდღეზე მიღებული მთლიანი პროდუქციის ღირებულებაზე გაყოფით. განაყოფში შედის სახარატო დაზგის წილიც. თუ ეს წილი მომხმარებელ საწარმოში შეადგენს იმდენს, რამდენსაც დაზგის მწარმოებელ საწარმოში, მაშინ საკითხი თითქმის დადებითად გადაიჭრებოდა, მაგრამ ეს მოსალოდნელი არ არის, რადგან მაშინ მთლიანი პროდუქცია ერთ კაცდღეზე ერთი და იგივე ოდენობის უნდა იყოს, როგორც მწარმოებელ ისე მომხმარებელ საწარმოში, ეს კი ძალიან იშვიათია და თითქმის გამორიცხულიც.

ასევე შეიძლება ითქვას ჩვენ მიერ ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გაანგარიშებულ საზოგადოებრივ შრომისნაყოფიერებაზედაც. ცვლილება ერთ კაცდღეზე მთლიანი პროდუქციის ოდენობაში გამოიწვევს ცვლილებას განივთებული შრომის რაოდენობაშიაც და მივიღებთ, რომ ერთი და იგივე მარკის ტრაქტორზე განივთებული შრომის რაოდენობა ერთ კოლმეურნეობაში შეფასდება ერთი ოდენობით, მეორეში—მეორე განსხვავებული ოდენობით. მესამეში — მესამეთი და ასე შემდეგ, რაც უაზრობაა· რადგან სინამდვილეში მასზე დახარჯული შრომა მის შესაქმნელ საწარმოებში ამ მარკის ყველა ტრაქტორზე ერთი და იგივე უნდა იყოს.

აკადემიკოსი ს. სტრუმილინი გვაძლევს წარსული შრომის სამუშაო დროში გაანგარიშების ხერხს.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ის გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ადგილი აქვს ზედმეტი პროდუქტის საერთო ნორმის გამოთანაბრებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. აქედან გამომდინარე, შრომის ანაზღაურების ერთ მანეთზე ცალკეული დარგების მიხედვით უნდა მივიღოთ იმდენი ზედმეტი პროდუქტი, რამდენიც საშუალოდ სახალხო მეურნეობაში მთლიანად. მაშასადამე, შეფარდება $\frac{m}{v}$ ყველა დარგისათვის უნდა იყოს ერთი და იგივე.

დავუშვათ, რომ შეფარდება $\frac{m}{v}=0,8$. თუ შრომის ანაზღაურება $v=100$ მან, მაშინ $m=80$ მან, ხოლო $v+m=180$ მან. ისევ დავუშვათ, რომ $v$—100 მან. ორი სამუშაო დღის ანაზღაურებაა. მაშინ ორი სამუშაო დღის სრული ანაზღაურება იქნება 180 მან, ერთის კი 90 მან.

შემდეგ, პროდუქციის ღირებულებაში C ანუ წარსული შრომა 270 მან. უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ C-ში განსახიერებულია 3 საზოგადოებრივად აუცილებელი წარსული შრომის სამუშაო დღე, ხოლო $C+v+m=270+100+$ $+80=450$ უდრის ხუთ სამუშაო დღეს.

ისარგებლა რა აღნიშნული მეთოდით ე. კარნაუხოვამ, გაიანგარიშა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საზოგადოებრივი შრომითი დანახარჯები და განსაზღვრა, რომ მარცვლეულ პროდუქციაში ცოცხალი და წარსული შრომის ხვედრითი წონა შეადგენს:

| | |
|---|---|
| სულ საზოგადოებრივი შრომითი დანახარჯები | 100% |
| მ. შ. ცოცხალი შრომა | 49% |
| წარსული შრომა | 51% |

ს. სტრუმილინის მიერ მოწოდებული წარსული შრომის გაანგარიშების მეთოდიკასთან დაკავშირებით ისმის საკითხი:

1. შეფარდება $\frac{m}{v}$ არის თუ არა მართლა თანაბარი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში?

2. პროდუქციის ღირებულებაში შემავალი C (270 მან.) არის თუ არა აუცილებელი ყოველთვის და ყველა დარგისათვის უდრიდეს სამ სამუშაო დღეს იმ ეკვივალენტით, რაც მოცემულია თანამედროვე ეტაპზე ცოცხალი შრომის ერთი სამუშაო დღის ანაზღაურების ოდენობით?

ეს საკითხები ჯერ კიდევ გაურკვეველია და წარსული შრომის განსაზღვრის მეთოდიკაც თხოულობს შემდგომ სერიოზულ სრულყოფას.

მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ცდები დაადგინონ წარსული შრომის კალენდრებში ან შრომის სხვა ერთეულებში გამოხატვა წარმოადგენს ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტის წინაპირობას.

აკადემიკოსი ს. სტრუმილინი გვირჩევს აგრეთვე, მთლიანი შრომისნაყოფიერების ინდექსის გაანგარიშების ერთ-ერთ მეთოდს [3].

ვიცით რა საანგარიშო წელს პროდუქციის ღირებულება W და ეკონომია მიღებული დანახარჯების შემცირებით — Э საბაზისო წელთან შედარებით, შრომისნაყოფიერების ინდექსის გაანგარიშებას ახდენს ფორმულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

$i=(W+Э):W$-ს

სადაც,

$W$ — პროდუქციის ღირებულებაა საანგარიშო წელს;

$Э$ — ეკონომია საწარმოო დანახარჯებში.

შრომისნაყოფიერების გასაანგარიშებლად ამ ფორმულის პრაქტიკაში გამოყენებისათვის მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

საანგარიშო წლის პროდუქციის ღირებულება შეადგენს:

$W=60c+20v+20m=100$, ხოლო საბაზისო წლის ნორმით ის იქნება $65c+22v+22m=109$. როგორც ვხედავთ $Э=9$.

ზემოთ მოყვანილი ფორმულის $i=(W+Э):W$ მიხედვით მივიღებთ $i=(100+9):100=1,09$ და მას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი შეესაბამება მარქსის მიერ წამოყენებულ დებულებას შრომისნაყოფიერების არსის შესახებ.

ჩვენ ვცადეთ ეს ფორმულა გამოგვეყენებინა აფხაზეთის მეჩაიეობაში შრომისნაყოფიერების ინდექსის გასაანგარიშებლად და მივიღეთ შემდეგი:

რესპუბლიკის მეჩაიეობაში:

| | 1970 წელს | 1967 წელს |
|---|---|---|
| $C$ | =6,090,000 | 5,046.000 |
| $V$ | =12,611,000 | 12,989,000 |
| $m$ | =8,167,000 | 6,201,000 |

როგორც ვხედავთ, საანგარიშო წელს პროდუქციის ღირებულება $W=C6,090.000+v12,611.000+m8,167.000=26,868000$. თუ საანგარიშო წლისათვის გამოვიყენებთ საბაზისო წლის ნორმატივებს მივიღებთ:

$W=C5,680.000+v14,635.000+m6,932=27,247.000$. მაშასადამე, საანგარიშო წლისათვის ეკონომია შეადგენს

$Э=27,247.000-26,868.000=371.000$.

ზემოთ მოყვანილი ფორმულის $i=W+Э):W$ მიხედვით, შრომისნაყოფიერების ინდექსი იქნება

$$i=\frac{26.863.000+371.000}{26.868\ 000}=\frac{27.239.000}{26.868.000}=101,4$$

როგორც ვხედავთ, შრომისნაყოფიერება 1970 წელს საბაზისო 1967 წელთან შედარებით გაიზარდა 1,4%-ით.

ცოცხალ შრომაზე გაანგარიშებით კი ამ პერიოდში შრომისნაყოფიერება გაიზარდა და მისი ინდექსი შეადგენს 1,26-ს და სინამდვილეში ადგილი ჰქონდა 560,000 კაცდღის ეკონომიას.

აკადემიკოსმა ს. კოლესნევმა წამოაყენა წინადადება და მას იზიარებს კ. ლუგოვსკოიც, იმის შესახებ, რომ შრომისნაყოფიერების დონე გაანგარიშებული იქნეს წმინდა პროდუქციის გამოყენებით, რომელიც შექმნილია სახელდობრ ცოცხალი შრომით [4].

ამასთან დაკავშირებით კ. ლუგოვსკოის მოჰყავს შემდეგი ფორმულა [5]

$$x=\frac{P-T_2}{T_1}$$

სადაც,

P — შექმნილი პროდუქციის ღირებულება უცვლელ ფასებში;

$T_1$ — ცოცხალი შრომის დანახარჯები სამუშაო დროის ერთეულებში;

$T_2$ — საწარმოო საშუალებათა დანახარჯები ღირებულებით ფორმაში.

მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებით მიღებული იქნა არც იმდენად სარწმუნო შედეგები: საბჭოთა მეურნეობაში სადაც წარსული შრომით შექმნილი პროდუქცია მთლიან პროდუქციაში მეტი ხვედრითი წონით იყო წარმოდგენილი, ახალი შრომით შექმნილი პროდუქციის ღირებულება საშუალო წლიურ მუშაკზე გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

ასეთი მეთოდით შრომისნაყოფიერების მასალებს თუ გამოვიყენებთ შემდეგ სურათს მივიღებთ (ცხრ. 1).

ცხრილი 1

| კოლმეურნეობის დასახელება | მთლიანი პროდუქციის ღირებულება (ათ. მან.) | | | წარმოებ. ერთ კაცდღეზე მან. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მ. შ. წარსული შრომა | წარსული შრ. შექმნილი პროდუქცია % | სულ | მ. შ. ახლად შექმნილ პროდ-ის ღირებულ. | წარსული შრ. შექმნილი პროდუქციის ღირებულება |
| ესტონკა | 430,0 | 155.4 | 36,0 | 6,50 | 4,20 | 2,30 |
| ოქუმი | 1,5840 | 315,7 | 20,0 | 7,90 | 6,40 | 1,50 |
| ლენინი | 672.0 | 155.0 | 23,0 | 6,36 | 4,86 | 1.50 |
| ორჯონიკიძე | 1,2980 | 306,0 | 23,0 | 11.52 | 8.62 | 2,90 |

როგორც ცხრილიდან ჩანს ესტონკის კოლმეურნეობაში უფრო მეტმა კაპიტალურმა დაბანდებამ განაპირობა მაღალი საამორტიზაციო ანარიცხები, ხოლო ახლად შექმნილ პროდუქციის აბსოლუტური რაოდენობა ერთ კაცდღეზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რომელიმე კოლმეურნეობაში, სადაც ამორტიზაციის ანარიცხების ხვედრითი წონა უფრო დაბალი დონით არის წარმოდგენილი.

ამის გარდა ნათლად ჩანს, რომ ლენინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში, სადაც წარსული შრომით შექმნილი პროდუქციის ხვედრითი წონა ერთ და იმავე დონეზეა (23%), როგორც მთლიანი პროდუქციის ისე ახლად შექმნილი პროდუქციის ღირებულების სხვადასხვა აბსოლუტური რაოდენობა მოდის ერთ კაცდღეზე — ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში ის სათანადოდ 1,8 და 1,76-ჯერ მეტია, ვიდრე ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

შრომითი დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე ნიშნავს შრომისნაყოფიერების გადიდებას. იმავე დროს ის ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. მაშასადამე, შრომისნაყოფიერება უკუპროპორციულია თვითღირებულების.

გარდა ცოცხალი შრომისა პროდუქციის წარმოებისათვის საჭიროა, აგრეთვე განივთებული — წარსული შრომა. ცოცხალი და განივთებული შრომა

რაც ღირებულებითი ფორმით არის გამოხატული წარმოების ხარჯები და განსაზღვრავენ პროდუქციის თვითღირებულებას. ღირებულების ნაცვლად განივთებულ შრომას თუ გამოვხატავთ სამუშაო დროში, ის ცოცხალი შრომის დანახარჯებთან ერთად მოგვცემს საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, რაც შრომისნაყოფიერებას ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთ ეკონომისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ თვითღირებულების ეკონომიური კატეგორია გამოყენებული იქნეს შრომისნაყოფიერების მაჩვენებლად.

თვითღირებულება მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა საწარმოსათვის. ამიტომ მისი შემცირება პროდუქციის ერთეულზე წარმოადგენს საწარმოთა საბრძოლო ამოცანას.

მაგრამ ისმის საკითხი: თვითღირებულების შემცირება გვაძლევს თუ არა ერთსა და იმავე დროს ცოცხალი და წარსული შრომის ეკონომიას? ცხადია არა. ამიტომ ეს მაჩვენებელი არ გამოხატავს ნამდვილ საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების დონეს.

შრომის ხარჯვა სამუშაო დროში ხდება. მაშასადამე, პროდუქცია იქმნება სამუშაო დროში და როდესაც საკითხი ისმის შრომის რაოდენობის შესახებ, რომელიც ამ პროდუქციის შექმნაზე დაიხარჯა, იგულისხმება სამუშაო დრო. შეიძლება გარკვეულ სამუშაო დროში მეტი ან ნაკლები პროდუქცია შეიქნას, რაც იმაზეა დამოკიდებული თუ როგორია ამ სამუშაო დროში შრომის მწარმოებლური ძალა. რაც უფრო მეტია შრომის მწარმოებლური ძალა სამუშაო დროის მონაკვეთში, მით მეტი პროდუქცია იწარმოება, რაც ნაკლებია — ნაკლები. მაშასადამე, რაც მეტია შრომის მწარმოებლური ძალა მით ნაკლები სამუშაო დრო იხარჯება ერთეული პროდუქციის წარმოებაზე და პირიქით, რაც ნაკლებია შრომის მწარმოებლური ძალა — მით მეტი.

მაგალითად: სამუშაო დროის გარკვეულ მონაკვეთში — 1 საათში იხარჯება 1 რაოდენობის შრომა და სამუშაო დღის 8 საათის ხანგრძლივობის დროს მუშა ამზადებს 8 ერთეულს. თუ გაიზრდება შრომის მწარმოებლური ძალა და 1 საათში დაიხარჯება 1,5 შრომა, მაშინ ამავე ხანგრძლივობის პერიოდში დამზადდება არა 8, არამედ 12 ერთეული. მაშასადამე, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებით გარკვეულ დროის მონაკვეთში გაიზარდა პროდუქციის რაოდენობა, მაგრამ სამუშაო დროის რაოდენობა შემცირდა პროდუქციის ერთეულზე — თუ პირველ შემთხვევაში ის 1-ს უდრიდა, მეორე შემთხვევაში შეადგენს 0,7-ს.

რაზეა დამოკიდებული შრომის მწარმოებლური ძალის ასეთი ცვლილება?

ამ საკითხზე კ. მარქსმა ამომწურავი პასუხი მოგვცა. „შრომის მწარმოებლური ძალა — ამბობს ის — განისაზღვრება მრავალნაირი გარემოებით, სხვათაშორის მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციით, წარმოების საშუალებათა მოცულობითა და ქმედუნარიანობით და ბუნებრივი პირობებით“ [2].

კ. მარქსის მიერ ზემოთ მოყვანილი შრომის მწარმოებლურ ძალაზე მოქმედი ფაქტორები განაპირობებენ შრომისნაყოფიერების დონეს. ამით აიხს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება, რომ წარმოების ამა თუ იმ პირობების მიხედვით შრომისნაყოფიერების დონე ერთი და იგივე სამუშაო დროში და ერთ და იმავე სამუშაო სახეზე შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ჩაის იმ მეურნეობაში, სადაც ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა მაღალია სამუშაო დროის ერთ და იმავე რაოდენობის დროს მწვანე ფოთლის კრეფაზე, უკეთესი შედეგია — მაღალი გამომუშავებაა, ვიდრე იმ მეურნეობაში, სადაც დაბალი მოსავლიანობაა. ასევეა ერთ და იმავე მეურნეობის შიგნით წლის სხვადასხვა პერიოდშიც. მაგ., ჩაის ფოთლის განვითარების უკეთესი პირობების გამო მაისსა და ივლისში შრომისნაყოფიერება გაცილებით დიდია, ვიდრე აგვისტოსა და სექტემბერში, როცა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი პირობები ქმნიან მწვანე ფოთლის ნაკლები განვითარების შესაძლებლობას.

მიწათმოქმედებაში — როგორც ამას მარქსი აღნიშნავს — განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუნებრივი პირობები. ცნობილია, რომ შრომის მწარმოებლური ძალა გაცილებით მეტია იქ, სადაც ამა თუ იმ კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს და ნაკლებია იქ, სადაც ეს პირობები ნაკლებ ხელშემწყობია და სრულიად გასაგებია, რომ „წარმოების პირობების განვითარების დონის მიხედვით შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ერთსა და იმავე დროში პროდუქციის უფრო მეტ ან ნაკლებ რაოდენობას იძლევა“[1].

С. А. ТАВДИШВИЛИ

## К ВОПРОСУ О РАСЧЕТЕ УРОВНЯ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ОБЩЕСТВЕННОГО ТРУДА


### Резюме

В экономической литературе часто встречаются вопросы о необходимости расчета уровня производительности общественного труда.

Как известно, К. Маркс указывал, что повышение производительности труда означает уменьшение доли живого и увеличение доли овеществленного труда с тем, что вся сумма труда должна уменьшаться, причем живой труд больше уменьшается, чем увеличивается овеществленный труд.

Исходя из этого целесообразно производительность труда расчитать не только на живой труд, как это делается обычно, но и на овеществленный.

По этому вопросу в экономической литературе высказываются многие предложения, предполагаются разные методы решения.

В вопросе определения уровня производительности общественного труда самим сложным является выражение овеществленного-прошлого труда в рабочее время.

В настоящей статье на материалах колхозов рассматриваются методы расчета производительности труда предложенный М. Федоровыхом а также методы С. Струмилина по вопросу определения овеществленного труда в рабочее время.


ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. I, 1955.
2. კ. მარქსი — კაპიტალი, III, 1955.
3. ს. გ. სტრუმილინი — შრომის ეკონომიკის პრობლემები; 1957 (რუსულად).
4. ს. გ. კოლესნევი — შრომისნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში და მისი გადიდების გზები; 1957 (რუსულად).
5. კ. გ. ლუგოვსკოი — სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; 1963 (რუსულად).
6. ჟურნ. „ვოპროსი ეკონომიკი", № 2, 1949 (რუსულად);
7. ჟურნ. „სოციალისტიჩესკი ტრუდ", № 10, 1962 (რუსულად).

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ერთიანი ბიბლიოთეკა

ბ. ძაბნიძე

# სრული სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებში

პარტიის აგრარული პოლიტიკიდან გამომდინარე საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური აღმავლობის ამოცანის განხორციელებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეების პირადი მატერიალური დაინტერესების შერწყმა საზოგადოებრივ ინტერესებთან. ამ მხრივ განმსაზღვრელი როლი ენიჭება საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას, რაც განაპირობებს საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებასა და სამეურნეო დამოუკიდებლობის საფუძველზე გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფას.

აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის 20 საბჭოთა მეურნეობის 1965—1973 წლების მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სრული სამეურნეო ანგარიშის გატარებამ საბჭოთა მეურნეობებში უკვე მოგვცა თავისი პირველი დადებითი შედეგები. განვლილი წლების პრაქტიკამ ნათლად დაგვანახა, რომ სრული სამეურნეო ანგარიში ქმედით იარაღად იქცევა მეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობის, ინიციატივის გაფართოებისა და წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრული სამეურნეო ანგარიშის მექანიზმი ჯერ კიდევ ხასიათდება ზოგიერთი არსებითი ნაკლოვანებებით, რომლებიც შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

ამის შესახებ სკკპ XXIV ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხ. ა. ნ. კოსიგინმა თქვა: „შეძენილმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინებინა სამეურნეო რეფორმის ის ასპექტებიც, რომლებიც შემდგომ დაზუსტებასა და განვითარებას საჭიროებენ“.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობის სრული სამეურნეო ანგარიშის მუშაობის შედეგების შესწავლა და არსებითი ნაკლოვანებების გამოვლინება, მათი შემდგომი სრულყოფის მიზნით ამჟამად მეტად აქტუალურია.

იმ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც სხვა ეკონომიურ ბერკეტებთან ერთად ფართოდ გამოიყენება სრული სამეურნეო ანგარიშის უპირატესობანი, დანერგილია შიგასამეურნეო ანგარიში, უფრო ეფექტიანად ხდება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების გამოყენება, მიიღწევა უკეთესი

საწარმოო-საფინანსო შედეგები. ამასთანავე, მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ეკონომიური მუშაობის მოწესრიგებას, შიგასამეურნეო ანგარიშის განმტკიცებასა და საწარმოო-ეკონომიური რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას. ეს მუშაობა ძალიან ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი და სპეციალისტი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ერკვევა მუშაობის ახალ პირობებში და აქედან გამომდინარე, სრული სამეურნეო ანგარიშის უპირატესობანი წარმოების ამაღლების საქმეში ნაკლებ ქმედით ხასიათს ატარებს.

ეკონომიური სტიმულირების, განსაკუთრებით კი მატერიალური წახალისების ფონდში სახსრების ჩარიცხვა და ხარჯვის ზრდა ბევრად წინ უსწრებს და მნიშვნელოვნად აღემატება მეურნეობათა ძირითად საწარმოო-ეკონომიური მაჩვენებლების ზრდის ტემპს. მატერიალური წახალისების ფონდის სისტემატური ზრდა თვითმიზანი არ უნდა იყოს და იგი ხელს უნდა უწყობდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში აგროტექნიკით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად და დროულად ჩატარებას, შრომისნაყოფიერების გადიდებას და საბოლოო ჯამში მეურნეობის რენტაბელობის ამაღლებას.

ამჟამად მოქმედი დებულებით სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობისათვის მატერიალური წახალისების ფონდის სიდიდე განისაზღვრება გეგმური მოგების 15 პროცენტით, ხოლო ზეგეგმური მოგებიდან გადარიცხვის აღნიშნული ნორმა მცირდება ორჯერ, ამასთანავე, გადარიცხვის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საბჭოთა მეურნეობის მთელი წლიური გეგმური ხელფასის ფონდის 12 პროცენტს.

მატერიალური წახალისების ფონდის ფორმირების აღნიშნული წესი ხასიათდება ნაკლოვანებებით და საჭიროებს სრულყოფას. საქმე იმაშია, რომ მოგებიდან მატერიალური წახალისების ფონდში გადარიცხვის ასეთი ნორმის დროს მეურნეობისათვის სასარგებლოა მიიღოს მხოლოდ გეგმური მოგება, რის გამოც წარმოება არ არის დაინტერესებული პროდუქციის წარმოების ზრდისა და მისი თვითღირებულების შემცირების საფუძველზე გაადიდოს ზეგეგმური მოგება. მით უმეტეს, რომ ხელმძღვანელ სპეციალისტებს გეგმური მოგების მიღებისათვის საკმაოდ მაღალი პრემიის პროცენტი ერიცხებათ.

აქედან გამომდინარე, საბჭოთა მეურნეობებში ზეგეგმური მოგებიდან მატერიალური წახალისების ფონდში გადარიცხვის ნორმის შემცირებას სრულყოფილი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ასევე, არასრულყოფილია მისი შემოსაზღვრა ხელფასის ფონდის 12 პროცენტით, რამდენადაც ის არა თუ ხელს არ უწყობს კოლექტივის დაინტერესებას მოგების სულ უფრო გადიდებაში, არამედ პირიქით, ამცირებს კიდევ მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას წარმოების შემდგომი ზრდისა და ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. ამიტომ სასურველია მატერიალური წახალისების ფონდის ნორმა შემოისაზღვროს ფაქტიური მოგების 15 პროცენტით.

მატერიალური წახალისების ფონდი წარმოადგენს მთელი კოლექტივისა და თითოეული მუშაკის მატერიალური სტიმულირებისა და პირადი დაინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესების მნიშვნელოვან წყაროს მუშაობის უკეთესი შედეგების მიღწევაში. ამ ფონდის სახსრები მიზანშეწონილია კვლავ გამოყენებული იქნეს მოწინავეთა მიერ სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისა და შიგასამეურნეო შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირებისათვის, ხოლო, მუშაკთა ერთდროული დახმარება მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიცეს არა მატერიალური წახალისების, არამედ სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ფონდიდან, ვინაიდან მატერიალური ერთდროული დახმარება არ არის უშუალოდ დაკავშირებული მუშაკთა შრომით წვლილთან მეურნეობის უკეთესი საწარმოო-საფინანსო შედეგების მიღწევაში და იგი დაბლა სცემს მატერიალური წახალისების ფონდის მნიშვნელობასა და გამოყენების ეფექტს. მით უმეტეს, რომ ერთდროული დახმარების სახსრებს შესწავლილ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში უმეტესად არა დანიშნულებით იყენებენ.

რაც შეეხება მატერიალური წახალისების ფონდის ყველაზე დიდ ნაწილს, რომლის დანიშნულებაა შრომის წლიური შედეგების პრემირება, საჭიროებს შემდგომ სრულყოფას. კერძოდ, მისი სიდიდის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ საბჭოთა მეურნეობის საწარმოო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლების—სასაქონლო პროდუქციის მოცულობის, შრომისნაყოფიერების დონის გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ტემპი წინა 3 წლის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ დიდად გაიზარდა მოგების როლი წარმოების მატერიალურ სტიმულირებაში. ამასთანავე, ხელფასის ფონდიდან გათვალისწინებულმა პრემიებმა დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ პრემიის მასტიმულირებელი როლის დაცემა გამოწვეულია იმით, რომ მსგავსი მაჩვენებლებისათვის მუშაკთა პრემირება ხდება მატერიალური წახალისების ფონდიდან. გარდა ამისა, მეურნეობის ხელმძღვანელები არც არიან დაინტერესებული გასცენ პრემია ხელფასის ფონდიდან, რადგან იგი გავლენას ახდენს ხელფასის ფონდის გადახარჯვაზე და პროდუქციის თვითღირებულების გადიდებაზე.

იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშაკი ერთხაირად იყოს დაინტერესებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, მიზანშეწონილია დაწესებული იქნეს პრემირების ერთი და იგივე წყარო — მოგება. ეს ხელს შეუწყობს თავიდან ავიცილოთ „დუბლირება“ მატერიალურ წახალისებაში ერთი და იგივე მაჩვენებლისათვის, რითაც კიდევ უფრო ამაღლდება მატერიალური წახალისების მასტიმულირებელი როლი და მნიშვნელობა.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, მუშებისა და სხვა სპეციალისტებისაგან განსხვავებით, ახალი დებულებით პრემიას ღებულობენ ფაქტიური მოგების მიხედვით. ამასთანავე პრემია ამ სახსრების ანგარიშზე გაიცემა სხვა მაჩვენებლების გათვალისწინების გარეშე.

პრემირების ყოველი სისტემა ხელს უნდა უწყობდეს წარმოების ხელმძღვანელების სტიმულირებას, რათა გაითვალისწინონ გეგმაში წარმოების,

პროდუქციის რეალიზაციისა და მიღებული მოგების რეალური შესაძლებლობანი. ფაქტიურად კი, ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელისა და სპეციალისტების სწრაფვა საგეგმო მაჩვენებლების შემცირებისათვის. ეს კი, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები პრემიას ღებულობენ, არა მარტო მიღებული მოგებისათვის, არამედ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებისათვისაც. ამასთანავე, ამ უკანასკნელის ოდენობა ძალიან ხშირად მნიშვნელოვნად აღემატება მოგებისათვის მიღებული პრემიის რაოდენობას. ამიტომ, მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები არ არიან დაინტერესებული დაძაბული საგეგმო მაჩვენებლების შემუშავებით.

ხელმძღვანელი მუშაკების პრემირება მოგებისათვის უნდა ხდებოდეს მხოლოდ რენტაბელობის დონის გადიდების შემთხვევაში. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგების დამოკიდებულება, როგორც ძირითად და საბრუნავ ფონდებთან, ისე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან. პრემიის დადგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რის ანგარიშზეა მიღებული მოგება. ეს კი ხელს შეუწყობს ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობასა და მატერიალური დაინტერესების ამაღლებას, რათა მოგების მიღების მიზნით მაქსიმალურად აამოქმედონ წარმოების შინაგანი რეზერვები.

ხელმძღვანელი მუშაკების პრემირება პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებისათვის უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული გეგმა აღემატება უკანასკნელი სამი წლის პროდუქციის დამზადების საშუალო დონეს. პრემირების ასეთი წესი სტიმულს მისცემს საბჭოთა მეურნეობებს დაძაბული და ოპტიმალური გეგმების შემუშავებაში და გააძლიერებს მათ მატერიალურ პასუხიმგებლობას პროდუქციის რეალიზაციისათვის დასახული პროგრამის შესრულებაში.

მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესება. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს კი წარმოადგენს საწარმოო ფონდებისათვის ბიუჯეტის გადასახდელი. ცნობილია, რომ ფონდების გადასახდელთა ოდენობა მუშაობის ახალ პირობებში სრულიად არ წარმოადგენს მეურნეობის მოგების საგრძნობ ნაწილს. ამიტომ, ეკონომიური სტიმულირების პოტენციალური შესაძლებლობა, რომელიც გამომდინარეობს ფონდების გადასახდელებიდან, არასრულად გამოიყენება. ეს კი, ამცირებს მის როლს წარმოების ეკონომიური სტიმულირებისა და დაგეგმვის სისტემაში.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ ფონდების გადასახდელთა მნიშვნელობა, როგორც წარმოების მნიშვნელოვანი ბერკეტისა. საჭიროდ მიგვაჩნია ფონდების გადასახდელთა ნორმა გადიდებული იქნეს 2—3 პროცენტამდე და დაწესდეს ყველა საბჭოთა მეურნეობისათვის ფონდების გადასახდელთა ერთნაირი ნორმატივი.

ფონდების გადასახდელთა ნორმების გადიდებისა და ერთნაირი ნორმატივის დაწესებასთან ერთად საჭიროა განხორციელდეს სრულ სამეურნეო ან-

გარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობისათვის რენტაბელობის გამოთანაბრების პირობის შექმნა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ ისმება ამჟამად, ვინაიდან ეკონომიურად ძლიერი საბჭოთა მეურნეობების გვერდით სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობენ განსხვავებული საწარმოო მიმართულებისა და სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში მყოფი, არა მარტო დაბალრენტაბელური, არამედ ზარალიანი საბჭოთა მეურნეობებიც.

საქართველოში, სადაც მკვეთრად არის გამოხატული განსხვავებული მიკროზონალური თავისებურება, განსაკუთრებით აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ცალკეული მეურნეობისათვის ან მეურნეობათა ჯგუფისათვის. მაგრამ ამ ღონისძიების განხორციელებას ხელს უშლის მიწის ეკონომიური შეფასების საკითხის მოუგვარებლობა. მიწის ეკონომიური შეფასების ობიექტური მონაცემების გარეშე კი შეუძლებელია მოგვარდეს საბჭოთა მეურნეობებისათვის რენტაბელობის გამოთანაბრებული პირობების შექმნა.

ამდენად მიწის ეკონომიური შეფასება, დიფერენცირებული რენტის გაანგარიშება და ამის საფუძველზე პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენცირება სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონებისა და მიკროზონების მიხედვით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საბჭოთა მეურნეობებში ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული წინადადებების გატარება უსათუოდ ხელს შეუწყობს წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის სრულყოფის საქმეს და მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოების ეფექტიანობას.

Г. Я. ДЗАГНИДЗЕ

## МЕРОПРИЯТИЯ ПО СОВЕРШЕНСТВОВАНИЮ ПОЛНОГО ХОЗРАСЧЕТА В СОВХОЗАХ


**Резюме**

На основе изучения и обобщения опыта работы по полному хозяйственному расчету в виноградарских совхозах Восточной Грузии, рассматриваются некоторые узловые вопросы осуществления экономической реформы в сельском хозяйстве. В связи с этим, даны рекомендации и предложения по дальнейшему совершенствованию основных элементов полного хозрасчета и повышению эффективности совхозного производства, упорядочению материальной заинтересованности коллективов и организаций в условиях оперативнохозяйственной самостоятельности совхозов.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ორაბველიძე

# საადგილმამულო ურთიერთობანი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში

საადგილმამულო ურთიერთობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და საქართველოში საერთოდ უფრო რთულ ფორმებშია წარმოდგენილი რუსეთის შიგაგუბერნიებთან შედარებით. ამასთან ჯერ კიდევ ბევრია მისაგნები მასალები, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ საქმის ფაქტიურ მდგომარეობას.

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრენი იმთავითვე მძლავრი სახელმწიფოების ყურადღებას იქცევდა არა მარტო ანტიკურ პერიოდში, არამედ შემდეგშიაც. საბოლოოდ ისტორიული განვითარების შედეგად საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა, რომელმაც ხელი შეუწყო მეურნეობის აღდგენას, კულტურის ზრდას და ქვეყნის შედარებით მშვიდობიან განვითარებას.

საქართველოს მესვეურები დიდი ხნით ადრე ზრუნავდნენ მძლავრ მოკავშირეზე და მიწერ-მოწერა ჰქონდათ რუსთა მეფესთან. თავის მხრივ რუსეთის იმპერატორიც დაინტერესებული იყო ა/კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მიერთებით, შავი ზღვის სანაპიროზე გასვლით. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი მართებულად შენიშნავს, რომ „კონსტანტინეპოლის დაპყრობასაც და აზიის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილის დაპყრობასაც ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ესწრაფვის, რისთვისაც სისტემატურად ატარებს სათანადო პოლიტიკას და ამისათვის იყენებს ყოველგვარ წინააღმდეგობას და შეჯახებას დიდ სახელმწიფოთა შორის“ [1].

მეფის რუსეთი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთად ინაწილებდა მსოფლიოს ტერიტორიებს. მაგრამ უპირატესად იგი მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიებს ეტანებოდა და მის მიერთებაზე ზრუნავდა. ამისათვის კი ყოველგვარ ზომებს იღებდა. პროტექტორატის ნიშნით ახალი ქვეყნების მიერთებას რუსეთის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა — „ევროპის რუსეთის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი, კავკასია, შუა აზია, ციმბირი რუსეთის კაპიტალიზმის ერთგვარ კოლონიებს წარმოადგენენ და უზრუნველჰყოფენ მის უდიდეს განვითარებას არა მარტო სიღრმეზე, არამედ სიგანეზეც“ [1].

კაპიტალიზმის განვითარება სიღრმით და სიგანით ურთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთი ხელს უწყობს მეორეს, მაგრამ მისი განვითარების ფორმები სხვადასხვა რაიონებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი რუსეთის იმპერიის სიგანით განვითარების ორბიტაში მე-18 საუკუნის დამლევიდან ექცევა ა/კავკასიაც, მათ შორის საქართველო შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებით. საქართველოს ტერიტორია და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მეტად საინტერესო იყო მეფის რუსეთისათვის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებებით, რადგანაც:

1) იგი წარმოადგენდა პლაცდარმს რუსეთის იმპერიისათვის — მცირე აზიის მიმართულებით, თურქეთის დაპყრობისათვის. თურქი პოლიტიკური მოღვაწე ქემალ-ფაშა თავის მემუარებში ეხება ბულგარეთის წარმომადგენლის ტომაჩევის მოსაზრებას, რომ „რუსები კონსტანტინეპოლს თვლიან თავის კანონიერ მემკვიდრეობად... როცა კონსტანტინეპოლი დაეცემა, მათ ხელში გადავა დიდი ტერიტორიები. თუ ამ დროს ადრიანოპოლი აღმოჩნდება თურქეთის ხელში, იმის აღებასაც შესძლებენ. ბულგარეთისაგან თავდასხმის შემთხვევაში ექნებათ პლაცდარმი საომარი მოქმედების განვითარებისათვის“ [2]. ეს დოკუმენტიც ადასტურებს, რომ რუსეთს განზრახული ჰქონდა თურქეთის დაპყრობა და საქართველოც ამ მიმართებით ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა;

2) რომ საქართველო და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო წარმოადგენდა ნედლეულის ბაზას რუსეთის მრეწველობისათვის;

3) იგი იყო ბაზარი რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მზა ნაწარმისათვის და

4) იქმნებოდა ოპტიმალური პირობები შავი ზღვის სანაპიროების ნავთსადგურების მეშვეობით საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის 1828—29 წლების ომი ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებით დამთავრდა. ამ ხელშეკრულების თანახმად შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან წმ. ნიკოლოზის სიმაგრემდე (შეკვეთილი) მთლიანად გადავიდა რუსეთის გამგებლობაში. გარდა ამისა თურქეთმა საბოლოოდ სცნო საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მიერთების ფაქტი რუსეთზე.

საადგილმამულო ურთიერთობის საკითხების შესწავლისას ჩვენ ვეხებით შავი ზღვის გუბერნიას, რომელსაც დაკავებული ჰქონდა კავკასიის ყველაზე დასავლეთი ნაწილი და მიყვებოდა შავი ზღვის სანაპიროს ყუბანიდან მდ. ბზიფამდე. მას დაკავებული ჰქონდა 672,4 ათასი დეს. ამ გუბერნიაში შედიოდა ნოვოროსიისკის, ტუაფსის და სოჭის ოლქები. ამ ოლქების გაგრძელებას წარმოადგენდა სოხუმის ოკრუგი 659,1 ათ. დეს. მიწით. სოხუმის ოკრუგი დაყოფილი იყო 4 რაიონად: გუმისტის—ცენტრით სოხუმი, გუდაუთის — ცენტრით გუდაუთა, კოდორის — ცენტრით ოჩამჩირე და სამურზაყანოს — ცენტრით ოქუმი.

სამწუხაროდ მცირედაა შემორჩენილი მასალა საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებზე, მაგრამ რაც არის მთავრობის მოხელეთა მოხსენებით ბარათებში ან სხვა სახის დოკუმენტებში, საკმარისია არსებული ნამდვილი სურათის აღდგენისათვის. შავი ზღვის გუბერნიის დახასიათებისას ერთ-ერთ

დოკუმენტში ნათქვამია — „ამჟამად მდიდარი მხარე, სადაც მის დაპყრობამდე ცხოვრობდა 100 ათასი კაცი, ახლა ითვლის სულ 17,0 ათას სულს. ისინი მიგ-დებულია ღვთის ანაბარად და აქამდე ადგილობრივი მოსახლეობის ყოველ-დღეობაზე ზრუნვა არ ითვლებოდა რომელიმე ორგანოს მოვალეობად. ადგი-ლობრივი ადმინისტრაცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ ახლად დასახლებულთა საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებით. მეურნეობის სწორი მიმართუ-ლებით განვითარებისათვის, მათი ნამდვილი დახმარებისათვის და ადგილობ-რივი ბუნებრივი პირობების გამოყენებისათვის სულ არ იყო მუშაობა დაწყე-ბული“ [3], ე. ი. 1828-29 წლების ომისშემდგომ პერიოდში ძალზე შემცირდა მოსახლეობა შავი ზღვის ოლქში არა მარტო ომის გამო, არამედ თურქი მოსახ-ლეობის მუხაჯირობის შედეგად, რომლებიც მასობრივად გაიქცა თურქეთში. მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის მიზეზი იყო მეფის მთავრობის დაპყრო-ბითი-კოლონიზატორული პოლიტიკა და სარწმუნოებრივი შევიწროება. მეფის მოხელეები არა თუ მალავდნენ მუხაჯირობის ფაქტებს, პირიქით ხელს უწყო-ბდნენ მას, გაქცეული მოსახლეობის მიწებსა და ქონებას ხაზინა ეპატრონე-ბოდა.

ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც შედგენილია 1894 წ. მარტში გარკვე-ვით არის მოცემული ცნობები სოხუმის ოლქში მუხაჯირობის შესახებ. ამ საბუთში ნათქვამია, რომ სოხუმის ოლქში „ამ 25 წლის წინათ დაწყებული ძირითადი მოსახლეობის თურქეთში გადასახლების შედეგად მათ დატოვეს დი-დი ოდენობის სავარგულები საკმაოდ კულტურულ ფორმებში. ამ სავარგულ-ებზე განზრახულ იქნა რუსების დასახლება, რის გამოც სხვადასხვა უბანში გა-მოყოფილ იქნან ნადელი 20-კომლისათვის“[2].

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დიდი რაოდენობით იყო მონასტ-რები და ეკლესიები, როგორიცაა ბიჭვინთის, დრანდის, ილორის, მოქვის და სხვ. მათ გამგებლობაში ითვლებოდა მამულების დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, თავადების, აზნაურების და სხვა შეძლებული პირების ხელში იყო 135,0 ათასი დეს. მიწა. გლეხობას კი მხოლოდ 72,0 ათასი დეს. მიწა გააჩნდა. მეფის მთავრობა დიდი რაოდენობით არიგებდა მიწებს საჩუქრად. საქ. სსრ ისტო-რიულ არქივში შემონახულია სია იმ პირებისა, რომლებმაც საჩუქრად მიი-ღო მიწები შავი ზღვის ოლქში მეფე-იმპერატორის მიერ. ამ სიაში არის არა მარტო სამხედრო პირები, რომლებმაც საომარ ოპერაციებში წარჩინების გა-მო დაიმსახურეს საპატიო საჩუქარი, არამედ მრეწველები და ვაჭრები, სამეფო კართან დაახლოებული პირები და არა მარტო რუსები, არამედ უცხოელებიც. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

1. გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ნიკიფორაკი — მიიღო საჩუქრად 533 დეს. მიწა.
2. გენერალ-ლეიტენანტი გიორგი პილენკო „ „ 1350 „ „
3. პორუჩიკი პეტრე ლოსევი „ „ 1359 „ „
4. სტატსკი სოვეტნიკი ვიქტორ კოვალევსკი „ „ 2800 „ „
5. ბარონი ვრანგელი „ „ 1866 „ „

გარდა ამისა, საკმაოდ არიან სიაში უფრო დაბალი ჩინის სამხედრო პირე-ბი, რომლებმაც საჩუქრად მიიღეს მიწები. მაგრამ მათ შორის არიან ცნობილი ვაჭრებიც, მაგ., ვაჭარმა მიხეილ სობოლევმა მიიღო საჩუქრად 1100 დეს. მიწა.

უხვად იქნა მიწები გაჩუქებული უცხოეთის ქვეშევრდომებზეც. მაგ., საქსონიის ქვეშევრდომმა ანტონი ფოსსიმ მიიღო 2050 დეს. მიწა. პრუსიის ქვეშევრდომმა გარბემ—1540 დეს., ლუი ფრეისენმა — 2200 დეს., ემილია გოლ[illegible] დეს., მარია ბაუერმა — 1920 დეს. და ა. შ. სულ ამ სიაში რეგისტრირებულია 171 კომლი, რომლებმაც საჩუქრად მიიღეს მეფისაგან მიწები შავი ზღვის ოლქში დაახლოებით 100 ათას დეს. მეტი.

მთავარი ის არის, რომ ნაჩუქარი მიწები საშუალებას იძლეოდა არა იმდენად სასოფლო-სამეურნეო წამოწყების ორგანიზაციისათვის, არამედ მიწების ფართო სპეკულაციისათვის. მიწის მეპატრონეები ნაჩუქარ მიწებზე არ ფიქრობდნენ მის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე.

მარტო შავი ზღვის გუბერნიაში 80-იან წლებში მეფე-იმპერატორის მიერ გაჩუქებული იყო:

1. სამეფო გვარის წევრებისა და საუფლისწულო უწყებისათვის — 17567 დეს. ან 19,5%.

2. კერძო პირებისათვის — 20714 დეს. ან 22,9%.

3. ხაზინის მიერ გაყიდული მიწები შეღავათიან ფასებში 10 წ. განვადებით 51170 დეს. ან 56,7%, ხოლო ქალაქებისა და სოფლების გასაშენებლად გამოიყო მხოლოდ 858 დეს. ან 0,9%. სულ კი 90309 დეს. ამ მიწებიდან დამუშავდა 420 ათასი დეს.მიწა ან ნახევარზე ნაკლები [3].

სოხუმის ოლქისა და საერთოდ შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაციაზე ზრუნავდა არა მარტო მეფის მთავრობა, არამედ მისი აპარატი კავკასიაში. ერთ მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ—„იმპერიის არცერთი ნაწილში გადმოსახლებულებს არ ეძლეოდათ ისეთი შეღავათები და უხვი დახმარება, როგორც შავი ზღვის გუბერნიაში“ [3].

რუსეთის შიგა გუბერნიებიდან გადმოსახლებულებს ეძლეოდათ არა მარტო მიწის ვრცელი ტერიტორიები შეღავათიან ფასებში, არამედ დამატებით ღებულობდნენ 40 მან. დახმარებას ერთ კომლზე ხაზინიდან. გარდა ამისა, კავკასიის მთავარმართებელი დამატებით აძლევდა ერთდროულ დახმარებას პირველად 50 მან. შემდგომ კი 100 მან. კომლზე. აძლევდა აგრეთვე პროვიანტს პირველად ერთი წლის ვადით, შემდგომ კი 3 წლის ვადით.“ გადმოსახლებულებს გაუნაწილეს აგრეთვე საუკეთესო ჯიშის ხეხილის ხეები შეძენილი ხაზინის სახსრებით [3].

მაგრამ კოლონიზაციის პროცესში მაინც მეტი ყურადღება მიექცა არა იმდენად გადმოსახლებულ გლეხებს რუსეთის შიგაგუბერნიებიდან, რამდენადაც მეფის მოხელეებს და სამხედრო პირებს, რომლებმაც მიიღეს მიწების დიდი მასივები ჩუქების წესით. ამის გამო ერთ მოხსენებით ბარათში მართებულად არის მითითებული, რომ—„საუკეთესო სანაპირო კულტურული მიწები მიეცათ კერძო პირებს ჩუქების წესით ან მიეყიდათ შეღავათიან ფასებში, გადმოსახლებულ გლეხებს კი მიწები გამოეყო ისეთ ადგილებში, რომლებიც მოკლებული იყო მოხერხებულ სამიმოსვლო გზებს ზღვით. არ იყო კავშირი მხარეებთან, ცუდი იყო კლიმატური პირობებიც“ [3].

გადმოსახლებული გლეხებისათვის გამოყოფილი ნაკვეთები უპირატესად ტყეებით იყო დაფარული. ტყეების ამოძირკვისათვის კი დიდი სახსრები იყო

საჭირო, რაც მათ არ გააჩნდათ. გარდა ამისა, ტყისათვის მათ ფული უნდა ეხადათ, ხოლო ტყის მასალა მათთვის გამოუყენებელი იყო. ამას ემატება ისიც, რომ გადმოსახლებულებმა, როცა ტყე გაკაფეს და მარცვლეული დათესეს, იგი გარეულმა ღორებმა გაანადგურა, შინაური პირუტყვი კი ნადირმა, მაგრამ გლეხებს ზაფხულის პერიოდში ნება არ ჰქონდათ გარეულ ღორებზე ნადირობისა. „გლეხები ისედაც მცირე შეძლებისანი არიან, რომ იყიდონ ბილეთი ნადირობის უფლებისათვის ნადირზე და ღორებზე, მაგრამ მთავარია ის, რომ გარეულ ღორებზე ნადირობა არ შეიძლება ზაფხულის თვეებში, როცა ეს ცხოველები ყველაზე უფრო მავნეა და ანადგურებს ნათესებს. ამ პერიოდში ღორებზე ნადირობა კანონით აკრძალულია“ [3].

ამრიგად, მართალია რუსეთის შიგაგარეუბნებიდან გადმოსახლებულ გლეხებს მიუზომეს მიწები, მაგრამ.იგი არ იყო შემოფარგლული და დიდი გაუგებრობაც შემდგომში ამით იყო გამოწვეული. გარდა ამისა კოლონიზაციას ხელს უშლიდა მთავრობის უყურადღებობა საგზაო მშენებლობის საქმეში. არ იყო კავშირის საშუალებანი, არ იყო განვითარებული მრეწველობა, არ არსებობდა ბაზრები, მასობრივად იყო გავრცელებული დაავადებანი, სამკურნალო დაწესებულებანი კი ახლად დასახლებულ ადგილებში არ არსებობდა.

თურქეთთან ომის დამთავრების შემდეგ მეტი ყურადღება მიექცა სოხუმის ოლქის კოლონიზაციის საკითხებს: 1879 წ. 22 ივნისს კავკასიის მთავარმმართებლის საბჭომ სუხუმის ოლქში გამოჰყო 12283 დეს. მიწა რუს ახალმოსახლეთა დასახლებისათვის. თითოეულ კომლს მემკვიდრეობითი უფლებით ეძლეოდათ 15 დეს. მიწა. შავი ზღვის სანაპირო ზოლში მიწები იყიდებოდა საჯარო ვაჭრობითაც და მსურველებს ეძლეოდათ მიწა 50 დეს. ერთ სულზე. მაგრამ ამ ღონისძიებამ არ გასჭრა. საჯარო ვაჭრობაზე არავინ არ ცხადდებოდა, მიწის უფასოდ მიღება კი მრავალს სურდა, რომელთა „მეტი ნაწილი მიზნად ისახავდა არა სამეურნეო, არამედ სპეკულაციურ მიზნებს, ე. ი. მიეღო მიწები, დაეცადა და შემდგომ გაეყიდა დიდი მოგებით. ამ სპეკულიანტებიდან ზოგიერთები გამოცხადდა რამდენიმე ათეული მინდობილობებით სხვადასხვა პირებისაგან, რომელთაგანაც არც ერთმა არ მოკიდა ხელი რაიმე მეურნეობას. სულ გამოყოფილ იქნა 133 ნაკვეთი ზომით 50 დეს. თითოეული. საერთოდ კი 6153 დეს. მაგრამ მეურნეობა მოწყობილი არ არის“ [3].

მეფის მოხელეებმა დაინახეს, რომ მიწების განაწილების აღნიშნულმა წესმა არ გაამართლა, რის გამოც დაიწყეს დიდი მამულების გაყიდვა მყიდველთა ამორჩევით. ამასთან თითოეული მამულის სიდიდე არ უნდა ყოფილიყო 3000 დეს. მეტი ერთ მეურნეობაზე. მიწის ფასი 10 მან. დესეტინაზე. მიწის ფასის გადახდა გათვალისწინებული იქნა 10 წ. ფარგლებში. მიწის მყიდველი არავითარ ვალდებულებას არ იღებდა აღნიშნული მიწების მეურნეობრივი გამოყენებისათვის მას შეეძლო იგი გამოეყენებია სპეკულაციური მიზნით.

ამ საკითხზე საინტერესო ცნობას იძლევა თედო სახოკია. იგი წერს— „როცა სოხუმს ფასი დაედო, ამ ადგილებსაც მოაშურეს. დესეტინა მიწის ფასი ერთბაშად 50—60 მან-მდე ავიდა. სოხუმში გაჩნდა მთელი ბრბო კომისიონერებისა, შუამავლებისა, რომელნიც ხუთ თუმნად რომ თვითონ ყიდულობდნენ

დესეტინას, ოც, ოცდაათ და ორმოც თუმნად სხვებზე ჰყიდდნენ. ფასები დაუ-დო განსაკუთრებით ზღვის პირა მდებარე მიწებს; ზოგი ყიდულობდა საგარა-კოდ და ზოგიც იმისათვის, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ნაკვეთები გაე-ყიდა ერთი-ათად და ერთი-ოცად“ [4].

როგორც ირკვევა, რუსი გლეხობა არც ისე აქტიურობდა ცენტრალური გუბერნიებიდან შავი ზღვის სანაპიროებზე დასახლებისათვის. პირიქით, გად-მოსახლებული გლეხები გარბოდნენ უკანვე. ლენინი ამახვილებს ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე და წერს—„შავი ზღვის მხარიდან ახალგადასახლებულნი გარბიან იმის გამო, რომ საურმე გზები არ არის არა მარტო ცალკეულ ახალ-დასახლებულ პუნქტებს შორის, არამედ თვით გადასახლებულთა ნაკვეთების ფარგლებშიც. ამას უნდა დაემატოს, რომ გადასახლებულთათვის არახელსაყ-რელი, უჩვეულო კლიმატური პირობები, რასაც კავკასიის ბევრ ადგილას თან ახლავს მალარიული დაავადება, რითაც იღუპებიან არა მარტო ადამიანები, არამედ პირუტყვიც კი, თავის მხრივ, უგზოობაზე არა ნაკლებად უწყობს ხელს ახალდასახლებულთა გაქცევას ამ მხრიდან“ [1].

სულ მალე დაიწყეს სხვა ერის წარმომადგენელთა დასახლება იმ მიწებზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო რუსი გლეხობისათვის. არქივში შემო-ნახულ მასალაში ნათქვამია — „რუსების ჩამოუსვლელობის გამო იძულებული გავხდით ამ ნაკვეთზე დაგვესახლებინა ბერძნები მცირე აზიიდან, ბულგარე-ლები ხერსონის გუბერნიიდან თითოეულ კომლს მიეცა ნაკვეთი 30 დეს. ოდენობით და ფულადი დახმარება. გარდა ამისა, განთავისუფლდნენ გადასა-ხადებისა და სხვა ვალდებულებისაგან 15 წლით... სულ მალე სხვადასხვა ადგი-ლას გადასახლებულ იქნა რუსი და მოლდაველი—70, მეგრელი—80, ბერძენი—350 და დაახლოებით 100 მოსახლე სომეხი. ახლად დასახლებულთა შორის იყო გერმანელები ვიურტემბერგიდან. 1883 წ. დაიწყო გადმოსახლება მეგრელებმაც, რომელთა ნაკვეთის სიდიდე აღწევდა 3—5 დეს. კომლზე“ [3].

სულ მალე სუხუმის ოლქში 27-ზე მეტი ახალი დასახლება შეიქმნა. იგი შედგებოდა — „რუსების, ბერძნების, ბულგარელების, მოლდაველების, ნემ-ცების, ესტონელების და მეგრელებისაგან. სულ მათში ითვლებოდა 1478 კომლი. სუხუმის ოლქში ჩამოსახლებულები დაფუძნებულია თურქეთში გაქ-ცეული მოსახლეობის მიერ განთავისუფლებულ მიწებზე. დანარჩენი თავისუ-ფალი ვარგისი მიწები დასახლებისათვის მიეცა სხვადასხვა პირებს მისი უდი-დებულესობის მიერ ჩუქების წესით 27007 დეს“ [3].

შემონახულია გადმოსახლებულ ბერძენთა განცხადებაც, სადაც ნათქვა-მია „ჩვენ 300-მდე კომლს ნება დაგვრთეს დავსახლდეთ გუმისტის უბანში თავისუფალ მიწაზე. გამოყოფილია შესაფერი ნადელები თითოეულ ჩამოსულ-ზე 10 დეს. მიღებულია მხედველობაში მოსახლეობის ზრდაც“ [3].

ამავე დროს აფხაზებს და ქართველებს არ ჰქონდათ ნება სუხუმის ოლქში დასახლებისათვის. ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წერს, რომ— „წინანდელი მკვიდრი აფხაზები მოკლებული იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუ-მის მახლობლად, (ოცი კილომეტრის მანძილზე) დასახლებულიყვნენ, როგორც არასაიმედო ელემენტები“ [4].

მაგრამ მეფის მთავრობა არც სხვა კუთხის მოსახლეობას აძლევდა ნებას აღნიშნულ ადგილებში დასახლებისათვის. პროფ. პაატა გუგუშვილი მოხდენილად წერს, რომ „ცენტრალურმა ხელისუფლებამ მეზობელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდან გადმოსულ... გლეხებს უარი უთხრა სოხუმის ოკრუგში თავისუფალი მიწების მიცემაზე, იმ მოტივით, რომ ეს მიწები უკვე საბოლოოდ განკუთვნილია რუსი კოლონისტებისათვის“[5].

მაგრამ მეგრელების ჩამოსახლების ფაქტები მაინც იყო არაოფიციალურად. ამის შესახებ თედო სახოკია წერს „ამ ოცი წლის წინათ 25 კომლ მეგრელს თავი დაუნებებია სენაკის მაზრისათვის, სადაც ისინი მოთმინებიდან გამოუყვანია უმიწობას, ძაღლუმადურ ცხოვრებას,—სოხუმის ოლქში გადმოხვეწილან ბედის საძიებლად... კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ქალაქს უფასოდ უნდა მიეზომა ას დესეტინაზე მეტი რუსი მატროსებისათვის, რომ მეთევზეობა გაევრცელებიათ სოხუმში. მაგრამ მატროსთაგანი არავინ აღმოჩენილა აქ დასახლების მსურველი. მაშინ ზემოხსენებულმა მეგრელებმა ქალაქის თავს უთხრეს... გთხოვთ იჯარით მოგვცეთ სახნავ-სათესადო. ქალაქის თავსაც ჭკუაში დაუჯდა უსარგებლო მიწების გამოყენება და თანხმობა გამოუცხადა. მეგრელებმა მხნედ მოჰკიდეს ხელი საქმეს. ტყე რაც შეეძლოთ, გაჰკაფეს, ჭაობები დააშრეს, გაიჩინეს სახნავ-სათესი, გააშენეს ვენახი და გაჩნდა ეგრეთწოდებული სოფელი „მაიაკი“. ქალაქს დესეტინაზე ექვს მანეთს იჯარით ფულს აძლევდნენ წლიურად“[4], მაგრამ შემდგომ ისინი აყარეს ამ მიწებიდან და გადაასახლეს.

И. Ш. ОРАГВЕЛИДЗЕ

## ЗЕМЕЛЬНЫЕ ОТНОШЕНИЯ НА ВОСТОЧНОМ БЕРЕГУ ЧЕРНОГО МОРЯ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

### Резюме

Как известно, царское правительство везде стремилось к завоеванию чужих территорий. С начала XIX века в орбиту влияния русского царизма попало и восточное побережье Черного моря. Присоединение Грузии и тем более восточного побережья Черного моря имело особо важное значение для русского развивающегося капитализма: во-первых, она являлась плацдармом для продвижения Росссийской империи на восток, во-вторых, она представилась базой сырьевых ресурсов для фабрик и заводов, а также рынком их изделий. Кроме этого, через порты Черноморского побережья можно было широко развернуть внешнюю торговлю с заграницей.

Восточное побережье Черного моря включает в себя черноморскую губернию в составе: Новороссийской, Туапсинской и Сочинской областей и Сухумский округ в составе Гумистинской (центр — Сухуми), Гудаутский (центр — Гудаута), Кодорский (центр — Очамчире) и Самурзаканский (центр с. Окуми) областей.

После завоевания этого края началось Мухаджирство, т. е. массовое переселение местных жителей в Турцию, в результате чего население рез-

ко сократилось. Земли Мухаджиров царское правительство присваивало себе, затем началось распределение этих земель среди военнослужащих и царской знати.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В Центральном архиве Груз. ССР сохранился список, лиц, которые даром получали земли.

Только в Черноморской губернии до 80-х годов XIX века русским царем было отдано:

1) членам царской фамилии и удельным ведомствам 17567 дес. или 19,5%;

2) частным лицам — 20714 дес. 22,9%;

3) было продано частным лицам — 51170 дес. или 56,7%;

4) выделено для благоустройства сел и городов — 858 дес. или 0,9%; всего — 90309 дес. из этих земель обрабатывалось только 420,0 тыс. дес. или менее половины.

С целью колонизации этих краев из центральных губерний начали переселяться крестьяне, но большинство их возвращалось обратно, потому что правительство не уделяло внимания благоустройству этих мест, не было дорог, медицинской помощи и элементарных условий жизни. Однако сельским хозяйством не занимались и крупные землевладельцы. Когда усилилось развитие капитализма и приступили к организации дачного хозяйства, началась спекуляция земельными территориями. Скоро их перепродавали в 10 и 20 раз дороже, чем платили раньше. Но все же в этих условиях развивались технические культуры: табак, цитрусы, лекарственные растения, овощи и т. д.

## ლიტერატურა


1. ვ. ი. ლენინი — თხზ., მე-4 გამოც. ტ. 4, გვ. 101, ტ. 18, გვ.103, ტ. 23, გვ. 159,
2. Записки Джамал-Паши 1913—1919 гг., 1925, стр. 38.
3. საქ. სსრ ცსია, ფ. 243, აღწ. 5, საქმე 199, 232.
4. თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა — მოგზაურობანი: 1950, გვ. 297—299.
5. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი — საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება მე-19—20 სს., ტ. 4. წ. I, გვ. 168.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА. т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. სარჯველაძე

# კოლხეთის დაბლობის ათვისების საკითხისათვის

კოლხეთის დაბლობის, გურიის ქვეზონაში ჩაის მოსავლიანობის გადიდების უდიდეს რეზერვს წარმოადგენს ლანჩხუთის რაიონის დაბლობი ნიადაგები, რომლის დაშრობითი ღონისძიებანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის სამელიორაციო საცდელმა სადგურმა. მან მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რაიონის დაბლობი ნიადაგების მეცნიერული შესწავლის საქმეში. გამოკვლეულ იქნა ბუნებრივი პირობები — მისი ჰიდროგეოლოგია, ჰავა, ნიადაგები, მცენარეულობა.

ლანჩხუთის რაიონის, სუფსის მიკრორაიონის ნიადაგები შესწავლილია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოთის სამელიორაციო საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა მიერ. აქ ძირითადად სჭარბობს ეწეროვანი თიხა და თიხიანი, ეწერლებიანი თიხა და თიხნარი, და ეწერჭაობიანი თიხა ნიადაგები, ხოლო შავი ზღვის სანაპიროს გასდევს მდელოს კორდიანი ქვიშა და ქვიშნარი ნიადაგები, სადაც ამჟამად გაშენებულია ევკალიპტისა და წიწვიან მცენარეთა ულამაზესი ტყე-პარკი. ზემოთ აღნიშნულ ნიადაგებს ჩრდილოეთით ზოლად გასდევს ლამიან-ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები, რომელიც ტორფის საცუქებით დასავლეთ საქართველოს მეურნეობათა უზრუნველყოფის უდიდესი რეზერვია. კოლხეთის დაბლობის გურიის ქვეზონა, რომელიც ძირითადად მოიცავს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს დაბლობ ზოლს სოფ. ჯაპანიდან ზღვის შესართავამდე, მოიცავს 15.000 ჰა-ს, რომლის ჰავა, ისე როგორც კოლხეთის დაბლობისა, მიეკუთვნება ტენიან სუბტროპიკებს და ხასიათდება თბილი ზამთრითა და შედარებით გრილი ზაფხულით, სუფსის ყოფილი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით აქ საშ. წლიური ტემპერატურა 12—13°-დან 15—16°-ის ფარგლებში მერყეობს, ზამთარი ხანმოკლეა და თბილი, მაგრამ ზამთრის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შეიძლება —12—13°-მდე დაეცეს ისე, რომ როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1949—50 წლის ზამთარში, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სუბტროპიკულ მიწათმოქმედებას.

ზამთრის განმავლობაში მოდის ნალექების დიდი რაოდენობა, რომელიც უმთავრესად დელგმური (კოკისპირული) წვიმების სახეს ატარებს. თოვლი იშვიათია და ისიც მოდის მოკლე ხნით.

როგორც ცნობილია, კოლხეთში გაბატონებულია შავი ზღვიდან მქროლავი დასავლეთის ტენიანი ქარები, თუმცა იშვიათი არაა ჩრდილო-აღმოსავლეთის მშრალი ქარებიც (ფიონები), რაც ტემპერატურას ზრდის და ხელს უწყობს გვალვებს. აღნიშნული ქარები უმთავრესად მდინარე რიონის ქვედა წელს გასდევს და მნიშვნელოვნად აფერხებს რიგი სუბტროპიკული კულტურების მეურნეობის განვითარებას. რაც შეეხება მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროს მიკრორაიონს, ის მთლიანად დაცულია ფიონების მავნე მოქმედებისგან, ამიტომ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ სუფსის მიკრორაიონის ნიადაგური, აგროკლიმატური და გეოგრაფიული პირობები მეტად ხელსაყრელია სუბტროპიკული მეურნეობის მძლავრი განვითარებისათვის.

სუფსის მიკრორაიონის ე. ი. მდინარე სუფსის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე დაბლობის ნიადაგების შესწავლის მიზნით, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, კოლხეთის სამეცნიერო-კვლევითი ფილიალის ბაზაზე, 1930 წელს მოეწყო სუფსის საცდელ-მელიორაციული ნაკვეთი, აქ წარმოებულმა კვლევითმა სამუშაოებმა გარკვეული როლი შეასრულა დაბლობი დაჭაობებული ნაკვეთების შესწავლა-ათვისების საქმეში.

საცდელ-სამელიორაციო სადგურს კვლევითი სამუშაოებისათვის გადაეცა 100 ჰა — მიწა, სადაც გაშენდა ჩაი, მანდარინი, ევკალიპტი, ბრინჯი, კრიპტომერია, ბატატი, ახალი ზელანდიის სელი, მიწის ნუში, დრაცენა, ტუნგო. აღნიშნულ კულტურებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ტარდებოდა სუფსის საცდელ სადგურში საუკეთესო მაჩვენებლები იქნება მიღებული. სათანადო დაკვირვების მონაცემთა შესწავლამ ცხადჰყო, რომ სუფსის მიკრორაიონი წარმოადგენს რესპუბლიკაში სუბტროპიკულტექნიკური კულტურების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას.

1938 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სუფსის საცდელი ნაკვეთი გაუქმებულ იქნა და გადაეცა ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას. კოლმეურნეობას არ გააჩნდა საკმაო მუშახელი აღნიშნულის მოვლა-პატრონობისათვის, რასაც ზედ დაერთო დიდი სამამულო ომი. ყოველივე ამან განაპირობა აღმავალი სახალხო-სახელმწიფოებრივი საქმის ჩაშლა — ყველა გაშენებული და სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია გარდა 1,4 ჰა-სა მოუვლელობით განადგურდა. ჩაის პლანტაცია, რომელიც უკვე 37 წლისაა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის სარეკორდო მოსავლიანობით ხასიათდება.

უნდა აღინიშნოს, ამ პლანტაციებიდან მიღებული ჩაის პროდუქცია თავისი ტექნოლოგიური თვისებებით არ ჩამოუვარდება მაღლობ ადგილებში არსებული ჩაის პლანტაციების ჩაის პროდუქციას: უფრო მეტიც, 1938 წლის მონაცემებით აღნიშნული ჩაის ტანინის შემცველობა უდრიდა 11,78%-ს, ხოლო ანასეულის ჩაისა — 12,03%, ნატანებისა კი 11,608%.

სუფსის საცდელ სადგურში გაშენებულ პლანტაციებზე მრავალწლიურმა მეცნიერულმა დაკვირვებებმა სავსებით ცხადჰყვეს, რომ აქაური ნიადაგები საუცხოოა ტექნიკური კულტურების გაშენებისათვის, კერძოდ, ჩაის პლან-

ტაციის გასაშენებლად მიკრორაიონი კარგად არის დაცული ქარებისაგან, რომლის სიჩქარე 2,2 მ/სეკ. არ აღემატება.

კოლხეთის სამელიორაციო საცდელი სადგურის ყოფილი დირექტორის პროფ. ა. მოწერელიასა და პირადად აღნიშნული შრომის ავტორის მთელი რიგი მოთხოვნილების შედეგად ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე 1969 წელს სუფსის საცდელი ნაკვეთი კვლავ იქნა აღდგენილი 150 ჰა ფართობზე. რაც, უდავოდ დიდი ღონისძიება იყო კოლხეთის დაბლობის შემდგომი შესწავლისა და ათვისების საქმეში, სადგურის აღდგენასთან ერთად გატარდა დიდი მეცნიერული კვლევითი ღონისძიებანი: შედგენილი იქნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ათწლიანი (1970—1980) გეგმა და სამწუხაროდ 1972 წელს, როდესაც საცდელი ნაკვეთი უკვე იწყებდა ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იქნა გაუქმებული, რაც მიუტევებელი შეცდომაა და აუცილებელია მისი დროული გამოსწორება.

როგორც ცნობილია, საქართველოს ჩაის პლანტაციების მეტი წილი გაშენებულია მთაგორიან ტერიტორიაზე, რაც თავისთავად აძნელებს კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას და ზღუდავს აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას. პროფ. ი. ხოხლოვის ნაშრომში: „ჩაის კულტურების გაშენებისა და მოვლა-გამოყენების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია" მოყვანილი აქვს საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებული პასპორტიზაციის მონაცემები ჩაის პლანტაციების სამექანიზაციოდ მომზადების შესახებ შვიდწლედის მანძილზე. ეს ღონისძიება, სამწუხაროდ მთლიანად ვერ ხორციელდება, რადგან ჩვენში საერთოდ მ. შ. გურიის ქვეზონაში ჩაის პლანტაციების უმრავლესობა მრავალნაკვეთიანია, შპალერებს შორის მანძილი სხვადასხვაა. არაა პლანტაციებთან მისასვლელი სატრანსპორტო გზები. ამიტომ მათში სრულყოფილი მექანიზაციის გატარება თითქმის შეუძლებელია. ლანჩხუთის რაიონის მიმართ. აცანის, ეწერის, კიროვის, ჩიბათის კოლმეურნეობებსა და ღრმაღელის ს/მეურნეობაში ბევრია ისეთი პლანტაციები, სადაც მკრეფავს საცალფეხო ბილიკით 1—2 კმ-ზე უხდება ხელით მინერალური და ორგანული სასუქების მიზიდვა მაშინ, როდესაც ერთი ჰა სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციისათვის საჭიროა 60—70 ტ მინერალური და ორგანული სასუქები. მაგრამ ეს ცოტაა: ასეთ ფიზიკურ შრომას ემატება ჩაის მიმღებ პუნქტზე ყოველდღიურად ნედლეულის ჩამოტანა. ყველა ამ სამუშაოებს ასრულებენ ძირითადად ქალები, რომლებიც ჩაის წარმოებაში დასაქმებული მუშახელის 95—98%-ს შეადგენენ. პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ფიზიკური შრომის შემსუბუქებისათვის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციისათვის. ამ საქმეში კომპლექსური მექანიზაციის როლი ერთობ დიდია. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ს/მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა სამართლიანად აღნიშნა ჩაის კულტურის შრომატევად სამუშაოთა და განსაკუთრებით ჩაის კრეფის მექანიზაციის გატარების აუცილებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული წყაროებიდან მტკიცდება რომ კოლხეთის დაბლობზე ძველადაც იწარმოებოდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურები როგორიცაა ხორბალი, ბრინჯი, კანაფი, სელი და განსაკუთრებით სიმინდი. დროთა განმავლობაში ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად მოხდა დაბლობის დაჭაობება და იგი მალარიის ბუდედ იქცა. კოლხეთის დაბლობის დაჭაობებას ხელი შეუწყო ჭარბმა ტენმა, რომელსაც ნიადაგში გაჟონვის საშუალება არ ჰქონდა და ტბორდებოდა. რადგან, როგორც პროფ. ლალიევი, ცაგარელი და წერეთელი, ცნობილი კოლხეთოლოგი ა. მოწერელია და სხვები თავიანთი მეცნიერული გამოკვლევებით ამტკიცებენ, დაბლობის ზედაპირი აგებულია მდინარეული წარმოშობის თიხებით, თიხიანი ქვიშებით და შლამით, რომელსაც ზღვის სანაპირო ზოლში განსაკუთრებით პალიასტომის ტბის ირგვლივ ემატება ტორფი, რომელიც თითქმის წყალგაუმტარია, ამიტომ დიდძალი ნალექი, რომელიც კოლხეთის დაბლობზე მოდის ზედაპირზევე რჩება და იწვევს მის დატბორებას.

ზემოთ დასახელებული მკვლევარების მიხედვით მდინარეული ნალექების სისქე თუ ქუთაისის რაიონში 4—5 მ აღწევს იგი დაბალ ზოლში თანდათანობით მატულობს და სამტრედიაში 30 მ აღწევს, ხოლო ფოთში 50 მ-ს. ამიტომ კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ გურიის ქვეზონა მნიშვნელოვნად განსხვავდება კოლხეთის აღმოსავლეთი ნაწილისაგან, რიგი ქართველი არქეოლოგებისა და გეოლოგების გამოკვლევების შედეგად კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილია ძველი ნამოსახლარები,. რომლებსაც მეცნიერები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე-მესამე საუკუნეში შექმნილ ნაგებობებად თვლიან და შემდგომი პერიოდის მდინარეული და ჭაობის ნალექებით ჩამარხულია.

აღნიშნული მდგომარეობა იმაზე მიგვითითებს, რომ კოლხეთის დაბლობი თანდათანობით ქვევით იწევს. მაგ. გეოდეზისტ გ. ზენტერიდის მიერ ჩატარებული გაზომვებით გამოირკვა, რომ ფოთის ნავსადგურში 1885 წელს დადგმულ რეპერებს (ტოპოგრაფიული რუკის შესადგენი საყრდენი ნიშნები) შორის მოთავსებულმა ადგილებმა 25 წლის განმავლობაში საშუალოდ წელიწადში 6 მილიმეტრით დაბლა დაიწია, რაც გეოლოგიური თვალსაზრისით უდიდესი დაწევაა და ინტენსიურად უწყობს ხელს კოლხეთის დაბლობის დაჭაობებას, ამიტომ აუცილებელია ზედმეტი ტენის გადატუმბვისათვის სპეციალური ღონისძიებათა ჩატარება.

როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობის გურიის ქვეზონა დასერილია მდინარეებით, რომელთა უმრავლესობას არ შეუძლია ზედმეტი ნალექების მიღება, გამონაკლისს წარმოადგენს სუფსა, რომელიც მოედინება გურიის ქვეზონის სამხრეთ ნაწილში და საუცხოო საშუალებას წარმოადგენს მის ახლომდებარე ნიადაგებზე დაშრობითი ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებისათვის, სხვა პატარა მდინარეში კი პირიქით, ხელს უწყობენ დაჭაობებას. ამიტომ აუცილებელია გურიის ქვეზონაში ამოშრობითი სამუშაოები ჩატარდეს არა მარტო წყალსაწრეტი არხების ხარჯზე, არამედ მდინარე სუფსას შესართავამდე ერთი კილომეტრის დაშორებით, იქ სადაც ამჟამად თევზის სატბორე მეურნეობაა, მოეწყოს წყლის გასატუმბი სადგური, რომელიც საშუალებას მოგვცემს დაშრობილი და ათვისებული იქნეს არა მარტო გურიის ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონის სუფსის მიკრორაიონი, არამედ ნიგოითის, ლანჩხუთის, ჩიბათი[illegible]სა და ნიგვზიანის დაბლობი ნიადაგები.

აღნიშნული ღონისძიების დაჩქარება საშუალებას მოგვცემს კომპლექსური მექანიზაციის გატარების საფუძველზე აქ მძლავრად განვითარდეს როგორც სუბტროპიკული მეურნეობა, ისე მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა და, რაც აუცილებელია, მარცვლეული კულტურების წარმოება. პირველ რიგში ათვისებული უნდა იქნეს და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა შეიქმნას სუფსის მიკრორაიონში, რომლის ნიადაგური ანალიზებით და კოლხიდმშენის მიერ დაშრობილ ნაკვეთებზე გაშენებულ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ ამ ადგილებში სავსებით შესაძლებელია კომპლექსური მექანიზაციის გატარება და მაღალი მოსავლის მიღება. აღნიშნულ მიკრორაიონში დაშრობითი სამუშაოების დროულად შესრულება საშუალებას მოგვცემს აქ გავადიდოთ არა მარტო ჩაის წარმოება, არამედ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობაც, რაც თავის მხრივ აამაღლებს მეცხოველეობის პროდუქტიულობას და შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, რაც ქვეზონაში ჯერ კიდევ საგრძნობლად მაღალია. სუფსის მიკრორაიონში სუბტროპიკული და მარცვლეული კულტურების დანერგვით, საშუალება გვექნება მთიან ზონაში გავაშენოთ შედარებით ნაკლებ შრომატევადი კულტურები: დაფნა, ციტრუსი, ბამბუკი და სხვ., რომლებიც მაღალშემოსავლიანია და დიდად შეუწყობს ხელს მეურნეობის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას. ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით სუფსის მიკრორაიონი სუბტროპიკული კულტურების გაშენებიდან 8—10 წლის შემდეგ ერთ-ერთ ულამაზეს და უმდიდრეს მექანიზებულ მრავალდარგოვან და რენტაბელურ მეურნეობად იქცევა, რასაც ერთგვარად ხელს შეუწყობს ისიც, რომ მას აღმოსავლეთით ეკვრის მეტად იაფფასიანი, მაღალეფექტური უდიდესი საბადო იმნათის ტორფი, რომლის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩაყენება 1968 წლიდან დაიწყო, ხოლო დასავლეთით რაიონის დასვენების კერა, შავი ზღვის სანაპირო — რიგოლეთი თავისი შესანიშნავი ტყე-პარკითა და დასასვენებელი სახლით.

ჩაის კულტურის დარგში უკვე დღემდე არსებული საშუალებები კი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სუფსის დაბლობ ადგილებში გაშენებულ ჩაის პლანტაციაში ფართოდ იქნეს გამოყენებული კომპლექსური მექანიზაცია.

ლაითურისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის საკრეფი მანქანის საწარმოო შედეგების ეკონომიური ანალიზი და სუფსის საცდელ ნაკვეთზე გაშენებულ ჩაის პლანტაციაზე დაკვირვებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კოლხეთის დაშრობილ ნიადაგებზე გაშენებულ პლანტაციებში ფართოდ დაინერგოს ჩაის შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

სუფსის მიკრორაიონი სახელმწიფო მიწებისა და სატყეო მეურნეობის გარდა მოიცავს 3012 ჰა-ს, რომლის დაშრობის გეგმა შედგენილი აქვს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს. ამოსაშრობ ფართობს აღმო-

სავლეთით ესაზღვრება ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მიწები, ჩრდილოეთით სახელმწიფო ტყე და „დედაბერას არხი“, დასავლეთით — შავიზღვისპირა ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები, ხოლო სამხრეთით—ლანჩხუთ-ფოთის რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო შარაგზა, აღნიშნულ ფართობზე მხოლოდ ხიდმაღლის და შრომისუბნის კოლმეურნეობა თესავს ერთწლოვან სათოხნ კულტურებს, ხოლო დანარჩენები ნაწილობრივ იყენებენ სათიბად. არსებული მდგომარეობით ასათვისებელი ფართობის დიდი ნაწილი საძოვრადაც არაა გამოყენებული, რადგან დაფარულია გაუვალი „ჭილით“, რომელიც, როგორც ცნობილია, ნაყოფიერ მდიდარ ნიადაგებზე ხარობს.

პროექტით გათვალისწინებული დასაშრობი ფართობების გამოყოფა არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს ზემოთ დასახელებულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკაზე.

პროექტით გათვალისწინებულია 4 მაგისტრალური არხის გაყვანა, რომელთა საერთო სიგრძე 10 კმ-ია, აქედან მთავარი მაგისტრალური არხი, რომელიც გაყვანილი იქნა 1936 წელს, დღესაც ვარგისია და მისი სიგრძე 4,5 კმ-ს უდრის. არხი უერთდება მდინარე მალთაყვას. ყოფილ საცდელი ნაკვეთის 100 ჰა ფართობზე გაყვანილია აგრეთვე მასთან შემაერთებელი არხები, რომლებიც გასაწმენდია. აღნიშნულ ფართობზე ახლად გასაყვანია მაგისტრალურ არხებთან შემაერთებელი 60 არხი, რომელთა დაშორება ურთიერთ შორის 20 მ-ია, რაც სავსებით საკმარისია არხთშორისი ნიადაგების დასაშრობად. ჩვენ მიერ გამოყოფილ დასაშრობ ფართობზე უმთავრესად ხდება ეწერლებიანი თიხა ნიადაგები, რომელზეც პირველ რიგში უნდა გაშენდეს ჩაის კულტურა, რადგან სათანადო ცდებით დადგენილი იქნა აქ მისი კარგი განვითარება.

კოლხეთის სამელიორაციო საცდელი სადგურისა და სუფსის საცდელ ნაკვეთზე გაშენებულ ჩაის პლანტაციაზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს, დასაშრობად გამოყოფილ ნაკვეთზე მომავალში ვურჩიოთ მსხვილი მექანიზებული მრავალდარგოვანი მეურნეობის შექმნა, სადაც სრულყოფილად დაინერგება კომპლექსური მექანიზაცია და ამით თითქმის სავსებით გამოირიცხება სუბტროპიკულ და ერთწლოვან კულტურებში მძიმე ფიზიკური შრომა, რომელიც დღემდე სრულდება ხელით.

ვფიქრობთ ახალ მეურნეობაში ჩაის პლანტაცია გაშენდეს 500 ჰა-ზე, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს მასში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება (სასურველია ქართული ჩაი № 2-ის გაშენება). აღნიშნული პლანტაცია სრულმოსავლიანობის ასაკში შესვლიდან ყოველწლიურად მოგვცემს 300.000 ც ჩაის მწვანე ფოთოლს და ყველა აგროტექნიკური ღონისძიება: კულტივაცია, სასუქების შეტანა, გასხვლა-ფორმირება, ფოთლის კრეფა, ფუმიგაცია შესრულდება მანქანებით. სადღეისო მონაცემებით აღნიშნული პლანტაციისათვის საჭირო იქნება 50—60 ჩაის საკრეფი მანქანა აგრეთვე ამ მანქანების მეშვეობით ჩატარდება პლანტაციების რიგთაშორისების დამუშავება, გასხვლა, სასუქების შეტანა და სხვა საჭირო ოპერაციები, მაშინ როდესაც

ჩაის ფოთლის ხელით კრეფისას აქ საჭირო იქნება საშუალოდ 2 000 მკრეფავი. ამრიგად, ერთ მექანიზატორს შეუძლია მძიმე ფიზიკური შრომისაგან გაანთავისუფლოს 40 მკრეფავი.

ვფიქრობთ, პროექტით გათვალისწინებულ ახლადშექმნილ მეურნეობაში შემავალ ყოფილ საცდელ ნაკვეთზე ჩაის პლანტაციის გასაშენებლად გამოყოფილ იქნეს 100 ჰა ფართობი, ხოლო მთავარი მაგისტრალური არხის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე 400 ჰა ფართობზე ყველაზე პერსპექტულ კულტურად მივიჩნიოთ მეხილეობა.

დასავლეთ საქართველოში ლანჩხუთის რაიონი, კერძოდ კი სოფ. სუფსა, ცნობილია როგორც მეხილეობის ერთ-ერთი ძლიერი კერა, აქ ყველაზე მეტად გავრცელებულია მსხლის მეტად ძვირფასი ჯიში „კაიფერა“, რომლის გავრცელებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით პრაქტიკოს მებაღეებს ვლადიმერ სარჯველაძეს და ვლადიმერ კუკულავას. მათი მეშვეობით ლანჩხუთისა და სუფსის მიკრორაიონში ფართო განვითარება ჰპოვა მანამდე აქ თითქმის არარსებულმა დარგმა მეხილეობამ, კერძოდ კი „კაიფერას“ ჯიშის მსხლის კულტურამ. მისგან მიღებული შემოსავალი გურული გლეხის ფულადი შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცა. მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობები გულგრილად ეკიდებიან ამ ნაკლებ შრომატევად და მაღალშემოსავლიანი, რენტაბელური დარგის განვითარებას. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია 200 ჰა-ზე გაშენებულ იქნეს ხეხილის ბაღი.

ხეხილის სრულმოსავლიან ბაღებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გატარების შედეგად შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად ჰა-ზე 200—250 ც მაღალხარისხოვანი ხილის მიღება, ან ამჟამად სახელმწიფო შესყიდვის საშუალო ფასებით მეურნეობა თითოეულ ჰა-დან მიიღებს 7500—8000 მან. შემოსავალს, რაც მთლიანად 1,5 მლნ მან შეადგენს. გარდა ამისა, ხეხილის ბაღების მწკრივთაშორისებში შესაძლებელია გაშენების პირველ წლებში ვაწარმოოთ ლობიოს და სოიოს გამოთესვა, რითაც მეურნეობა დამატებით შემოსავალს მიიღებს.

1950-იან წლებამდე სუფსა განთქმული იყო, როგორც ციტრუსების ერთ-ერთი მწარმოებელი სოფელი, მაგრამ 1949—1950 წლების ზამთრის ყინვებმა, როდესაც ტემპერატურა —12°-მდე დაეცა, თითქმის მთლიანად გაანადგურა ციტრუსოვანი ნარგავები. ზოგიერთმა მცხოვრებმა გაითვალისწინა რა წინასწარ მოსალოდნელი ყინვების საშიშროება, მომზადებული შეხვდა მას და დღესაც ციტრუსების უხვ მოსავალს ღებულობს; სუფსის ნიადაგებზე საუცხოოდ ხარობს ციტრუსები, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნიადაგების დასავლეთ ნაწილში, შავ ზღვასთან ახლოს, ქარსაფარი ზოლის გაშენების შემდეგ 50 ჰა-ზე გაშენდეს ციტრუსოვანთა პლანტაციები, რომელიც სრულმოსავლიანობაში შესვლის შემდეგ ყოველწლიურად მოგვცემს 2500 ც ციტრუსს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მეციტრუსეების ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებაში გარკვეულ წვლილს შეიტანს ახლადშექმნილი მეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფსის მიკრორაიონში მეტად პერსპექტიულია დაფნის კულტურა, რასაც მოწმობს კოლმეურნეობათა მრავალწლიური პრაქტიკული გამოცდილება. აქედან გამომდინარე, ვითვალისწინებთ ახლადდაშრობილი სუფსის მიკრორაიონის 100 ჰა ფართობზე დაფნის პლანტაციის შპალერული წესით გაშენებას საშუალოდ ჰა-ზე 6600 ძირის რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ გაშენების ასეთი წესი სრულყოფილი მექანიზაციის გატარების საშუალებას იძლევა; ასეთ წესით გაშენებული პლანტაციები სრული მოსავლიანობის ასაკში ჰა-ზე მოგვცემს საშუალოდ 35 ც ფოთოლს, ანუ 3500 ც, რაც სახელმწიფო შესყიდვის ფასებით 150—175 ათას მან უდრის.

სუფსის მიკრორაიონი დასავლეთ საქართველოში ძველთაგანვე ცნობილია, როგორც სიმინდის წარმოებით ერთ-ერთი ძლიერი კუთხე. სოფელში ეხლაც ბევრია იმის მომსწრე და მნახველი, თუ სიმინდის რაოდენ მაღალი მოსავალი მოჰყავდათ იმ ფართობებზე, რომელიც ჩვენი პროექტით ამჟამად დასაშრობი და ასათვისებელია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა კოლექტივიზაციის განმტკიცების შედეგად ყველა სოფელში გაშენდა შრომატევადი, მაგრამ მაღალშემოსავლიანი ჩაის კულტურა, აღნიშნულ მიკრორაიონში მესიმინდეობა მივიწყებული იქნა. საჭიროდ მიგვაჩნია მოეწყოს სიმინდის თესვა სამარცვლედ 400 ჰა ფართობზე, რაც დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას; ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში აუცილებელია რძისა და რძის პროდუქტების შეზიდვა. მთელი რიგი კოლმეურნეობის გამოცდილება მოწმობს, რომ იქ, სადაც მეცხოველეობის განვითარებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა, შედეგიც საკმაოდ მაღალია. ამასაც მოწმობს ისიც, რომ აღნიშნული მიკრორაიონი წარსულში ცნობილი იყო მეცხოველეობის განვითარებით; მეგრელ მეჯოგეებს, როგორიც იყვნენ: აკი საჯაია, სევასტი მესხია, ლევან პაჭკორია, კვარაცხელია, შენგელია და სხვ. საკმაოდ განვითარებული ჯიშობრივად დახვეწილი მეცხოველეობის ფერმები გააჩნდათ. ამასთან ადგილობრივი პირობები მეტად ხელსაყრელია წყალში მცურავი ფრინველის (იხვი,ბატი) მომრავლებისა და მისგან ძვირფასი პროდუქტების (ხორცი, კვერცხი, ბუმბული) მიღებისათვის.

სასურველად მიგვაჩნია ახალშექნილ მეურნეობას ჰქონდეს სუბტროპიკული კულტურებისა და ხეხილის საკუთარი სანერგე მეურნეობა.

კოლხეთის უმდიდრეს ველზე, სუფსის სუბტროპიკული კულტურების პროექტით გათვალისწინებული საბჭოთა მეურნეობის შექმნას დიდი მნიშვნელობა ექნება აღნიშნული დაბლობის შემდგომი ათვისებისათვის; ამასთან იგი დიდად შეუწყობს ხელს შრომატევად კულტურებში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის საქმის წინსვლას, რაც მშრომელთა მძიმე ფიზიკური შრომის თავიდან აცილების ერთადერთი ძირითადი საშუალებაა. სკკპ პროგრამაში ამის შესახებ აღნიშნულია: „ახალი ტექნიკის განვითარება გამოყენებული იქნება საბჭოთა ადამიანის შრომის პირობების ძირეული გაუმჯობესებისა და შემსუბუქებისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის, ხოლო შემდეგ ყოველი არაკვალიფიციური შრომის ლიკვიდაციისათვის“.

გურიის ქვეზონაში სუფსის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებით, მის დიდ რენტაბელობასთან ერთად, შეიქმნება რეალური პირობები საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობის საზოგადოებრივ, ფართოდ ჩაბმისათვის. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Б. В. САРДЖВЕЛАДЗЕ

## К ВОПРОСУ ОСВОЕНИЯ КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ


### Резюме

Колхидская низменность является огромным резервом развития субтропического хозяйства республики.

Мероприятия по осушению Колхидской низменности начались в годы Советской власти мелиоративно-опытной станцией Колхиды ВНИИЧИСК.

Одним из типичных районов Колхидской низменности является Ланчхути, где имеются все условия для основания механизированного субтропического совхоза.


---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА. т. XCII, 1975

ბ. ჭყუასელი

# მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი მევენახეობაში

საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარება, ყურძნის მყარი და ხარისხოვანი მოსავლის მიღება, დამოკიდებულია კომპლექსურ აგროტექნიკურ ღონისძიებაზე, რომელთა შორის ვაზის მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო მეთოდების დროულად და მაღალხარისხოვნად გატარებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

სკკპ XXIV ყრილობამ ხაზი გაუსვა იმ აუცილებლობას, რომ „უზრუნველვყოთ ყველგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა . . . .ავადმყოფობისაგან, მავნებლებისა და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა სისტემის განხორციელების გზით".

პროფ. ი. ბათიაშვილი და დოც. გ. დეკანოიძე 1974 წ. გამოცემულ ენტომოლოგიის სახელმძღვანელოში მიუთითებენ, რომ „საბჭოთა კავშირში ვაზის მავნებლების რიცხვი 250 სახეობას აღწევს. აქედან საქართველოში 160 სახეობაა რეგისტრირებული". მიუხედავად ვაზის მავნებელთა ასეთი დიდი სიმრავლისა, ყველა მათგანი მეტ-ნაკლები მავნეობით ხასიათდება, როგორც დაზიანების ისე განვითარების ინტენსივობის მხრივ. ვაზის უმთავრეს მავნებლებს მიეკუთვნებიან: ფილოქსერა, ყურძნის ჭია, ნარინჯისფერი ტკიპა, კვირტის ჭია, თურქული მთიბველა, ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა, კავკასიის დიდი წმინდამხვევია, ვაზის ჭრიჭინა და სხვ.

პროფ. ლ. ყანჩაველი შრომაში „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა", აღნიშნავს, რომ ჩვენში გავრცელებული ვაზის მრავალნაირ დაავადებათა შორის განსაკუთრებული ზარალის მომტანია ჭრაქი, ნაცარი, თეთრი სიდამპლე, ბაქტერიული კიბო, ქლოროზი და სხვ.

ვაზის მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზებულად წარმართვისათვის აუცილებელია წინასწარ ვიცოდეთ მათი ცალ-ცალკე და ერთობლივი საზიანო მოქმედებით გამოწვეული დანაკარგების სიდიდე და მნიშვნელობა, მავნებელ-დაავადებათა განვითარების ბიოლოგია, ფაქტორები, რომლებიც აძლიერებენ ან ანელებენ მათ გამრავლებასა და საზიანო მოქმედებას.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა მავნებელ-დაავადებათა მოქმედებით ყოველწლიურად დიდ ზარალს განიცდის მსოფლიოს მოსახლეობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (ფაოს) მონაცემებით ეს ციფრი ყოველწლიურად ათეულობით მილიარდ დოლარს შეადგენს.

საკავშირო მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სპეციალისტების გაანგარიშებით მავნებლების, დაავადებათა და სარეველა მცენარეების მიერ 1956 წელს გამოწვეული დანაკარგი სსრ კავშირში, საორიენტაციოდ, 45 მილიარდ მანეთს შეადგენდა.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობამ მავნებელ-დაავადებათა მოქმედების შედეგად 1949—1951 წწ. 93 მილიონი გირვანქა სტერლინგის ზარალი განიცადა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 1954 წელს 50 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დაკარგა, ინდოეთმა — კი 200 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა.

„მომავლისათვის რესურსების“ ფირმის თანამშრომელი დოქტორი რობერტ ა. ეირესი წიგნში „მეცნიერებისა და ტექნიკის ჰორიზონტებში“ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სარეველების, სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და მცენარეთა დაავადების გამო დანაკარგები საშუალოდ შეადგენს მოსალოდნელი მოსავლის 40 პროცენტს. ჩრდილოეთ ევროპაში ეს დანაკარგები 25 პროცენტით განისაზღვრება“.

სოფლის მეურნეობის მავნებელ-დაავადებათა და სარეველა მცენარეების მავნე მოქმედების სალიკვიდაციოდ ბრძოლის ღონისძიებები მეტად თუ ნაკლებად ყველა ქვეყანაში ტარდება. მიუხედავად ამისა, დანაკარგების ხვედრითი წილი მაინც მაღალია. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უბედურების მოტანა შეუძლია მავნებელ-დაავადებებსა და სარეველა მცენარეების მოქმედებას მაშინ, როდესაც მათი მოსპობითი, თუ პროფილაქტიკური ღონისძიებები შენელდება ან შეჩერდება.

სოფლის მეურნეობაში მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებათა კომპლექსში შედის: აგროტექნიკური, ფიზიკური და მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ინტეგრირებული ბრძოლის მეთოდები. აღნიშნულ მეთოდებს, თავის დანიშნულების მიხედვით გარკვეული ადგილი უკავია საერთო კომპლექსში, ამათგან გამოყენების მასშტაბით და პოტენციური შესაძლებლობებით ქიმიური მეთოდი მცენარეთა დაცვის მთელი ღონისძიებათა კომპლექსის ყველაზე აქტიური ნაწილია და თანამედროვე ეტაპზე მას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სასოფლო-სამეურნეო დარგთა და კულტურათა განვითარება და წარმოების თავისებურებანი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაციის მთელს მსვლელობაზე.

მევენახეობაში, ვაზის მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებანი საერთო საწარმოო გეგმის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

ვაზის მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებების დაგეგმვა ერთგვარად გაძნელებულია, რადგან გეგმის მიხედვით გამოყოფილი დასამუშავებელი ვენახის ფართობი, რომელზედაც ეს ღონისძიებანი უნდა გატარდეს, იცვლება ყოველწლიურად და წლის ყოველ პერიოდშიც კი. ასევე, მავნებელ-დაავადებათა განვითარების ინტენსივობა როგორც ყოველწლიურად, ისევე წლის ცალკეულ სავეგეტაციო პერიოდში განსხვავებულია, ასე, მაგალითად,

ვაზის სოკოვანი დაავადების ჭრაქის სალიკვიდაციოდ ყოველ ჰა ვენახში ყოველ-წლიურად ჩვეულებრივ პირობებში ბორდოული ხსნარით წამლობა უნდა ჩა-ტარდეს 5-ჯერ, ხშირ შემთხვევაში დაავადების გავრცელების ხელშემწყობი პირობების გამო მეურნეობები იძულებული ხდებიან ამ დაავადების სალიკვიდა-ციოდ წამლობათა რაოდენობა 7—8-მდე გაზარდონ, რაც დამატებით შრომასა და მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს.

მევენახეობაში მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონის-ძიებათა დაგეგმვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ვაზის ჯიშები, ფორმ-ები, [illegible], ჰექტარზე მცენარეთა რაოდენობა, შპალერ-ზე გადაყვანის დონე, სარწყავია თუ ურწყავი, მექანიზაციის არსებული საშუა-ლებანი და მათი გამოყენების შესაძლებლობა, მსხმოიარე ფართობების კოე-ფიციენტის გადიდების ან შემცირების სავარაუდო მაჩვენებლები და სხვ.

ვაზის მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზე-ბა [illegible] მატერიალური და შრომითი რესურსების ერთობ-ლიობასა და წარმოებაში დანიშნულებით გამოყენებას ემყარება, ამდენად, ყველა მეურნეობისათვის, სადაც კი მევენახეობას მისდევენ, აუცილებელია ვა-ზის ძირითად მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციოდ დადგენილ ამა თუ იმ შხამმასალების განსაზღვრული რაოდენობით მომარაგების უზრუნველყოფა, სამუშაო პერიოდის დაწყებამდე 10—15 დღით ადრე. ფაქტიური მონაცემე-ბის მიხედვით ზემდგომ შესაბამის ორგანოს სახელზე უნდა გაკეთდეს განაც-ხადი. შხამქიმიკატების მომარაგების ორგანიზაციის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ წინა წლების პრაქტიკული გამოცდილება, და სადღეისოდ არ-სებული ტექნიკური პროგრესის შედეგების გამოყენების შესაძლებლობანი.

ბრძოლის ქიმიური მეთოდის ნორმალური წარმართვა მევენახობაში სხვა-დასხვა ქიმიური ნაერთებისა და კონცენტრაციის ნაზავების ოპტიმალურ პი-რობებში გამოყენებას მოითხოვს. მეურნეობებს მთელი წლის მანძილზე ესა-ჭიროება ისეთი შხამქიმიკატები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენება და ისეთებიც, რომელთა გამოყენება მოკლე პერიოდში განი-საზღვრება.

მეურნეობებში საჭირო რაოდენობით შხამქიმიკატების მომარაგებისა და შენახვის ორგანიზაციისათვის არსებობს ტიპური პროექტებით აგებული საწ-ყობები და დამხმარე ნაგებობანი, რომელშიაც გათვალისწინებულია შხამმასა-ლების შენახვის უსაფრთხოების წესები და მოთხოვნები. უშიშროების უზ-რუნველსაყოფად მკაცრად უნდა დავიცვათ ქიმიურ საშუალებათა შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების წესები.

დასამუშავებელი (შესაწამლი) ფართობის სრული სიდიდისა და თავისე-ბურებების გათვალისწინებით წინასწარ უნდა განისაზღვროს ჩასატარებელ სამუშაოთა მექანიზებულად შესრულების შესაძლებლობის დონე, მასთან შე-თანაწყობით უნდა გაირკვეს და დადგინდეს ხელით ან მცირე მექანიზაციით შესასრულებელ სამუშაოთა სიდიდე. აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა მომენტის გათვალისწინებით საბოლოოდ უნდა განისაზღვროს მოთხოვნები მუშახელსა და მანქანა-იარაღებზე.

თანამედროვე პირობებში მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა ეფექტურო-

ვის მრავალი რეზერვი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია მავნებელ-დაავადებათა მოსალოდნელი განვითარების სიდიდის წინასწარი პროგნოზირება. ამ ბოლო წლებში დიდი ცვლილება მოხდა მცენარეთა დაცვის საქმეში. იგი ძირეულად შეეხო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო თანამედროვე მიმართულებათა შორის თავისი მოქმედების რადიუსითა და მრავალმხრივი დანიშნულებით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ინტეგრირებული ბრძოლის მეთოდს უჭირავს. იგი ბრძოლის სხვადასხვა მეთოდის ეფექტური შეხამებაა და ხელს უწყობს მავნე ორგანიზმების შემცირება-მოსპობასთან ერთად სასარგებლო ენტომოფაგების შენარჩუნებას.

ვაზის მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა ნორმალურად წარმართვისათვის საჭიროა შედგეს ოპერატიული გეგმა, რომელიც კონკრეტულ პირობებიდან და საერთო გეგმიდან გამომდინარეობს. ასეთი გეგმის შედგენა და სწრაფად განხორციელება ხშირად საჭირო ხდება მავნებელ-დაავადებათა ინტენსიურად გავრცელების პირობებში, ან დამატებითი ღონისძიებების ჩატარებისათვის ახალი მავნებლის ან დაავადების აღმოჩენის და გავრცელების საშიშროების შემთხვევაში.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ვაზის მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებათა სისტემებს მუდმივი საწარმოო ბრიგადები ატარებენ, რომელთა შემადგენლობა და სიდიდე განისაზღვრება შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობით, ბრძოლის მეთოდის თვისებებით, მექანიზაციის დონით და სამუშაო ობიექტის აგროსაწარმოო მდგომარეობით

მევენახეობაში მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებათა სრული ციკლის მაღალხარისხოვნად გატარება უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირი ხასიათისაა და ერთი და იგივე ღონისძიებათა რამოდენიმეჯერ განმეორებას საჭიროებს, მათ შორის გარკვეული პერიოდებია, რომელიც განისაზღვრება თვით მავნებელ-დაავადებათა განვითარების ე. წ. საინკუბაციო პერიოდების ხანგრძლივობით. ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაციის დროს სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს წინასწარ ჩატარებულ აგროტექნიკური ღონისძიებების ხარისხს, ვინაიდან ზერელედ და უხარისხოდ შესრულებული აგროტექნიკური ოპერაციები ხელს უწყობენ და აჩქარებენ მავნებელ-დაავადებათა ინტენსიურ გამრავლებას, რითაც, ბუნებრივია, ძნელდება დასახული ამოცანის წარმატებით შესრულება და დაბალია ამ ღონისძიებებზე დახარჯული ყოველი მანეთის უკუგება.

როგორც მევენახეობაში, ისე სხვა დარგებშიაც მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაციის სრულყოფილად წარმართვის საქმეში განსაკუთრებული ადგილი საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე მცენარეთა დაცვის სპეციალისტებმა უნდა დაიკავონ.

მცენარეთა ქიმიური მეთოდით დაცვის სამუშაოების უშუალოდ მომწყობი და მონაწილე სპეციალური პერსონალი (ტექნიკოსები, ბრიგადირები, მეროგოლურები) შერჩეულ უნდა იქნენ იმ პირებიდან, რომელთაც ამ საქმეში აქვთ გამოცდილება, სპეციალური განათლება ან საკურსო მომზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭრით უნდა ამაღლდეს მცენარეთა დაცვის სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებული ენტომოლოგებისა და ფიტოპათოლოგების პასუხისმგებლობა მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა სრულყოფილად განხორციელების საქმეში. ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ დარგის მხოლოდ 230-მდე სპეციალისტი მუშაობს მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებრივი და დამხმარე მეურნეობათა უდიდეს ნაწილს მცენარეთა დაცვის სპეციალისტის კვალიფიციური ხელი ჯერ კიდევ არ შეხებია.

მცენარეთა დაცვის სპეციალისტების უპირველესი მოვალეობაა როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურებში, ისე მეცხოველეობაში უზრუნველყონ მათი სამოქმედო ობიექტების მიხედვით არა მარტო მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებათა მიზნობრივი დანიშნულებით წარმართვა, არამედ აქტიურად იმუშაონ მათ მიერ მიყენებული ზარალისა და გამოწვეული დანაკარგების მთლიანი აღრიცხვისათვის.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და საინსტრუქციო მითითებებით შხამქიმიკატების სამუშაოებზე მიმაგრებულმა პირებმა აუცილებელია პერიოდულად გაიარონ სამედიცინო შემოწმება. ასეთ სამუშაოებზე არ შეიძლება დაშვებულ იქნენ ბავშვები და მოზარდები 18 წლის ასაკამდე, ორსული და მეძუძური ქალები, აგრეთვე დაავადებულნი. უშუალოდ შხამქიმიკატებზე მუშაობისას სამუშაო დღის ხანგრძლივობა 6 საათი, I და II ჯგუფის შხამქიმიკატებზე — 4 საათი. დანარჩენი სამუშაო დრო გამოყენებული უნდა იქნეს სხვა სამუშაოებზე.

მავნებელ-დაავადებათაგან მცენარეთა დაცვის სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია ვალდებულია შხამქიმიკატებზე მომუშავე ყველა პირი უზრუნველყოს სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებით.

შხამქიმიკატების მეურნეობებში შეზიდვა უნდა მოხდეს წინასწარ შედგენილი მოთხოვნილების მკაცრი დაცვით. მათ შენახვასა და გაცემაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალურ პირს — მეკუჭნავეს, რომელიც საჭირო შემთხვევაში იყენებს დამხმარე მუშახელს.

სოფლტექნიკის საწყობიდან შხამქიმიკატების მიღებისას პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოითხოვოს სრული მონაცემები ამ ნაერთების შესახებ, სახელდობრ: შხამქიმიკატების სრული დასახელება, მასში მოქმედი საწყისის პროცენტული შემადგენლობა, დამამზადებელი ქარხნის დასახელება, პარტიისა და ტარაერთეულის ნომერი, სუფთა წონა და წონა ტარით. ეს მონაცემები წარმოადგენს შხამქიმიკატის პასპორტს. აღნიშნული მონაცემები უნდა ჰქონდეს ყოველ პარტიას.

ვაზის მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ქიმიურ საშუალებათა შესხურება ან შეფრქვევა მიწის ზედაპირზე მომუშავე აპარატით დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ქარის სიჩქარე წუთში 3 მეტრზე მეტია, ავიაშეფრქვევა კი, როცა ქარის სიჩქარე წუთში 2 მეტრზე მეტია, წვრილწვეთოვანი შესხურება — როცა წუთში 3 მეტრზე მეტია, მსხვილწვეთოვანი — წუთში 4 მეტრზე მეტი.

თვითმფრინავის ფრენის სიმაღლე დამუშავების დროს 5 მეტრზე მეტი არ უნდა იყოს. ფრენის სიმაღლის გადიდება იწვევს შხამის ნაწ[illegible] სამუშავებელი ფართობისაგან შორს გადატანას და ამცირებს [illegible] ეფექტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავნებელ-დაავადებათა მოსპობა ან მისი საზიანო მოქმედების ძლიერ შეზღუდვა ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო შხამქიმიკატების ხარისხზე კონცენტრაციასა და ნორმაზე, არამედ ამ სამუშაოთა დადგენილ კალენდარულ ვადებში ჩატარებაზე, მისი პასუხისმგებლობით შესრულებაზე სამუშაოს დაწყებიდან დასასრულამდე.

მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და გეგმური დავალებების წარმატებით შესრულება დამოკიდებულია ბრიგადის წევრთა მუშაობის უნარიანად წარმართვაზე, კონტროლის, შემოწმებისა და დახმარების სწორ ორგანიზაციაზე, ბრიგადებსა და ცალკეულ მომუშავეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლაზე, რომელმაც ყოველმხრივ უნდა განამტკიცოს შრომითი დისციპლინა და ხელი უნდა შეუწყოს მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების მიღწევას.

მევენახეობაში მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგოდ გაწეული ხარჯები ეკონომიურად გამართლებული უნდა იყოს მოსავლის შენარჩუნებით ან მისი გადიდებით. უნდა ვესწრაფოდეთ, რომ ბრძოლის ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების უკუგების ნორმა ყოველთვის მაღალი ან მზარდი იყოს.

ქიმიური მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით ყოველწლიურად ხმარებაში ათეულობით დასახელების ახალი შხამები შემოდის. ეს მომენტი კიდევ უფრო ზრდის მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობას, მათი წესიერად შენახვასა და ფრთხილად გამოყენებაზე.

შხამქიმიკატების შესანახი საწყობები იყოფა სამ ჯგუფად: 1) რკინიგზის, 2) საბაზისო, 3) სახარჯო საწყობები. შხამქიმიკატებისა და საერთოდ მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო მატერიალური საშუალებების რაციონალური ორგანიზაციისათვის აუცილებელი პირობაა წინასწარ შემოწმებულ და შესწავლილ უბანზე ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობის მოწყობა. საბაზისო და სახარჯო საწყობის აგების წინ აუცილებელია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მიერ შემოწმდეს სიტუაციური და გენერალური გეგმა. სანიტარული ექიმის სანქციის გარეშე საწარმოოს არა აქვს უფლება დაიწყოს შხამქიმიკატების საწყობების აგება.

საბაზისო საწყობი უნდა აიგოს ღია ადგილას, რომელიც ძირითადად საავტომობილო მაგისტრალთან დაკავშირებული იქნება საავტომობილო გზით. საბაზისო საწყობებს უნდა ჰქონდეს რამდენიმე შენობა, რომლებიც განცალკევებული უნდა იყოს და წარმოადგენდეს ერთიმეორისაგან იზოლირებულ სექციას.

საბაზისო საწყობის ყველა ნაგებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალსადენით, განათებით, კანალიზაციით და სავენტილაციო დანადგარებით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებების ნორმალურად წარმართვისათვის შხამქიმიკატების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფასა და მის შენახვასთან ერთად

მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის თვით სამუშაო ხსნარების, ნაზავების გამოსაყენებელ ადგილზე მომზადებასა და ამ დანიშნულებით მანქანა-იარაღების მაღალმწარმოებლურად გამოყენების უზრუნველყოფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შხამქიმიკატების გამოყენების თავისებურებას განსაზღვრავს მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგოდ ჩატარებული მეთოდის რიგი თავისებურებანი, მათ შორის შეიძლება იყოს შესხურება, შეფრქვევა, აეროზოლების გამოყენება, ფუმიგაცია და ა. შ. ავიღოთ მაგალითად ვაზის ძირითადი სოკოვანი დაავადება ჭრაქი და ნაცარი. პირველის სალიკვიდაციოდ ვიყენებთ ბრძოლის ქიმიურ მეთოდს — შესხურების ოპერაციას, ხოლო ნაცრის შემთხვევაში ამავე მეთოდს შეფრქვევის ოპერაციით. ბრძოლის ღონისძიებების წარმატებით გატარებისათვის მეურნეობები პრაქტიკაში მრავალი სახის მანქანა-იარაღებსა თუ ხელის ტექნიკას იყენებენ. ჭრაქის სალიკვიდაციოდ ბორდოული ხსნარის შემსხურებელი მანქანები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1) ზურგსაკიდი სასხურებელი, რომელიც გამოიყენება ისეთ ნაკვეთებზე, სადაც ტრაქტორით, ცხენწევის მანქანებით ან ავიაციით ამ ღონისძიების (სამუშაოს) ჩატარება შეუძლებელია, 2) სატრაქტორო სასხურებლები, 3) საავიაციო სასხურებლები. საფრქვევი მანქანები შემდეგი ტიპისაა: 1) ხელისა და ზურგსაკიდი, 2) ცხენწევის, 3) სატრაქტორო და 4) საავიაციო საფრქვეველები.

პროფესორ ი. პ. იაცენკოს მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებათა თითქმის 70 პროცენტი შესხურებით წარმოებს. ამ ხერხს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. სახელდობრ, თხევად მდგომარეობაში გამოყენებული შხამქიმიკატების ხარჯი 4—5-ჯერ ნაკლებია ფართობის ერთეულზე ფხვნილისებური შხამების ხარჯთან შედარებით. თხევად მდგომარეობაში შხამი მცენარის ორგანოებზე თანაბრად ნაწილდება. თუ შესასხურებელი სითხე შედგენილი იქნება, როგორც მექანიკური ნარევი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთზე ქიმიურად უმოქმედო ნივთიერებებისაგან, მაშინ შესაძლებელია ერთდროულად ვებრძოლოთ რამდენიმე დაავადებასა და მავნებელს. შესხურების გამოყენების დროს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით წყალია საჭირო. ამდენად იქ, სადაც აუცილებელია ბრძოლის ღონისძიებათა ამ მეთოდის გამოყენება და სხვადასხვა კონცენტრაციების ხსნარების ადგილზე მომზადება, აუცილებელია მოწესრიგდეს წყლით მომარაგების საკითხები.

მევენახეობაში მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, როგორც წესი, გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდში ტარდება. ბრძოლის ღონისძიებათა გამოყენებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს რიგ არახელსაყრელ პირობებს.

1) სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ვაზის შეფრქვევის ან შესხურების დროს ადგილი აქვს არახელსაყრელ ფაქტორებს, შხამების არსებობა ზოგჯერ განაპირობებს მომუშავეთა მოწამვლას, რაც აფერხებს მუშაობის ნორმალურად წარმართვას.

2) ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური ფაქტორები, ჰაერის მაღალი ტემპერატურა და ინტენსიური

ინსოლაცია. ასეთ პირობებში იზრდება შხამების აქროლადობა და ამტვერება, სამუშაო ზონაში მატულობს შხამის კონცენტრაცია. ასევე ანგარიშგასაწევია ქარების მოქმედება და მიმართულება სამუშაო ადგილისადმი.

ბიბლიოთეკა

ვაზის ძირითად მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ეკონომიური ეფექტურობის საკითხები შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ჩიკაანის მარქსის სახ. კოლმეურნეობის, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის და თერჯოლის ლენინის სახ. კოლმეურნეობების ექვსწლიანი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით, რომელთა ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი მოტანილია ცხრილებში.

Г. Е. ЧКУАСЕЛИ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОРГАНИЗАЦИИ ЗАЩИТЫ РАСТЕНИЙ В ВИНОГРАДАРСТВЕ

### Резюме

1. Меры борьбы против болезней и вредителей винограда, их своевременное и высококачественное проведение для удержания высокого урожая и в деле его получения есть решающий фактор. В виноградарстве в системе защиты растений основная и активная часть — химический метод борьбы.

2. По средним данным шести лет из общих расходов по химическим мерам борьбы с грибными заболеваниями лозы на производство каждого центнера винограда было потрачено в Цинандальском виноградарском совхозе 3,5 рубля, в Чикаанском колхозе имени К. Маркса — 0,61, в Мухранском учебно-опытном хозяйстве — 0,63 рубля, в Тержольском колхозе имени Ленина — 2,1 рубля.

3. По средним данным шести лет каждый рубль затрат на химические методы борьбы с грибными заболеваниями принес в Цинандальском виноградарском совхозе продукции на 12,1 рубля, в Чикаанском колхозе имени К. Маркса — 44,4 рубля, Мухранском учебно-опытном хозяйстве — 20,4 рубля, в Терджольском колхозе имени Ленина — 23,4 рубля.

4. По средним данным анализируемых лет, количество человеко-дней, израсходованных на химические мероприятия по борьбе с грибными заболеваниями составило в Цинандальском виноградарском совхозе 10,1%, в Чикаанском колхозе имени К. Маркса — 14,6%, в Мухранском учебно-опытном хозяйстве — 15,6%, в Тержольском колхозе имени Ленина — 9,1% всего количества человекодней по уходу за плодоносящим виноградником.

### ლიტერატურა

1. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ. 1971.
2. ი რ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, გ. დ ე კ ა ნ ო ი ძ ე — ენტომოლოგია, თბ. 1974.

3. ა. აფხაიძე, კ. ლექავა — მცენარეთა დაცვის მანქანები და იარაღები, თბ. 1963.

4. შ. კინწურაშვილი — სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატების გამოყენების ჰიგიენური წესები, თბ. 1966.

5. მებაღეობისა და მევენახეობის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, გამომცემლობა „განათლება“, თბ. 1965.

6. ს. ქარუმიძე — სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდები, თბ. 1950.

7. ლ. ყანჩაველი — სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბ. 1960.

8. მეცნიერების და ტექნიკის ჰორიზონტები, თბ. 1973.

9. М. Глебов — Экономическая эффективность мероприятий по защите растений, журнал «Экономика сельского хозяйства», № 8, 1962.

10. Т. Унанянц — Экономическая эффективность химизации сельского хозяйства, изд. «Экономика» — М., 1964.

11. Производственная санитария и охрана труда, изд. «Экономика», М., 1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

К. ТАРГАМАДЗЕ, Т. КАНДЕЛАКИ

# ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ОБРЕЗКОВ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

XXIV съезд КПСС наметил высокие темпы роста продукции лесной промышленности, успешное развитие которой органически связано с лесосырьевыми ресурсами страны. Как известно, основным сырьем мебельной строительной, целлюлозно-бумажной и др. отраслей народного хозяйства является древесина. Несмотря на то, что Советский Союз наиболее богатая страна в мире по древесным запасам, трудности освоения лесов промышленного значения, все увеличивающиеся потребности народного хозяйства в продукции лесной промышленности, ограниченность запасов эксплуатационных лесов в некоторых географических районах страны вызывают необходимость широкого вовлечения в переработку отходов лесозаготовок, лесопиления, деревообработки, замены древесины ценных пород более дешевыми материалами, а также высвобождения древесины из потребления различными отраслями народного хозяйства.

Несмотря на водоохранные, курортные, почвозащитные и др. значения горных лесов Грузии, в некоторых категориях этих лесов разрешено проведение рубок главного пользования, но с условием сохранения вышеуказанных функций леса.

В лесных массивах Грузии каждый год заготавливается до 0,85 млн. $м^3$ древесины, а народное хозяйство ежегодно требует свыше 4,0 млн. $м^3$. Ее дефицит составляет около 3,2 млн. $м^3$, что покрывается путем завоза древесины из других союзных республик.

В целях всемерного сокращения расхода дефицитной привозной древесины в безлесных и малолесных районах СССР, для народного хозяйства весьма важным является изыскание новых видов сырья по производству целлюлозы, картона, волокнистых плит и т. п. из волокносодержащего растительного сырья.

Кафедра экономики лесного хозяйства и таксации леса Груз. СХИ с 1959 года занимается вопросом промышленного использования обрезков виноградной лозы (ОВЛ) в народном хозяйстве. Многочисленными лабо-

раторными и производственными опытами, проведенными в Тбилиси, на Ингурском целлюлозно-бумажном комбинате, на Красногородском экспериментальном бумажном комбинате, Ленинградской бумажной фабрике им. М. Горького, во ВНИИБ и ВНИИДрев была установлена возможность использования ОВЛ для выработки писчей, печатной и оберточной бумаги, тарного картона, картона для изготовления мягкой кровли, стружечных и волокнистых плит (мокрым и сухим способами).

Результаты проведенных исследований показывают, что для южных республик, а также районов Советского Союза с высокоразвитым виноградарством экономически наиболее целесообразным и технически возможным является промышленное использование ОВЛ, как заменителя древесины для выработки плиточной продукций.

Виноградная лоза — древесновидное одно-двухгодичное волокносодержащее сырье, диаметром 0,6—1,5 см и длиной в среднем 700—1500 мм, со следующим химическим составом:

| | |
|---|---|
| целлюлоза — | 36—38% |
| лигнин — | 20—24% |
| пентозан — | 14—15% |
| эфирная вытяжка — | 1,9—2,15% |
| спиртная вытяжка — | 6,0—7,0% |
| вещества, растворимые в горячей воде — | 1,5—2,5% |
| зольность — | 15% |

Надо отметить, что резкое отличие химического состава разных видов винограда не наблюдается.

Приведенные данные показывают, что обрезки виноградной лозы по химическому составу близко стоят к лесным лиственным породам.

В течение вегетативного периода виноградный куст дает множество отпрысков и ветвей, оставление которых на кустах на последующие годы вызывает резкое уменьшение урожайности винограда, а также ослабление и преждевременную старость растения. Поэтому по правилам агротехники необходимо проводить ежегодную обрезку виноградных кустов. Период обрезки в условиях Грузии продолжается, начиная с первого февраля вплоть до конца марта. Многолетними наблюдениями научно-исследовательского института садоводства, виноградарства и виноделия МСХ Грузинской ССР, а также нашими исследованиями подтверждается, что больше обрезков дает с одного га виноградник сорта «Ганджури» (2,6—3,1 тонн), «Чинури» (2,1—2,5 тонн), «Саперави» (1,9—2,2 тонн), «Ркацители» (1,7—2,0 тонн) и т. д. Ежегодное средневзвешенное количество ОВЛ с учетом надежности сырьевой базы по Грузинской ССР определеятся в размере 1,76 тонн с га. Это количество кладется в основу расчета годового количества ОВЛ в сырьевой базе.

ОВЛ, получаемые при ежегодном уходе за виноградниками, не используются и, в основном, уничтожаются путем сжигания. В настоящее время, ежегодное количество ОВЛ только по Грузинской ССР составляет около 200 тыс. тонн. Колхозами и совхозами республики ежегодно затрачивается свыше 850 тыс. руб. и значительные трудовые средства на сбор, вынос их из виноградников и сжигание.

На основании разработки организационных и технических вопросов сбора, транспортировки, хранения и технологии переработки ОВЛ составлено технико-экономическое обоснование (ТЭО) строительства завода волокнистых плит сухим способом в г. Телави (центр виноградарства Кахетии Грузинской ССР), годовой мощностью 10,0 млн. м$^2$, который впервые в мире, как основное технологическое сырье, будет использовать ОВЛ. Составленное технико-экономическое обоснование утверждено вышестоящими органами и строительство этого завода в г. Телави в период 1971—75 гг. поручено Минлеспрому ГССР постановлением ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР от 18 ноября 1969 г. и приказом Министра Минлеспрома СССР от 28 декабря 1970 г.

Неиспользуемые отходы — обрезки виноградной лозы в районах Кахетии (точка строительства завода) составляют ежегодно около 120 тыс. тонн, а для производства волокнистых плит сухим способом в объеме 10,0 млн. м$^2$ в год потребно 85,0 тыс. тонн этого вида сырья. Вышеуказанный объем производства волокнистых плит из ОВЛ народному хозяйству даст следующий экономический эффект:

1. При использовании ОВЛ в качестве технологического сырья виноградарское хозяйство Кахетии путем его продажи может получить ежегодно дополнительный доход в размере 320—350 тыс. рублей, что восстановит затраты на сбор и ликвидацию этого сырья и поднимит рентабельность хозяйства.

2. ОВЛ в объеме 85,0 тыс. тонн, т. е. 10,0 млн. м$^2$ твердой волокнистой плиты заменит в народном хозяйстве около 160000 м$^3$ высококачественных пиломатериалов из хвойных пород, для производства которых необходимо заготовить и вывезти около 540 тыс. м$^3$ древесины.

3. Расходы на строительство завода будут окуплены в течение 2—3 лет после пуска объекта, тем самым вложенные капиталовложения в кратчайший срок дадут народному хозяйству экономический эффект.

4. Строительство завода волокнистых плит сухого способа годовой мощностью 10,0 млн. м$^2$ на базе ОВЛ обеспечит общий ежегодный экономический эффект около 20 млн. руб., который образуется в результате сокращения объемов лесозаготовок и вывозки древесины, а также расходов на железнодорожный транспорт по лесовосстановительным и другим лесохозяйственным работам и т. д.

В конце года должен войти в строй одно из крупных деревообрабатывающих предприятий Грузии — Самтредский древесно-стружечный завод годовой мощностью 35 тыс. м$^3$. Из-за ограниченности лесозаготовки и лесопиления в республике, для удовлетворения потребности предприятия намечается ежегодно из многолесных районов СССР завоз древесины в количестве 45,0—50,0 тыс. м$^3$, для транспортировки которой ежегодно будет дополнительно израсходовано 650 тыс. руб. Наличие в Западной Грузии (точка строительства) почти 30% виноградников республики, площади которых в ближайшем будущем должны увеличиться значительно, и разработанная нами технология выработки из ОВЛ стружечных плит говорит об экономической и технической целесообразности замены дорогостоящей завозной древесины на новостроящемся заводе древесно-стружечных плит в г. Самтредия обрезками виноградной лозы.

## Литература


1. Таргамадзе К., Канделаки Т. — Обрезки виноградной лозы как заменитель древесины. Тезисы докладов Всесоюзной научно-технической конференции., Киев, 1975.
2. Таргамадзе К., Канделаки Т. — Исследование получения кондиционной щепы на передвижных рубильных машинах, ее сохранность и средства хранения, с целью выработки твердых волокнистых плит из виноградной лозы, ГПИ им. В. И. Ленина, Тб., 1974.
3. Таргамадзе К., Канделаки Т. — Экономическая эффективность использования обрезков виноградной лозы в деревообрабатывающей промышленности. Тезисы докладов Всесоюзной научно-технической конференции. Тб., 1975.
4. Канделаки Т. — Ресурсы обрезков виноградной лозы в Грузии и перспективы ее использования. Доклад на XVIII научно-технической конференции ГПИ им. В. И. Ленина, Тб., 1974.
5. Канделаки Т. — Новый метод хранения измельченных обрезков виноградной лозы. Грузинский НИИНТИ и ТЭИ, Тб., 1975.
6. Данные Статистического управления Совета Министров Грузинской ССР о площадях виноградников в республике, Тб., 1971—1974.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. А. ИВАНОВА

# КНИГА — ДРУГ ЧЕЛОВЕКА

> «Чтение для ума — то же, что физическое упражнение для тела».
>
> (Д. Аддисон)

Книга неотделима от нашей жизни.

В. Г. Белинский утверждал, что книги пишутся для воспитания, а воспитание — великое дело: им решается судьба человека, его облик. Если учесть, что воспитание человека продолжается всю жизнь, то воспитательное значение книги следует признать первостепенным среди других ее значений (источник знания, способ познания жизни, воодушевляющий, физиологический и лечебный фактор воздействия на психику).

Исходя из этого, к чтению надо относиться со всей серьезностью, ибо: «Ум укрепляется или расслабляется чтением так же, как тело свежим или испорченным воздухом» (Д. Рескин).

## ЦЕЛИ ЧТЕНИЯ

1. **Чтение для осведомления о чем-нибудь, пополнения сведений и т. д.** Таково чтение газет, брошюр, журналов.

2. **Вдохновляющее чтение.** Это чтение таких книг, которые мы читаем не для того, чтобы пополнить старые или получить новые сведения, знания, а потому что они подымают настроение. В повседневной жизни необходимо время от времени прислушиваться к голосам, зовущим к высоким целям. В них неиссякаемый источник вдохновения, надежд, бодрости. Если человек не умеет пользоваться книгами с таким содержанием, он много теряет. Такие книги надо читать, впитывая мысли и настроения, заразиться ими, переживать их. Вдохновляющие книги читаются и перечитываются, и каждый раз, перечитывая такую книгу, читатель находит новые глубокие мысли, доискивается до новых открытий в образах и характерах героев, все больше углубляется в то, что читается «между строчками». «Вдохновляющее чтение» духовно обогащает личность человека, формирует мировоззрение, нравственность, делает мышление продуктивным. Книга — это неиссякаемый аккумулятор накопленных человечеством полезных знаний, мудрых мыслей и благородных чувств. Читая, мы как бы подключаем наш мозг к этому аккумулятору, и энергия, заключенная в книге, передается

нам, становится нашей энергией, оказывая на нас эмоционально-эстетическое воздействие. Чтение таких книг может отразиться на всей жизни человека. К примеру можно привести роман Чернышевского «Что делать?», под влиянием которого многие передовые люди стали революционерами, или роман «Как закалялась сталь», оказавший огромное влияние на формирование личности Олега Кошевого и огромного количества молодых людей у нас и за рубежом; роман «Повесть о настоящем человеке», вылечивший не одного больного, взявшего пример с Алексея Мересьева, и др.

**3. Чтение научной литературы.** Это не развлечение, а важное и необходимое средство для изучения науки, расширения кругозора и опыта, углубления имеющихся сведений в той или иной области науки.

От цели чтения зависят способы чтения. Какую цель мы поставим себе при чтении, зависит от книги. Но и одну и ту же книгу можно читать с различными целями. Например, «Илиаду» Гомера можно читать как великое поэтическое произведение, наслаждаясь музыкой стиха и находя удовольствие в переживании событий, мыслей и чувств вместе с героями поэмы. Известно, что Александр Македонский постоянно перечитывал поэму, потому что образ Ахиллеса служил для него идеалом, а описания битв—источником воодушевления во время походов. Но историк эту же поэму читает с другой целью: как произведение, содержащее обширный материал о быте и мифологии Древней Греции.

## СПОСОБЫ ЧТЕНИЯ

**1. Пассивное чтение.** При пассивном чтении мы целиком отдаемся на волю автора. Переживаем его мысли, чувства, живем в созданном им мире, забывая о своем «я». Очень сильное влияние производят на читателя стихи, особенно любимые стихи. Какого человека, вступившего в пору расставания с юностью, не тронут до глубины души пушкинские строки:».

«Так, полдень мой настал, и нужно
Мне в том сознаться, вижу я,
Но так и быть: простимся дружно,
О юность легкая моя!».

**2. Активное чтение.** При активном чтении, наоборот, наше «я» постоянно сознает себя, оценивает мысли автора. Типичный случай—чтение статьи, противоречащей нашим взглядам. От того, какую книгу мы читаем—художественную, научную, техническую—зависит то, как мы ее читаем: выборочно или полностью, поверхностно или углубленно (с проработкой).

Тот, кто хочет читать с пользой для себя, должен одинаково хорошо овладеть разными способами чтения и легко приспосабливаться к любой цели чтения. При чтении газеты требуется умение просматривать (выборочное чтение). Изучать книгу надо полным чтением с проработкой (углубленным, не поверхностным чтением). Но каким бы способом ни читали

книгу, чтение должно быть отчетливым; человек должен иметь четкое представление о том, что он читает, не читать «запоем», ослабляющим внимание и память.

## НАВЫКИ ПРАВИЛЬНОГО ЧТЕНИЯ

1. Сосредоточиваться на том, что читаем.

2. «Выжимать» самую сущность, отбрасывая мелкие подробности (а часто и то, что называют «водой» произведения).

3. «Охватывать» мысль автора вполне ясно и определенно, это поможет выработке ясности и конкретности собственных мыслей.

4. Следить за последовательностью мыслей автора так называемым «внутренним чтением», находя рубрики, не выделенные автором.

5. Представлять (или воображать) разборчиво и понятно то, что читаем.

Наиболее трудным видом чтения является углубленное чтение, требующее напряжения мышления и воображения. Нам надо сделать для этого усилие, привычку к которому надо в себе вырабатывать, иначе бывает очень трудно сделать это усилие по той причине, что надо его уметь сделать в процессе чтения, а не после чтения.

Говоря об углубленном чтении, С. И. Поварнин назвал этот способ лучшим способом чтения. «Этот способ — есть лучшая школа чтения. Кто не читал или не умеет читать с проработкой, тот никогда не достигнет той степени умения читать вообще и хорошо просматривать книгу, которая доступна ему по его способностям». Вольтеру принадлежит следующее изречение: «Чем больше читаем, не задумываясь, тем больше убеждается, что много знаем, но чем больше задумываемся во время чтения, тем яснее видим, что еще мало знаем». Полезнее всего книги, заставляющие думать.

### Работа над книгой как вид сложной интеллектуальной деятельности.

Эффективность всякого интеллектуального труда, в том числе работы над книгой, зависит прежде всего от умственной работоспособности. Для сохранения умственной работоспособности необходимо уметь правильно отдыхать. После каждого часа-двух работы надо делать перерыв на 5—10 минут, полезно обтирать лицо и тело прохладной водой, делать физзарядку или просто усиленно подышать перед открытым окном.

Самым необходимым условием всякого целесообразного действия, в том числе и чтения, является установка. Согласно учению выдающегося советского психолога Д. Узнадзе, установка — это готовность к поведению или действиям в определенном направлении. Установка активизирует мышление, память, делает восприятие более точным, направляет внимание на нужный объект. Например, установка на выделение при чтении в тексте определенных пунктов помогает более быстрому усвоению текста, правиль-

ному осмыслению материала. Таким образом, первым условием глубокого чтения является установка.

Вторым условием глубокого чтения является самостоятельный подход к читаемому. При этом обдумывают то, что узнают из книг, делают сопоставления устнавливают последовательность фактов, нужную для решения данного вопроса, дают оценку, критикуют и др., стараясь не поддаваться подавляющему влиянию «ложных» авторитетов.

Многие люди умеют читать, глубоко осмысливая содержание книги, хотя их никто не учил приемам осмысления читаемого. У таких людей правильный стиль чтения научной и учебной литературы выработался стихийно. Стихийный процесс выработки навыков глубокого чтения (с проработкой) — медленный процесс. Знание приемов осмысления текста намного ускоряет этот процесс.

Анализ логической структуры текста позволяет не только выделять основные связи между мыслями, но вскрывать неосвещенные вопросы, искать и находить на них ответы. У тех, кто уже овладел способом углубленного чтения, такой анализ не отделяется от общего процесса осмысления содержания текста.

Для овладения приемами осмысления текста необходимо знать, в чем состоит анализ логической структуры текста.

## ЛОГИЧЕСКАЯ (СМЫСЛОВАЯ) СТРУКТУРА ТЕКСТА

Первым специальным условием эффективной работы над книгой является умение анализировать логическую структуру текста, выделять и соотносить его основные элементы для лучшего понимания. Для того, чтобы разобраться в логической структуре текста, начнем с простого повествовательного предложения.

«Лист состоит из листовой пластинки, корешка и прилистников».

С точки зрения формальной логики это предложение выражает суждение, в котором можно выделить то, о чем говорится, или логический субъект (лист), и то, что именно говорится об этом субъекте, или логический предикат (состоит из листовой пластинки, корешка и прилистников), а также связь между ними (утверждение). Связь между тем, о чем говорится, и тем, что говорится, существует не только внутри предложения, но и между предложениями и группами предложений. Таким образом, в первую очередь в тексте следует устанавливать объяснительные, утвердительные, отрицательные и вопросительные связи между субъектами и предикатами текста, а затем между субъектно-предикативными частями текста. Такое логическое осмысление текста и является углубленным чтением, или чтением с проработкой. Для примера разберем маленький текст.

«Раньше в крестьянских хозяйствах посев производился «вразброс», ручным способом. На поле выходил сеятель с лукошком семян и разбрасывал семена по полу. Затем семена заделывались в почву при помощи боро-

ны. При таком посеве семена располагались в одном месте очень густо, и выросшие из них растения затеняли друг друга. В другое место семян попадало мало, и свободное пространство между ними занимали сорные растения. Семена, попавшие на разную глубину, давали неровные всходы, урожай получался низкий. Такой способ посева в настоящее время не применяется».

Чтобы выделить субъект в этом тексте, надо поставить вопрос: о чем говорится здесь? Здесь говорится о том, что раньше в крестьянских хохозяйствах посев производился «вразброс», ручным способом. Следовательно первое предложение является субъектом. То, что говорится о субъекте, называется предикатом. О субъекте сказано:

1. На поле выходил сеятель с лукошком семян и разбрасывал семена по полю. Это первый предикат, раскрывающий сущность ручного посева.

2. Затем семена заделывались в почву при помощи бороны. Это второй предикат, дающий дополнительные сведения о способе посева, называемом ручным, или «вразброс».

Остальные предикаты сообщают о результатах такого посева, его недостатках и наталкивают на вывод, почему этот способ в настоящее время не применяется.

Способ выделения частей текста на основании вопросов субъекта (о чем говорится?) и предиката (что именно говорится?) помогает осмыслению текста без надоедливого перечитывания несколько раз, чтобы вникнуть. В результате такого деления текста читатель создает систему параграфов, то есть частей текста, имеющих самостоятельное значение, которые автором не выделены, но легко выделяются во время установления причинно-следственных, пояснительных, дополнительных, определительных и других связей между частями текста. Самым большим достоинством такой аналитико-синтетической канвы текста является то, что при ее наметке возникают вопросы, побуждающие читателя искать нужный ответ, что способствует полному охвату текста, мешает «провалам» внимания и памяти, когда важная мысль может оказаться вне поля зрения, пропускается.

Часто проблемные ситуации не выражены, скрыты, а иногда автор выражает их в виде познавательной задачи, в виде так называемых риторических вопросов. Например, как объяснить данное положение? Как определить причину сказанного? Дальнейший текст содержит ответы на такие вопросы.

Познакомимся с основными типами проблемных ситуаций.

**1 тип проблемных ситуаций** — субъект и его предикат следуют не сразу один за другим: субъект перед предикатом или предикат перед субъектом. Мы нашли предикат, но нам неизвестно, в чем состоит субъект. И, наоборот, предикат далеко отстоит от субъекта, что вызывает состояние умственной напряженности, недоумение, желание побыстрее разобраться.

Возникают вопросы: А чем все это будет доказано? Почему автор не переходит сразу к разъяснениям? и др.

**II тип проблемных ситуаций** — субъект и предикат выражены неполно, а иногда отсутствует один из них. Особенно, если автор считает, что читателю что-то известно и нет необходимости на этом останавливаться. Например: «Горох—самая урожайная культура из подобных ей культур».

**III тип проблемных ситуаций** — в текстах часто встречаются субъекты или предикаты, выраженные с ограничением. Например: «Некоторые овощные культуры наиболее требовательны к свету, а другие менее требовательны». Неизвестно, какие именно это культуры. Данная проблемная ситуация требует осведомленности читателя в этом вопросе: тыквенные и пасленовые овощные культуры более требовательны к свету, а капустные, корнеплодные и луковые растения — менее. Такие слова, как: иногда, некоторые, отчасти, в отдельных случаях, особенно и др. указывают читателю, что перед ним проблемная ситуация и, возможно, придется воспользоваться справочной литературой.

**IV тип проблемной ситуации** — параллельные субъекты или предикаты.

Субъект повторяется, но в распространенном (расширенном) виде. Может повториться и предикат в новой, более общей, форме. Обычно в таких текстах употребляются слова: а также, не только... но и, кроме и др. Например: «Ягодные и некоторые плодовые растения растут на собственных корнях без использования подвоев». (Здесь говорится о ягодных и некоторых плодовых растениях, т. е. о субъекте. То, что они растут на собственных корнях без использования подвоев—предикат). «Их называют корнесобственными растениями». (Здесь опять субъект — ягодные и некоторые плодовые растения, но предикат расширен, в нем указано, как называют субъект).

**V тип проблемных ситуаций** — из двух субъектов или целых суждений один противоречит другому. Наличие противоречий закономерно по законам диалектики. Однако может возникнуть недопонимание, придется разбираться в причинах противоречия, которые, возможно, являются выводом из последующих субъективно-предикативных отношений. При дальнейшем чтении следует помнить о противоречии, чтобы не пропустить то место, где оно объясняется.

При осмыслении текста могут возникнуть затруднения, о существовании или возможности обнаружения которых, лучше знать заранее. Зная типы проблемных ситуаций, легко их заметить и они не вызовут чувства неудовлетворенности работой. Надо только знать, какими приемами пользуются при осмыслении проблемных ситуаций указанных типов и при осмыслении текста вообще. В этом и заключается активное чтение, иначе говоря, умственная активность при чтении.

## ПРИЕМЫ ОСМЫСЛЕНИЯ ТЕКСТА

**I прием осмысления текста** — постановка вопросов самому себе и другим лицам при обсуждении, нахождение ответов на поставленный вопрос.

**II прием осмысления текста** — постановка вопросов-предложений.

«Может быть это объясняется...?» «Не является ли это следствием...? и т. п.

**III прием осмысления текста** — зрительное предвосхищение (антиципация).

Это—умение зрительно охватить не одну строчку, а несколько и выхватить нужную мысль. Такой способностью обладал В. И. Ленин. О. Б. Лепешинская пишет, что однажды в годы сибирской ссылки они вместе с Лениным ехали в девятиместной каюте парохода. «Я невольно обратила внимание на то, что страницы толстой книги, которую читал Ильич, перелистываются им быстро-быстро. Я едва прочитывала в своей книге 5—6 строчек, а рядом Ильич перелистывал уже новую страницу.

— Владимир Ильич, — спросила я, — что вы делаете?

Ильич удивленно поднял глаза.

— Как что? Читаю.

— Вы все читаете или только просматриваете книгу?

— Конечно все — и очень внимательно.

— Но разве можно так быстро читать? — Удивилась я.

— Вот оно что, — улыбнулся Ильич. — Вы правы: я читаю быстро. Но так надо, я себя приучил к этому.

В. И. Ленин выработал свою систему чтения, и в этой системе основное место занимало зрительное предвосхищение текста, охват глазами сразу нескольких строчек вместо одной.

**IV прием осмысления текста** — предвосхищение содержания (не зрительное, а мысленное). Читатель думает, что дальше речь будет идти о том-то и, продолжая чтение, проверяет, был ли он прав в своих предположениях.

**V прием осмысления текста** — мысленное возвращение (реципация) к раннее прочитанному под влиянием новой мысли. Например, прочитав в тексте: «Вегетативное размножение является главным способом получения посадочного материала всех плодовых и ягодных культур для промышленных насаждений», читатель думает: «Это второй способ размножения, а первый способ был указан выше — это семенной способ».

**VI прием осмысления текста** — критический анализ и оценка.

Применение названных приемов осмысления текста поможет сделать чтение вдумчивым (активным) и достаточно быстрым, потому что не будет задержек в чтении из-за того, что «мысль ускользнула».

ეროვნული

Вышеприведенные формы работы над книгой дадут наилучший результат, если будет вестись конспект.

Человек и книга в нашей стране неразлучны. В этом — знамение времени, отражение духовной сущности нового мира, всеми своими помыслами устремленного вперед, в завтрашний день человечества.

А. С. Пушкин называл книгу «пищей души», а А. И. Герцен нарек книгу «духовным завещанием одного поколения другому». Можно привести бесчисленное множество мудрых мыслей об этом одном из «величайших и таинственных чудес земли» (по словам А. М. Горького) — о книге, но мысль «книга-друг человека и спутник его жизни» проходит красной нитью: «Кто любит читать, тот всегда имеет рядом верного друга, веселого собеседника, мудрого советника и наставника» (И. Бароу). «Книги — лучшие друзья. К ним можно обращаться во все трудные минуты жизни. Они никогда не изменят» (А. Доде).

Книга и наша жизнь зависят друг от друга. Мы не можем строить жизнь без книг, а книга не может не быть отражением жизни; оказывая влияние на нашу жизнь, книга сама создается под влияние реальной жизни.

## Литература


1. Л. П. Доблаев — Психологические основы работы над книгой, М., 1970.
2. С. И. Поварнин — Как читать книги, Л., 1960.
3. Учись работат с книгой, М., 1961.
4. А. И. Назаров — Книга в советском обществе», М., 1964.
5. Как Ленин работал над книгой — журн. «Агитатор», 1975, № 7.
6. Н. Калитин — Читатель и книга, М., 1962.
7. М. Калинин — Будущее принадлежит вам, М., 1974.
8. В мире мудрых мыслей, М., 1962.
9. ა. გვიტაძე — „აზრთა კონა“, თბ., 1962.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ცუკერმანი

# ა. ს. მაკარენკოს აღზრდის შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას ახალგაზრდა თაობასა და მის აღზრდაზე იჩენს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგიკას — მეცნიერებას მოზარდი თაობის აღზრდასა და სწავლებაზე.

ამ მეცნიერების, მისი ისტორიის, განვითარების, მისი გამოჩენილი მოღვაწეების მემკვიდრეობის შესწავლა წარმოადგენს ჩვენს გადაუდებელ ამოცანას.

საბჭოთა პედაგოგიკის ფუძემდებელი იყო ანტონ სიმონის-ძე მაკარენკო — „ადამიანთა სულის ინჟინერი" არა მარტო როგორც მწერალი, რომელმაც შექმნა „ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ზეშთაგონებული ლიტერატურული ძეგლთაგანი" (გაზ. „პრავდა", 1939 წ. 2 აპრილი) — „პედაგოგიური პოემა", არამედ აგრეთვე როგორც გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი—ნოვატორი, კომუნისტური აღზრდის თეორეტიკოსი. ეს იყო მაკარენკოს პიროვნების ერთი დიდი, პატრიოტული საქმის ორი მხარე. მაკარენკოსათვის მწერალი იყო უპირველეს ყოვლისა აღმზრდელი, ხოლო პედაგოგი — არა მარტო სრულქმნილი ოსტატი, არამედ აგრეთვე ზეშთაგონებული მხატვარი. მწერლისა და პედაგოგის ერთიანობა — მაკარენკოს პიროვნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

დიდი რუსი რეალისტი მ. გორკი ძალიან აფასებდა მაკარენკოს შემოქმედებას, ყურადღებით ადევნებდა თვალს მის „ჭკვიანურ, შესანიშნავ" მუშაობას, პატივისცემის უდიდესი გრძნობითა და აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მაკარენკოს პიროვნებაზე. „საკვირველი ადამიანი ხართ და სწორედ ისეთი, როგორიც ესაჭიროება რუსეთს" — წერდა იგი მას (მ. გორკი, წერილი მაკარენკოსადმი 1925 წ. 17/VIII. „პედაგოგიური პოემა", მ., 1944, გვ. 9).

წლითიწლობით იხსნება მაკარენკოს მემკვიდრეობის სულ ახალ-ახალი მხარეები, იზრდება ცოცხალი ინტერესი „პედაგოგიური პოემის" ავტორისადმი.

ა. მაკარენკო დაიბადა 1888 წ. ხარკოვის გუბერნიის ქ. ბელოპოლიეში მუშის ოჯახში. 1901 წ. მაკარენკოს ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად კრიუკოვ-

პოსადში, რომელთანაც დაკავშირებულია მწერლის ცხოვრების თითქმის ორი ათეული წელი (კრიუკოვი ქ. კრემენჩუგის გარეუბანია).

ამ წლებში პედაგოგ-მწერლის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი და ღრმად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მუშების წრეს, რომელშიც იგი იზრდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მაკარენკო მუშაობდა სამხრეთის რკინიგზების დაწყებითი სასწავლებლების ინსპექტორად კრიუკოვში, საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის გამგედ პოლტავაში, იყო სახალხო განათლების ქალაქის განყოფილების კოლეგიის წევრი.

1920 წ. სექტემბერში, პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ, ა. მაკარენკომ მიიღო წინადადება ჩამოეყალიბებინა ქ. პოლტავას მახლობლად კოლონია არასრულწლოვან უფლების დამრღვევთათვის.

1928 წ. მაკარენკო გახდა უკრაინის სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის შრომითი კომუნის ხელმძღვანელი ქ. ხარკოვში, შემდეგ მუშაობდა უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის შრომითი კომუნების განყოფილების უფროსის მოადგილედ. თავისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ მაკარენკო მოგვითხრობს თავის ნაწარმოებებში: „პედაგოგიური პოემა“, „ალმები კოშკებზე“, „30 წლის მარში“, „ФЭД—1“ და სხვ.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა კოლონიამ და თვით მაკარენკომ მ. გორკიზე, რომელიც ეწვია მას 1928 წელს. „ისინი (მაკარენკოს აღზრდილები) ხალისით ეკიდებიან ყოველგვარ სამუშაოს, ადვილად ემორჩილებიან შრომის დისციპლინას, თუ კი ის მართებულია და არ შეურაცხჰყოფს მათ პირად ღირსებას.

კოლონიის ორგანიზატორი და გამგე არის ა. ს. მაკარენკო — ეს უდავოდ ნიჭიერი პედაგოგი. მაკარენკომ იცის ბავშვებთან საუბარი შრომის შესახებ ისეთი მშვიდი, ფარული ძალით, რომელიც ყველა ლამაზ სიტყვებზე უფრო გასაგები და მჭერმეტყველია «По союзу Советов», «Наши Достижения», № 2, 1929. გვ. 26—27) [2] მ. გორკი.

მთავარი მაკარენკოს ნაწარმოებში — ეს არის კოლექტივის აღზრდის პრობლემა. მისი შეხედულებით პედაგოგიკა, როგორც ნორჩი თაობის აღზრდის თეორია და პრაქტიკა, გამოხატავს იმას, რაც საერთოდ დამახასიათებელია მოცემული საზოგადოებისათვის. საბჭოთა კავშირში ხალხის ცხოვრება და შრომა აიგება ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საწყისებზე. ამიტომ საბჭოთა პედაგოგიკის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ბავშთა კოლექტივის აღზრდის პრობლემა. „სოციალისტური საზოგადოება,— წერდა ანტონ სიმონის ძე მაკარენკო, — დამყარებულია კოლექტიურობის პრინციპზე. მასში არ უნდა იყოს განმარტოებული პიროვნება, ხან წინ წამოჩრილი მუწუკივით, ხან კი დანამცეცებული გზისპირა მტვრის სახით. იგი უნდა იყოს სოციალისტური კოლექტივის წევრი. საბჭოთა კავშირში არ შეიძლება იყოს პიროვნება კოლექტივის გარეშე და, მაშასადამე, არ შეიძლება იყოს განკერძოებული პირადი ბედი და ბედნიერება, დაპირისპირებული კოლექტივის ბედთან და ბედნიერებასთან“ [1].

კოლექტივის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ არაერთხელ უთქვამთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებსა და სხვა მოღვაწეებს. ნ. კ. კრუპსკაია ერთ-ერთ თავის სტატიაში წერდა: „...აუცილებელია, რომ ბავშვები ყველაფერს განიცდიდნენ კოლექტიურად და ამ კოლექტიური განცდის წყალობით სწავლობდნენ კოლექტიურ გრძნობას. ბავშვების მთელი ცხოვრება უნდა მოვაწყოთ ისე, რომ მათ ისწავლონ იცხოვრონ კოლექტიურად, არ აწყენინონ ერთმანეთს, ანგარიში გაუწიონ ამხანაგების სურვილს, იცოდნენ ერთმანეთის ყველაფერში დახმარება“. („ა. ს. მაკარენკოს მემკვიდრეობის გამოყენება შრომით რეზერვების სასწავლებლებში“, მ., 1951, გვ. 3).

პირადი ბედნიერება არ უნდა წარმოიშვას განკერძოების ნიადაგზე, სხვების ხარჯზე. დიდი, ჭეშმარიტი ბედნიერება არის მაშინ, როდესაც ადამიანის პირადი მოღვაწეობა ეხმარება საერთო მოძრაობას მაღალი მიზნისაკენ, როდესაც პირადი მიღწევები წარმოადგენს საზოგადოებრივი საქმისათვის სამსახურის შედეგს. ბავშვების აღზრდა უნდა განხორციელდეს კოლექტივისათვის, კოლექტივის მეოხებით, კოლექტივში მრავალფეროვანი მოღვაწეობის პროცესში. კოლექტივის მოღვაწეობის პედაგოგიური ხელმძღვანელობა მოითხოვს მაღალ ოსტატობას და დიდ ტაქტს. კოლექტივში და კოლექტივის საშუალებით მოსწავლეთა წარმატებით აღზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თვით პედაგოგების შეთანხმებული, კოლექტიური მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს ერთობლივი, შეწყობილი მოქმედება მოსწავლეთა კოლექტივის, როგორც აღზრდის ფაქტორის, როლის ამაღლების მიმართულებით წარმოადგენს მოსწავლეთა სწორი აღზრდის უმნიშვნელოვანეს პირობას.

„ჩვენი აზრით, — ამბობს მაკარენკო, — კოლექტივი ეს არის კონტაქტური ერთობლიობა, დაფუძნებული გაერთიანების სოციალისტურ პრინციპებზე“[3].

რა თქმა უნდა, კოლექტივი შედგება ცალკეული პიროვნებებისაგან, ინდივიდუალობებისაგან. მაგრამ მაკარენკო შემდგომ აღნიშნავს: „ცალკეული პიროვნების მიმართ კოლექტივი ამტკიცებს მთელი კოლექტივის სუვერენიტეტს. ამტკიცებს რა ცალკეული პიროვნების უფლებას ნებაყოფილობით იმყოფებოდეს კოლექტივში, კოლექტივი მოითხოვს ამ პიროვნებისაგან მანამ, სანამ იგი იმყოფება მასში, სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებას, როგორც ეს გამომდინარეობს კოლექტივის სუვერენიტეტიდან.

კოლექტივი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი აერთიანებს ხალხს იმ საქმიანობის ამოცანებზე, რომელიც ნამდვილად სასარგებლოა საზოგადოებისათვის.“[3].

შემდგომ მაკარენკო განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ აღზრდის საბჭოთა სისტემა სწორედ იმით განსხვავდება ყოველივე სხვა სისტემისაგან, რომ იგი სოციალისტური სისტემაა და ამიტომ ჩვენს აღმზრდელობით ორგანიზაციას აქვს კოლექტივის ფორმა. „ჩვენ ვუყურებთ ჩვენს აღზრდილს არა როგორც საწვრთნელ მასალას, არამედ ვთვლით მას ჩვენი საზოგადოების წევრად, მის აქტიურ მოღვაწედ, საზოგადოებრივი ფასეულობის შემქმნელად. ჩვენი აღზრდილების კოლექტივი წარმოადგენს არა ახალგაზრდობის უბრალო ნაკრებს, იგი უპირველესად ყოვლისა არის სოციალისტური საზოგადოების უჯ-

რედი, რომელსაც გააჩნია ჩვენს ქვეყანაში ყოველი სხვა კოლექტივის უფლება-მოვალეობანი“ [3]. ამიტომ „...ჩვენი პედაგოგიური ლოღიკის, ჩვენი მეთოდების განვითარება უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების მიერ დასახული მიზნიდან, ის კი ასახულია უკვე თვით ჩვენი აღმზრდელობითი, ორგანიზაციის ფორმაში — კოლექტივში“.[3].

მაშ როგორი უნდა იყოს პედაგოგიური პროცესის ლოგიკა?

„უწინარეს ყოვლისა, იგი უნდა იყოს ბოლომდე მიზანშეწონილი, მაშასადამე, არ შეიძლება დავუშვათ რაიმე შაბლონები. არ არსებობს არავითარი მცდარი საშუალებები და არ არის საშუალებები, აუცილებლად მანკიერი. მდგომარეობის, დროის, პიროვნებისა და კოლექტივის თავისებურების, შემსრულებელთა ნიჭისა და მომზადების, უახლოესი მიზნის, ეს-ეს არის ამოწურული კონიუნქტურის მიხედვით, ამა თუ იმ საშუალების გამოყენების დიაპაზონი შეიძლება გაიზარდოს სრულ ერთიანობამდე ან შემცირდეს სრულ უარყოფამდე. არ არსებობს უფრო დიალექტიკური მეცნიერება, ვიდრე პედაგოგიკაა და ამიტომ არცერთ სხვა სფეროში გამოცდილების მაჩვენებლებს არა აქვთ ესოდენ დიდი მნიშვნელობა.“[3]. და მართლაც, მაკარენკომ საკუთარი ცხოვრების მაგალითით დაამტკიცა ამ სიტყვების სისწორე. მან იცოდა, რომ უნდა შეექმნას, აღიზარდოს ახალი ადამიანი, კომუნისტურად აღზრდილი ადამიანი, დავანახოთ უპატრონო ბავშვს რომელიც გახდა ასეთი იმიტომ, რომ იგი მოხვდა მძიმე არანორმალურ სასიცოცხლო პირობებში, რომ იგი ადამიანია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, გავხსნათ ყველაზე უფრო ძვირფასი — პიროვნების ფასი, ვაიძულოთ დარწმუნდეს თავის თავში და სხვა ადამიანებში, დაივიწყოს თავის წარსული, გაიგოს შრომის, ბრძოლის, გამარჯვების სიხარული და ბედნიერება.

მაკარენკო თვლიდა, რომ თითოეულ კოლექტივში, თუნდაც სულ მცირეში, დისციპლინა უნდა იდგეს პირველ ადგილზე. მაგრამ ეს დისციპლინა უნდა იყოს დისციპლინა შეგნებული, დისციპლინა არამარტო დამორჩილებისა, არამედ ცოდნისა დამოუკიდებლად გადაჭრას ცხოვრების მიერ დასმული ამოცანები, ნებისყოფის დისციპლინა, ცოდნისა დაუქვემდებაროს თავისი ინტერესები საზოგადოების ინტერესებს. „ერთი სიტყვით, — წერდა იგი, — საბჭოთა საზოგადოებაში დისციპლინირებული ადამიანი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმას, რომელსაც ყოველთვის, ყველა პირობებში შეუძლია აარჩიოს სწორი მოქმედება, რომელიც ყველაზე უფრო სასარგებლოა საზოგადოებისათვის და გამოძებნოს თავის თავში სიმტკიცე განაგრძოს ასეთი ქცევა ბოლომდე მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა და უსიამოვნებისა.“[1].

დისციპლინას, რომელსაც ზრდიან საბჭოთა აღმზრდელობით დაწესებულებებში, მაკარენკომ უწოდა დაძლევისა და ბრძოლის დისციპლინა. ამაში იგი გულისხმობდა დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე არსებული დაბრკოლებების გადალახვას და ბრძოლას კოლექტივის სწორად გაგებული ინტერესებისათვის.

საბჭოთა სკოლაში დისციპლინის ცნებაში შედის მოსწავლეთა აქტიური დამოკიდებულება ქცევის დაწესებული წესების დაცვისა და კოლექტივის მოთხოვნებისადმი: თითოეული უნდა არა მარტო თვითონ მოეკიდოს პასუხისმგებ-

ლობით თავის ქცევას, არამედ მოთხოვოს აგრეთვე დისციპლინა თავის ამხანაგებს, ზოგჯერ კი გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივაც ამა თუ იმ მოსწავლის მხრიდან უდისციპლინობის შესაძლო გამოვლენის წინააღმდეგ. მაკარენკო წერდა: „ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მოქალაქისაგან, რომ იგი თავისი ცხოვრების ყოველ წუთს მზად იყოს აასრულოს თავისი ვალი, არ დაელოდოს განკარგულებას ან ბრძანებას, რომ მას გააჩნდეს ინიციატივა და შემოქმედებითი ნებისყოფა.“[1].

დისციპლინის დაცვა სკოლაში წარმოადგენს. ყველა მოსწავლეთა წარმატებით მეცადინეობის აუცილებელ პირობას. მოსწავლეთა დისციპლინირებული ქცევა და ორგანიზებულობა წარმოადგენს პედაგოგის სწორად დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობის მოსწავლეთა კოლექტივზე გავლენის შედეგს.

მხოლოდ რაციონალურად ორგანიზებული, შეგნებული და მტკიცე დისციპლინა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენოს სკოლის პირობები თავის სრულფასოვანი განვითარებისათვის. კარგი დისციპლინა უზრუნველყოფს თითოეული პიროვნების თავისუფლად განვითარების შესაძლებლობას, იგი აპირობებს პიროვნების დაცულობას კოლექტივში. დისციპლინა არ ეწინააღმდეგება განვითარების თავისუფლებას, ვინაიდან იგი აშკარად აღიქვება როგორც აუცილებლობა. მაკარენკო მიუთითებდა, რომ მართალნი არ არიან ის პედაგოგები, რომლებიც თვლიან, რომ მოსწავლეთა დისციპლინა უნდა შემოსთავაზოს მათ ვიღაც სხვამ მზამზარეულად. მოსწავლეთა დისციპლინა იქმნება სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემით. მეცადინეობის დროს იგი დამოკიდებულია პედაგოგის ოსტატობასა და ავტორიტეტზე, რომელიც ემყარება საგნის კარგ ცოდნას, სწავლების ცოდნას, მასწავლებლის ტაქტს, რომელშიც მაღალი მომთხოვნელობა მოსწავლეებისადმი შეხამებულია მათდამი პატივისცემასთან, სიყვარულთან.

დისციპლინა გულისხმობს თავისი მოქმედების დამუხრუჭების ცოდნას, თავშეკავებას. ამ ნებისმიერ თვისებას ბავშვებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაკარენკო მიუთითებდა: „ნებისყოფა—ეს არის სურვილიც და მისი შეკავებაც, სურვილიც და უარის თქმაც ერთდროულად. თუ... ბავშვი იწრთვნება მხოლოდ იმაში, რომ ასრულებს თავის სურვილებს და არ იწვრთვნება მათ შეკავებაში — მას არ ექნება დიდი ნებისყოფა.“ (მაკარენკო, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 462). მაკარენკო თვლის, რომ კოლექტივში აუცილებელია ძალზე მკაცრი დღის რეჟიმი, მაგრამ ის უნდა იყოს მოფიქრებული და მიზანშეწონილი. აღსაზრდელები უნდა მივაჩვიოთ სიზუსტეს, დროის დაზოგვას, მაშინ დღის განმავლობაში შეიძლება ბევრი მოვასწროთ. დიდი მნიშვნელობა აქვს აღვზარდოთ ადამიანში პასუხისმგებლობის გრძნობა. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი ცხოვრების ბატონ-პატრონი, საზოგადოების წევრია; იგი პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს პასუხი აგოს თავის მოქმედებაზე, თავის ქცევაზე, შესძლოს სიტუაციაში გარკვევა. ამავე დროს პასუხი უნდა აგოს თავისი ამხანაგის, თავისი კოლექტივის წევრის მოქმედებაზეც, მით უმეტეს, თუკი ის უმცროსი და ნაკლებად გამოცდილია. მაგრამ პასუხისმგებლობა ამხანაგებზე არავითარ შემთხვევაში არ ხსნის მას პასუხისმგებლობას თავის მოქმედებაზე. მაკარენკო მომხრეა საჭიროების შემთხვევაში უკიდურესი ზომებისაც კი—

კოლექტივიდან ცალკეული წევრის განდევნისა და მის წინააღმდეგ ბოი-კოტის გამოცხადებისა თუ კი ამან შეიძლება გააჯანსაღოს კოლექტივი, [illegible] შეუმჩნევლად დაწყებული ლპობა.

მაკარენკო თვლის, რომ „თავისუფალ ადამიანთა კოლექტივის ყოფის ფორმაა წინსვლა, ხოლო სიკვდილის კი — შეჩერება. („პედაგოგიური პოემა“, 1941, გვ. 290).

კოლექტივი, რომელმაც შეწყვიტა ზრდა, მოძრაობა — უკვე აღარ არის კოლექტივი. იგი იქცევა უქმადმყოფ ადამიანთა შეკრებულობად, თანდათანობით ლპება და კვდება. მხოლოდ მოძრაობა, შრომა, თანაც შრომა სასიხარულო, შემოქმედებითი, მხოლოდ ბრძოლა აძლევს კოლექტივს ჟანგბადს, სიცოცხლეს. არსებობენ სხვადასხვა კოლექტივები. შეიძლება იყოს კოლექტივი, შექმნილი შრომით, აგებული ასაკობრივ, ტერიტორიალურ პრინციპებზედაც კი და ა. შ.

მაკარენკო თვლის, რომ დიდი კოლექტივები სასარგებლოა დაიყოს უფრო მცირე, ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ შეკრულ კოლექტივებად. („პედაგოგიური პოემა“, 1941, გვ. 154).

კოლექტივის შექმნის პირველ დღეებიდანვე აღმოჩნდებიან ადამიანები, დაინტერესებულნი ორგანიზატორული მუშაობით, რომლებიც თავისი აქტიურობის წყალობით იმსახურებენ ამხანაგების სიმპათიებს, დიდი გავლენა აქვთ კოლექტივში. ისინი სიამოვნებით ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს, არიან საინტერესო და სასარგებლო საქმეების მოთავენი, უფრთხილდებიან კოლექტივის ღირსებას.

ამ აქტივზე დაყრდნობით კოლექტივის ხელმძღვანელებს და პედაგოგებს შეუძლიათ დაეხმარონ მთელ მასას იცხოვრონ შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრებით.

აქტივს პირველ რიგში მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებსაც უკავიათ ორგანიზაციებში არჩევითი თანამდებობები ან მიღებული აქვთ საპასუხისმგებლო დავალებები კოლექტივის სხვადასხვა საქმეების მოგვარების მხრივ. აქტივი უნდა სარგებლობდეს კოლექტივის წევრთა ნდობით. ამიტომ აქტივისტებს უყენებენ მეტ მოთხოვნებს. დროთა განმავლობაში მასა აღწევს აქტივისტების დონეს. აქტივი თანდათან ფართოვდება, მაგრამ ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს მიჰყავს ამავე დროს ორგანიზატორთა ახალი, უფრო ძლიერი აქტივის შექმნისაკენ. მეტად არსებით საკითხს კოლექტივის ცხოვრებაში წარმოადგენს დამორჩილება არჩევით ორგანოებისა და პირებისადმი. დამორჩილება ამხანაგებისადმი, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებრივ მოვალეობას. იქ, სადაც მოსწავლეები არ ემორჩილებიან მის მიერ არჩეულ ამხანაგს, სადაც მორიგე მოსწავლეებს აბუჩად იგდებენ და დასცინიან კიდეც, — იქ არ არის სერიოზული დამოკიდებულება კოლექტივისადმი. კოლექტივის როლი აქ ან ძალზე უმნიშვნელოა, ანდა სულაც ნულამდეა დაყვანილი. ამხანაგებისადმი დამორჩილების უნარის შესახებ ჩვენ ვპოულობთ ა. მაკარენკოსთან შემდეგ ღრმა აზრს: „ასეთი უნარი ამხანაგისადმი დამორჩილებისა, თანაც როდესაც ეს არის არა სიმდიდრისადმი დამორჩილება, დამორჩილება ძალისადმი ან დამორჩი-

ლება წყალობის ან გასაკითხის სახით, არამედ არის კოლექტივის თანასწორუფლებიანი წევრების დამორჩილება — წარმოადგენს უაღრესად რთულ ამოცანას არა მარტო ბავშვთა კოლექტივისათვის, არამედ დიდებისათვისაც... მე მხოლოდ მაშინ შევძლებ ვუბრძანო ამხანაგს, დავავალო მას, გავაღვიძო მასში სურვილი იმოქმედოს, პასუხი ვაგო მასზე, როდესაც ვგრძნობ პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე და ვიცი, რომ, როდესაც ვუბრძანებ, მე ვასრულებ კოლექტივის ნებას. თუ ამას არ ვგრძნობ, მე მრჩება მხოლოდ ფართო გასაქანი მფლობელობისათვის, ბატონობისათვის, პატივმოყვარეობისათვის, არა ჩვენი ყაიდის ყველა სხვა გრძნობებისა და ტენდენციებისათვის.“ [1].

დაბოლოს, პედაგოგის როლის შესახებ. მაკარენკო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კოლექტივის სათავეში ან კოლექტივში მომუშავე პედაგოგის, აღმზრდელის როლსა და უნარს. მისი ცოდნა, შრომისუნარიანობა, პრინციპულობა, პატიოსნება, ენერგია, უნარი მოთხოვოს თავის თავსა და სხვებს, დაიმორჩილოს და დაემორჩილოს; მისი ტაქტი და, ბოლოს მისი გარეგნული სახე, სისუფთავე და სიკოპწიავე — ყველაფერი ეს ფაქტებია, რომლებიც დიდად მოქმედებენ აღმზრდელობითი მუშაობის პროცესზე. მაკარენკო მოითხოვდა, რომ მასწავლებლები გამოცხადებულიყვნენ სამუშაოზე თავის საუკეთესო კოსტუმებსა და კაბებში, მამაკაცები გაპარსულები, ქალები — ლამაზად დავარცხნილნი. იგი უსაყვედურებდა მათ სულ მცირე დაუდევრობისათვის გარეგნობაში. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვით მაკარენკო:

„ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ მაღალკვალიფიკაციას — დაჯერებული და ზუსტი ცოდნა, უნარი, ხელოვნება, ოქროს ხელები, სიტყვაძუნწობა და ფრაზის ყოველგვარი უარყოფა — აი, რა იტაცებს ბავშვებს ყველაზე მეტად. თქვენ შეგიძლიათ იყოთ მათთან უკიდურესად მშრალი, მომთხოვნი შარიანობამდეც კი, შეგიძლიათ არ ამჩნევდეთ მათ, თუნდაც ისინი იქვე იყვნენ ატუზულნი, შეგიძლიათ გულგრილად მოეპყროთ მათ სიმპათიებს, მაგრამ თუ თქვენ ბრწყინავთ თქვენი მუშაობით, ცოდნით, წარმატებით, გულდამშვიდებით ნურც კი მოიხედავთ უკან: ისინი თქვენს მხარეზე არიან და არ გიღალატებენ. სულერთია რაში მჟღავნდება ეს თქვენი ნიჭი, სულერთია ვინა ხართ თქვენ: დურგალი, აგრონომი, მჭედელი, მასწავლებელი, მემანქანე, და პირიქით, რაც უნდა ალერსიანი იყო მათთან, საინტერესო მოსაუბრე, გულკეთილი და ტკბილი მოპყრობაში, რაც უნდა სიმპათიური იყოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და დასვენებისას, თუ კი თქვენ საქმეს მოყვება წარუმატებლობა და ჩავარდნა, თუ კი ყოველ ნაბიჯზე ჩანს, რომ თქვენი საქმე არ იცით, თუ კი ყველაფერი თქვენი მთავრდება წუნდებით, თქვენ არასოდეს არაფერს არ დაიმსახურებთ, გარდა ძაგებისა, რომელიც ზოგჯერ შემწყნარებლურია, ზოგჯერ კი გამანადგურებლად მტრული, ზოგჯერაც გამაბაიბურებელი“. („პედაგოგიური პოემა,“ 1941, გვ. 143).

წიგნები, შექმნილი პედაგოგ-მწერლის მაკარენკოს მიერ, აგრძელებენ მისი ცხოვრების კეთილშობილურ საქმეს. ისინი ეხმარებიან ხალხს კომუნისტურ აღზრდაში — მათი მსოფლმხედველობის, ზნეობის ფორმირებაში, საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი ხასიათის საუკეთესო მხარეების განვითარებაში.

მაკარენკო — პედაგოგი, ადამიანი, მოქალაქე — ცოცხლობს მის მიერ აღზრდილ ადამიანებში, დიდი პედაგოგის — მწერლის, საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე წიგნებში.

სწორედ ასეთია იგი ჩვენთვის ძვირფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. А. ЦУКЕРМАН

## А. С. МАКАРЕНКО О ВОСПИТАНИИ


### Резюме

Основоположником советской педагогики был А. С. Макаренко «инженер человеческих душ» не только как писатель, но и как выдающийся советский педагог-новатор, теоретик коммунистического воспитания. В педагогической системе Макаренко большое место уделяется личности преподавателя.

Главная проблема в произведениях А. С. Макаренко — проблема воспитания коллектива, красной нитью проходит мысль о воспитании от коллектива к личности, причем целесообразно разбивать большие коллективы на более мелкие. Высокая квалификация, уверенное и четкое знание предмета, немногословие и полное отсутствие фразы, постоянная готовность к работе — вот что привлекает учеников к преподавателю.

Макаренко — педагог, человек, гражданин—жив в людях, воспитанных им, в своих горячих книгах большого педагога-писателя, советского патриота.


### ლიტერატურა


1. ა. ს. მაკარენკო — თხზ., მ., 1951.
2. ა. ს. მაკარენკო — „პედაგოგიური პოემა“, მ., 1952.
3. ა. ს. მაკარენკო — კომუნისტური აღზრდის შესახებ, მ., 1956.
4. ა. ს. მაკარენკო — „ალმები კოშკებზე,“ მ., 1950.
5. ა. ს. მაკარენკო — „წიგნი მშობელთათვის“, მ., 1956.
6. ბ. პ. ესიპოვი — მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზაცია და აღზრდა ა. ს. მაკარენკოს სწავლების მიხედვით, მ., 1956.
7. ი. ლუკინი — „პედაგოგიური პოემის“ ბოლოსიტყვაობა, მ., 1952.
8. ა. კოლბანოვსკი, წინასიტყვაობა „წიგნი მშობელთათვის“, მ., 1956.
9. ბ. ბალაბანოვიჩი — ა. ს. მაკარენკო, მ., 1951.
10. ა. ს. მაკარეკო — „ოჯახში აღზრდის შესახებ“, მ., 1955.
11. ე. მედინსკი და ი. პეტრუხინი — ა. ს. მაკარენკო ოჯახში ბავშვების აღზრდის შესახებ (წიგნში „ოჯახში აღზრდის შესახებ“).

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XCII, 1975

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCII, 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ბიორბაძე

# სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის დადგენის საკითხები

მსოფლიო სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სასოფლო - სამეურნეო საწარმოთა ოპტიმიზაციის პრობლემა თეორიული და პრაქტიკული კვლევის საგანია. ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეზე საწარმოთა ოპტიმიზაცია საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევისათვის. წარმოების კონცენტრაციის კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე საწარმოთა ოპტიმიზაცია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური ორგანიზაციისა და ინტენსიფიკაციის აუცილებელ პირობას. თანამედროვე აგრარული მეცნიერება დიდ ყურადღებას უთმობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდის დადგენის რთული თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემის დამუშავებას, რომლის საფუძველს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ გამოკვლეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის კანონის მოქმედება.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ მეცნიერული კვლევის საფუძველზე მიღებულია ორი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა. პირველი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ სოფლის მეურნეობაში მსხვილ საწარმოებს აქვს უპირატესობა წვრილთან შედარებით „თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსხვილ წარმოებას გადამწყვეტი უპირატესობა აქვს წვრილი წარმოების მიმართ“[3]. მეორე დასკვნა მდგომარეობს აღნიშნული ტენდენციის მხოლოდ გარკვეულ საზღვრებამდე გამოვლენაში. „მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოების უპირატესობას ადგილი აქვს მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებამდე“[3] რაც თავის მხრივ განსაზღვრულია წარმოების საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებით.

ამ დასკვნების განხილვა მათ ერთიანობაში, საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და მათ სიდიდეებს შორის არსებული დამოკიდებულება წარმოადგენს ეკონომიურ საფუძველს სოფლის მეურნეობაში კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდის დადგენის პრობლემას აქვს დიდი ხნის ისტორია. ამ პრობლემაზე პირველი ნაშრომი, „იზოლირებული სახელმწიფო“, ეკუთვნის გერმანელ აგრარიკოს თიუნენს [25].

აღნიშნული ნაშრომის ნაკლს წარმოადგენდა შიდასამეურნეო სატრანსპორტო დანახარჯების გადაჭარბებული შეფასება და სხვა გამ[illegible]ტორების უგულებელყოფა.

საბჭოთამდელი ეკონომისტებიდან ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ა. პ. ლიუდოგოვსკიმ [24], რომელიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სიდიდის საფუძვლად თვლიდა მიწათმოქმედის ორგანიზატორულ უნარს — ა. ი. სკვორცოვი [24] სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდის დასადგენად მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა წარმოების ტერიტორიულ ორგანიზაციას.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ რიგი საზღვარგარეთელი მეცნიერები, რომლებმაც ბევრი გააკეთეს ამ პრობლემის გადასაწყვეტად. დიდ ინტერესს იწვევს გ. ფ. უორენის [26] და ბლეგბორნის [8] შეხედულებები, რომლებიც იცავენ სოფლის მეურნეობაში მსხვილი წარმოების უპირატესობის იდეას და არ იზიარებენ ჯ. ბლეკის, მ. კლოუსონის [9] და სხვა ავტორების მოსაზრებებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ წვრილ ფერმერულ მეურნეობებს.

გ. ფ. უორენის შეხედულებებს ასაბუთებენ ინგლისელი ეკონომისტები ჯ. ჰამილტონი, ვ. ბრაიანტი, ე. ტომასი. [32] უკანასკნელს მსხვილი წარმოების უპირატესობის დამადასტურებლად მიაჩნია მათში „კვალიფიცირებული სპეციალისტების გამოყენების შესაძლებლობა და საწარმოო და ადმინისტრაციული ფუნქციების გამოყოფა“.

ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, აწუხებთ ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრი მეურნეობის სიდიდე არ პასუხობს სოფლის მეურნეობის მეცნიერულად გაძღოლის მოთხოვნებს და უახლესი ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობებს. ამის შესახებ სინანულით აღნიშნავდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში ამერიკელი ეკონომისტი ლ. გრეი [29]. იგი წერდა:

„მსოფლიოს ესაჭიროება ისეთი პროდუქტები, როგორიც არის მარცვლეული, ხორცი, ბამბა, მატყლი. ამ პროდუქტების წარმოება მასობრივად შეუძლებელია წვრილ ფერმებში. თანამედროვე კვლევები მიუთითებენ, რომ ბევრ რაიონში ფერმათა საშუალო სიდიდე მეტად მცირეა ეფექტური წარმოებისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსისტულმა აგრარულმა მეცნიერებამ და მსოფლიო სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ დაამტკიცა მსხვილი წარმოების უპირატესობა სოფლის მეურნეობაში, ბურჟუაზიული ეკონომისტების ნაწილი ებღაუჭება მეცნიერების მიერ უკუგდებულ პრინციპებს, ცდილობს წვრილი წარმოების დაცვას. ამჟამად ეს მეცნიერები აქცენტს აკეთებენ „საშუალო სიდიდის“ მეურნეობათა სიცოცხლისუნარიანობაზე. მათ რიცხვს ეკუთვნის პოლონელი ეკონომისტი ბ. დედერკო, დასავლეთ გერმანელი ეკონომისტები: ჰ. გრიბე, ვ. შეფერ-კენერტი, ჰ. შულცე-ლამერსი და სხვები.

აშშ-ში სერიოზული კვლევებია ჩატარებული მეურნეობათა ოპტიმალურობის დასადგენად. უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ გამოყენებული ოპტიმალობის კრიტერიუმები და მე-

თოდები, რომლებიც გამომდინარეობენ ვულგარული პოლიტეკონომიის პოზიციებიდან მიუღებელია პრაქტიკულად გამოყენებისათვის ჩვენს პირობებში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამერიკელების მიერ კვლევის ობიექტად აღებულია ფერმები, რომელთა წარმოების მასშტაბები ჩვეულებრივ ბევრად ნაკლებია მსხვილ ამერიკულ ფერმებთან შედარებით.

მიუხედავად ამისა გარკვეულ ინტერესს იწვევს ცალკეული მათემატიკური ხერხები და განსაკუთრებით წრფივი პროგრამების მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია ეკონომისტების: ო. სკოვილის, ი. ფელოუზის, ჯ. ფრიკის, ხ. უიკსის, ჰ. კარტერის, ჯ. დინის, ე. ჰედის, რ. კრენზის და სვათა შრომებში [30, 31, 33].

აღნიშნული შრომები მრავლად შეიცავს მტკიცებებს მსხვილ ფერმერულ მეურნეობათა ეკონომიური უპირატესობის შესახებ.

ისმება კითხვა, მონოპოლისტური კაპიტალი რატომ არ ახდენს წვრილი წარმოების სრულ ლიკვიდაციას სოფლის მეურნეობაში? მონოპოლისტური კაპიტალი იძულებულია გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინოს მსხვილი, კონცენტრირებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის საქმეში. მონოპოლისტებისათვის ძირითად სიძნელეს სოფლის მეურნეობაში წარმოადგენს გლეხური საკუთრება. მიწაზე კერძო საკუთრება, როგორც ცნობილია არ წარმოადგენს ეკონომიურ აუცილებლობას კაპიტალიზმისათვის. როგორც კ. მარქსი მიუთითებდა: „მიწის საკუთრება, საკუთრების დანარჩენ სახეობებისაგან იმით განსხვავდება, რომ განვითარების გარკვეულ დონეზე იგი გვევლინება, კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისითაც კი, როგორც ზედმეტი და მავნებელი“[1]. მაგრამ მიწაზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციისათვის ბურჟუაზიას არ ყოფნის გამბედაობა. რადგან „იერიშის მიტანა საკუთრების ერთ ფორმაზე — შრომის პირობების კერძო საკუთრების ერთ ფორმაზე — მეტად საშიში იქნებოდა მეორე ფორმისათვის“ [2].

თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიო სოციალისტური სისტემა სულ უფრო ძლიერად არყევს იმპერიალიზმის პოზიციებს, მონოპოლისტური კაპიტალი დაინტერესებულია, რომ აიცილოს შესაძლო პოლიტიკური კონფლიქტები, რასაც შეიძლებოდა მოყოლოდა მისი ბატონობის შერყევა. ამიტომ გლეხობის გაჩანაგების მეტისმეტად მაღალი ტემპი და დიდი მასშტაბი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკური ბატონობისათვის.

მონოპოლიები ცდილობენ სოფლის მეურნეობაში სტრუქტურული ცვლილებები იმგვარად განახორციელონ, რომ შეასუსტონ გლეხური მოძრაობის ზრდა და ოპოზიცია მთავრობის აგრარული პოლიტიკის მიმართ. საქმე ეხება იმას, რომ შეინარჩუნონ გლეხობის კლასი, როგორც სოციალური საყრდენი სოფლად მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობისათვის.

მონოპოლისტები თავიანთი ბატონობის შენარჩუნებისათვის ისეთ ფორ-

მებს ეძებენ, რომელიც ფორმალურად შეინარჩუნებს წვრილ გლეხურ მეურნეობას, მაგრამ ისე, რომ ეკონომიურად ამ გლეხურ მეურნეობას არავითარი სიძლიერე არა ჰქონდეს. ამ მიზანს ემსახურება დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარში“ შემავალი ქვეყნების სოფლის მეურნეობისათვის შემუშავებული ე. წ. „მანსჰოლტის გეგმა“.

წარმოების კონცენტრაციის საშუალებით გაბატონებულ კლასებს სურთ მონოპოლისტების ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვიტონ წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის გლეხური მეურნეობის მთლიანი ლიკვიდაციის გარეშე. აქვე გვინდა მივუთითოთ გარკვეულ პოლიტიკურ მიზეზებზე, რომლებიც განაპირობებენ იმას, რომ ფინანსური ოლიგარქია ითმენს წვრილ მეურნეობათა არსებობას. მილიარდერები და მილიონერები რიცხობრივად თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ. ისინი საჭიროებენ მასობრივ ბაზას, ადამიანებს, რომლებიც არჩევნებში ხმას მისცემენ კაპიტალისტური წყობილების და წესების სიმყარეს. წვრილი წარმოება სოფლად წარმოადგენს გარკვეულ სოციალურ ძალას, რომელიც მილიონობით ამომრჩეველს აერთიანებს.

საინტერესო მოსაზრებები მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესაქმნელად ჩვენს ქვეყანაში წარმოადგინა აკადემიკოსმა ვ. ს. ნემჩინოვმა [18], მართალია ეს მოსაზრებები ძირითადად მოცემულია სოციალურ ასპექტში, მაგრამ გაანგარიშებები ნათლად ადასტურებენ წვრილი წარმოების წინააღმდეგობებს და მსხვილი სოციალისტური საწარმოების შექმნის აუცილებლობას.

საბჭოთა ეკონომისტი ა. პ. კორხოვი [13] სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაციონალური სიდიდის დასადგენად ძირითად ფაქტორებად თვლიდა შიდასამეურნეო სატრანსპორტო დანახარჯებს, წარმოების ინტენსიურობის დონეს და მეურნეობის ხელმძღვანელის ორგანიზატორულ ნიჭს.

პროფ. ვ. ჩაიანოვს [27] საწარმოს ოპტიმალობის კრიტერიუმად მიაჩნდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება და არ ითვალისწინებდა სხვა მაჩვენებლებს. ამ პრობლემებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აგრეთვე საბჭოთა ეკონომისტებმა გ. ს. გორდეევმა [11] და ა. მ. მარკევიჩმა [16] საწარმოო ოპტიმიზაციის საკითხები სპეციალური კვლევის საგანი იყო საბჭოთა ეკონომისტების ნ. პ. მაკაროვის [15], ს. გ. კოლესნევის [12] ტ. ლ. ბასიუკის [7], გ. გ. კოტოვის [17], ი. ა. ბოროდინის [10], კ. პ. ობოლენსკის [22], შრომებში.

განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდეების დადგენის საკითხს საბჭოთა ეკონომისტის გ. ა. სტუდენტსკის შრომებში [23].

საქართველოში ამ პრობლემებზე აღსანიშნავია პროფ. ივ. ლ. ჯაშის, ნაშრომი [5] „საწარმოთა სიდიდის საკითხი სოფლის მეურნეობაში“—რომელიც გამოქვეყნდა 1926 წელს, და ცნობილი მეცნიერის პროფ. გ. გეხტმანის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პროფესორებმა ივ. ლ. ჯაშმა და ვ. რ. პაპუნიძემ საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის დადგენისათვის გამოაქვეყნეს გამოკვლევები 1961 წელს [6] და 1970 წელს [4].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის საკითხის მეცნიერულ შესწავლას XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

1960 წლიდან დაიწყო ამ პრობლემის ინტენსიური დამუშავება ერთნაირი პროგრამითა და მეთოდით საკავშირო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ. ამ კოლექტივების მიერ დამუშავებულია — მონოგრაფიები [20, 21].

ჩამოთვლილ შრომებში მოცემულია ცდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდეების დასადგენად თეორიული დასაბუთებისათვის ტექნიკური პროგრესის, წარმოების ინტენსიფიკაციის, ბუნებრივ-ეკონომიური პირობების გათვალისწინებით.

საბჭოთა ავტორების შრომებში გამოყენებულია კვლევის კერძო ხერხები და მეთოდები, როგორიც არის ეკონომიურ-სტატისტიკური დაჯგუფების, მონოგრაფიული შესწავლის, ვარიანტული გაანგარიშების, გაანგარიშებით-კონსტრუქციული მეთოდები. დოცენტ გ. ი. ნოვიკოვის ნაშრომში [19] გამოყენებულია კვლევის მათემატიკური მეთოდები.

სოციალიზმის პირობებში მსხვილი წარმოების უპირატესობა გამოიხატება არა მარტო სოციალისტური წარმოების გამოვლენის ისტორიულ ფორმებში — კონცენტრაციის, ცენტრალიზაციის, კოოპერირების და კომბინირების სახით, არამედ შედარებით კონკრეტულ ფორმებში, მაგალითად, მსხვილი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, აგროსამრეწველო საწარმოების სახით. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვქმნით ამა თუ იმ საწარმოს, ან საწარმო ქვედანაყოფს ვამსხვილებთ ან ვაწვრილერთეულებთ მეურნეობებს, ჩვენ უნდა დავიყვანოთ ისინი ოპტიმალური სიდიდეებამდე, ე. ი. ისეთ სიდიდეებამდე, როდესაც სხვა თანაბარ პირობებში ყველაზე ეფექტურად იქმნება გამოყენებული შრომა, შრომის საშუალებები და იარაღები. ასეთ საწარმოებში მიიღწევა შრომისნაყოფიერების მაღალი დონე, იქმნება მაქსიმალური რაოდენობის პროდუქცია ცოცხალი და განივთებული შრომის მინიმალური დანახარჯების პირობებში. ამაში მდგომარეობს მსხვილი წარმოების უპირატესობის ეკონომიური კანონის გამოყენების აზრი.

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონის მოქმედებას არა აქვს აბსოლუტური ხასიათი. ეს ეხება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. ამასთან მრეწველობაში პირობები, რომლებიც ზღუდავენ აღნიშნული კანონის მოქმედებას, შედარებით მარტივია, ვიდრე სოფლის მეურ-

ნეობაში. ეს აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი უფრო რთული და მრავალმხრივია, ვიდრე მრეწველობაში. მაგალითად, სირთულე სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში არსებობს საერთო-ერთიანი სახელმწიფო საკუთრების არსებობით და სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის არსებობით წარმოების სხვა საშუალებებზე, პროდუქტების განაწილების ორი ფორმით, ჯერ კიდევ არსებითი განსხვავებით სოფელსა და ქალაქს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, განსხვავებული სამართლებლივი მდგომარეობით საბჭოთა მეურნეობის ოჯახსა და საკოლმეურნეო კომლს შორის. მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი გამოხატულებას პოულობს არა მარტო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, არამედ ერთ დარგშიც. სოფლის მეურნეობაში, არა მარტო სხვადასხვა ზონაში და რაიონში, არამედ თითოეული მეურნეობის შიგნითაც არის წარმოებისათვის განსხვავებული პირობები, განსხვავებული მიწისნაყოფიერება, წარმოებისა და შრომის განსხვავებული ორგანიზაცია და ა. შ.

ამიტომ მსხვილი წარმოება თავის ტექნიკურ-ეკონომიურ უპირატესობას ავლენს მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა „მრეწველობაშიც რომ მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი არც ისე აბსოლუტური და მარტივია, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ; აქაც მხოლოდ „სხვა პირობების" თანასწორობა (რომელსაც სინამდვილეში ყოველთვის როდი აქვს ადგილი) უზრუნველყოფს კანონის სრულ გამოყენებას, მიწათმოქმედებაში კი, რომელიც განირჩევა ურთიერთობათა გაცილებით მეტი სირთულით და მრავალფეროვნებით, მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონის სრული გამოყენება მოითხოვს ბევრად უფრო მტკიცე პირობებს"[3].

აქედან გამომდინარე ჩვენ სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ სოფლის მეურნეობაში ამ კანონის გამოყენებას, უნდა ვცდილობდეთ არა საერთოდ მსხვილი საწარმოების, არამედ ოპტიმალური სიდიდის საწარმოთა შექმნას, რომელთაც ექნებათ უკეთესი საწარმოო და ეკონომიური მაჩვენებლები, ვიდრე წვრილთ. ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ მეურნეობის საწარმოო მიმართულებას. ქვეყნის რიგ ზონაში ჩამოყალიბდა მარცვლეულის მეურნეობები, სადაც მეცხოველეობას აქვს დაქვემდებარებული როლი, სხვა შემთხვევებში შეიძლება მემცენარეობა საერთოდ არ იყოს განვითარებული. ასეთი მეურნეობები ცნობილი იყო აშშ-ის დასავლეთში, „ფრინველის ფაბრიკების" სახით, რომლებიც ხშირად იქმნებოდნენ ერთი ზაფხულისათვის და პროდუქციული პირუტყვის გარეშე. მეცხოველეობის გარეშე იქმნებოდა ყამირ მიწებზე მარცვლეულის მეურნეობები და მეჩაიეობის და მეციტრუსეობის მეურნეობები სუბტროპიკულ ზონაში.

ჩვენ ვიზიარებთ იმ საბჭოთა ეკონომისტების აზრს, რომლებიც თვლიან, რომ წარმოების სპეციალიზაციის გათვალისწინებით უნდა იქნეს დადგენილი ოპტიმალობის კრიტერიუმი. ასეთ კრიტერიუმად მეურნეობებისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, ხოლო

ნეობაში. ეს აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი უფრო რთული და მრავალმხრივია, ვიდრე მრეწველობაში. მაგალითად, სირთულე სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში [illegible] ერთიანი სახელმწიფო საკუთრების არსებობით და სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის არსებობით წარმოების სხვა საშუალებებზე, პროდუქტების განაწილების ორი ფორმით, ჯერ კიდევ არსებითი განსხვავებით სოფელსა და ქალაქს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, განსხვავებული სამართლებლივი მდგომარეობით საბჭოთა მეურნეობის ოჯახსა და საკოლმეურნეო კომლს შორის. მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი გამოხატულებას პოულობს არა მარტო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, არამედ ერთ დარგშიც. სოფლის მეურნეობაში, არა მარტო სხვადასხვა ზონაში და რაიონში, არამედ თითოეული მეურნეობის შიგნითაც არის წარმოებისათვის განსხვავებული პირობები, განსხვავებული მიწისნაყოფიერება, წარმოებისა და შრომის განსხვავებული ორგანიზაცია და ა. შ.

ამიტომ მსხვილი წარმოება თავის ტექნიკურ-ეკონომიურ უპირატესობას ავლენს მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა „მრეწველობაშიც რომ მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი არც ისე აბსოლუტური და მარტივია, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ; აქაც მხოლოდ „სხვა პირობების" თანასწორობა (რომელსაც სინამდვილეში ყოველთვის როდი აქვს ადგილი) უზრუნველყოფს კანონის სრულ გამოყენებას, მიწათმოქმედებაში კი, რომელიც გაირჩევა ურთიერთობათა გაცილებით მეტი სირთულით და მრავალფეროვნებით, მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონის სრული გამოყენება მოითხოვს ბევრად უფრო მტკიცე პირობებს"[3].

აქედან გამომდინარე ჩვენ სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ სოფლის მეურნეობაში ამ კანონის გამოყენებას, უნდა ვცდილობდეთ არა საერთოდ მსხვილი საწარმოების, არამედ ოპტიმალური სიდიდის საწარმოთა შექმნას, რომელთაც ექნებათ უკეთესი საწარმოო და ეკონომიური მაჩვენებლები, ვიდრე წვრილთ. ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ მეურნეობის საწარმოო მიმართულებას. ქვეყნის რიგ ზონაში ჩამოყალიბდა მარცვლეულის მეურნეობები, სადაც მეცხოველეობას აქვს დაქვემდებარებული როლი, სხვა შემთხვევებში შეიძლება მემცენარეობა საერთოდ არ იყოს განვითარებული. ასეთი მეურნეობები ცნობილი იყო აშშ-ის დასავლეთში, „ფრინველის ფაბრიკების" სახით, რომლებიც ხშირად იქმნებოდნენ ერთი ზაფხულისათვის და პროდუქციული პირუტყვის გარეშე. მეცხოველეობის გარეშე იქმნებოდა ყამირ მიწებზე მარცვლეულის მეურნეობები და მეჩაიეობის და მეციტრუსეობის მეურნეობები სუბტროპიკულ ზონაში.

ჩვენ ვიზიარებთ იმ საბჭოთა ეკონომისტების აზრს, რომლებიც თვლიან, რომ წარმოების სპეციალიზაციის გათვალისწინებით უნდა იქნეს დადგენილი ოპტიმალობის კრიტერიუმი. ასეთ კრიტერიუმად მეურნეობებისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, ხოლო

მეცხოველეობის საწარმოო მიმართულების მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი და შესაბამისი სახის პირუტყვის სულადობა. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული პირობები და მრავალრიცხოვანი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებიც: ინტენსიურობის დონე, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების თავისებურება, სატრანსპორტო პირობები, მიწის ნაკვეთების კონფიგურაცია.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ ეკონომისტების აზრს, რომლებიც თვლიან, რომ ოპტიმალური სიდიდის დასადგენად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ წარმოებული საერთო პროდუქციის ღირებულება. მიგვაჩნია, რომ საკითხის ასეთი დაყენებით ეკონომისტების ნაწილი ცვლის მეურნეობათა სიდიდის განსაზღვრის მეცნიერულ პრობლემას წარმოების მასშტაბის ოპტიმიზაციის არარსებული პრობლემით. ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ამოცანა წარმოებულ იქნეს მაქსიმალური რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მინიმალური დანახარჯებით. ამიტომ სრულიად სამართლიანია, რომ მოვახდინოთ წარმოების მატერიალური საშუალებების შეთანაწყობის ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობს გამოყენებული მიწის სიდიდის და პირუტყვის სულადობის დადგენას არსებული საწარმოო ძალების განვითარების პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის დადგენას წინ უნდა უსწრებდეს მეურნეობებში ღრმა ეკონიმიური ანალიზი. გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით საკოლმეურნეო წარმობაში განვითარების თავისებურებანი. ამ თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1) როგორც ცნობილია, საწარმოო პროცესის მატერიალური ელემენტების მასის სწრაფი გაზრდის პირობებში ხდება სამუშაო ძალის აბსოლუტური შემცირება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის გადიდება ხდება კოლმეურნეთა რიცხვის შემცირების პირობებში.

2) თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მატერიალური ელემენტები თავისებურად იზრდება. ცალკეულ მეურნეობებში და ქვეყნის მასშტაბით უმთავრესად ხდება მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ზრდა. დამუშავებული მიწის რაოდენობას ხშირად შემცირების ტენდენცია ახასიათებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სულ უფრო დიდი მასა იწარმოება აბსოლუტურად და შეფარდებით შემცირებული მიწის ფართობის პირობებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია რიგი ეკონომისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ მომავალში იმოქმედებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შემცირების საწინააღმდეგო ფაქტორი. ამ ფაქტორად თვლიან მძლავრი მანქანური ტექნიკის ეკონომიური გამოყენების აუცილებლობას, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი მასივების დამუშავების პირობებში მიიღწევა. მომავალში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებ-

ლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების — ტექნიკის უნივერსალიზაციასთან დაკავშირებით — დასაბუთებას პოვებს ს. გ. სტრუმილინის მოსაზრება, რომ „სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება“ ტექნიკური პროგრესის ხარჯზე სულ უფრო მეტად მოხდება ინტენსიფიკაციის გზით და სულ უფრო ნაკლებად მეურნეობათა მიწათსარგებლობის გაფართოების ხარჯზე.“ [12].

2) სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ცალკეული სტადიების კონცენტრაცია.

ჩამოთვლილი თავისებურებანი უშუალოდ გამომდინარეობენ სოფლის მეურნეობაში წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებიდან. ინტენსიფიკაცია, რომელიც გაპირობებულია ტექნიკური პროგრესით, იმავე დროს წარმოადგენს დამოუკიდებელ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოთა ოპტიმალურ სიდიდეზე. თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ გავლენის რაოდენობრივ ანალიზს. ამ საკითხის გადაწყვეტას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ეკონომისტებს შორის არ არის ერთიანი მოსაზრება ინტენსიფიკაციის ეკონომიური კატეგორიისა და მაჩვენებლების შესახებ.

უკანასკნელ წლებში ხდებოდა კოლმეურნეობების ძირითადი ფონდების სტრუქტურის გაუმჯობესება, შეინიშნებოდა ძირითადი ფონდების ღირებულებაში შენობების, ნაგებობების, გადამცემი მოწყობილობების ხვედრითი წონის ზრდა, რომელმაც 1970 წელს მიაღწია ძირითადი ფონდების ღირებულების 50%-ზე მეტს.

სოფლად მშენებლობის მაღალი ღირებულება უარყოფით გავლენას ახდენდა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობაზე, რაზედაც მიუთითებს შემდეგი მონაცემები: 1960—1970 წლებში სოფლის მეურნეობაში ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაიზარდა 112%-ით, ხოლო პროდუქციის გამოსავალი იმავე ფართობზე 44%-ით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცხოველეობის ხვედრითი წონა ახლო მომავალში გაიზრდება. ამ უკანასკნელს კი ახასიათებს ფონდშემცველობის შედარებით მაღალი დონე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდეზე დიდ გავლენას ახდენს მმართველობის რაციონალური ორგანიზაცია. მეურნეობათა რაციონალურ მართვას განსაზღვრავს არა მარტო ხელმძღვანელის ორგანიზატორული თვისებები, სპეციალური და ზოგადგანათლების დონე, არამედ ეკონომიური პირობებიც, სატრანსპორტო საშუალების განვითარება, კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. აღნიშნული ფაქტორები საბოლოოდ გამოხატულებას პოულობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოყენებაში და სამმართველო აპარატის დანახარჯების შემცირებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. ГИОРГАДЗЕ

## ВОПРОСЫ УСТАНОВЛЕНИЯ ОПТИМАЛЬНЫХ РАЗМЕРОВ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ


### Резюме

Объективной основой установления оптимальных размеров сельскохозяйственных предприятий служат неоспоримые технико-экономические преимущества крупного производства над мелким.

При капитализме научного решения вопроса об установлении оптимальных размеров сельскохозяйственных предприятий ограничивает противоречия между аграрным укладом капиталистического хозяйства и современными техническими возможностями, требующими революционной ломки существующих общественных отношений. В условиях социализма оптимизация размеров сельскохозяйственных предприятий позволяет при данном уровне развития производительных сил достичь наиболее высокой эффективности общественного производства. Этот процесс, отражающий требования закона концентрации производства является одним из важных условий интенсификации сельскохозяйственного производства.

При определении оптимальных размеров хозяйств и их подразделений необходимо прежде всего учитывать специализацию хозяйств и в зависимости от нее установить критерий оптимальности. Этими критериями для сельскохозяйственных предприятии должны быть площадь пашни, площадь многолетних насаждений и поголовье соответствующего вида скота.


### ლიტერატურა


1. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III$_2$. გვ. 203. თბ., 1959 წ.
2. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. IV$_2$. გვ. 47. თბ., 1968 წ.
3. ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 5. გვ. 135—136. თბ., 1959 წ.
4. ვ. რ. პაპუნიძე. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, გვ. 156—171. თბ., 1970 წ.
5. აგრონომიული კრებული № 2. თბ., 1925 წ.
6. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, № 1, 1962 წ.
7. П. Л. Басюк — Организация социалистического сельскохозяйственного производства. М., экономиздат, 1965 г.
8. С. Блегборн — Планирование производства на фермах М., 1963 г.
9. Дж. Д. Блэк, М. Клоусон, Г. Р. Сайр, В. В. Вилкокс — Организация сельскохозяйственных предприятии в США. М., 1957 г.

10. И. А. Бородин — Концентрация производства и оптимальные размеры сельскохозяйственных предприятии М., 1966 г.

11. Г. С. Гордеев — Основные проблемы сельскохозяйственной экономии. т. 1. М., «Новый агроном», 1929 г.

12. С. Г. Колеснев — Организация социалистических сельскохозяйственных предприятий. М., 1960 г.

13. А. П. Корхов организация крупных полевых хозяйств в сахарной промышленности Украины и Великороссии. Киев, 1923.

14. А. П. Людоговский — Настольная книга для русских сельских хозяев. СПБ. 1875 г. т. 1.

15. Н. П. Макаров — экономические основы организации производства в колхозах и совхозах М., «Колос», 1966 г.

16. А. М. Маркевич. — Межселенные машинно-тракторные станции. М., «Плановое хозяйство», 1929 г.

17. «Международный сельскохозяйственный журнал». 1964 г. № 1.

18. В. С. Немчинов. — Избранные произведения, т. 4. М., стр. 341—359.

19. Г. И. Новиков — методика расчета оптимальных размеров бригад и ферм М., 1967 г.

20. Оптимальные размеры сельскохозяйственных предприятии М., 1965 г.

21. Оптимальные размеры колхозов М., 1970 г.

22. К. П. Оболенский — Преимущество крупных колхозов. М., 1961 г.

23. Г. А. Студенский — Организация крупных сельскохозяйственных предприятий в Германии М., «Новый агроном» М., 1929 г.

24. А. И. Скворцов — Основы экономики земледелия. ч. I. СПБ. 1900 г.

25. И. Г. Тюнен — Изолированное государство. М., «Экономическая жизнь».—1926 г.

26. Г. Ф. Уоррен — Организация сельского хозяйства М., 1929 г.

27. А. В. Чаянов — Оптимальные размеры сельскохозяйственных предприятий М., «Новая деревня». 1928 г. стр. 14.

Экономическая газета — 1965 г. № 5.

29 L. C. Gray. Introduction to Agricultural Economics. N.Y. 1924 p 118.

30 Carter, H. O. and C. W. Dean. Cost-size Relationships for Cash Crop Farms in a Highly Commercialized Agriculture. journal of Farm Economics Vol. 43 No 2 may 1961 pp. 264. 267.

31. Heady E. O. and R. D. Krenz. Farm Size and Cost Relationships in Relation to Recent Machine Technology. Ames. Lowa: Lowa Research Bulletin 504. May 1962, pp. 443—466.

32. E Thomas. An Introduction to Agricultural Economics, London, 1951, p. 42.

33. Scoville Orlin j. Relationship Between Size of Farm and Utilitation of Machinery. Equipment and Labor on Nebraska Corn Livestock Farms Washington, D C. USDA Technical Bulleten 1037. September, 1951, p. 71

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ


1. ქ. ანთიძე — საქართველოს სსრ ქალთა როლი საკოლმეურნეო მშენებლობაში . . . 3
К. Д. Антидзе — Роль женщин Грузинской ССР в колхозном строительстве . . . 19

2. გ. ჭკადუა — საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა სოფლის მეურნეობის კადრებით განმტკიცებისათვის მეექვსე ხუთწლედში . . . 23
В. К. Чкадуа — Деятельность коммунистической партии Грузии в шестой пятилетке по укреплению кадрам сельского хозяйства . . . 38

3. Б. Капанадзе — Борьба коммунистической партии Грузии за преобразование и развитие народного просвещения в деревне в восстановительный период (1921—1925 гг.) . . . 41

4. გ. გოცირიძე — ვ. ი. ლენინის ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ (1903—1904 წწ. . . . 51
Г. Гоциридзе — Борьба В. И. Ленина против троцкизма . . . 56

5. გ. მამრიკიშვილი — კულტურული რევოლუციის განმარტებისათვის . . . 59
Г. Мамрикишвили — К вопросу определения культурной революции . . . 65

6. А. Г. Махарадзе — Роль государственной собственности в колхозном производстве . . . 67

7. კ. მიროტაძე — მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად საწარმოო ფონდებად ფორმირების თავისებურებანი . . . 77
К. Миротадзе — Особенности формирования основных и производственных фондов многолетних насаждений . . . 84

8. ა. თელია — საადგილმამულო კრედიტი ქუთაისის გუბერნიაში . . . 89
А. Г. Телия — Земельный кредит Кутаисской губернии . . . 96

9. რ. ძაგნიძე — ინტენსიფიკაციის არსის საკითხის შესახებ . . . 99
Р. В. Дзагнидзе — Вопрос о сущности и интенсификации . . . 103

10. ჯ. გეწაძე — წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორები . . . 105
Дж. Гецадзе — Вещественные и личностные факторы производства . 112

11. ნ. ქარქაშაძე — აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები . . . 115
Н. Каркашадзе — Агропромышленные объединения завтрашний день производства . . . 121

12. ს. თურმანიძე — ფასების როლი კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავლის რეგულირების საქმეში . . . 123
С. А. Турманидзе — Роль цен в регулировании чистого дохода колхозов 130

13. გ. ჭკადუა — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სრულყოფის საკითხისათვის . . . 131
Г. Б. Чкадуа — К вопросу совершенствования специализации сельского хозяйства Абхазской АССР . . . 138

14. ს. თავდიშვილი — საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების გაანგარიშების საკითხისათვის . . . . . . . . . . 139
С. А. Тавдишвили — К вопросу о расчете уровня производительности общественного труда . . . . . . . . . . . . . . 147
15. გ. ძაგნიძე — სრული სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობაში . . . . . . . . . . . 149
Г. Я. Дзагнидзе — Мероприятия по совершенствованию полного хозрасчета в совхозах . . . . . . . . . . . . . 153
16. ი. ორაგველიძე — საადგილმამულო ურთიერთობანი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში . . . . . . . . 155
И. Ш. Орагвелидзе — Земельные отношения на берегу Черного моря во второй половине XIX века . . . . . . . . . 161
17. გ. სარჯველაძე — კოლხეთის დაბლობის ათვისების საკითხისათვის . . 163
Б. В. Сарджveладзе — К вопросу освоения Колхидской низменности . 171
18. გ. ჭკუასელი — მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი მევენახეობაში . . . . . . . . . . . 173
Г. Чкуасели — Некоторые вопросы организации защиты растении в виноградарстве . . . . . . . . . . . . . . 180
19. К. Таргамадзе, Т. Канделаки — Экономическая эффективность использования обрезков виноградной лозы . . . . . . . 183
20. М. Иванова — Книга друг человека . . . . . . . . . 187
21. დ. ცუკერმანი — ა. ს. მაკარენკო აღზრდის შესახებ . . . . . 195
Д. А. Цукерман — А. С. Макаренко о воспитании . . . . . 202
22. პ. გიორგაძე — სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის დადგენის საკითხები . . . . . . . . . . 207
Г. Г. Гиоргадзе — Вопросы установления оптимальных размеров сельскохозяйственных предприятии . . . . . . . . . . 211

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორები:

ჯ. ბობოხიძე, რ. ვაჩნაძე, მ. დოლიძე,

ე. ხარაზიშვილი, მ. ცქიტიშვილი.

შეკ. 1234 უე. 11836 ტირ. 500

გადაეცა წარმოებას 25/VIII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად /XII-75 წ., ანაწყობის ზომა 7×11, სასტამბო თაბახთა რაოდენობა 13,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 16,75.

ფასი 1 მან.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
შრომის წითელი დროშის ორდენოსანი

თბილისი-31, დიღომი.

Типография Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, Тбилиси-31, Дигоми.

ზ. ვ. 3/70

ეროვნული
ბიბლიოთეკა